

001

საქართველოს



1-2

2001



უკურნებელი სენით შეპყრობილი დიდი კოლუმბიელი მწერალი ბაბრიელ ბარსიბ შარკანი გამოსათხოვარი წერილით მიმართავს თავის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს, რომლებიც მრავლად არიან დედამიწის ყველა კუთხეში.

თუ ღმერთი წამით დაივიწყებს, რომ მე ნაჭრის თოჯინა ვარ და ცოტა ხნით კიდევ მიწყალობებს სიცოცხლეს, მე ალბათ არ ვიტყოდი ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, მე ალბათ უფრო ვიფიქრებდი იმაზე, რასაც ვამბობ.

მე შევაფასებდი საგნებს არა მათი ღირებულების, არამედ მათი მნიშვნელობის მიხედვით.

მე ვიძინებდი ცოტას და ვიოცნებებდი ბევრს, რადგან თვალდახუჭულმა გაატარო თუნდაც ერთი წუთი — ეს ნიშნავს, მოიკლო სინათლის სამოცი წამი.

მე ვივლიდი, როცა სხვებს არ ექნებათ ამის სურვილი, მე ვიფხიზლებდი, როცა სხვებს ძინავთ, მე მოვუსმენდი, როცა სხვები ლაპარაკობენ... სიამოვნებით მივირთმევდი შოკოლადის ნაყინს!

ღმერთი რომ ცოტაოდენ სიცოცხლეს კიდევ მიწყალობებდეს, მე ჩავიცვამდი უბრალოდ, მზის პირველ სხივთან ერთად ავდგებოდი, გავაშიშვლებდი სულსაც და ხორცსაც.

ღმერთო ჩემო, თუ გული არ მიღალატებს, ჩავკირავდი ჩემს სიძულვილს ყინულში და მზის გამოჩენას დაველოდებოდი. მე დავხატავდი ვარსკვლავთა შუქზე, როგორც ვან გოგი, ვიოცნებებდი ბენედეტის პოემაზე და სერის სიმღერა იქნებოდა ჩემი მთვარის სერენადა. მე ცრემლით მოვრწყავდი ვარდებს, რათა მეგრძნო მათი ეკლების ჩხვლეტა, მეგრძნო აღისფერი კოცნა ვარდის ფურცლისა.

ღმერთო ჩემო, ცოტაც თუ დამცალდა... ერთ დღეს არ გამოვტოვებდი, ჩემთვის საყვარელი ადამიანებისათვის არ მეთქვა: მე თქვენ მიყვარხართ. მე დავარწმუნებდი უკლებლივ ყველა ქალსა და ყველა მამაკაცს, რომ ისინი ჩემი საყვარელი ადამიანები არიან. მე ვიცხოვრებდი სიყვარულში სიყვარულით.

მე დავარწმუნებდი იმ ადამიანებს, რომლებიც ცდებიან, როცა ფიქრობენ, ვბერდებით და იმიტომაც აღარ შეგვიძლია სიყვარულიო. პირიქით, ისინი სწორედ იმიტომაც ბერდებიან, რომ სიყვარული აღარ შეუძლიათ.

მე ბავშვს მივცემდი ფრთებს, მაგრამ ვასწავლიდი, თითონ ეფრინა.

ხანში შესულთ მე ავუხსნიდი, რომ სიკვდილი სიბერეს კი არა, დავიწყებას მოაქვს. ო, რამდენი რამ მასწავლეთ თქვენ, ადამიანებო!

მე მივხვდი, რომ ყველას სურს მწვერვალზე ცხოვრება, მაგრამ ბევრმა არც იცის, ჭეშმარიტი ბედნიერება დაშვებისას რომ ელის.

მე მივხვდი, ჩვილი რომ მამის თითს პირველად მოიქცევს თავის პაწაწა მუჭში, ეს იმას ნიშნავს, ბოლომდე ასე იქნება.


მე მივხვდი, რომ ადამიანმა ადამიანს მხოლოდ მაშინ შეიძლება შეხედოს ზემოდან, როცა წაქცეულს ეშველება წამოდგომაში.

მე ბევრი რამ ვისწავლეთ თქვენგან, მაგრამ მართალი გითხრათ, აზრი აღარ აქვს, რადგან როცა ყოველივე ამას მივხვდი და ამოვავეს კიდობანი, სამწუხაროდ, სწორედ მაშინ ვკვდები.

საშენატი

2001/1—2

იანვარი
აკრილი



(115)

ქართული
ბიზლირთეა

182



შინაარსი


პროზა და პოეზია

შიდიაშ ფოტკინი, ადვარ კაშიუ. რაპორიში მონაწილისათვის. თარგმნა ეთერ მოიხწრაფიშვილმა	3
ადის მანო. მათხროვარი ძადი. ინვლისურიდან თარგმნა ლადი გოგაძემ	49
ინვლისური და ამიკიკური პოეტები. ინვლისურიდან თარგმნა სტეფანე მხარგრძელმა	75
ერნესტ თეოდორ აშადოუს პოეზიანი. ეშმაკის ედემსირი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა ღია თაკვარელიამ	78

წერილები

ტატიანა ტოდსტაია. მსოფლიო დიტეკატუკა, თვადსაფიერი. თარგმნა ვახილ ბურკაძემ	124
ნედი საყვარელიძე. ვენის სოციალური ვარინტუდობის ტრანსპორტიცია თაკვარელიამ	141

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი



2001, № 1—2

მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-პოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:

ელზა ახვლედიანი
ნანა ასობაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა ბართაია (პ/მკ მდივანი)
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქვიციანი
დალი უანჯიკია
გივი შანაზანი
გივი კნელიანი

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41.

გად. წარ. 24. 10. 2000 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 02. 2001 წ., ქაღალდის
ზომა 70X108¹/₁₆, სააღრ. თ. 10. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10 ფ. ტირ. 300.
შეკვ. 1054.

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

რეჟიჰი მონაზვნისათვის



თარგმნა ეთარ მონისწრავიშვიდმა

პიესა ორ მოქმედებად და შვიდ სურათად

როცა ანდრე მალრო „საკურთხეველის“ თაობაზე საუბრობდა, მან განაცხადა, რომ ამ ნაწარმოებით ფოლკნერმა პოლიციური რომანის ანტიკურ ტრაგედიასთან შერწყმა მოახერხა. ვითომ მართლა ასეა? თუმცა ნებისმიერ ტრაგედიაში ხომ მუდამ არის პოლიციური რომანის რალაც მარცვალი („ჰამლეტი“, „ოიდიპოს მეფე“). პოდა, ფოლკნერი, რომელმაც ეს კარგად უწყოდა, არ მოერიდა თავის ბოროტმოქმედთა თუ გმირთა დღევანდელი გაზეთებიდან დასესხებას. „რეჟიჰი მონაზვნისათვის“, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ამგვარი იშვიათობა ვახლავთ თანამედროვე ტრაგედიათა შორის.

„რეჟიჰი მონაზვნისათვის“ ორიგინალში პიესას არ წარმოადგენს. ეს არის რომანი დიალოგებითა და დაძაბული დრამატული სიუჟეტებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენ თვალწინ თანდათან ესდება ფარდა საიდუმლოს და გამუდმებით იმყოფებით ტრაგიკული კვანძის გახსნის მოლოდინში. მეორეც იმიტომ, რომ კონფლიქტი, როცა პიესის გმირები პირისპირ ეჯახებიან თავიანთ ბედისწერას ბავშვის ცხედართან, მხოლოდ და მხოლოდ ამ ბედისწერის აღიარებით შეიძლება გადაწყდეს.

მე სურვილი აღმეძრა „რეჟიჰის“ ინსცენირებისა არა მარტო იმიტომ, რომ ფოლკნერი ჩვენი დროის უდიდეს ამერიკელ მწერლად მიმაჩნია, არამედ იმიტომაც, რომ მაინტერესებს თანამედროვე ტრაგედიის გახსნის პრობლემა თეატრალური სცენის ტექნიკური საშუალებებით. ამ თავისი ნაწარმოებით ფოლკნერმა მოგვიახლოვა ის დრო, როცა ტრაგედია, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ისტორიაში, სცენაზეც გამოჩნდება.

„რეჟიჰის“ გმირები თანამედროვენი არიან, მაგრამ მათ ანტიკური გმირების დარად თან სდევს იგივე ბედისწერა, რომელმაც შეიწირა ელექტრა და ორესტე. მხოლოდ უდიდეს მხატვარს თუ შესწევდა ძალა ამ ჩვენს თანამედროვე საცხოვრისში თავისი გმირები ასეთი ტკივილისა და დამცირების ენით აემეტყველებინა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ პიესაში ზანგი ქალი — ქალი მკვლელი და მეძავი — ერთგვარად ფოლკნერის მრწამსის განსახიერებად გვევლინება. ეს კონტრასტი უფრო ნათლად აჩენს სიღრმეს პუმანიშმისა „რეჟიჰისა“ თუ ფოლკნერის მთელ შემოქმედებაში.

ალბერ კამიუ

22163

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

მოქმედი პირნი



მოსამართლე
ნენსი მენიპო
გვინ სტივენსი
თეფულ სტივენსი
გოუენ სტივენსი
გუბერნატორი
პიტერი
მ-რ ტაბსი

პირველი მოქმედება

პირველი სურათი

სასამართლო. 13 ნოემბერი, 17 საათი და 30 წუთი. ფარდა ჯერ არ გახსნილა. თანდათან ნათდება რამბა.

მამაკაცი სმა (ფარდის უკან). მსჯავრდებულო, ადექით!

ფარდა იხსნება და იმავე დროს ფეხზე დგება მსჯავრდებულის შემოლობილში. მაყურებლის წინ შემალლებულზე ჩნდება მოსამართლის მაგიდა, რომელსაც სცენის მხოლოდ მარცხენა ნაწილი უკავია, მარჯვენა, უფრო დადაბლებული მხარე, სიბნელეში რჩება. სცენის მარცხენა ნაწილი პროექტორის შუქითაცაა განათებული. ისე რომ, ჩანს მხოლოდ სხდომის დარბაზის ნაწილი შემოლობილამდე, მოსამართლეებს რომ მაყურებლისგან განაცალკევებს; სხედან მოსამართლეები, ნაფიცი მსაჯულები, სასამართლოს ბოქაულები, პროკურორი და ადვოკატი გევი სტივენსი. მსჯავრდებულის ფეხზე დგას. იგი ოცდაათიოდე წლის ზანგის ქალია, თუმცა იქნებ ოცისაც იყოს ან სულაც ორმოცის. დგას მშვიდი, შეუვალი სახით, თითქმის ჩაფიქრებული. ერთი შეხედვით ძალზე მაღალი ჩანს, ვინაიდან დარბაზს ზემოდან გადმოჰყურებს; ყველას მზერა მისკენაა მიმართული, ის კი არავის უყურებს, სადღაც სივრცეს გასცქერის, თითქოს მის გარშემო არავინ იყოს.

დარბაზში სამარისებური სიჩუმეა. ყველა მას მისჩერებია.

მოსამართლე. ნენსი მენიპო, ვიდრე განაჩენს წაიკითხავდნენ, სასამართლოს სურს გაიგოს, გსურთ თუ არა თქვათ რამე თავის დასაცავად?

ნენსი არ პასუხობს. დგას უძრავად, თითქოს შეკითხვა არც გაუგია.

მოსამართლე. შეგახსენებთ, რომ კანონი გიკრძალავთ განაჩენის გამოტანის შემდეგ ლაპარაკს. თუკი რამის თქმა გინდათ, ახლა თქვით.

ნენსი დუმს.

მისტერ სტივენს, განუმარტეთ თქვენს დასაცავ პირს ჩემი სიტყვები. მან უკვე დაარღვია წესი პროცესის დასაწყისშივე, როცა თავისი დანაშაული აღიარა. არადა, თქვენ განაცხადეთ, რომ მის უდანაშაულობას დაამტკიცებდით, მაგრამ ვერა და ვერ ათქმევინეთ, რაც თქვენ გსურდათ. განუმარტეთ, თუ შეიძლება, რომ განაჩენის გამოცხადების შემდეგ უკვე არაფრის თქმის უფლება აღარ ექნება.

სტივენსი. ნენსი, სასამართლო გაფრთხილებთ, რომ განაჩენის

გამოცხადების შემდეგ ველარაფერს იტყვიot. თუ რაიმე გინდათ აცნობოთ სასამართლოს, ახლავე უნდა განაცხადოთ.

ნენსი დუმს.

გამიგონეთ, ნენსი, სასამართლოს თავისი კანონები აქვს. ვიცი, რატომაც თქვით, დამნაშავე ვარო, თუმც კი გარწმუნებდიყავი, მაგრამ პირობით გეტქვათ, მაგრამ ახლა პროცესი დასრულდა. ამიერიდან შეგიძლიათ ციხეში იფიქროთ და ილაპარაკოთ, რაზეც გსურთ და რაც გულზე გაწევთ. მე კარგად ვიცი და მესმის კიდევ, რასაც გრძნობთ. ოღონდ განაჩენის გამოცხადების შემდეგ უკვე ველარაფერს იტყვიot. ასეა კანონით. თუ რაიმეს თქმა გსურთ, ახლა თქვით, გესმით?

ნენსი უყურებს და დუმს.

მოსამართლე (მოუთმენლად). გაიგო?

სტივენსი. გაიგო, თქვენო უპატიოსნესობავ. როგორც ტანჯულსა და მორჩილ სულს ძალუძს გაგება.

მოსამართლე. მაშინ ვაცხადებ განაჩენს: „ვითვალისწინებთ რა, რომ ნენსი მენიპომ ამა წლის 13 სექტემბერს განზრახ, წინასწარ მოფიქრებულად სიცოცხლეს გამოასალმა ქალაქ ჯეფერსონში მცხოვრები ცოლ-ქმარ სტივენსების ჩვილი. სასამართლომ მიუსაჯა მას სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, რაც აღსრულდება ოთხი თვის შემდეგ, ანუ მომავალი წლის 13 მარტს ჩვენი შტატის მთავარი ქალაქის ციხეში, სადაც სასამართლოს დამთავრებისთანავე გადაიყვანენ. დე, შეიწყალოს უფალმა სული მისი“.

ნენსი (ძალზე მშვიდად, ისე, რომ არავის მიმართავს; მისი ხმა სიჩუმეში ზარივით ისმის). დიახ, უფალო, მადლობა შენდა, უფალო!

ისმის სასამართლოს დარბაზში მსხდარ უხილავ მაყურებელთა შეშფოთებული შეძახილები. ნენსი, როგორც ჩანს, ვერაფერს ამჩნევს. მოსამართლე მაგიდას ჩაქუჩს ურტყამს. დარბაზში ქალის გმინვა გაისმის, იქნებ ქვითინიც.

მოსამართლე. გთხოვთ, სიჩუმე დაიცვათ! გაანთავისუფლეთ დარბაზი.

ყურისწამლებად წკარუნობს ზარი. ფარდა სწრაფად ეშვება.

მეორე სურათი

13 ნოემბერი. 18 საათი. ფარდა ნელ-ნელა ზემოთ იწევა. მოჩანს სტივენსების სახლის სასტუმრო ოთახი. მაგიდაზე ლამპა დგას, ირგვლივ სკამები, მარცხნივ, სიღრმეში — დივანი და ტორშერი, კიდევ დერეფანში გასასვლელი კარი. სიღრმეში — სასადილოში გასასვლელი ორივე კარი ღიაა. მარჯვნივ — გაზის ბუხარი ხელოვნური შეშის ნაჭრებით. ისმის ნაბიჯების ხმა. შემდეგ სინათლე ინთება, ვილაცამ შემოსვლისას ჩამრთველი გადაატრიალა. მარცხნივ კარი იღება, შემოდის თემფლი თავის მეუღლე გოუენსა და ადვოკატ გევინ სტივენსთან ერთად. თემფლი ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა, ელეგანტური ქალია; ასხია ბეწვის მანტო, ხელში ხელთათმანები და ხელჩანთა უჭირავს. ეტყობა, დათრგუნულია, მაგრამ არ იმჩნევს. მაგიდასთან შედგება. გოუენი სამი-ოთხი წლით უფროსი იქნება ცოლზე. მისი მსგავსნი ბევრნი იყვნენ აშშ-ს სამხრეთში ორ მსოფლიო ომს შორის — მდიდარი მშობ-

ლების ერთადერთი ვაჟები, რომელთაც ბავშვობიდანვე არ აკლდათ არაფერი: სტუდენტობის წლები დიდი ქალაქების კომფორტულად მოწყობილ ბინებსა და სასტუმროებში გაატარეს, სწავლობდნენ კერძო უნივერსიტეტებში ქვეყნის სამხრეთსა თუ აღმოსავლეთში, იყვნენ ყველაზე მოდური კლუბის წევრები, შემდეგ, ოჯახს მოკიდებულნი, ნაძვლად მოეწყვნენ კარგ თანამდებობებზე საქმიან სამყაროში და წარმსტებიტაც ასრულებდნენ თავიანთი მოვალეობებს საეკლესიო და საბირჟო ოპერაციებისას. გოუენსა და სტივენსსაც პალტო აცვიათ, შლაპები ხელში უჭირავთ. სტივენსი ოთახში შესვლისთანავე შედგება. გოუენი შლაპას დივანზე მოისვრის და ცოლისკენ გაემართება, რომელიც მაგიდასთან დგას და მარცხენა ხელიდან ხელთათმანს იძრობს.

თემფლი (იღებს სიგარეტს კოლოფიდან, მაგიდაზე რომ დევს. ეტყობა, ძლივს იკავებს მლელვარებას. იწყებს მსჯავრდებულის გამოჯავრებას. ხმა შიგადაშიგ მლელვარებისგან უწყდება). „დიან, უფალო“, „დამნაშავე ვარ, უფალო“. „გმადლობთ, უფალო“. თუკი ამის მეტი სხვა არაფერი აქვს სათქმელი, როცა ჩამოხრჩობას უპირებენ, განა შეუძლია თავაზიან მოსამართლეს ამ მის სურვილს წინ აღუდგეს?

გოუენი. კმარა, თემფლ, გაჩუმდი. ახლავე რაიმე დასალევს მოგიტან და ბუხარსაც გავაჩაღებ. (სტივენსს.) თუმცა იქნებ ძია გევიინმა ბოლოს და ბოლოს სიკეთე გამოიჩინოს და ბუხარი მაინც გააჩაღოს, ვიდრე მე მეტრდოტელის როლს შევასრულებ.

თემფლი (იღებს სანთებელას). ჰო, ჰო, დასალევი მოიტანე. ბუხარს მე თვითონ მივხედავ. ძია გევიინი, რა თქმა უნდა, არ აპირებს აქ დარჩენას. ჩემი ფიქრით, მხოლოდ და მხოლოდ მოკლე გამოსათხოვარი სიტყვის თქმა უნდა: „თავი არ დაეზოგე თქვენი გოგონას მკვლელის დასაცავად, მაგრამ ვერანაირად ვერ შევძელი იმ ქალის გამართლება, რომელმაც ჩემი პაწია ძმისშვილიშვილი მოგუდა... ჯერჯერობით კი უნდა დაგტოვოთ. მომავალ შეხვედრამდე!“ ასე არ არის, ძია გევიინ? ჩათვალეთ, რომ ეს უკვე გვითხარით, და ახლა შეგიძლიათ შინ წაბრდნდეთ.

მიდის ბუხართან სანთებელათი ხელში, ჩაიმუხლებს და გაზის ონკანს ხსნის.

გოუენი (შეშფოთებით). თემფლ!

თემფლი (ცეცხლს აჩაღებს). ბოლოს და ბოლოს შემიძლია დავლიო თუ არა?

გოუენი (სტივენსს). პალტო გაიხადეთ და სადმე მიაგდეთ.

გადის სასადილო ოთახში. სტივენსი უძრავად დგას, თემფლს თვალს არ აშორებს.

თემფლი (ისევ დაჩოქილია, ზურგით სტივენსისკენ). თუკი დარჩენას აპირებთ, დაბრძანდით, თუ დარჩენა არ გსურთ, წადით. თქვენს ადგილზე მეორეს ვარჩევდი. ტანჯული დედისთვის ბოროტებაზე შურისძიება ისეთი სიამოვნებაა, რომ ურჩევნია მარტომ ისიამოვნოს. თქვენ როგორ გგონიათ?

სტივენსი შეჰყურებს. შემდეგ უახლოვდება, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს და მიაწვდის. თემფლი ცხვირსახოცს ათვალთქვებს, სტივენსს შეხედავს. სახე ყოვლად მშვიდი აქვს.

თემფლი. რატომ?

სტიჰენსი. ეს კარგი ცხვირსახოცია. იქნებ დაგჭირდეთ.

თემფლი. რისთვის? ორთქლმავლის მილიდან ამოფრქვეული ნაპერწკლებისგან რომ დამიფაროს? მაგრამ ჩვენ ხომ თვითმფრინავით უნდა ვიმგზავროთ. განა გოუენმა არ გითხრა? მემფისიდან შუალამისას მივფრინავთ. ხვალ დილით კალიფორნიაში ვიქნებით. ^{კალიფორნიაში!}

სტიჰენსი. და მაინც გამომართვით ცხვირსახოცი.

თემფლი (მისკენ შებრუნდება). თუ იმის ნახვა გსურთ, როგორ ვტირი, უმჯობესია ახლავე გითხრა: ჩემს ცრემლებს ვერ ეღირსებით. ვერც ცრემლებს და ვერც სხვა ვერაფერს. ისე კი ვერ გამიგია, რისთვის მოხვედით, თუმცა ჩემთვის სულ ერთია. რაც უნდა იყოს, თქვენსას მაინც ვერ მიაღწევთ.

სტიჰენსი. მესმის.

თემფლი. მაშასადამე, ჩემი არ გჯერათ? (მიაყურადებს). მოდის. ახლა ისიც გკითხავთ, რა გნებავთო. რად მოგვაცილეთ სახლამდე?

სტიჰენსი. ვუთხრა სიმართლე?

თემფლი. გამიგონეთ. მხოლოდ ერთ რამეს გკითხავთ. ზუსტად რა იცით?

შემოდის გოუენი. თემფლი უმაღ საუბრის თემას ისე თავისუფლად ცვლის, რომ ვარეშე ადამიანი ვერც შეამჩნევდა.

უპირველეს ყოვლისა იმ ქალის ადვოკატი ბრძანდებით და თქვენთვის უთუოდ უნდა ეთქვა. ნენსისთანა ქალსაც კი არ შეიძლება არ ჰქონოდა დანაშაულის გრძნობა და სინდისის ქენჯნა, როცა ბავშვს კლავდა.

ბოუენი. ხომ გთხოვე უკვე, ამაზე აღარ გველაპარაკა. (მას ხელში ლანგარი უჭირავს, რომელზეც სიფონია სოდიანი წყლით, პატარა კასრი ყინულით, სამი ცარიელი ბაკალი და სამი ვისკიანი ჭიქა. პალტოს ჯიბიდან ვისკის ბოთლი უჩანს. ლანგრით ხელში უახლოვდება თემფლს). აიღე, გეთაყვა. მეც მიინდა დაგლიო პირველად რვა წლის შესვენების შემდეგ. რატომაც არა?

თემფლი. ჰო, რატომაც არა?

იღებს ვისკიან ჭიქას. გოუენი სტივენსსაც სთავაზობს. შემდეგ ლანგარს მაგიდაზე დებს და მესამე ჭიქას თვითონ დაიჭერს.

ბოუენი. რვა წელი სპირტიანის წვეთიც არ დამიღვებია. მთელი რვა წელი! ცოტა დრო არ უნდა იყოს, ხომ? (სტივენსს.) დალიეთ, ბოლომდე დალიეთ. იქნებ სოდიანით გაგიზავოთ?

ჭიქას ისე დგამს ლანგარზე, პირს არ აკარებს. ჭიქაში სოდიანს ასხამს და სტივენსს აწოდებს. მაგრამ სტივენსს უკვე დაცლილი აქვს თავისი ჭიქა და ლანგარზე დგამს. ქმარივით არც თემფლი მიჰკარებია ჭიქას.

ახლა კი, მეტრ სტივენსი... დაცვის ადვოკატი აგვისსნის ალბათ, რისთვის მობრძანდა?

სტიჰენსი. შენმა ცოლმა უკვე გითხრა: მოვედი, რომ დაგემშვიდობოთ. ნახვამდის.

ბოუენი. რა გაეწყობა! ნახვამდის. წასვლისა შევსვათ. ჩვენ წესები ვიცით. შემდეგ კი, იმედია, წახვალთ, არა?

თემფლი. უეჭველია. არც უფიქრია დარჩენა. პალტოც არ გაუხ-
დია, ისე გადაჰკრა.

ბოშენი (ჯიბიდან ვისკის ბოთლს ამოიღებს და სტივენსისთვის
ჭიქაში სოდიანთან აზავებს). ხომ არ დარჩენილიყო? რაკი ეუთ ვაჟკაცო-
ბა ხელი აეწია სასამართლო დარბაზში, რათა ფიცი ~~ხაქტორ შაფკანიან-~~
ნის დასაცავად, ძმისშვილიშვილი რომ მოუკლა, რა თქმა უნდა, ახლაც
შეუძლია იგივე ხელი გამოგიწოდოს და ჭიქა მოგიჭახუნოს მოკლულის
დედას. მაგრამ იქნებ სჯობდა გველაპარაკა და ყველაფერი გაგვერკვია
თუნდაც დროებით?

თემფლი (დაკვირვებით შესცქერის არა გოუენს, არამედ სტი-
ვენსს, რომელიც თავის მხრივ მოღუშული მისჩერებია). კარგი, ვილა-
პარაკოთ. მოხერხებულად დაბრძანდით, თუ შეიძლება. იმედია, ძია გე-
ვინი ბავშვის მამასაც ასევე მოგიჭახუნებს ჭიქას, არა, ჩემო ძვირ-
ფასო?

ბოშენი (ვისკის სოდიანით აზავებს). რა თქმა უნდა, მომიჭახუნებს.
ხელს რა შეუშლის. ვითომ რატომ უნდა შეიცოდოს მამა? კანონის
თვალში კაცებს არ მართებთ ტანჯვის განცდა, იგი მოწყალეა მხოლოდ
ქალებისა და ბავშვების მიმართ. მეტადრე ქალებისა, მეტადრე შავ-
კანიანი კახებების მიმართ, ბავშვებს რომ ხოცავენ, თეთრების ნაშობთ
(სტივენსს ჭიქას გაუწოდებს). ჰოდა, რატომ უნდა შეიცოდოს მისტერ
სტივენსმა, დაცვის ადვოკატმა ქალი ან კაცი, სრულიად შემთხვევით
მისი ნათესავები რომ არიან და თანაც მოკლულის მშობლები?

თემფლი (მკაცრად). კმარა, გოუენ!

ბოშენი. მაპატიე. (მისკენ მიბრუნდება და დაინახავს, რომ ქალს
ხელში არაფერი უჭირავს.) შენ არ სვამ?

თემფლი. არა, გმადლობთ. რძეს დავლევდი.

ბოშენი. რძეს? ძალიან კარგი. რა თქმა უნდა, ცხელს, არა?

თემფლი. დიახ, თუ შეიძლება.

ბოშენი. რა თქმა უნდა, შეიძლება. ქვაბი უკვე ცეცხლზე შევდგი,
როცა ვისკისთვის გავედნი. ხომ ხედავ, ყველაფერს ვითვალისწინებ.
(სასადილო ოთახისკენ მიდის.) სხვათა შორის, ძია გევინი არ გაუშვა,
სანამ არ მოვბრუნდები. თუ საჭირო იქნა, კარიც ჩაუკეტე.

გოუენი გადის. თემფლი და სტივენსი ერთხანს ჩუმად სხედან, სა-
ნამ სასადილოს კარი არ მიჯახუნდება.

თემფლი (ჩქარ-ჩქარა და მკაცრად). აბა, რა იცით? (კიდევ უფრო
სწრაფად.) ოღონდ არ იცრუოთ! ხომ იცით, დრო აღარ ითმენს.

სტივენსი. აღარ ითმენს? რატომ? იმიტომ რომ თქვენი თვით-
მფრინავი დღეს საღამოს მიფრინავს? მაგრამ ნენსის დრო კიდევ რჩე-
ბა. ოთხი თვე. ცამეტ მარტს ჩამოახრჩობენ.

თემფლი. შესანიშნავად იცით, რისი თქმაც მინდა... თქვენ — მის
ადვოკატს, ყოველდღე შეგიძლიათ მისი ნახვა... ვილაც შავკანიანი ქა-
ლისა თქვენ, თეთრკანიან მამაკაცს... განა არ შეგიძლიათ აგეძულები-
ნათ იგი ელაპარაკა... დაგეშინებინათ. გინდაც მოგესყიდათ ერთი მწი-
კვი კოკაინით ან ერთი ჭიქა სპირტიანი სასმელით. (უეცრად გაირინდე-
ბა, თვალს თვალში გაუყურის სტივენსს განცვიფრებით და თან სასო-
წარკვევით, ლამის ჩურჩულით ამბობს.) ღმერთო ჩემო! ნუთუ არა-
ფერი გითხრათ? ვერ დავიჯერებ. მაშასადამე, არაფერი იცით და

ყველაფერი მე უნდა გაიბოთ?... არა, არა, ვერ დავიჯერებ. შეუძლებელია!

სტივენსი. შეუძლებელი? რატომ? არა, მას ჩემთვის არაფერი უთქვამს.

თემფლი. არ მჯერა თქვენი. თუმცა ეს არაფერს ცვლის, რისი გაგება გინდათ? მხოლოდ ის მითხარით, თქვენი აზრით, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?

სტივენსი. იმ ღამეს თქვენთან სხვა მამაკაცი იყო.

თემფლი (მიაყურადებს, შემდეგ ნაბიჯს გადადგამს სტივენსისაკენ). აი თურმე რა?! არა, მე იმ ღამით მამაკაცი არ მყოლია. შემძლია დავამტკიცო, გესმით? ეს უკვე გითხარით და მეტს ვერაფერს დამაცდებიან. რასაკვირველია, შეგიძლიათ სასამართლოში წამათრიოთ, ფიციც დამადებინოთ, თუმცა თქვენს ნაფიც მსაჯულებს არცთუ ძალიან სიამოვნებთ სერიისათვის ამგვარი გამოცდა მოუწყონ დედას, ვისაც ასეთი უბედურება დაატყდა თავს. მაგრამ თქვენ კი ასე მოიქეცით (კილოს იცვლის). მაპატიეთ, ძია გევინ. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს შეუძლებელია; მე ვერ ვიტყვი. არა, არა! ამის ძალა არ შემწევს (სასადილოში ბუფეტის კარის მიჯახუნება ისმის). ახლა გოუენტთან მართოდ დაგტოვებთ. დიას, ახლა ზევით ავალ და ჩემს ოთახში მოვიცდი. მჯერა, სალაპარაკოს მოძებნით.

ქალი დუმდება. შემოდის გოუენი, პატარა ლანგრით ჭიქა რძე მოაქვს. მაგიდას უახლოვდება.

გოუენი. რაზე ლაპარაკობდით?

თემფლი. არაფერზე. ძია გევინს ვუთხარი, მაინც რაღაც შემოგრჩათ-მეთქი ძველი ვირჯინიელი ჯენტლმენებისგან, რაც შენც გახასიათებს (ორივეს შეხედავს). დიდებული მემკვიდრეობაა! წავალ, ბიუკის აბაზანასა და ვახშამს გავუმზადებ. (ჭიქას მოსინჯავს, ცხელია თუ არა რძე.) გმადლობთ, ძვირფასო.

გოუენი (სტივენსს). ხომ ხედავთ, მოსაწონი ტემპერატურისა ყოფილა. მომსახურებაც ასეთი უნდა! აი, როგორ გამომწვრთნეს!

უცებ დადუმდება და თემფლს შეხედავს. ქალი გარინდებული დგას. საუბარში არ ერევა. ხელში რძიანი ჭიქა უჭირავს. გოუენი უახლოვდება და კოცნის. თემფლი აიწურება. ასევე ჭიქით ხელში დერეფანში გამავალ კარისკენ მიდის.

თემფლი (სტივენსს). კარგად ბრძანდებოდეთ, ძია გევინ. ივნისამდე ველარ შევხვდებით.

სტივენსი. იქნებ ცამეტ მარტამდე?

თემფლი. არა, ივნისამდე. ბიუკი ბარათს გამოგიგზავნით თქვენ და მევის. მაგრამ თუ შემთხვევით რამე ახალს გაიგებთ, ნენსის რომ შეიძლება დაეხმაროს, მე კი მოწმედ დაგჭირდეთ, მომწერეთ. თუმცა არც კი ვიცი, მე რა შუაში ვარ. (ხანმოკლე პაუზა.) თუკი რაიმეს გაიგებთ...

სტივენსი. თვითონ უნდა მითხრათ, რაც ჯერ არ ვიცი.

თემფლი (მცირე ხნის დუმილის შემდეგ). მე რატომ, ძია გევინ? მე რატომ უნდა ვთქვა, როცა სხვები სდუმან? თუკი ვინმეს უნდა სახრჩობელაზე გაავზავნონ, მე ვინ ვარ, რომ ხელი შევეშალო? ღამე მშვიდობისა.

ქალი გადის და კარს მიიხურავს. სტივენსი შეფიქრიანებული შემობრუნდება და ვისკის ჭიქას ლანგარზე დადგამს.

ბოუშენი. რა სასიამოვნოა თქვენი გულითადი და მეგობრული საუბრის მოსმენა, მაშინვე მიხვდები, რა ნაზად უყვართ ბიძა და ძმისწულს ერთმანეთი და ერთმანეთს არაფერს უმაღავენ (უფროდ იფეთქებს). ბოლოს და ბოლოს როდისღა დაცლით თქვენს ჭიქას შემდეგ უნდა ვისადილო და ბარგი ჩავალაგო.

სტივენსი. შენი ჭიქისთვის კი ჯერ ხელიც არ გიხლია. მოდი, ერთად დავლიოთ.

ბოუშენი (იღებს სავსე ჭიქას). მერე რა, რატომაც არ უნდა დავლიოთ. ისე კი აჯობებს მალე გაეცალოთ აქაურობას და მარტო დავტოვოთ, რათა შურისძიებით დავტკბეთ, სასამართლომ რომ გვაჩუქა ჩვენი დაღუპული შვილის სანაცვლოდ.

სტივენსი. ღმერთმა ქნას, რომ ამან სიმშვიდე მოგანიჭოთ.

ბოუშენი. დიახ, მეც ამასვე შევთხოვ ღმერთს. შევთხოვ შურისგებას! თვალი თვალის წილ, ასე არ არის? რა უაზრო სიტყვებია! თუმცა ამას რომ მიხვდე, თვალი უნდა დაკარგო.

სტივენსი. თქვენი შურისგება ჯერ არ აღსრულებულა. ჯერ ნენსი უნდა მოკვდეს.

ბოუშენი. მოკვდეს მერე! არც ისე დიდი დანაკარგია. ქუჩის კახმა, შავდრუნჩა ლოთი...

სტივენსი. ლატაკი, ზნედაცემული, უბადრუკ ცხოვრებას რომ ეწეოდა იმ დღემდე, ვიდრე მისტერ და მისის სტივენსებმა მხოლოდ ჰუმანურობის გრძნობით ბინძური წყლის თხრილიდან არ ამოიყვანეს, რათა მის სულში გადარჩენის იმედი ჩაესახათ.

გოუენი გაუნძრევლად ზის, თითებში ჭიქას ატრიალებს და სტივენსს თვალს არ აცილებს.

მან კი მაღლობის ნიშნად...

ბოუშენი. კმარა, გევიჩ. სახლში წადით. გინდათ ჯანდაბაში წადით. სადაც გნებავთ, ოღონდ აქედან მოწყდით!..

სტივენსი. დაიცა, ახლავე წავალ (წამით დუმს). გოუენ, მართლა გინდა ნენსი ჩამოახრჩონ?

ბოუშენი. მეე? სულაც არა. მე რაში მჭირდება? მე, ასე ვთქვათ, სულაც არ ვჩივი. ისე კი სინამდვილეში რა კავშირი მაქვს ამასთან? მხოლოდ ის, რომ ბავშვის შამად ვითვლები და... ნეტა რომელი არამზადა ასაღებს ამ ნარეცხს ვისკად?

ვისკიან ჭიქას ყინულის კასრში მოისვრის, იღებს ცარიელ ბაკალს და ავსებს. ერთხანს კრინტს არ ძრავს, მაგრამ მალე სიცილს იწყებს, ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე ისტერიულად ხარხარებს, თავს ველარ იკავებს და სავსე ბაკალში ისევ და ისევ ვისკის ასხამს. სტივენსი ხელს სტაცებს ბოთლს და გოუენს აჩერებს.

სტივენსი. შეწყვიტე! ახლავე შეწყვიტე!

გოუენს ხელიდან ბოთლს გამოსტაცებს, მაგიდაზე დგამს, ერთი ბაკლიდან ვისკის მეორეში ანაწილებს და გოუენს გაუწოდებს. იგი გამოართმევს და გონზე მოსული სიცილს შეწყვეტს.

ბოუშენი (ხელში ჭიქა უჭირავს, მაგრამ არ სვამს). რვა წელი! მთელი რვა წელი სასმელი პირში არ ჩამიშვია. და აი საზღაურიც! ჩემი

შვილი ვილაც ბინძურმა ზანგის დედაკაცმა მოკლა, რომელსაც გაქცევა არც უცდია, მაშინ ხომ პოლიციელსა თუ ვინმე სხვას იქვე შეეძლო ცოფიანი ძალღივით გაეგორებინა. გესმით? რვა წელია არ დაძლიევია და ამ თავშეკაფებისთვის ასე დამაჯილდოვეს. მივიღე ის, რაც დავიმსახურე თავშეკაფებისთვის. ასე რომ, ანგარიში გავასწორე და შემიძლია დავლიო. მაგრამ დაღევის სურვილი აღარ მქონდა. ამდროულად, სიცილი მაინც შემიძლია. რა ერთი, რა მეორე, რაა? არადა, როგორ მოხდა ყველაფერი? ჩემდა უნებურად უსიამოვნო ამბავში გავგხვდი, ისე რომ იძულებული გავხდი მეზღო ყველაფერი, თუმცა არც ისე ძვირად დამჯდომია. ორი შვილი მყავდა, საზღაურად კი ერთი წამართვეს. ერთი მკვდარი ბავშვი და ერთი საჯაროდ ჩამოხრჩობილი ზანგის ქალი — სულ ეს არის ჩემი საზღაური...

სტიმენსი. რისთვის უნდა გეზღო?

ბოუენი. ჩემი წარსულისთვის. ჩემი უგნურებისა და იმ ქეიფისთვის ამ რვა წლის წინ, რაზეც კარგად მოგეხსენებათ. გნებავთ ჩემი სილაჩრისთვის... დიახ, დიახ! სასაცილოა, თუმცა არც მაინცდამაინც, მით უმეტეს ხმამაღლა არა, ხომ მართალია? ჩუუ! ჩუმად! წარსულის ქექვა არ ივარგებს. მაგალითად, მისს დრეიკის შეშფოთება. მისს თემფლ დრეიკისა, ამჟამად კი მისის სტივენსის. არც იმ ქალიშვილის გახსენებაა საჭირო, არც იმ თავქარიანი ბიჭის, მე რომ ვიყავი მაშინ. სილაჩრეა, არა? აბა სხვა რა უნდა ეწოდოს? სილაჩრე! ზუსტადაა ნათქვამი. მაგრამ რა უსიამოვნოდ ჟღერს! უბრალოდ გადაღლა სჯობს ვუწოდოთ.

სტიმენსი. მერედა ვინ იხსენებს იმ წარსულს?

ბოუენი. მართლა? განა თქვენ, ჩემო ძვირფასო ძიავ, თქვენ არ იხსენებთ? გოუენ სტივენსმა, თქვენმა მონა-მორჩილმა, ვირჯინიაში კარგად გამოწვრთნილმა, ჯენტლმენური ქცევების პატრონმა, სიმთვრალეშიც რომ არ ავიწყდებოდა, ერთხელაც ათი ჯენტლმენივით გამომთვრალმა ქალიშვილი რომ მოიტაცა პროვინციული კოლეჯიდან; ეჭვი არ არის, უმანკო, დიახ, დიახ, რატომაც არა? და მანქანით სასეირნოდ წაიყვანა ფესბურთის მატჩის სანახავად. გამომთვრალმა ოცი ჯენტლმენის დარად, გზას გადაუხვია, სპირტით გაჭყეპილმა ჯენტლმენების მთელი ლეგიონივით, თავისი ჯაბახანა დაამტვრია და გაღეშილმა გონი დაკარგა. ამასობაში კი ქალიშვილი, ჯერ ისევ, რა თქმა უნდა, უმანკო, როგორც უნდა ვივარაუდოთ, მოიტაცა ვილაც გარყვნილმა გიჟმა და გადარეულმა და საროსკიპოში გადამალა... (კბილებში შეიგინებს.)

სტიმენსი. რაო?

ბოუენი. დიახ, დიახ! ბოლოს და ბოლოს ჩემს მაშინდელ საქციელს სულმდაბლობა უნდა ეწოდოს, რარიგ ცუდად არ უნდა ჟღერდეს.

სტიმენსი. კი მაგრამ, მასზე ქორწინება ხომ სულმდაბლობა არ იყო.

ბოუენი. რა თქმა უნდა! იმ ქალიშვილზე ქორწინება, რომელიც ბორდელში იმყოფებოდა! რა დიდსულოვნებაა, როგორი კეთილშობილური საქციელი! აი ნამდვილი ვირჯინიელი რაინდი! ვერაფერს იტყვი. შემიძლია კეთილშობილებით ჯენტლმენტა მთელ ჯარს გავუტოლდე.

სტივენსი. ყოველ შემთხვევაში ჯენტლმენური ზრახვა გამოძრავებდა. იგი საროსკიპოში მოათავსეს და... ხომ არ მომესმა...

გოუენი (სტივენსის ჭიქისკენ სწრაფად გაიწვდის ხელს). მოეშვით მაგ ოხერ სასმელს.

სტივენსი (გასწევს თავის ჭიქას). თემფლზე რა თქვი? გოუენი. რაც ვთქვი, ის ვთქვი. ხომ გაიგონეთ. ბიზნისმენა სტივენსი. მგონი, დაუმატე, ეს მას მოეწონაო, არა?

ერთმანეთს თვალს თვალში გაუყრიან.

აი რასაც ვერ აპატიებ მას ვერასოდეს. იგი ხომ უნებური დამნაშავეა შენი ცხოვრების იმ საშინელი დღეებისა — ამის დავიწყებას ვერასოდეს შეძლებ, ვერც ახსნი, ვერც გამოისყიდი, აქამდეც კი თავში გიტრიალებს ეს ყველაფერი... მთავარი კი ისაა, რომ ამ ამბავმა მას სულიერი ტანჯვა არ მიაყენა, პირიქით, როგორც თავად ამბობ, იქ ყოფნა მოეწონა. შენ კი მისი წყალობით დაკარგე თავისუფლება, კაცური ღირსება, ცოლ-შვილის პატივისცემა. შენი აზრით მეტიმეტად ძვირად დაგიჯდა შენი ცხოვრების ის ერთი საათი, მაშინ როცა შენს ცოლს თითქოს არაფერი დაუკარგავს, არაფერს ნანობს, უფრო მეტიც, თავს დაზარალებულადაც არ თვლის. და აი ამისთვის, ამის გამო, გოუენ, უნდა მოკვდეს ის უბედური, გზააბნეული ზანგის ქალი?

გოუენი. წადით აქედან!

სტივენსი. თუკი ასეა, სჯობს ტყვია იკრა შუბლში! ყოველ შემთხვევაში განუწყვეტლივ იმის ქექვას თავს მიახებებ, რისი დავიწყების ძალაც არ შეგწევს. მოიკალ თავი და ველარ გაიხსენებ. ყოველ ღამე ცივ ოფლში გელვიძება მხოლოდ იმიტომ, რომ არ გინდა და ძალაც არ შეგწევს მეხსიერებიდან წარსული ამოიგდო! ან არადა ერთხელ მაინც გაუსწორე თვალი სიმართლეს. მითხარი, რა მოხდა იმ ერთი თვის მანძილზე, როცა იმ გადარეულ გიჟს დატყვევებული ჰყავდა თემფლი მემფისის ბორდელში. რა მოხდა ისეთი, რის შესახებაც არაფერ იცის შენსა და თემფლის გარდა? იქნებ არც შენ იცი?

გოუენი (თვალს არ აცილებს სტივენსს, მტკიცედ დგამს ჭიქას ლანგარზე, იღებს ბოთლს და ზემოთ სწევს. ბოთლის ყელიდან ვისკი გოუენის სახელოს მოყვება და იატაკზე იღვრება, მაგრამ თითქოს ამას ვერც ამჩნევს და ხრინწიანი ხმით გაურკვევლად ლულლულებს).

ოპ, მიშველე, ღმერთო, გადამარჩინე!

სტივენსი აუჩქარებლად დგამს თავის ჭიქას ლანგარზე, შემოტრიალდება, დივანიდან შლაპას იღებს და გადის. გოუენი ცოტა ხნით დგას ცარიელი ბოთლით ხელში. შემდეგ ხარბად ჩაისუნთქავს, ამოისლუკუნებს და გონს მოეგება; დგამს ცარიელ ბოთლს ლანგარზე, შეამჩნევს თავის ჯერ კიდევ ხელუხლებელ ვისკიან ჭიქას, იღებს, ცოტა ხანს უჭირავს და მერე ბუხარში ისვრის. ჭიქა გაზის ცეცხლით გავარვარებულ ხელოვნურ შეშას მიეხეთქება. შუქი ქრება.

მესამე სურათი

სტივენსების სასტუმრო ოთახი. 11 მარტი, 22 საათი. ოთახი ზუსტად ისევეა მოწყობილი, როგორც ოთხი თვის წინ, ოღონდაც მაგიდაზე ლამპა ანთია და დივანიც გადაადგილებულია. მარჯვენა კუთხეში

პატარა მრგვალ მაგიდაზე ტელეფონია. სასადილო ოთახის კარი იღება. შემოდის თემფლი სტივენსთან ერთად. თემფლს გრძელი პენუარი აცვია, თმა კეფაზე აუწევია და ბაბთით შეუკრავს. ჩანს, დასაძინებლად მომზადებულია. სტივენსს პალტო აცვია და შლაპაც ახურავს.

თემფლი. კარი მიხურეთ. ბიუკის საბავშვო ოთახში სძინავს.

სტივენსი. ისიც ჩამოიყვანეთ?

თემფლი. დიახ.

სტივენსი. და იმ ოთახში სძინავს?

თემფლი. დიახ.

სტივენსი. ჯობდა კი აქ არ ყოფილიყო.

თემფლი. მიუხედავად ამისა მაინც აქ არის.

სტივენსი (ქალს უყურებს). როგორც გენებოთ, მაგრამ ეს უფრო შანტაჟსა ჰგავს. თქვენ ის განგებ ჩამოიყვანეთ. მაგრამ ჩვენ მაინც ვილაპარაკებთ.

თემფლი. შანტაჟს? ნუთუ ქალს უფლება არა აქვს საკუთარი პირმშრო თავდასხმისას თავის ფარად აქციოს?

სტივენსი. მაშინ რად დაბრუნდით კალიფორნიიდან?

თემფლი. სიმშვიდის მოსაპოვებლად (მაგიდას უახლოვდება). არა-და, ვერა და ვერ ვპოვე! გჯერათ მოვლენების დამთხვევისა?

სტივენსი. შემიძლია დავიჯერო.

თემფლი (მაგიდიდან იღებს დაკეცილ დეპეშას და ხსნის). ეს დეპეშა მ მარტს გამომიგზავნეთ. აქ წერია: „ცამეტამდე კიდევ ხუთი დღე დარჩა. წერტილი. შემდეგ საითღა გაემგზავრებით?“ (კეცავს დეპეშას).

სტივენსი თვალს არ აცილებს.

სტივენსი. მერე რა? დღეს ხომ თერთმეტია. ესეც დამთხვევაა?

თემფლი. არა. დამთხვევა სხვა რამეშია (ჯდება, დეპეშას მაგიდაზე მოისვრის და სტივენსს მიუბრუნდება). რვაში, სასადილოვს, მე და ბიუკი ზღვის სანაპიროზე გავედით. მე ვკითხულობდი, უფრო სწორად, ვცდილობდი წამეკითხა, დეპეშაზე რომ არ მეფიქრა, ბიჭი კი თამაშობდა და თავისთვის ტიტინებდა. და უეცრად მკითხა: „დედა, კალიფორნია შორსაა ჯეფერსონიდან?“ წიგნისთვის თვალი არ მომიცილებია, ისე ვუპასუხე: „დიახ, ძვირფასო.“ ისევ მეკითხება: „აქ კიდევ რამდენ ხანს დავრჩებით?“ ვუპასუხე: „ვიდრე არ მოგვბეზრდება, საყვარელო!“ მერე შემომხედა და ალერსიანად მკითხა: „აქ მანამ დავრჩებით, ვიდრე ნენსის არ ჩამოახრჩობენ?“ ისე დავიბენი, ველარაფერი მოვიფიქრე, ვერ მოვასწარი. მხოლოდ ეს ვუთხარი: „დიახ, საყვარელო“. მერე ისეთი კითხვა დამისვა, როგორსაც მხოლოდ ბავშვი თუ მოგცემს: შემდეგ სად წავალთო, დედა? ზუსტად ისე, როგორც თქვენ მკითხეთ: შემდეგ სად წახვალთო? და აი პირველივე თვითმფრინავით ჩამოვედით. გოუენს ძილის წამალი მივეცი და დავაწვინე. იმეღია, სძინავს. მერე თქვენ დაგირეკეთ. ამაზე რაღას მეტყვით?

სტივენსი. არაფერს.

თემფლი. კეთილი. ღვთის გულისათვის იქნებ სხვა რამეზე გვესაუბრა. (სკამს მისკენ მისწევს.) მე აქ ვარ. რა აზრი აქვს, ვისი შეცდომაა! დაბრძანდით. რამეს ხომ არ დალევთ? (თუმცა არაფერს სთავაზობს და არც პასუხს ელის.) და მაინც ნენსი უნდა გადავარჩინოთ!

თქვენ მაიძულეთ დაბრუნება, თქვენ და ბიუკიმ მაიძულეთ. ძია გევინ, თქვენ გგონიათ, რალაცას ვიძალავთ. კი მაგრამ, რატომ გგონიათ, რომ არსებობს კიდევ რალაც, რაც შე თქვენთვის ჯერ კიდევ არ მოთქვამს?

სტივენსი. იმიტომ, რომ კალიფორნიიდან დაბრუნდით.

თემფლი. ეს საკმარისი საბუთი არ არის. კიდევ რატომ?

სტივენსი. იმიტომ, რომ სულ იქ... სასამართლოს მოსამართლეა

თემფლი (თვალს არიდებს, უდარდელი ხმით, პირში გაჩრილი სიგარეტი ყოველ ბგერაზე უხტის). განა შე კი არ ვიყავი უნუგეშო დედა?

სტივენსი. უნუგეშო დედა? რა თქმა უნდა.

თემფლი. დედა, შურისძიებით რომ უნდა დატკბეს, ძუ ვეფხვი, სისხლი რომ სწყურია, ვეფხვი, თავისი ბოკვერის გვამზე რომ გადაფოფრილა.

სტივენსი მაგრამ გაუბედურებული დედის გული ვერ გაუძლებდა ვერც ასეთ უბედურებას და არც ძალა ეყოფოდა შურისსაძიებლად. ან შეძლებდა კი იმ ქალის ცქერას, ვინც მისი შვილი სიცოცხლეს გამოასალმა?

თემფლი სანთებელას ანთებს და სიგარეტს უკიდებს, მერე სანთებელას მაგიდაზე დებს. სტივენსი საფურფლეს მიუწევს.

თემფლი. გმადლობთ. მისმინეთ, გევინ, თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ რალაცას ვიძალავ. თუმცა რას ვიძალავ, მნიშვნელობა არა აქვს. თქვენთვის მხოლოდ ერთია მთავარი: მოწმის ჩვენება, ფიცით განმტკიცებული და იმის მამხილებელი, რომ ნენსი შეშლილია და თანაც უკვე დიდი ხანია.

სტივენსი. შე ამაზეც მიფიქრია. მაგრამ უკვე გვიანაა. ხუთი თვის წინ კიდევ შეიძლებოდა... ახლა კი განაჩენი გამოტანილია. მან დანაშაული აღიარა, იგი გაასამართლეს. კანონის თვალში ნენსი მენიპო აღარ არსებობს.

თემფლი. მაშინაც კი, თუ განცხადებას ხელს მოვაწერ?

სტივენსი. რას დაწერთ იმ განცხადებაში?

თემფლი. თქვენ თვითონ მითხარით, რა დავწერო. თქვენ ხომ ადვოკატი ხართ. თუმცა კი ვისაც იცავდით, ვერ დაეხმარეთ. ხოლო თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, უბრალოდ განვაცხადებ, დიდი ხანია ვიცოდი, ნენსი რომ შეშლილი იყო. ხოლო თუ შე, დედა, ამას განვაცხადებ, განა ვინ გაბედავს ეჭვის შეტანას?

სტივენსი. მერე ამით ხომ სასამართლოს შეურაცხყოფთ?

თემფლი. რა შეურაცხყოფაზე მელაპარაკებით?

სტივენსი. აბა დაფიქრდით, მას შემდეგ, რაც მსჯავრდებულს განაჩენი გამოუტანეს, დანაშაულის მთავარი მოწმე — ხომ გესმით, დანაშაულის მოწმე — უეცრად მოდის და აცხადებს, დაშვებულია შეცდომა და საქმე ხელახლა უნდა გადაისინჯოს!

თემფლი (უდარდელად). უთხარით, რომ დამაგიწყდა, რომ ახლა-ღა მოვეგე გონს. ან კიდევ პროკურორმა ფული მომცა, რათა არაფერი მეთქვა!

სტივენსი. თემფლი!

თემფლი. უთხარით, რომ დედამ, ვისაც შვილი აკვანში დაუხრჩვეს, ყველაფერი იღონა, რათა შური ექია, მაგრამ მიაღწია თუ არა

ამას, გონს მოეგო და მიხვდა, რომ ბოლოს მაინც ვერ დაუშვებდა თავისი შურისძიების აღსასრულებლად ადამიანის სიცოცხლე გაეწირა, თუნდაც ეს შავკანიანი მეძავის სიცოცხლე იყოს.

სტივენსი (ერთხანს უცქერის. დუმილი). მაშასადამე, მისი სიკვდილით დასჯა არ გინდათ?

თემფლი. ხომ გითხარით. ღმერთო ჩემო, რაღას ერჩევნებოდა? ნუთუ არ შეიძლება ისე გაკეთდეს, როგორც გთხოვთ?

სტივენსი. მაშ, თემფლ დრეიკს სურს ნენსი გადაარჩინოს?

თემფლი. მისის სტივენსს სურს იგი გადაარჩინოს (ქალი თვალს თვალში გაუყრის. მერე ნელა იღებს პირიდან სიგარეტს და სტივენსისთვის თვალმოუშორებლად საფერფლეში აქრობს).

სტივენსი. ძალიან კარგი. ასე რომ, კვლავ გამოვცხადდებით და ფიცს დავდებთ, რომ მკვლელი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო.

თემფლი. დიას. და იქნებ მაშინ...

სტივენსი. კი მაგრამ, ამის დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

თემფლი. დამამტკიცებელი?

სტივენსი. რა დამამტკიცებელ საბუთს მოიტანთ?

თემფლი. მე საიდან უნდა ვიცოდე, რა უნდა დაიწეროს მოწმის ჩვენებაში? რა უნდა მივუთითო, რომ უტყუარ საბუთად ჩაითვალოს? (დაჟინებით მიაჩერდება სტივენსს, რომელიც უხმოდ უყურებს, ვინემ ქალს ღრმა ოხვრა, თითქმის გმინვა არ ამოხდება) თქ, კიდევ რაღას მოითხოვთ ჩემგან?

სტივენსი (მშვიდად). სიმართლე, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე გახდის მოწმის ჩვენებას უტყუარს.

თემფლი. მართლა? ჩვენ ვცდილობთ გადავარჩინოთ სიკვდილმისჯილი, მკვლელი, რომლის დამცველმაც უკვე აღიარა, საქმე რომ წააგო. სიმართლე აქ რითი დაეხმარება? (სწრაფად, გამწარებით). მე ვამბობ, ვცდილობთ-მეთქი. თუმცა არა, ეს მე, შვილმოკლული დედა ვცდილობ მის გადარჩენას. არა ადვოკატი სტივენსი, არამედ მისის სტივენსი, დედა! მაგრამ ხომ არ გგონიათ, რომ მისი გადარჩენისთვის ყველაფერზე, სუყველაფერზე წავალ!

სტივენსი. თქვენ ყველაფერს გააკეთებთ, გარდა ერთისა, თუმცა-და სწორედ ის ერთი გადაარჩენდა ნენსის. მოდიტ დავივიწყოთ, რომ იგი უნდა მოკვდეს. სიკვდილი არაფერია. უფრო შემზარავი უსამართლობაა. მხოლოდ სიმართლეს, მხოლოდ და მხოლოდ სიმართლეს შეუძლია ამხედრდეს უსამართლობის წინააღმდეგ, სიმართლეს ან სიყვარულს.

თემფლი (გამწარებით). ოო, ღმერთო ჩემო! სიყვარულსო!

სტივენსი. გინდ სიბრალული დაარქვით, გინდ სიმამაცე. ან კიდევ ღირსება თუ მშვიდი ძილის უფლება.

თემფლი. მე მელაპარაკებით ძილზე, ვისაც უკვე ეძვსი წელია... ოო, გემუდარებით, თავი დამანებეთ!

სტივენსი. თემფლ, მე ნენსის ჩემივე უახლოესი ნათესავებისგან ვიცავდი, ვიცავდი მათგან, ვინც ასე მიყვარს; ვიცავდი სამართლიანობის გამო. და მხოლოდ თქვენგან — ისეთისაგან, როგორიც ხართ — თემფლ დრეიკისაგან ველი სიმართლეს.

თემფლი. მე კი ვამბობ, რომ არც სიმართლე, არც სამართალი არაფერს მოიტანს და მე ვერაფრით დაგეხმარებით. თქვენ კი, როცა უზენაეს სასამართლოს მიმართავთ, იქ სრული სიმართლე კი არ დაგჭირდებათ, არავინ რომ არ დაიჯერებს, არამედ გულისამარჯუებელი განცხადება, ფიცით განმტკიცებული, განცხადება, ~~რეპრეზენტაციის~~ ერთი ტრიბუნალი წინ ვერ აღუდგება.

სტივენსი. ჩვენ უზენაეს სასამართლოს არ მივმართავთ.

თემფლი დაუინებით მიაცქერდება.

მეტისმეტად დაგვიანებულია! ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამას ოთხი თვის წინ გავაკეთებდი. ჩვენ გუბერნატორთან უნდა წავიდეთ, ამ სალამოსვე!

თემფლი. გუბერნატორთან?

სტივენსი. დიახ. მე მას ვიცნობ. იგი მოგვისმენს. მაგრამ ისიც კი ვერ მოგვცემს იმის პირობას, რომ ნენსის ხსნას შეძლებს.

თემფლი. მაშ რილასთვის უნდა წავიდეთ მასთან? რატომ?

სტივენსი. უკვე გითხარით. სამართლიანობისთვის-მეთქი.

თემფლი. ოჰ, რა სისულელეა! თქვა სიმართლე მხოლოდ იმისთვის, რომ ითქვას იგი გარკვევით და ხმამაღლა, სიტყვათა იმ რაოდენობით, რამდენიც საჭიროა? მხოლოდ იმისთვის, რომ ითქვას და მოისმინონ? რომ ვილაცამ, არა აქვს მნიშვნელობა ვინ, მოისმინოს? ვილაც უცნო პიროვნებას, რომელსაც ეს საქმე სულაც არ ეხება და არც კი აინტერესებს, აქვს უფლება მოისმინოს ეს სიტყვები, — მოისმინოს მხოლოდ იმისთვის, რომ ამის სურვილს გამოთქვამს? ისე რომ, შეუდექით საქმეს, მორჩით ამაღლებულ ქადაგებას და მასწავლეთ, რა უნდა ვთქვა საკუთარი სულიერი სიმშვიდისათვის.

სტივენსი. მე უკვე გითხარი, რაც უნდა თქვათ, რათა მშვიდი ძილის უფლება დაიბრუნოთ.

თემფლი. მე კი ვიპასუხეთ, რომ უკვე ექვსი წელია, რაც ველარ ვარჩევ ძილს უძილობისგან და დღეს ღამისაგან (თვალეში შეხედავს. სტივენსი დუმს და თემფლს შესცქერის. ქალი ყოყმანობს. შემდეგ საბავშვო ოთახის კარზე მიუთითებს და ხმას დაუწევს). თქვენ კარგად იცით, რომ ვერაფერს ვიტყვი, რომც მოვინდობო: ბავშვმა, ვისაც იქ სძინავს, მშვიდად უნდა იცხოვროს. აქ იმიტომ ჩამოვიყვანე, რომ მასზეც იფიქროთ, მის სიმშვიდეზე. მაგრამ თქვენ გინდათ მასაც ძილი წართვათ...

სტივენსი. არა, ის დაიძინებს, თქვენ თუ ძილი დაგიბრუნდებათ.

თემფლი. ვერ დავიჯერებ. ბიუკის სიმშვიდისა და მისი მომავლისათვის ყველაზე კარგი გზაა მისი დის მკვლელის დასჯა. დრო ყველაფერს წაუშლის მესსიერებიდან!

სტივენსი. სულ ერთია რა საშუალებებით და რა ტყუილით?

თემფლი. ტყუილი წარსულთან ერთად ჩაიფერფლება.

თემფლი მაგიდასთან ბრუნდება, სიგარეტს უკიდებს, შემდეგ მტკიცე იერით მიუბრუნდება სტივენსს.

თემფლი. პო, განაგრძეთ. მიდით, კითხვები დამაყარეთ.

სტივენსი. ვინ არის ის მამაკაცი, იმ ღამით თქვენთან რომ იყო?

თემფლი. გოუენი, ჩემი ქმარი.

სტივენსი. გოუენი მაშინ შინ არ იყო. დილის ექვსს საათზე ბიუტან ერთად გაემგზავრა ნიუ-ორლეანში.

ისინი ერთმანეთს მიაჩერდებიან.

გოუენმა მისდაუნებურად გაგცათ. მე მივხვდი, რომ ეს მოგზაურობა იმისთვის მოაწყვეთ, რათა ის და ბიუკი იმ ღამეს შინ არ დასულიყვნენ. მართლა გამიკვირდა, ნენსიც რომ არ დაითხოვდა... (უფრო მეტივეს ლაპარაკს, თითქოს ახლადა მიხვდა). დაცათ, თქვენ გინდოდათ... თქვენ ეცადეთ მის დათხოვნას, მაგრამ ის არ წავიდა. კი, დარწმუნებული ვარ. ვინ იყო ის კაცი?

თემფლი. ჯერ დამიმტკიცეთ, რომ კაცი იყო.

სტივენსი. ვერ შევძლებ. ნენსიმ გადაჭრით უარი განაცხადა რამე ეთქვა იმ ღამეზე.

თემფლი. უარი გითხრათ? მაშინ მისმინეთ, ყურადღებით მოისმინეთ (ქალი სტივენსის წინ დგას შემართული და დაძაბული. თვალს თვალში უყრის). თემფლ დრეიკი მოკვდა. ის გოგონა, მე რომ ვიყავი, ექვსი წლის წინათ მოკვდა, ჯერ კიდევ ნენსი მენიჭოს მოსვლამდე. და თუ ნენსი მენიჭოს ამქვეყნად სხვა არავინ გააჩნია, ვინც სახრჩობელასგან იხსნის, დე, მხოლოდ ღმერთის იმედი იქონიოს. ახლა კი აქედან გაეთრიეთ! (ქალი თვალს არ აშორებს.)

დუმილი. სტივენსი დგება, თემფლს უყურებს, შემდეგ კარისკენ გადადგამს ნაბიჯს.

ღამე მშვიდობისა.

სტივენსი (მცირე დუმილის შემდეგ). თუ გადაწყვეტილებას შეიცვლით, დამირეკეთ, სიკვდილით დასჯა ორი დღის შემდეგაა. ძილი ნებისა!

სტივენსი მობრუნდება, აიღებს თავის პალტოსა და შლაპას და დერეფნისკენ გამავალი კარიდან გადის.

როგორც კი სტივენსი გავა, კარებში უხმაუროდ შემოდის გოუენი. პიჯაკი არ აცვია, გულმოდელილი პერანგის ამარაა. თემფლს უყურებს. ქალი ვისკის ბოთლს ჩაბლაუჭებია და ცოტა ხნით უძრავად დგას. შემდეგ ხელებს დაუშვებს და მტკიცე ნაბიჯით მიემართება ტელეფონისკენ. გოუენი კვლავ თვალს ადევნებს. ქალი ყურმილს იღებს.

თემფლი (ტელეფონში). სამას ოცდაცხრა, თუ შეიძლება.


ქალი ჯერაც ვერ ხედავს გოუენს. გოუენი უახლოვდება, ხელში რაღაც უჭირავს; როგორც კი ახლოს მივა, ხაზის მეორე მხრიდან პასუხი ისმის.

ალო, მისტერ გევინ სტივენსს დამალაპარაკეთ... დიას, ვიცი. მაგრამ მალე მოვა. როგორც კი გამოჩნდება, თუ არ შეწუხდებით, გადაეცით დაურეკოს მისის...

გოუენი ხელს უტაცებს ყურმილზე და საუბარს აწყვეტინებს, მეორე ხელით კი მაგიდაზე წამლის ტუბს მოისვრის.

გოუენი. პა შენი ძილის წამალი. რატომ არაფერს მიყვები იმ კაცზე, რომელიც, გევინს თუ ვერწმუნები, იმ ღამეს ჩვენს სახლში იყო? აბა, დიდი ძალდატანება არ დაგჭირდება საამისოდ. მაგალითად, თქვი, ბიუკის ბიძა იყო, და ამის თქმა ვითომ დაგავიწყდა.

თემფლი (ჯერ შემცბარი, შემდეგ თითქმის დამშვიდებული). დამიჯერებ კი, თუ გეტყვი, რომ არავინაც არ იყო.



ბოუენი. რა თქმა უნდა! ყველაფერს დავიჯერებ, რასაც მეტყვი. მე ხომ ყოველთვის მჯეროდა შენი, განა არა? და აი სადამდე მიგვიყვანა ამ ამბავმა. დღემდე ისიც კი მჯეროდა, რომ მე თვითონ მომივიდა აზრად სათევზაოდ ნიუ-ორლეანში წასვლა. ახლაც კი ვიქნებოდი დარწმუნებული, რომ არ მომესმინა ის თქვენი გულიანადი ხმა, რომელიც გევეინთან და თავისდა უნებურად ეს არ ეცნობებინა ჩემთვის! შევეკვლია, ყველამ ყველაფერი იცის ჩემ გარდა, რა თქმა უნდა. ძალიანაც კარგი. სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ მარტო მე ვარ ასეთი სულელი, მარტო მე... რას იზამ, ამაზეც მადლობელი ვარ. მაგრამ იქნებ თავს ძალა დაატანო და ცხოვრებაში ერთხელ მაინც თქვა სიმართლე. იქნებ გევეინი მართალია, იქნებ მას საქმე აქვს არა ჩემს ცოლთან, არამედ ვიღაც სხვა თემფლ დრეიკთან, ვისაც მე და შენ კარგად ვიცნობდით. და ახლა წარსულიდან მობრუნებულა. ასე არ არის? იქნებ ის კაცი, აქ რომ იყო, ბიუკის ნამდვილი მამაა, რომელსაც ძალიან უნდა დავიჯერო, რომ ბიუკი ჩემი შვილია, და რომელიც სწორედ იმ ღამეს შემთხვევით და გავლით აღმოჩნდა ჩვენს ქალაქში...

თემფლი (შებრუნდება ბავშვის ოთახისკენ). გაჩუმდი, გოგონ!

ბოუენი. არა, არა, ნუ გეშინია. დარწმუნებული იყავი, ხმაურს არ ავტეხ, არც დაგარტყამ. ჩემს ცხოვრებაში ქალი არ მიცემია, კახპაც კი, თუნდაც მემფისელი კახპა ან ყოფილი მემფისელი კახპა. თუმცა ვიცი, რომ მხოლოდ ორი ტიპის ქალის ცემის უფლება აქვს მამაკაცს: საკუთარი ცოლისა და კახპის. დახე, როგორ მწყალობს ბედი: შემძღობია ორივეს ერთი სილის გაწნით გავუმასპინძლდე (იგი დუმდება, ქალს ზურგს შეაქცევს. შემდეგ შეცვლილი ხმით). ხომ არ გინდა დასაღვევი მოგიმზადო?

თემფლი (დაძაბული). არა.


ბოუენი (სიგარეტის კოლოფს გაუწვდის). მაშინ სიგარეტი აიღე. არა აქვს მნიშვნელობა, რას გააკეთებ, ოღონდ გაქვავებული ნუ იდგები.

ქალი იღებს სიგარეტს და ხელს უღონოდ დაუშვებს. გაუნძრევლად, გაშეშებული დგას.

ერთი ქულა ჩემს სასარგებლოდ. თავშეკავება შეეძელი. ახლა განვაგრძოთ საუბარი. რა თქმა უნდა, თუკი მოვახერხებთ ერთმანეთს გავუგოთ. ამ სადამოს მოზღვაავდა სენსაციური ცნობები. არც არის გასაკვირი, თავში რომ ყველაფერი აგვერ-დაგვერია და შეთანხმება ვერ მოვახერხებთ. მით უმეტეს, თუ საქმე ყოვლად ბანალურ ამბებს ეხება, მაგალითად: რატომ მოიქცა დედა და ღირსეული მეუღლე უეცრად ნამდვილ კახპასავით და მისმა საქციელმა რატომ შეიწირა საკუთარი შვილის სიცოცხლე.

თემფლი. კეთილი. განვაგრძოთ საუბარი, ვთქვათ ის, რაზედაც აქამდე ვდუმდით და ამით მოვრჩეთ.

ბოუენი. მართლა? შენ გგონია, ამით მოვრჩებით? შენ მართლა გჯერა, რომ ასე შეძლებ ყველაფრისათვის ზღო, რომ ამით შენს მოვალეობას ბოლომდე მოიხდი ამქვეყნად, იმისთვისაც კი, რისთვისაც შეიძლება პასუხი არ მოეთხოვათ? ალბათ გგონია, რომ შეიძლება არც გაზღვევინონ იმისათვის, რაც შენი მხრივ მხოლოდ შეცდომა იყო? დიახ, დიახ, ეს ხომ მხოლოდ შეცდომა იყო, ასე არ არის? უბრა-



ლო შეცდომა. ღმერთმანი, სასაცილოც კია! აბა, გაიცინე! მიდი, გაიცინე!

თეიმოზი (ცხარედ). კმარა, გოგონ!

გოგონი. შესანიშნავია. ჰო, გამარტყი, გამილაწუნე. იქნებ/მაშინ მეც გაგარტყა და შენც შეძლო მაპატიო: მაპატიო ყველაფერი, პირველ ყოვლისა კი ის ამბავი, როცა ამ რვა წლის წინ ქეიფზე უბრალოდ გამოთვრალს — არა იმიტომ, რომ გამოთრობა მინდოდა, არა, უბრალოდ შიშის დასათრგუნად — მე, კოლეჯის პირველი ფანფარონს, საზოგადოებაში ყველაზე უფრო გასულ სტუდენტს, ვისაც მარცხი ჯერ არ ეგემნა, შარლოტსუილის უნივერსიტეტის კლუბის პრეზიდენტს, ვინც სახელით იცნობდა ნიუ-იორკის ყველა ლამაზმანს ჩაის სალონებიდან, შემეშინდა; არ ვიცოდი, როგორ მოვქცეოდი ჩვიდმეტი წლის მისისიპელ პროვინციულ გოგოს, არ ვიცოდი, როგორ დავლაპარაკებოდი იმ ქალიშვილს, რომელიც კოლეჯს არ გასცილებოდა გამოსაშვებ გამოცდებამდე. დიას, დიას, გამოვთვერი, რათა სითამამე შემმატებოდა და დამეყოლიებინე იმ წყეულ საექსკურსიო მატარებლიდან გავქცეულიყავით

თეიმოზი. შენ ხომ ძალით არ წამათრიე.

გოგონი. რაო?

თეიმოზი. შენ ხომ ძალით არ წამათრიე. შემომთავაზე და მეც სიამოვნებით დაგთანხმდი. შენ არავითარი პასუხისმგებლობა არ გაკისრია.

გოგონი. არ შეგიძლია გაჩუმდე? მითხარი, არ შეგიძლია გაჩუმდე? სწორედაც რომ მაკისრია. ნება მომეცი, მოვინანიო, რაკი ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, ნება მომეცი მარტომ ვიტანჯო რამდენიც მინდა, თუ მსიამოვნებს. აბა სცადე და თვითონ გაიტანჯე თავი, დაინახავ, რა სიამოვნებას მოგანიჭებს; და იმაზე იდარდე, რაზეც აგერ უკვე რვა წელია, შენი აზრით, ვდარდობ. შენ რომ არა, მე მშვენიერ, ჭკვიან და ღირსეულ გოგონას შევირთავდი ცოლად, რომელსაც არასოდეს გაუღვივებოდა ვნება, ვინემ ქმარი არ გაანათლებდა ამ საქმეში... (დადუმდება და ხელეებს სახეზე აიფარებს.) თო! ჩვენ უნდა გვეყვარებოდა ერთმანეთი. მე და შენ, ორივეს უნდა გვეყვარებოდა ერთმანეთი! ნუთუ არ გახსოვს?

თეიმოზი. მახსოვს.

გოგონი. რა გახსოვს?

თეიმოზი. რომ ორივეს უნდა გვეყვარებოდა ერთმანეთი.

გოგონი (ხელს გაუწვდის). მოდი აქ! ასე შორს ნუ ხარ.

თეიმოზი (არ ინძრევა). არა.

გოგონი (გონს მოეგება). ძალიან კარგი, მაშინ იმას მიიღებ, რისი ღირსიც ხარ. მითხარი, იმ ღამეს ჩვენს სახლში ვინ მამაკაცი იყო?

თეიმოზი. არავინაც არ იყო.

გოგონი (არ უსმენს). თუმცა ძია გევიწყა არ იცის, ვინ იყო, მაგრამ, მგონი, ჩემ გარდა ჯეფერსონში მას ყველა იცნობს. მე ჯერ არ ვიცი, რა ურთიერთობა ჰქონდა მკვლელთან. შეიძლება ნენსიმ ლოგინში შევასწროთ და გაბოროტებულმა ბავშვი მოკლა, ან კიდევ სექსუალურმა აგზნებამ თუ სხვა რამ ამის მსგავსმა ჩაადენინა ეს. ან იქნებ ალგზნებულნი ნენსი კი არ იყო, თქვენ, ბინძური ვნების ცეცხლით შეპყრობილთ, უბრალოდ ბავშვის გადაყვანა დაგავიწყდათ საწოლიდან და ამ საზიზღრობისას... ხომ ვესმის? ხომ ხედავ, რისი თქმაც შემიძლია?

თემფლი (ანგარიშმიუცემლად აქნევს თავს, ისტერიკის ზღვარზე).

არა, არა...

გოუენი. მართლა არა? შეიძლება გერწმუნო? მართალი მიტხარი! იმ ღამეს იყო თუ არა კაცი შენთან?

ქალი ღუმს.

შენ რა, ამის უარყოფაც არ შეგიძლია?

ქალი ღუმს.

ძალიან კარგი. მით უკეთესი, ასე უფრო ნათელია ყველაფერი! მიუხედავად ამისა, გვეინს მაინც არ უთხარი, რა მოხდა იმ ღამეს. მე პირადად არაფრის გაგება არ მინდა. და ნურც ნურავინ გაიგებს; ნურასოდეს. მე გიკრძალავ ძია გვეინთან დარეკვას. შენ არ უნდა დათანხმდე, რაც არ უნდა მოხდეს, გუბერნატორსა ან კიდევ ვინმე სხვას უამბო ეს, შენ თქვი და მართალიცაა, რომ თუკი ნენსი ხსნას შენგან ელის და შენი დახმარების იმედი აქვს, უმჯობესია მხოლოდ ღმერთის იმედად დარჩეს. გაიგე?

თემფლი. არა.

გოუენი. არა, გაიგე! შემიძლია კიდევ უფრო დამაჯერებელი რაღაც გითხრა. ხომ ხედავ, მე შემიძლია არათუ თავი შევიკავო, როგორც კარგად აღზრდილ კაცს შეჰფერის. და არათუ უდრტიინველად გადავიტანო ყველა განსაცდელი, იმ წყეული ზეციდან ასე უსაზღვრო მზრუნველობით რომ მეგზავნება, არამედ ამით ვისარგებლო კიდევ, რათა სულთ ავღზეგდე და ვისწავლო მოყვასის მიტყევა. რა უმანკო კრავი ვარ, არა? ჰოდა, ეს კრავი იმედოვნებს, რომ ერთი წვეთი სისხლი კიდევ შემორჩენია, რომელსაც შენ არ გაიღებ შენივე ცოდვების გამოსასყიდად. ამიტომაც არ მიეკარო ტელეფონს; იქნებ შევძლოთ კიდევ რაღაცის გადარჩენა. მაგრამ თუ დარეკავ, მე წავალ, სამუდამოდ წავალ.

თემფლი ნელა შებრუნდება ტელეფონისკენ.

დაიცა. ხომ შეგეძლო ეს ყველაფერი ამ ექვს წელიწადში მოგვეგვარებინა? ახლაც შეგიძლია. შენ თავისუფალი ხარ. მაგრამ თუ გვეინს დაურეკავ, გვიან იქნება და მე წავალ. გინდა რომ წავიდე?

ქალი არ პასუხობს.

თქვი, რომ არ დაურეკავ ძია გვეინს. გვეედრები; თქვი!

თემფლი. არ შემიძლია.

გოუენი. თქვი, თემფლ! ჩვენ ხომ ოდესღაც გვიყვარდა ერთმანეთი.

თემფლი. ალბათ გვიყვარდა.

გოუენი. მაშინ დამიმტკიცე ეს. თუ ნენსის უნდა ჩამოახრჩონ, დაე მოკვდეს. თუ იმ ღამეს რაღაც მოხდა, მხოლოდ მან იცის და შენ. და თუ მას არ სურს იმაზე ლაპარაკი, რაც მოხდა, თუ მას არ უნდა თავი გადაიჩინოს, მაშინ შენ რატომ, ვისი გულისთვის?..

თემფლი. არ შემიძლია.

გოუენი. თემფლ!

ქალი შებრუნდება და მტკიცედ მიდის ტელეფონისკენ. გოუენი დაასწრებს და აპარატს ხელს დააფარებს.

მე გითხარი, წავალ-მეთქი.

თემფლი (საოცარი სიმშვიდით). გოუენ, გთხოვ ხელი აიღე.

ისინი ერთმანეთს მისჩერებიან. გოუენს ხელი უკან მიაქვს. თემფ-

ლი ყურმილს იღებს და ყურთან მიიტანს, ერთ წერტილს მიშტერებული.

სამას ოცდაცხრა, თუ შეიძლება.

ფ ა რ დ ა



მეორე მოქმედება

მეოთხე სურათი

შტატის გუბერნატორის კაბინეტი. თორმეტი მარტის ღამის ორი საათი. დგას დიდი მძიმე საწერი მაგიდა, მის უკან მაღალზურგიანი დიდი სავარძელი. კედელზე, სავარძლის თავზე შტატის სახელმწიფო ემბლემა — არწივი, სასწორი და ალბათ დევიზი ლათინურ ენაზე დროშების ფონზე. მაგიდის წინ კიდევ ორი სავარძელია. კაბინეტი სცენის ამალღებულ ნაწილზეა, ისევე, როგორც სასამართლო დარბაზი პირველ სურათში. გუბერნატორი საწერი მაგიდის იქით დგას, სახელმწიფო ემბლემის ქვეშ. როგორც ჩანს, ახლახან გააღვიძეს, აცვია ხალათი, თუმცა პალსტუხიც უკეთია და თმაც გადავარცხნილი აქვს.

თემფლი და სტივენსი ეს-ესაა შემოვიდნენ. თემფლს ბეწვის ქურქი მოუცვამს და შლაპა ახურავს; როგორც მეორე სურათში. სტივენსიც ისევეა ჩაცმული, როგორც მესამე სურათში. შლაპა ხელში უჭირავს. ისინი სავარძლებს უახლოვდებიან.

სტივენსი. გმადლობთ, რომ მიგვიღეთ, ჰენრი.

გუბერნატორი. თქვენ სასურველი სტუმრები ხართ. დაბრძანდით. (თემფლს, რომელიც ჯდება). ეწევით, მისის სტივენსს?

სტივენსი. დიახ, გმადლობთ.

გუბერნატორი თემფლს სიგარეტს სთავაზობს და სანთებელათი უკიდებს. შემდეგ სავარძელში ჯდება, ხელებს წინ, მაგიდაზე აწყობს, სანთებელა ისევ ხელში უჭირავს. სტივენსიც სავარძელში ჯდება თემფლის პირდაპირ.

გუბერნატორი. ჩემი მეგობარი გეგინი ტელეფონში მარწმუნებდა, მისის სტივენს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი განაცხადის გაკეთება გსურთ.

თემფლი. დიახ.

გუბერნატორი. მე გისმენთ.

თემფლი. მინდა ვიცოდე, რითი დავიწყო.

გუბერნატორი. არ მესმის.

თემფლი. თუ მეტყვოდით, რა იცით, მაშინ მეცოდინება, რა დავუმატო.

გუბერნატორი. თქვენ ისე შორიდან ჩამოხრძანდით ღამის ორ საათზე, უეჭველია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რამ გაიძულათ ასე მოქცევა.

თემფლი. რა თქმა უნდა, ვიცი. მაგრამ ის, რისი თქმაც მინდა, ისე მტანჯავს!.. ისე საშინლად მაწამებს... გემუდარებით, დამეხმარეთ, ასე არ ვეწამო.

ბუბერნატორი (უყურებს). კეთილი. მიაშბეთ ნენსი მენიპოს შე-
სახებ... მგონი, ასე ჰქვია, არა? თუ სხვანაირად წერს?

თემფლი. იგი არანაირად არ წერს. მან ხომ არც წერა იგის და არც
კითხვა. თქვენ მას მენიპოს სახელით ჩამოახრჩობთ და ალბათ მართლაც
ასე ჰქვია. თუმცა ჩამოახრჩობის შემდეგ ამას რა მნიშვნელობა
აქვს?..

ბუბერნატორი. და მაინც მიაშბეთ მასზე.

თემფლი. მასზე არაფერია საამბობელი გარდა იმისა, რომ ადრე
მეძავი იყო, ვინც მე და ჩემმა ქმარმა სანაგვე თხრილში ვიპოვეთ და
ჩვენი შვილების ძიძად ვაქციეთ, რომელთაგან ერთი მათგანი მოახრ-
ჩო. ხვალ იგი უნდა ჩამოახრჩონ. ჩვენ, ანუ მე და მისი დამცველი კი მის
შეწყალებას გთხოვთ!

ბუბერნატორი. დიას, ეს ყველაფერი ვიცი. მაგრამ რატომ უნდა
შევიწყალო?

თემფლი. იმიტომ, რომ მე გთხოვთ, მისგან მოკლული შვილის დე-
და. იმიტომ, რომ მე შევუნდე.

გუბერნატორი დაკვირვებით უყურებს ქალს. ასევე სტივენსიც.
ისინი ელიან. თემფლი დაუინებით მისჩერებია გუბერნატორს, გამოწ-
ვევის გარეშე, ოღონდ დაძაბული და გაფაციცებული.

ვაპატიე იმიტომ, რომ შეშლილია!

**გუბერნატორი დაკვირვებით ადევნებს თვალს თემფლს, რომელიც
მალმალ ექაჩება სიგარეტს.**

როგორც გატყობთ, ეს სულაც არ გაინტერესებთ. ალბათ გინდათ
გაიგოთ, რატომ დავიქირავე ასეთი ქალი ჩემი შვილების მომვლელად.
კარგით. ვთქვათ იმიტომ, რომ ეს მაინც აძლევდა რაღაც შანსს გამოს-
წორებისათვის. ისიც ხომ ადამიანია.

სტივენსი. არა, თემფლ, ეს არ არის ნამდვილი მიზეზი.

თემფლი (გულწრფელად... უბრალოდ). ჰო, ეს არ არის ნამდვი-
ლი მიზეზი. არ ვიცი, რად არ მღლის ამდენი სიცრუე. კაცი რომ მირ-
ბის, მირბის, იღლება და ჩერდება. ან სვამს და სვამს წყალს, ან ჭამს
და ჭამს ტკბილეულს, სანამ გული არ მოუსწყდება. მაგრამ, ეტყობა,
ადამიანებს არასოდეს ღლით ტყუილი. კარგით. ასე იყოს. გეტყვით ნამ-
დვილ მიზეზს, რად დავიქირავე ნენსი. ვინაიდან იგი ძალიან მჭირდე-
ბოდა. ვინმესთან ხომ უნდა მელაპარაკა (**გაჩუმდება**). ახლა უნდა ვალი-
არო დანარჩენიც. რატომ დამჭირდა მე იგი, დახვეწილ ქალს — მისის
თემფლი დრეიკ-სტივენსს — რა საერთო უნდა მქონოდა მეძავთან, ის-
იც შავკანიანთან...

ბუბერნატორი. ჰო, გვითხარით, რატომ.

**თემფლი (სიგარეტს აქრობს და წელში სწორდება. ლაპარაკობს
მტკიცედ, თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შინაგან ღელვას არ იმჩნევს).** დიას,
მეძავთან, ვისაც ჯოჯოხეთში უნდა ამოეყო თავი, ვინც, ცხადია,
მხოლოდ იმიტომ სულდგმულობდა, რომ ადრე თუ გვიან ვიღაც მოეკ-
ლა და თვითონ სახრჩობელაზე დაეღია სული; წყალწაღებულ ქალთან,
ვისაც ქალაქში ზედაც არავინ უყურებდა. ერთხელაც ჭუჭყიან თხრილ-
ში ჩავარდნილმა ვიღაც თეთრკანიანს შეურაცხყოფა მიაყენა; ისიც ფე-
ხებით შედგა, ფეხსაცმლის ქუსლით კბილები ჩაუმტვრია, რათა მისი
ყვირილი არავის გაეგონა. არ გახსოვთ, გევინ, მისი გვარი?

სტივენსი. დამავიწყდა. მგონი, ბანკის მოლარე იყო (გუბერნატორს მიმართავს). დიდი მონდომებით კი თამაშობდა კეთილშობილი კაცის როლს (თემფლს). მაგრამ ახლა ეს რა მოსატანია?

თემფლი. დიახ, დიახ. სწორედ იმ ორშაბათ დილას ჯერ კიდევ მთვრალი ნენსი მოულოდნელად გამოეცხადა იმ კაცს, ბანკის ვარს რომ აღებდა; შესასვლელთან ორმოცდაათამდე კაცი იდგა და ვიღაც მანს ელოდა. ამ დროს კი ნენსი საიდანღაც გამოსხლტა, ხალხის შანსა გაარღვია და უყვირა: „ჰეი, შენ, თეთრკანიანო, სადაა ჩემი ორი დოლარი?“ მოლარე შემობრუნდა, გაარტყა, წყლის თხრილში გადაუძახა ტროტუარიდან და გაშმაგებით დაუწყო წიხლებით ცემა, რათა მისი ხმა ჩაეხშო, ის კი მაინც გაჰკიოდა: „სადაა ჩემი ორი დოლარი?“ ვინემ ხალხი გონს არ მოეგო და ხელიდან არ გამოგლიჯეს. პირიდან სისხლი სდიოდა, ჩამტვრეული კბილები ტყაპატყუპით სცვიოდა, მაგრამ მაინც ღნაოდა: „ორი დოლარი გმართებთ, მაშინდელი, ორი კვირის წინ რომ იყავით. შემდეგ კიდევ ერთხელ მოხვედით“. (თემფლი გაჩუმდება. წამით სახეზე ხელებს აიფარებს, შემდეგ ისევ ჩამოუშვებს). დიახ, ყველაფერი უნდა ითქვას. რაზე შევჩერდით?

გუბერნატორი. ნენსი რომ ყვიროდა, ორი დოლარი გმართებდით...

თემფლი. დიახ, ორი დოლარი. მაგრამ რა საჭიროა ამდენი სიტყვები? უმჯობესია, მთელი სიმართლე ვთქვა (ღრმად ჩაისუნთქავს, როგორც მოცურავე ჩაყვინთვისას). ორი დოლარი — ნენსი მენიპოს ტარიფი იყო. მე კი, მე ბორდელში ვცხოვრობდი, სადაც შესვლა ბევრად უფრო ძვირი ღირდა (დუმდება. ერთხანს გაუნძრევლად ზის და დაძაბული შეჰყურებს მათ. შემდეგ მწარე სიცილით). ასეთ ღირსეულ მანდილოსნიდან უეცრად ასეთი აღსარება, არა? აი რას წარმოვადგენთ ჩვენ, მდიდარი მემკვიდრეები, მაღალი საზოგადოების ქალები (დუმილი). ყოველ შემთხვევაში, დავიწყე მაინც და ახლა ვერც შევჩერდები და ვერც უკან დავიხევ. უნდა განვაგრძო (ჩუმდება). რატომ სდუმხართ? დამეხმარეთ. თქვით რამე. ან მთელ შტატს მოჰფინეთ ეს ამბავი — ყველამ გაიგოს, ვისაც ყურები აქვს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ რამე მაიძულებდა, — იქნებოდა ეს ჩემი შვილის მკვლელობა თუ იმ უბადრუკი ზანგი ქალის სიკვდილით დასჯა — ის მეღიარებინა, რასაც ახლა ვაღიარებ.

გუბერნატორი უხმოდ შესცქერის. ქალი ვედრებით ოდნავ შესამჩნევად ასწევს ხელს.

სადამდე შემიძლია ვიყო გულახდილი? სადამდე უნდა შევტოპო, განაჩენის შეცვლას რომ მივალწიო, შინ დაბრუნებულმა მშვიდად დავიძინო ანდა ვცადო მაინც დაძინება? ოო! კიდევ რა შემიძლია გითხრათ, კიდევ სადამდე დავიმცირო თავი, უკეთ რომ შეისმინოთ ჩემი ვედრება?

გუბერნატორი. ზოგჯერ სიკვდილიც დამცირებაა.

თემფლი. ახლა ხომ სიკვდილზე არ ვლაპარაკობთ. ახლა სირცხვილზე ვლაპარაკობთ. ნენსი მენიპოს სირცხვილის გრძნობა არ სტანჯავს. მხოლოდ ის, რომ უნდა მოკვდეს. და რომ ის ასცდეს ამ ხანმოკლე ტანჯვას, მე, თემფლ დრეიკი, სირცხვილის გრძნობით გაწამებული აქ ღამის ორ საათზე გამოგეცხადეთ.

სტივენსი. განაგრძეთ, თემფლ.

თემფლი. ჯერ ამ კითხვაზე მიპასუხოს. (გუბერნატორს.) სანამ უნდა ვიტანჯო? ოღონდ არ მითხრათ, რომ ვალდებული ვარ ყველაფერი ვთქვა. ეს უკვე მითხრეს!

გუბერნატორი. შევეცდები დაგეხმაროთ. მე ვიცი, ვინც იყო თემფლ დრეიკი. ნორჩი სტუდენტი, რომელმაც ერთ წლის წინათ, კოლეჯი დატოვა, ასე არ არის? რათა თავის მეგობრებთან ერთად საექსკურსიო მატარებლით ფეხბურთის მატჩს დასწრებოდა მეორე კოლეჯში, და გზაში გაქრა. თვენახევრის შემდეგ კი ისევ მოგვევლინა მოწმის სახით ჯეფერსონში სასამართლო პროცესზე ერთი მკვლელობის თაობაზე. იგი სასამართლოს წარუდგინა იმ კაცის ადვოკატმა, ვისაც, როგორც მაშინ გაირკვა, მთელი ეს ხანი მოტაცებული და ჩაკეტილი ჰყავდა.

თემფლი. მემფისის საროსკიპოში, ესეც არ დაგავიწყდეთ!

სტივენსი. ერთი წუთით, თუ შეიძლება. ნება მიბოძეთ გუბერნატორს ვუამბო, თუ რა მოხდა. თქვენთვის ასე სჯობს. იმ დღეს თემფლი გადმოვიდა საექსკურსიო მატარებლიდან და ერთ ყმაწვილთან ერთად გაიპარა, რომელიც ბაქანზე ელოდა. მათ მოილაპარაკეს ფეხბურთის მატჩის დასასწრებად ერთად გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ ამ დროისთვის ყმაწვილს უკვე კარგად დაეღია, ჩემი აზრით, სიმხნევის მოსაკრებად, რათა თავი არ შეერცხვინა. გზად სასმელი თანდათან უფრო მოეკიდა, მანქანა მიაშხვრია და თემფლთან ერთად ბუტლეგერების სახლში გაჩერდა, კონტრაბანდული სპირტით რომ ვაჭრობდნენ. მალე ყმაწვილი უგონოდ გაიღუმა და, ვიდრე გამოფხიზლდებოდა, ამ ბუნაგში მკვლელობა მოხდა. დანაშაულის ჩამდენმა კი თემფლი გაიტაცა, ვინაიდან მან მკვლეელი დაინახა, იგი მემფისში წაიყვანა და იქ ბორდელში მოათავსა, როგორც უკვე ითქვა. სულ ეს არის და ეს. ისიც უნდა დავამატო, რომ იმ ყმაწვილმა, ვისთანაც თემფლი უნდა წასულიყო ფეხბურთის მატჩზე და ვისაც უნდა დაეცვა გოგონა, შემდგომ ცოლად შეირთო იგი და ამგვარად სცადა თავისი დანაშაულის გამოსყიდვა. იგი ჩემი ძმისშვილია.

თემფლი. ის დამნაშავე არაა. მე თვითონ მინდოდა გაქცევა.

გუბერნატორი. რატომ?

თემფლი. რატომ გვიზიდავს ყოველი ცუდი? ალბათ იმიტომ, რომ აკრძალული ხილი მუდამ ტკბილია, ყველაზე უფრო ტკბილი ამ ქვეყანაზე, და ადამიანიც მიილტვის მისკენ. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ის ყოველთვის მიზიდავდა. ჰოდა, მეც დავთანხმდი მართო გავყოლოდი ახალგაზრდა ყმაწვილს, მიუხედავად იმისა, რომ არცთუ დიდად მომწონდა.

სტივენსი. შეიძლება. მაგრამ ის ხომ მოვალე იყო გაგფრთხილებოდა.

თემფლი (მკაცრად). ამიტომაც მითხოვა ცოლად. ნუთუ ორჯერ უნდა ზღოს მან ერთი და იგივესთვის? ამისთვის ერთხელაც არ ღირდა ზღვევა.

გუბერნატორი. ნებას მომცემთ, გკითხოთ?

თემფლი თავს უქნევს.

რატომ თან არ მოიყვანეთ?

თემფლი. ვინ?

გუბერნატორი. თქვენი ქმარი. თქვენ ხომ ერთნი ხართ. ის აქ უნდა ყოფილიყო, თქვენ გვერდით, რათა თქვენს ცხოვრებაში ყველაფერს ნათელი მოჰყენოდა, სიმართლე გარკვეულიყო და თქვენთან ერთად ეცადა ნენსი მენიპოს გადარჩენა.

თემფლი. განა ჩვენ აქ იმისთვის ვართ, ნენსი გადარჩინოთ? არ ვიცი, არა. მე კი უფრო მგონია, ჩვენ აქ იმისთვის მოვიდეთ და გაგაღვიძეთ, რომ თქვენთან საუბარი კიდევ უფრო დიდი სატანჯველის მიზეზი გამხდარიყო ჩემთვის. ხომ გესმით, რისი თქმაც მინდა? მე გამუდმებით ვიტანჯები, თუმცა არც ისე განსაკუთრებული რამისთვის, უბრალოდ ვიტანჯები და ვიტანჯები ანგარიშმიუცემლად, ისევე უბრალოდ, როგორც ვსუნთქავ. რა შუაშია აქ ჩემი ქმარი?

გუბერნატორი. იქნებ ისურვოს თქვენი ტანჯვა გაიზიაროს, თუკი მართლა თქვენი ქმარია?

თემფლი. ამისთვის საჭიროა ყველაფერი გაეზიარებინა ჩემთან ერთად.

ისინი ერთმანეთს მისჩერებიან.

გუბერნატორი. თუ სწორად გავიგეთ, არის ისეთი რამ, რაც მან არ იცის.

თემფლი. დიას.

სტივენსი. იქნებ უმჯობესია ყველაფერი უამბოთ, თემფლ. შეუძლებელია რვა წელი სიცრუით იცხოვროთ.

გუბერნატორი. ახლა რომ აქ იყოს, ეტყოდით ყველაფერს?

თემფლი თვალს არ აშორებს გუბერნატორს. სტივენსი ქალისდა შეუმჩნევლად გაიქნევს ხელს. თემფლის უკან უხმაუროდ გამოჩნდება გოუენი, რომელსაც ქალი ვერ ხედავს. იგი გაუნძრევლად დგას ფანჯრის ღიობში, ფარდის უკან.

წარმოიდგინეთ, რომ ის ახლა აქაა, ჩემს ადგილზე.

თემფლი. იგი უკვე გაემგზავრა. მას ველარასოდეს ვნახავ.

გუბერნატორი. მაგრამ რომ ყოფილიყო, მისი თანდასწრებით მოყვებოდით?

თემფლი. რა თქმა უნდა! ახლა კი ნება მიბოძეთ, ვთქვა (დუმილი). თუ შეიძლება სიგარეტი მომეცით. მოწევა მინდა (გუბერნატორი სიგარეტს აწვდის, რომელსაც ქალი არ უკიდებს, საფერფლეზე დადებს. ისევ დუმილი). ისე რომ, მე ვნახე, როგორ მოხდა მკვლელობა, უფრო სწორედ, დავინახე ჩრდილები და მკვლელი. მას თვალჭყეტიას ეძახდნენ. სწორედ მან წამიყვანა მემფისში ძველი მანქანით. შემეძლო კივილი ამეტეხა ნებისმიერი ქალაქის ქუჩაში და ხალხი შემეყარა. მაგრამ ასე არ მოვიქეცი. ასევე შემეძლო არ გავყოლოდი გოუენს ან კიდევ გავცლოდი მას შემდეგ, რაც ხეს შევეჯახეთ და მანქანა დავამტვრიეთ. დიას, შემეძლო გამეჩერებინა რომელიმე ჩამვლელი საბარგო ან მსუბუქი მანქანა და უახლოეს სადგურში მიმიყვანდნენ, ან ჩემს კოლეჯში ან კიდევ სახლში მამასთან და ძმებთან, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რა იყო ცუდი და რა — კარგი. მაგრამ ასე არ მოვიქეცი. არა, მე, თემფლი, ასე არ მოვიქეცი. ალბათ დაუფიქრებლად და შეუგნებლად ვარჩიე ცუდი გზა. მოკლედ რომ ვთქვა, თვალჭყეტიასთან ერთად გავემგზავრე. მთელი გზა ჩუმად ვიყავი, მასაც უხმოდ მიყავდა მანქანა. დამამახსოვრდა მისი გამჭოლი მხერა და ტუჩზე მიწებებული სიგარეტი.

სტივენსი (გუბერნატორს). დიან, ეს ამაზრზენი პიროვნება იყო, ბოროტების განსახიერება. დაბალი, შავტუხა, ტარაკანს ჰგავდა, გამწლებული, შავი და ბოროტი. თანაც ფსიქიურად გაუწონასწორობელი, არანორმალური. თემფლმა ესეც უნდა გითხრათ.

თემფლი (სტივენსს). ძვირფასო ძია გვეინ! დოხ... ესეც ამაზეც ვიტყვი. მე მკვლელთან დარჩენა ვარჩიე, თხმქს... მეც ძლი მასთან განშორება, ვერ მოვწყდი მას. მემფისში ჩამომიყვანა. მეც მორჩილად მივყვებოდი. მანუელის ქუჩაზე საროსკიპოში გამომამწყვდია. მას ერთი ქალი განაგებდა, არწივისებური გამოსხედეა ჰქონდა და ნებისმიერ დედაზე უფრო ფხიზელი თვალი; კარს კი შავკანიანი მსახური ქალი დარაჯობდა. როცა ეს ქალბატონი შუადღისას იქ მიემართებოდა, სადაც დღისით მიდის ხოლმე საროსკიპოს მეპატრონე: პოლიციაში, რათა ჯარიმა გადაიხადოს ანდა ვინმეს პროტექცია სთხოვოს, ან ბანკში, ან სხვა რომელიმე საროსკიპოში. ეს კი ყოველთვის სასიამოვნო იყო. ვინაიდან მაშინ მსახური ქალი ჩემი ოთახის კარს აღებდა, შემოდოდა და ვსაუბრობდით (ქალი ცოტა შეიშმუშნება). მე ბევრი სუნამო მქონდა. მათ, რა თქმა უნდა, დიასახლისი მიჩრევდა, — ყველა მძაფრი სუნისა. პოპიმ ბეწვის ქურქიც მიყიდა, მაგრამ სად უნდა ჩამეცვა, თუკი სახლიდან გასვლის უფლებას არ მაძლევდა? აი ასე იყო. მქონდა მანტოც, ნაირ-ნაირი პენუარები თუ საცვლები, მუდამ თვალჭყეტრას გემოვნებით შერჩეული. უნდოდა კმაყოფილი ვყოფილიყავი. და არა მარტო კმაყოფილი, ბედნიერიც. პოდა, ბოლოს და ბოლოს იმ საკითხსაც მივადექით, რომ... ახლა მე უნდა... (იგი ლაპარაკს შეწყვეტს, საფერფლეში ხელუხლებელ სიგარეტს წაატანს ხელს და შეამჩნევს, რომ მოკიდებული არ არის).

სტივენსი სანთებელას იღებს და წამოდგება. გუბერნატორი თემფლისთვის თვალმოუცილებლად სტივენსს შეაჩერებს. სტივენსი ისევ ჩაეშვება სავარძელში და თემფლს სანთებელას მიუწევს. თემფლი აიღებს სანთებელას, მოუკიდებს, დახურავს და ისევ დადებს. ერთს რომ მოქაჩავს, ისევ საფერფლეში ჩადებს სიგარეტს და წელში გასწორებული ოხრობას განაგრძობს.

ისე კი ნებისმიერ დროს შემეძლო გაქცევა, ჭუჭყიანი წყლის მიღს თუ ჩავყვებოდი, მაგრამ ასე არ მოვიქეცი, ოთახიდან გვიან საღამოს გამოვდიოდი, როცა თვალჭყეტია მანქანით მაკითხავდა, რომელიც კატაფალკას უფრო ჰგავდა. იგი მძლოლის გვერდით იჯდა, მე და დიასახლისი — უკან. საათნახევარი ასე დავდიოდით ხან ქალაქგარეთ, ხან კიდევ ქალაქში, იმ კვარტალებს შორის, რომელიც წითელი ფარნებით იყო გაჩირალდნებული. სხვათა შორის იმ ფარნების გარდა სხვა არაფერი მინახავს. პოპი იმ სახლის მაცხოვრებელ ქალებთან შესვლასაც მიკრძალავდა, მათთან რომ დავმჯდარიყავი, მესმინა მათი ნაამბობი, როცა ისინი ფულებს ითვლიდნენ, ან კიდევ ისე, უსაქმოდ ისხდნენ საწოლზე. (ქალი შეჩერდება, შემდეგ ისევ განაგრძობს.) მაშინ მაგონდებოდა ჩვენი დორტუარები კოლეჯში. იქაც ხომ მსგავსი გარემო იყო — ახალგაზრდა გოგოები მამაკაცებზე ოცნებობდნენ, ვინმე გარკვეულ მამაკაცზე კი არა, საერთოდ „მამაკაცზე“, ოღონდ ის მემფისელი ქალები უფრო მშვიდად ლაპარაკობდნენ, ეს იყო და ეს. ისინი ნაკლებ ალტკინებულნი იყვნენ, თავიანთ საწოლებზე ჩამომსხდარნი, ერ-

თავარად უკვე გრძნობადაცლილნი, თავიანთი ხელობის სიძნელეებს არჩევდნენ. მაგრამ ჩემთან არა, მე გამოკეტილი ვყავდით; ისღა დამრჩენოდა, თავმომწონედ მევლო წინ და უკან ოთახში მოდურ ბეწვის მანტოსა თუ ჭყეტელა პენუარებში გამოწყობილს და ვერავინ მხედავდა სარკესა და ერთი მოსამსახურე ქალის გარდა, რომელიც ყველაფერი სიცილს ვერ იკავებდა და ჩემი აბრეშუმის პერანგებს ხედავდა. მე მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი ვიყავი, თითქოს სადღაც ზღვის ფსკერზე ჩაძირული მყვინთავის სამოსში. ო, ღიახ, თვალჭყეტია არაფერს იშურებდა ჩემთვის, კმაყოფილი რომ ვყოფილიყავი; მე კი უფრო მეტი მიზნოდა. მხოლოდ კმაყოფილებას არ ვჯერდებოდი. ის კი როგორ არ ცდილობდა გადავრეულიყავი მისთვის, როგორც ჩემი კახპადები იტყოდნენ.

ბუბარნატორი. მერე შეგიყვარდათ?

სტივენსი. ღიახ.

გუბერნატორი თემფლს შეხედავს.

თემფლი (სტივენს). გაჩუმდით.

სტივენსი. არა, თქვენ ზღვარს მიაღწიეთ. უნდა დაგეხმაროთ. მაშასუამ, თვალჭყეტიათ გააცნო იგი ერთ ყმაწვილს. ეს ყმაწვილი...

თემფლი. გევიან!

სტივენსი. იმ ყმაწვილს თავის წრეში „წითურას“ ეძახდნენ. იგი ქალაქის გარეუბნის კლუბში გამპანლურებლად მუშაობდა. ხომ იცით, რასაც ნიშნავს გამპანლურებელი: ეს არის მუშტმაგარი კაცი, რომელიც მთვრალეებს და მოუსვენარ კლიენტებს აპანლურებს ხოლმე გარეთ. კლუბი თვალჭყეტიას ეკუთვნოდა და მისი შტაბ-ბინაც იქ იყო. ჰოდა...

(იგი ყოყმანობს, შემდეგ თემფლს მიუბრუნდება.) თვალჭყეტია თქვენთან წითურასთან ერთად მოვიდა, ხომ ასეა? ობობასავით გასასრესია ეგ კაცი. მან მეძავ ქალად როდი აქცია თემფლი, როდი გაყიდა. ო, არა! მან თავის ლაქიას გადაულოცა.

ბუბარნატორი. გევიან! იქნებ არ ღირს ამის თქმა მისის სტივენსის თანდასწრებით?

სტივენსი. ეს აუცილებელია. თქვენ ჯერ ყველაფერი არ იცით...

თემფლი. არა. დამაცადეთ, მე მოვყვე. მე გავიცანი ეს წითურა და შემეყვარდა. რა სიყვარული იყო ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ მე განუწყვეტლივ წერილებს ვწერდი მას.

ბუბარნატორი. სასიყვარულო წერილებს?

თემფლი. ღიახ. მისი მადლიერიც ვიყავი. მადლიერი მისი სიყვარულისთვის. მე მუდამ ვწერდი წერილებს, მაშინაც კი, როცა უნდა მოსულიყო ან როცა რატომღაც ვერ მოდიოდა...

ბუბარნატორი (თემფლს). განაგრძეთ, მისის სტივენს. წერილებზე ლაპარაკობდით.

თემფლი. წერილები... ღიახ, შესანიშნავი წერილები იყო **(მზერას არ აშორებს გუბერნატორს).** აი სულ ვცდილობ და მაინც მიჭირს დაწყება. ერთი სიტყვით, ისეთი წერილები იყო, რომ მიუხედავად იმისა, ქალი მათ რვა წლის წინ სწერდა საყვარელს, მაინც არ ისურვებდა ისინი მის ქმარს ხელში ჩავარდნოდა, რა აზრისაც არ უნდა ყოფილიყო იგი საყვარელი მეუღლის წარსულზე **(თავს ძალას ატანს).** ბრწყინვალე წერილები იყო დებიუტანტისთვის, შესანიშნავად

დაწერილი. არ ვიცი, რამდენი წერილი დავწერე, მაგრამ ერთიც კი საკმარისი იქნებოდა. აქედან დაიწყო ყველაფერი.

ბუბერნატორი. ნენსის დანაშაულს რაიმე კავშირი აქვს აბასთან? **თემფლი.** დიახ, თქვენ უთუოდ იცით, რაც არის შანტაჟი, ეს წერილები ორი წლის წინ გამოჩნდა. როგორ და რა გზით მოხდებოდა მათი გამოსყიდვა? როცა საჭირო ხდება სამხილის განადგურება, თემფლ დრეიკის ყაიდის ქალები შანტაჟისტთან რომანს აბამენ.

სტინჰენსი (თემფლს ხმადაბლა). კი, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. **თემფლი.** მე წერილებს ვწერდი. კაცი, ვისაც ვწერდი, მოკვდა. ცოლად სხვას გავყევი და ცხოვრებაც მოვიწყვე, ყოველ შემთხვევაში, მეგონა, რომ მოვიწყვე. ორი შვილი მეყოლა და მეგონა, წერილები დავიწყებას მიეცა-მეთქი. მაგრამ ისინი კვლავ გამოჩნდა და მეც დავრწმუნდი, რომ ვცდებოდი.

ბუბერნატორი. ის ყმაწვილი, „წითურას“ რომ ეძახდით, რით დაიღუბა?

თემფლი. ბუნებრივი სიკვდილით, რაც მისი ტიპის ადამიანისთვის ჩვეულებრივი იყო. როცა შესახვევში მოდიოდა, წყალსადენის მილით ჩემს ოთახში რომ ამომძვრალიყო, მანქანიდან ესროლეს. ჰო, იმ დღეს პირველად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს მალულად, პოპის გარეშე, რათა ყველაფერი დაგვევიწყებინა ჩვენი სიყვარულის გარდა.

ბუბერნატორი. თქვენი სიყვარულის? განა წითურას უყვარდით?

თემფლი. დიახ, ვუყვარდი. მაგრამ სწორედ მაშინ მოკლეს, როცა ჩემთან მოდიოდა, სწორედ იმ წუთას, როცა მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე ფიქრობდა, მე კი — მასზე; როცა ველოდი, რომ სადაცაა წუთი წუთზე ჩემთან იქნება, ჩემს ოთახში, სადაც იმ სხვას ვიღებდი, ვინც არ მიყვარდა. კარი დაიკეტებოდა და ბოლოს და ბოლოს ჩვენ გარდა სხვა არავინ იქნებოდა. არადა, ყველაფერს ჯვარი დაესვა! თითქოს არც არაფერი ყოფილიყო, არც საროსკიპო, არც იქაური გოგონები და არც თვალჭყეტია **(მან ლაპარაკს აუჩქარა).** მერე თვალჭყეტია დააბატიმრეს მკვლელობისთვის და სიკვდილი მიუსაჯეს. რაც შემდეგ მოხდა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი იყო: მამასა და ძმებთან შეხვედრა, ერთი წელი ევროპაში, პარიზში ყოფნა. იქაც კი ყველაფერი სულ ერთი იყო.

სტინჰენსი. მაგრამ იმ ზამთარს გოუენი პარიზში ჩამოვიდა და იქორწინეთ კიდევ.

თემფლი (მორჩილად). დიახ, საელჩოში. წვეულება სასტუმრო „კრიიონში“ გვქონდა. რომ არაფერი ვთქვა ახალ ლიმუზინსა და მაგრიტანული სტილის ვილაზე კაბ-ფერაში, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რათა ამერიკული წარსული დავიწყებას მისცემოდა. თუმცა, მართალი გითხრათ, დავიწყებას სხვა გზითაც ვაპირებდით. გვეგონა, რომ ამისთვის ქორწინებაც იკმარებდა, თვით საქორწინო ცერემონიალიც კი, როცა ერთად მოვიყრიდით მუხლს: „ჩვენ შევცოდეთ, უფალო, და შეგვიბედე, უფალო!“ მაშინ კი დაისადგურებდა მშვიდობა, სიყვარული და ყველაფერს დავივიწყებდით, — ყოველივე იმას, რაშიც მარცხი განვიცადე. **(ქალი კვლავ შეყოვნდება, შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სხაპასხუპით განაგრძობს.)** ჰო, სიყვარული... ჩვენ გვეგონა, რომ სიყვარულზე დიდი ძალა შეგვაკავშირებდა. ტრაგედია ჩვენ ერთმანეთს მიგვაჯაჭვა. თანაც ტრაგედიისა და სიყვარულის გარდა არის კიდევ ძალა, რომელსაც

ქალუძს ორი არსების შეკავშირება — ეს ძალა შენდობა და პატიებაა. ჰო, მე ურთიერთპატიების იმედი მქონდა. მაგრამ უფრო აღვიღია თურმე სხვას აპატიო, ვინემ შენ გაპატიონ.

სტივენსი. მეტადრე, თუ მამაკაცი მეტისმეტად თავმოყვარეა.

თემფლი. გევიწ!

სტივენსი. თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, თქვენს მეუღლეს თავმოყვარეობას შეუძლია ყველაფერი გაანადგუროს. თუკი ვირჯინიელ არისტოკრატს კარის მოხურვა დაავიწყდება და ტუალეტში მჯდომარეს წაასწრებენ, მხოლოდ შელახული თავმოყვარეობა შეაწუხებს. არა, გევიწისთვის პატიება უცხო რამაა. თითქმის მთელი წელი თავის თავს ეკითხებოდა, მართლა მე ვარ ბავშვის მამაო.

თემფლი. ღმერთო ჩემო!

გუბერნატორი. თვითონ ქალმა მოჰყვეს, გევიწ.

თემფლი. მოჰყვესო... ამას ეძახით „მოყოლას“? მაშინ რატომაა ასე მტკივნეული? მაგრამ ახლა უფრო გამოილდება, ახლა საქმე ნენსის შეეხება. ჩვენ ჯეფერსონში დავბრუნდით. ჩვენს სახლში, გესმით. არც აურზაურის შიში გვქონდა, არც სირცხვილისა, რადგან ყველაფერს მართლმად ვუყურებდით. ოო! არა, მეტი არ შემიძლია. თავად უთხარით ყველაფერი, ძია გევიწ.

სტივენსი. კეთილი. (გუბერნატორს.) აბა, სცადეთ და წარმოიდგინეთ სტივენსების ახალგაზრდა წყვილი, საზოგადოების მოყვარულები, მათი ახალი სახლი შესანიშნავ კვარტალში, ჩაკეტილი კლუბი, ადგილი ყველაზე მდიდრულ ეკლესიაში. მერე ვაჟი შეეძინათ, მემკვიდრე, დედამ ნენსი აიყვანა. ნენსი ძიძა გახდა, აღმზრდელი, დასავით მის გვერდით მდგარი. — რაც გნებავთ, ის დაარქვით. (მიუბრუნდება თემფლს.) ხომ ასე? ყოჩაღად, თემფლ!

თემფლი (მთლიანად განადგურებული). დიას, მე პრინცესა ვიყავი, ის — ჩემი მესაიდუმლე. სახლში მამაკაცი არაფერ იყო. მე ხმამაღლა ვოცნებობდი, ნენსი მისმენდა. აბა წარმოიდგინეთ: ნასადილეგს ხანგრძლივი თავისუფალი საათები, ბავშვს სძინავს, ორი და კი, ორი ძველი ცოდვილი, თავიანთ ძველ ხელობაზე საუბრობენ, იგონებენ ბოლოდროინდელ ამბებსაც, თან მყუდრო სამზარეულოში კოკაკოლას წრუპავენ. (მიმართავს გუბერნატორს უკვე ატირებული.) ჩვენ ყველას გვჭირდება ისეთი ვინმე, ვისაც შეგიძლია გული გადაუშალო. არა მართო ისინი, ვისაც შეიძლება ელაპარაკო ან ვინც ყველაფერზე კვერს დაგიკრავს, უბრალოდ, ნებისმიერი ადამიანი, შენ გვერდით რომაა იქ და ჩუმად გისმენს. იქნებ მკვლევების, გიყებისა ან ცეცხლის წამკიდებლებისთვის რომ მოესმინა ვინმეს, შეიძლება არც გამხდარიყვნენ დამნაშავენი! ახლა კი თავი დამანებეთ, მომასვენეთ! (სრულიად დათრგუნული.)

სტივენსი. მაშინ მე გიამბობთ, რაც შემდეგ მოხდა. ჯერ კიდევ ბავშვის გაჩენამდე კარგა ხნით ადრე მიხვდა იგი, რომ ქმარს არაფერი უპატიებია, არც უფიქრია პატიება. დარწმუნებული იყო, რომ მისი ცოლად შერთვაც კმაროდა და გაუთავებლად მოითხოვდა მისგან მადლიერებას. ქალი მიხვდა, რომ ყველაფერი ამაოა, ვინაიდან მისი წარსული მუდამ ლოდევით დააწვებოდათ. მიუხედავად ამისა, პირმშოს დაბადებამ ქალს რაღაც იმედის ნაპერწკალი გაუჩინა... ახლა მის ცხო-

ვრებაში ისეთი რამ მოხდა, რასაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა მის და-
ნაშაულთან, რასაც მთელი გულით მიენდობოდა. მან თითქოს ღმერთთან
დადო ზავი. რა წამებასა და გაჭირვებას არ აიტანდა, თავის ცხოვრე-
ბაში სულ პატარა სიხარულზეც კი უარს იტყოდა, ოღონდაც მის უცო-
დველ შვილს სირცხვილი და საშინელება ასცილებოდა, რომ ღმერთი
ბავშვს მაინც დაიფარავდა.

ბუბერნატორი. ბავშვი მართლა ქმრისგან გეყოლათ? შაჰატიეთ,
მისის სტივენსს.

სტივენსი. დიახ. მაგრამ ჩემი ძმისწული მაინც ეჭვობდა — თავი-
დანვე განეწყო ასე. თემფლი კი ბავშვმა საზოგადოებასაც მოსწყვიტა და
ქმარსაც, იგი მის შეცდომას აგონებდა. ბავშვი აღარ ავიწყებდა ყველა-
ფერს. (თემფლს მიუბრუნდება.) მაშინ გაგიჩნდათ გაქცევის სურვილი?

თემფლი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს.

მაგრამ გაჩნდა მეორე ბავშვი და თემფლიც ბედს დამორჩილდა.
თუმცა უკვე ძალა აღარ შესწევდა ეცხოვრა ამ პარტიოსნებით სავსე სა-
ზოგადოებაში, სადაც ეგონა, რომ წარსულს დაივიწყებდა. აღარ შეერ-
ლო ამ მაღალი წრის ადამიანთა პირფერობის ატანა, რომელნიც გაპატი-
ობენ უპატიებლად, საამურად გიღიმიან, თუმცა ღვარძლით სავსე არ-
იან. ის გამუდმებით უბედურების მოლოდინში იყო, ოღონდ არ იცოდა,
თუ რა მხრიდან დაატყდებოდა. (მცირე პაუზა.) და აი, უბედურებამაც
არ დაახანა და ის წითურას უმცროსი ძმის სახით მოეფლინა. მას პიტე-
რი ერქვა.

ბუბერნატორი. გასაგებია, მას წერილები ჰქონდა და შანტაჟი და-
უწყო ქალს.

სტივენსი. დიახ, შანტაჟი დაუწყო, მაგრამ თემფლმა საკმარისად
არ მიიჩნია, რომ ფულს აძლევდა. იგი თავად დანებდა.

გუბერნატორი სტივენსს შეხედავს.

მასაც ეს უნდოდა. უდავოდ ხვდებოდა, რომ უკეთ მოახერხებდა
გოუენის შანტაჟირებას, თუკი მის ცოლს დაეუფლებოდა. ქალი... (იგი
შეყოყმანდება.) ერთი სიტყვით, ქალს უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ
ბოლო მოეღო ამისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კისერზე ჩამოეკი-
და იმ პიტერს და მასთან ერთად გაქცევა გადაწყვიტა.

ბუბერნატორი (თემფლს). რატომ აპირებდით გაქცევას?

თემფლი (წამომდგარი, თანდათან მეტი და მეტი ძალით). ოჰ,
აჰ, ასე თუ ისე, ყველაფერი ნათელია და ამის ახსნა შემძლია. იმ შან-
ტაჟისტთან ბოლოს და ბოლოს დავისვენებდი მაინც. დიახ, დავისვენე-
ბდი, აღარ იქნებოდა საჭირო თავაზიანობა და წესიერება. მთელი ექვსი
წელი პატიებისა და კეთილშობილების შემდეგ, როგორც იყო, შევხვდი
კაცს, რომელსაც არც ერთი და არც მეორე ენაღვლებოდა, კაცს ძლი-
ერსა და გაბედულს, უხეშსა და უხნეოს, მაგრამ იმდენად მიზანსწრა-
ფულს, სიწმინდესა და უშუალობას რომ მოგავდა. კაცს, ვისაც სულაც
არ ანაღვლებდა რაიმეს შეცვლა და დავიწყება. პატიების თხოვნა რომ
დამეწყო, უბრალოდ თავში ჩამაფარებდა და ქუჩის კანაოში მომისვ-
რიდა. ასეთ კაცთან სულს მოვითქვამდი, ჰო, სულს მოვითქვამდი და
დავისვენებდი, რაკი ვიცოდი, თუნდაც კანაოში ჩაგდებულსა თუ ცემით
მისიკვდილებულს, პატიების თხოვნა აღარ დამჭირდებოდა.

გუბერნატორი. ისლა დაგრჩენიათ მკვლელობის შესახებ გვიამბოთ. რას აკეთებდა ნენსი 13 სექტემბერს?

თემფლი (უკანასკნელ ძალებს იკრებს). 13 სექტემბერს? ნენსი?.. დიახ, დიახ. მას ვუყვარდი და დარწმუნებული ვარ, ახლაც ვუყვარვარ. მეტადრე ჩემი შვილები უყვარდა მათი უბიწოების გამოცნობა, რაც ხდებოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა, თუმცა ყველაფერს მთქმე იყო. თვალს არ მაშორებდა და სულითა და გულით განიცდიდა. ერთი პირობა იმედი ჰქონდა, როგორც კი პიტერს ფულს მივცემდი და წერილებს ხელში ჩავიგდებდი, დავმშვიდდებოდი. მაგრამ მე სხვა მინდოდა — პიტერთან ერთად გაქცევა მსურდა სრულიად სხვა სამყაროში, შორს ამ მაღალი საზოგადოებისგან, მისი რესპექტაბელური სილამჩრისაგან. ამიტომ გოუენი და ბიუკი რომ გავამგზავრე, პიტერს პაემანი დავუნიშნე ჩემს სახლში. როცა ნენსი მიხვდა, რომ ბავშვიანად ვაპირებდი წასვლას და ჩვილი პიტერისთანა კაცის ხელში მოხვდებოდა, შეეცადა ეს ჩაეშალა. პირველ ყოვლისა ფული და ძვირფასეულობა გადამალა, გაქცევისთვის რომ გავამზადე.

შუქი ნელ-ნელა ქრება. თემფლის უკან ფარდა ეშვება, ის სიბნელეში ლაპარაკობს.

ეს მოხდა 13 სექტემბრის ღამეს. პიტერი უკვე ჩემთან იყო, მე ბარგს ვაწყობდი, ნენსი ცდილობდა რაღაც ელონა ჩემს შესაჩერებლად. კი, კი, დარწმუნებული ვარ, რომ იმ სიბნელეში კარს უკან იდგა მაშინ და ჩვენ გვისმენდა; და როცა მიხვდა, რომ მზად ვიყავ გასაქცევად, რომ ხელს ვიღებდი ყველაფერზე, ბავშვებზეც კი, ის საზარელი და უგუნური რამ განიზრახა. დიახ, დიახ, სწორედ იმ ღამეს, 13 სექტემბერს, იგი მე და პიტერს გვითვალთვალებდა...

მეხუთე სურათი

ფარდა ნელა იწევა ზემოთ. მოჩანს სტივენსების სასტუმრო ოთახი. 13 სექტემბერი, 21 საათი და 30 წუთი. მარცხნივ ღია კარადაა. ტანსაცმელი იატაკზეა მოფენილი. ეტყობა, კარადაში ვიღაც გამწარებული იქექებოდა; შუა ოთახში, მაგიდაზე თემფლის შლაპა, ხელთათმანები და ჩანთა აწყვია, კიდევ — ბავშვის ტანსაცმლის ჩანთა. ორი დატენილი, ღვედებით შეკრული ჩემოდანი მაგიდასთან დგას იატაკზე. თემფლი ეს-ესაა უნდა გაემგზავროს, მაგრამ კიდევ რაღაცას ეძებს. როცა შუქი ინთება, პიტერი კარადის ღია კართან დგას და ქალის პენუარი უჭირავს. იგი ოცდახუთი წლის იქნება. არც ბოროტმოქმედსა ჰგავს და არც განგსტერს, უფრო სავაჭრო ფირმის მარჯვე მოხელეს, მანქანებით თუ მაცივრებით მოვაჭრეს. აცვია უბრალოდ, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე. თუმცაღა იერი კი გამარჯვებული და თავდაჯერებული კაცისა აქვს. ის სანდომიანი ბიჭია, ისეთი, ქალებს რომ მოსწონთ ხოლმე. თხელი, საზაფხულო კოსტიუმი აცვია, შლაპა კეფაზე აქვს მოგდებული. პენუარის ჯიბეებში იქექება; მერე უდიერად აგდებს იატაკზე და შემობრუნდება, მაგრამ იატაკზე მოფანტულ ტანსაცმელში გაიხლართება და ფეხით მოისვრის ყველაფერს. შემდეგ შედგება და გაბრაზებული და იმედგაცრუებული აკვირდება ამ ჭრელაჭრულა ჭინჭების გროვას.

თემფლი ისევ იქ დგას, სადაც წინა სურათის ბოლოში იდგა. მხოლოდ გაღვლილი თხელი პალტო აცვია.

პიტერი. აბა სადაა ნენსი?

თემფლი. მის დიასახლისთან დავრეკე, იქ დილიდან არ უნახავთ.

პიტერი. ადრევე შემეძლო ეს მეტქვა შენთვის! (მაჯის საათს დახედავს.) მასთან წავიდეთ და იქ დაველოდოთ.

თემფლი. რატომ?

პიტერი. რაც უნდა იყოს, საქმე სამას დოლარს ეხება, ძვირფასეულობაზე რომ არაფერი ვთქვათ! თუ ნენსიმ წაიღო, ვაიძულებ დააბრუნოს, სიგარეტითაც რომ დამჭირდეს მისთვის ტერფების ამოწვა. აბა, შენ რას მთავაზობ? მაძებრებს ვუხმო?

თემფლი. არა, ნუ შეწუხდები, გაიქეცი.

პიტერი. გავიქეცი?

თემფლი. ჰო, გაიპარე, თავს უშველე. ფული გაქრა, მე ვერ წამიყვან, ისლა დაგრჩენია, ჩემი ქმრის დაბრუნებას დაელოდო და ისევ განაგრძო შენი ბინძური შანტაჟი, მაგრამ ამჯერად ჩემთან კი არა, უკვე მასთან.

პიტერი. მე ფული მინდა, ძვირფასეულობა და შენც დამატებით.

თემფლი. წერილები ისევ შენა გაქვს?

პიტერი (პიჯაკის უბიდან წერილების დასტას ამოიღებს და მაგიდაზე მოისვრის). თუ გინდა წერილებს დაგიბრუნებ.

თემფლი. ხომ გითხარი ორი დღის წინ, ისინი არ მჭირდება-მეთქი.

პიტერი. მართალია, მითხარი. მაგრამ ეს ორი დღის წინ იყო!

ერთმანეთს შეჰყურებენ. თემფლი წერილების დასტას აიღებს.

თემფლი. მომეცი სანთებელა.

პიტერი ფეხმოუცვლელად ჯიბიდან სანთებელას ამოიღებს და ქალს გაუწვდის. მის გამოსართმევად თემფლმა რამდენიმე ნაბიჯი უნდა გადადგას. ქალი ბუნხართან მიდის. პიტერი თვალს უსიტყვოდ გააყოლებს. ქალი წუთით გაუნძრევლად დგას ერთ ხელში წერილებით, მეორეში კი — ანთებული სანთებელათი. შემდეგ პიტერისკენ მიაბრუნებს თავს. წუთით ერთმანეთს შეჰყურებენ.

პიტერი. მიდი, დასწვი! როცა ადრე მათ გაძლევდი, უარზე იყავი, გადაწყვეტილება რომ არ შეგეცვალა. ჰოდა, ახლა დასწვი! საკმარისია მაგ წერილების განადგურება, რომ ჩემგან თავისუფალი იყო.

ისინი კვლავ ერთმანეთს შესცქერიან.

(პიტერი, სიცილით). მოდი აქ ჩემთან!

ქალი სანთებელას აქრობს, შემობრუნდება, მაგიდაზე წერილებსა და სანთებელას დებს და პიტერთან მიდის, რომელიც გაუნძრევლად დგას. ამ დროს მარცხენა კართან ნენსი გამოჩნდება. ისინი მას ვერ ხედავენ.

(პიტერი თემფლს გადაეხვევა.) ნეტა რად გვინდა ეს ყველაფერი, როცა ერთად ასე კარგად ვართ? (ქალს გულში იკრავს.) ჰა, ჩემო პატარა თოჯინავ?

თემფლი. ასე ნუ მეძახი.

პიტერი. წითურა ასეთ რამეებში ყოჩაღი იყო. მე კი რითი ვარ მასზე ნაკლები? არა?

ერთმანეთს კოცნიან. ნენსი ჩუმად გადმოაბიჯებს ზღურბლს, შეჩერდება, მათ თვალს ადევნებს. გაღელვებული პალტოდან კაბა მოუჩანს, როგორც ძიძებს აცვიათ ხოლმე, ოღონდ თავსაბურისა და წინსაფურის გარეშე. ახურავს ჩალის დაჭმუჭნული, თითქმის ფორმად კარგული შლაპა. აშკარად კაცის.

(პიტერი მკლავებს ჩამოუშვებს.) წამო, გავიდეთ ^{ერეკუნული} (თემფლის მხარზე მოდის ნენსის რომ შეამჩნევს, განზე გახტება).

თემფლი სწრაფად შემობრუნდება და ნენსის დაინახავს.
თემფლი (ნენსის). რა გინდა?

ნენსი. პო, მოდი, ტერფები სიგარეტით ამომიწვიო.

პიტერი. წყეული ზანგი! თუმცა იქნებ ფული მოიტანა? (ნენსის შეათვალიერებს, ქალი არ პასუხობს.) ან იქნებ არც მოიტანა? აბა, სიგარეტს მოვუკიდოთ. (ნენსის.) მაშ, რისთვის მოხვედი, მაიმუნო?

თემფლი (პიტერს). გაჩუმდი! აიღე ჩემოდანი და მანქანასთან ჩადი.

პიტერი (ნენსის თვალს არ აშორებს). არა, არა, ჯერ ამ მაიმუნს უნდა მივხედო.

თემფლი. წადი! თვითონ მივხედავ, ყველაფერს დავაბრუნებინებ.

პიტერი ერთხანს შეაჩერდება ნენსის, ის კი არავის უმზერს. გაუნძრევლად დგას, სახემოლუშული, შეუვალი. პიტერი მხრებს იჩეჩავს, ჩემოდნებს აიღებს და გარეთ გამავალ შუშიან კარამდე მიდის.

პიტერი. კარგი, კარგი. მაგრამ იცოდეთ, ფული წაართვი; თუ არადა, თვითონ მოველაპარაკები. (მიდის მაგიდასთან, აიღებს სანთებელას და წასვლას აპირებს, მაგრამ შეყოყმანდება, წერილების დასტას უყურებს.) მგონი, აჯობებს შენ რომ წაიღო.

თემფლი. წადი-მეთქი.

პიტერი (ნენსის). შენს სამსახურში მიგულე, შავდრუნჩავ, მუდამ მზადა ვარ ნებისმიერ დროს ამოგიწვა ეგ ჩლიქები, თანაც ორმოცდაათიანი ქაღალდისთვის კი არა, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის. (აიღებს ორივე ჩემოდანს, აიღებს კარს, ზღურბლზე შედგება და თემფლს მოუბრუნდება.) აქვე ვიქნები, თუ გადაწყვეტილებას შეიცვლი.

გადის, მაგრამ, როგორც კი კარი იხურება, ნენსი ეძახის.

ნენსი. მოიცათ!

პიტერი შედგება და კარს შემოაღებს.

თემფლი (სწრაფად პიტერს). ღვთის გულისათვის, წადი.

პიტერი გადის და კარს მოხურავს. ნენსი და თემფლი ერთმანეთს მისჩერებიან.

ნენსი. სულ ტყუილად გადავმალე ფული და ბრილიანტები. მინდოდა შემეჩერებინეთ, მაგრამ სჯობდა კი მისთვის მიმეცა, ულაპარაკოდ რომ წასულიყო ჩიკაგოში. ერთი შეხედვითაც მიხვდება კაცი, ვინაც ბრძანდება.

თემფლი. მაშ შენ მოიპარე? თუმცა ეს არაფერს არ ცვლის. ქურდო!

ნენსი. ვინ არის ქურდი, მე თუ თქვენ? განა ეს ბრილიანტები თქვენი ნაყიდია. ან ფული? თან გამოუსწორებელი მატყუარაც ხართ. ორი ათასი დოლარი იყო, მითხარით კი, ორასიო, ხოლო მას —

ორმოცდაათით. იმიტომაც იყო, ისე არ გაბრაზდა. თუმცა რა! ორი ათასიც რომ დაკარგულიყო, არც ამაზე შეწუხდებოდა დიდად. მისთვის სულ ერთი არ არის, გაქვთ თუ არა ფული, რაკი თავად უნებებით მანქანაში? კარგად იცის, საკმარისია ცოტა მოიცადოს, მერე კი ძალა დაგატანოთ, რომ ფულსაც უშოვნით, რამდენიც უნდა, დასრულდეს საქმე. ქმრისგან იქნება თუ მამისგან. ეს კარგად იცის მსგავსად!

თემფლი უეცრად მიუახლოვდება ნენსის და სილას გააწნის. ნენსი უკან გახტება და ამ მოძრაობისას პალტოს ჯიბიდან ფული და ძვირფასეულობა გადმოუცვივა. თემფლი შედგება და ფულსა და ძვირფასეულობას დააცქერდება. ნენსი განაგრძობს:

აბა, ეს თქვენი საზიზღარი ფული. ეგაა, რომ ღუბავს ყველაფერს. როცა ცოლი ბრილიანტებშია ჩამჯდარი, ქმარს კი ჯიბეში ორი ათასი დოლარი უდევს წვრილმან ხარჯებზე, რა გასაკვირია, რომ შანტაჟისტები გამოუჩნდეთ და თაღლითები ისე დაესიონ, როგორც ბუზები ლემს. ეგ სიფათლამაზა ბიჭიც თაღლითია. გინდაც მცემოთ, მაინც გეტყვით, რომ თაღლითია. პირველად არ მინახავს მე თაღლითი და არც თქვენ... ტყუილად იკატუნებთ თავს, თითქოს ყველაფერი დაივიწყეთ. არა, არ დაგვიწყებიათ. მისთანებს ხელად გამოვიცნობ სოლმე. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ეგ კონტაპრუწა გველივით ღრძობა, ჯოჯოხეთის მოციქული. ოჰ, რომ შემეძლოს ამ თქვენი დამბალი ფულის მიცემა, ოღონდაც აქაურობას გაეცალოს...

თემფლი. აბა, სცადე! ნახავ, რაც მოგივა!

ნენსი. ვიცი, ვიცი. აქ მთავარი წერილები არაა! ლალ ცხოვრებას გინდათ დაუბრუნდეთ, ისეთი ვინმე გინდათ, ვინც ძალას იხმარს, სხვა არაფერი — წუმბეში ყოფნა გწადიათ, დიას, წუმბეში! იგი ძვალრბილში გააჯდომიათ, რაკილა ისეთი წერილების წერა შეგძლებიათ, რვა წლის შემდეგაც რომ შეუძლია თქვენთვის ამდენი მწუხარებისა და უბედურების მოტანა!

თემფლი. როდის აქეთ მითვალთვალე ჯაშუშივით?

ნენსი. თავიდანვე! თქვენ არც ფული გჭირდებათ და არც ძვირფასეულობა ამ წერილების დასაბრუნებლად. ქალს ეს არ ესაჭიროება! საკმარისია მხოლოდ მისი ქალობა, მამაკაცისგან რომ ყველაფერი მიიღოს, რასაც ისურვებს. ეს ჩვენ კარგად ვიცით. ამის გაკეთება კი ყოველად მარტივად შეგეძლოთ. თქვენსავე სახლში, არც გჭირდებოდაო სადღაც ქმრის გაგზავნა სათევზაოდ. მეფისში აკი ყველაფერი გასწავლეს; და თუკი მოინდომებდით ამ ცოდნის გამოყენებას, მერწმუნეთ, საკუთარ შვილებთან დარჩებოდით. თუკი მოინდომებდით...

თემფლი. შესანიშნავად ქადაგებ ზნეობაზე მეძავის - პირობაზე! ოღონდ შენგან განსხვავებით მე ვერ ვიკახებ ჩემი ქმრის სახლში!

ნენსი. მე არ მადარდებს არც თქვენი ქმარი და არც თქვენ მადარდებთ. მე იმ ორ პატარა ბავშვზე ვფიქრობ.

თემფლი. მეც ასევე! როგორ გგონია, რატომ გავგზავნი ბიუკი ბებიასთან? მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარ შვილებზე ვზრუნავ, მინდოდა მშვიდად წასულიყო იმ სახლიდან. სადაც ადამიანს, ვისაც მამას ეძახდა, ყოველ წუთს შეიძლება მოპრიანებოდა მისთვის ეთქვა გულის მომკვლელი სიტყვები: შენ ჩემი შვილი არ ხარო. თუკი ჯაშუშივით დამსდევდი, ისიც უნდა გაგეგონა, როგორ მითხრა ეს...

ნენსი (აწყვეტინებს). დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გავიგონე! თქვენი სიტყვებიც მესმოდა, როგორ იმართლებდით თავს... ბრაზობდით... თავს იცავდით. ეწინააღმდეგებოდით! არა საკუთარ თავს, არამედ ბავშვის გულისთვის! ახლა კი ყველა გინდათ მივაგლო და ჩველას მიაფურთხოთ.



ერეკუნული

თემფლი. მივაგლო?

ნენსი. დიას. თქვენ ხომ ბიუკის ნახვას ვერასოდეს უწყობდით, ეს კარგად იცით. აბა მითხარით, მართალია თუ არა?

თემფლი არ პასუხობს.

აი ასე „მოგვარდება“ ბიუკის ცხოვრება! გოგონას ვიღას უტოვებთ?

თემფლი. ვის უნდა დავუტოვო? ჯერ ექვსი თვისაა. მე ის თან მიმყავს.

ნენსი. რა თქმა უნდა, ვერავის დაუტოვებთ. ვერავის, გინდაც მე! მაგრამ ექვსი თვის ბავშვს სამოგზაუროდ ვერ წაიყვანთ! სწორედ ეს მინდა გითხრათ. გამოდის, რომ მასაც ტოვებთ, აკვანში ტოვებთ! ცოტას წაიტირებს, მაგრამ გულმშვიდად ბრძანდებოდეთ, იმდენად პატარაა, სმამაღლა ვერ იტირებს. ვერავინ გაიგებს, ვერავინ უშველის, — სახლი ხომ ერთი კვირით გამოკეტილი იქნება ბატონი გოუენის დაბრუნებამდე, მანამ კი ყველაფერი მოგვარდება, ბავშვი ტირილს შეწყვეტს და თქვენც ბოლოს და ბოლოს შეგეძლებათ გართობა.

თემფლი. პალტო მომაწოდე!

ნენსი (სავარძლიდან პალტოს იღებს და აწვდის). მაგრამ უფრო ხელსაყრელია მისი თან წაყვანა, გასაგებია რატომაც, რათა კიდევ გამოსძალოთ ფული ბატონ გოუენსაც და საკუთარ მამასაც. მერწმუნეთ, ეს უფრო ჭკვიანურია... მაგრამ თუკი თქვენი მეგობარი გადაწყვიტს, რომ ფულს არც ისე სწრაფად აწვდიან, გარეთ გამოგაპანდურებთ თქვენს პაწიასთან ერთად. მაშინ ხომ შეიძლება ვითომ დაგრჩეთ პაწია ვიღაცის კარის ზღურბლზე და თავი გაინთავისუფლოთ? მერე სხვა გზა არ გექნებათ, გარდა იმისა, რომ თავშესაფარი ისევ მემფისის საროსკიპოში ეძიოთ.

თემფლი შეკრთება, მაგრამ უმაღ თავს მოერევა.

ამარტყით! პო, ამარტყით! ან იმ ნაძირალას დაუძახეთ, მანქანაში რომ გელოდებათ, ფეხისგულები რომ სიგარეტით ამომიწვას. უკვე გითხარით თქვენც და მასაც, რომ სწორედ ამისთვის მოვედი. აჰა! (ფებს აწევს.) მე ყველაფერი გამოვცადე და ამასაც გავუძლებ!

თემფლი. უკანასკნელად გეუბნები, გაჩუმდი-მეთქი!

ნენსი. გავჩუმდები. (დგას გაუნძრევლად, თემფლს არ უყურებს. ოდნავ ეცვლება კილო და შესტები, მაგრამ მაშინვე ნათელი ხდება, რომ თემფლს აღარ მიმართავს.) მე ვცადე, ვცადე ყველაფერი, რაც კი შემიძლო. თქვენ ხომ ხედავთ!

თემფლი. არც არავინ გეკამათება. შენ დამემუქრე ჩემი შვილებით, ჩემი ქმრითაც. ფულიც კი მომპარე, გასაქცევად გამზადებული! პო, ვერავინ იტყვის, რომ არ სცადე ჩემი შეჩერება. აკრიფე ფული!

ნენსი. აკი თქვით, არ მჭირდებაო!

თემფლი. არა, არ მჭირდება. აკრიფე-მეთქი.

ნენსი. არც მე მჭირდება.

თემფლი. სულ ერთია, მაინც აკრიფე! შეგიძლია აქედან შემდეგი კვირის გასამრჯელოც აიღო.

ნენსი დაიხრება, ფულს აკრეფს, ძვირფასეულობას კორფში ჩააწყობს. ყველაფერს მაგიდაზე დადებს.

ნენსი!

ნენსი თავს აწევს და შეხედავს.

ძალზე ვწუხვარ... მინდა გითხრა, ძალზე მწყინს, რომ გაგარტყი, შენ ყოველთვის კარგი და კეთილი იყავ ჩემი შვილებისა და ჩემ მიმართაც. ცხოვრებას დიდხანს მიმსუბუქებდი. ცდილობდი ქმართან დაგეახლოვებინე, თუმცა ვინც კი ჩვენი ამბავი იცოდა, ყველა იტყოდა, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო.

ნენსი. არა, მე ასე არა მგონია. ისე კი რად უნდა ვინაღვლო თქვენს ცოლ-ქმრულ ურთიერთობაზე, წესიერებაზე, თქვენზე ან ჩემზე. თუმცა თქვენი დიდად მაღლიერი ვარ, რომ სახლში წამიყვანეთ, რომ მელაპარაკებოდით...

თემფლი. ამას ნუ ამბობ, ნენსი. მე შენთან თავს კარგად ვგრძნობდი.

ნენსი. მაგრამ ყველაფერზე მთავარი ის თქვენი ორი შვილია.

თემფლი. გიკრძალავ მათ ხსენებას.

ნენსი. დაიცავ, კიდევ ერთხელ მინდა გკითხოთ: მართლა ამას აპირებთ?

თემფლი. სხვანაირად არ შემიძლია.

ნენსი. ხომ იცით, ერთი უბირი ქალი ვარ. ამიტომ გარკვევით მითხარით, ისე, რომ გავიგო, მითხარით: ჰო, ამას ვაპირებო.

თემფლი. შენ სწორად გაიგე. ჰო, ამას ვაპირებ!

ნენსი. ფულით თუ უფულოდ?

თემფლი. ფულით თუ უფულოდ.

ნენსი. თუნდაც შვილებს სიავე გაუკეთოთ?

თემფლი არ პასუხობს.

თქვენი ქმარი უკვე ეჭვობს, ბიუჯეტი რამე შეიძლება არ არის. თუ წახვალთ, ამაში დარწმუნდება და ბიჭს შეიძულდება. იგი შავ დღეში ჩავარდება. ან გოგოზე არ ფიქრობთ? არამზადას ხელში რომ მოხვდება, რომელიც ამას გამოიყენებს და ოჯახს დააშანტაჟებს; ჰოდა, როცა ყველაფერს გამოსძალავს, ბავშვს ქურაში გააგდება. გინდათ ბავშვები გაიტანჯონ? ან დაიხოცონ? გინდათ ჩვენებრ განიცადონ სირცხვილის გრძნობა, როგორც მე და თქვენ? განა არ იცით, რაც არის სირცხვილი? ნუთუ არც ეცდებით მისგან დაიცვათ თქვენივე პატარები? ჩემზე კიდევ უფრო უარესი ვინმე ყოფილხართ; თუმცა, ღმერთმანი, მეგონა, რომ ჩემზე უარესი არავინ იყო ქვეყნად. არა, თქვენ ის არ იცით, რაც ჩემისთანა ბილწმა ქალმაც კი იცის, არ იცით, რომ ბავშვები არ უნდა გატანჯოს არც სირცხვილმა და არც შიშმა. მხოლოდ ამისგან უნდა დაიცვათ ისინი. ისინიც და სხვებიც, ვისი დაცვაც შეგიძლიათ. თუნდაც ერთის მაინც, თუკი სხვებისა არა, მაგრამ მისთვის კი ყველაფერი უნდა შეიძლოს. თქვენ კი... თქვენ ორივეს მიტოვებას აპირებთ, იმ წუბპეში აგდებთ, ჩვენ რომ ასე კარგად ვიცნობთ — თქვენ და მე. ორივეს ღუპავთ. ნუთუ ერთის გადარჩენასაც არ ეცდებით?

ერთმანეთს თვალს არ აშორებენ.

ნუთუ არ გრცხვენიათ, ასე რომ იქცევით? მითხარით!

თემფლი უყურებს. ისმის მანქანის მოუთმენელი პიპინი.

თემფლი. სწორედაც ასეც მოვიქცევი, მიუხედავად ბავშვებისა! ახლა კი გაეთრიე! (სწრაფად მიდის მაგიდასთან, იღებს ორ-სამ ბანკნოტს და ნენსის გაუწვდის. დარჩენილ ფულს აკრეფს, მაგიდადან ჩანთას აიღებს და გახსნის. ნენსი მშვიდად გაივლის ოთახს, ბავშვების ოთახისკენ მიდის, ერთ ხელში ღია ჩანთით და მეორეში ფულით. თემფლი თვალს გააყოლებს). სად მიდიხარ?

ნენსი (შეუჩერებლივ.) ბავშვს დავხედავ, ხომ არ ვჭირდები. (პერე შედგება, თემფლს მიუბრუნდება და ისე უცნაურად შეხედავს, ჩანთაში ფულის ჩადების ნაცვლად თემფლი გაირინდება და ნენსის მიაჩერდება. ნენსი წელანდელი კილოთი ამბობს, თუმცა რას ნიშნავდა მისი სიტყვები, მოგვიანებით ხდება ნათელი.) მე ყველაფერი ვცადე, ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემიძლო, განა არ ნახეთ?

თემფლი (ბრძანების კილოთი). კმარა, გაჩუმდი!

ნენსი (მშვიდად). კეთილი. ვჩუმდები.

იგი შედის ბავშვების ოთახში. თემფლი ფულს ჩანთაში ინახავს, კეტავს და მაგიდაზე დებს. შემდეგ ჩემოდანს მიუბრუნდება, ძვირფასეულობით სავსე კოლოფს ჩემოდანში ჩადებს და კეტავს. ნენსი ოთახის ზღურბლს გადააბიჯებს და მოპირდაპირე კარისკენ მიემართება. თემფლი თვალს გააყოლებს.

თემფლი. ნენსი!

ნენსი შედგება, მაგრამ არ მობრუნდება.

ჩემზე ცუდად ნუ იფიქრებ! შენ ისევ ჩემი და ხარ.

ნენსი დგას, ერთ წერტილს მიმტერებული, თუმცა ვერაფერს ხედავს.

თუკი ოდესმე ეს საქმე ამოტივტივდა, მე ვიტყვი, რომ შენ ყველაფერი იღონე, რაც შეგიძლო, ყველა ღონე იხმარე. მართალი ხარ: საქმე წერილებში არაა, საქმე ჩემშია! პასუხს მხოლოდ მე ვაგებ!

ნენსი კარისკენ მიდის.

მშვიდობით, ჩემო ძვირფასო!

ნენსი კარს უახლოვდება.

გასაღები შენ გაქვს. ფულს დაგიტოვებ, აი, აქ, მაგიდაზე. შეგიძლია აიღო...

ნენსი გადის.

ნენსი!

პასუხი არ ისმის. თემფლი ერთხანს კარს უყურებს, შემდეგ პრეს-პაპიეს ქვეშ ფულს ამოღებს, ნენსის რომ უტოვებს, მაგიდიდან პატარა საბანს იღებს და ბავშვების ოთახისკენ მიდის, საიდანაც მისი გულშემზარავი კივილი ისმის. ნენსი ისევ შემოდის ოთახში. შუქი აციმციმდება და ნელ-ნელა ქრება. სიბნელეში დიდხანს ისმის თემფლის კივილი.

მეექვსე სურათი

12 მარტი, 3 საათი და 9 წუთი. გუბერნატორის კაბინეტი. სტივენსი მუხლმოყრილი თემფლის წინ დგას.

გოუენი ახლა გუბერნატორის ადგილზეა, თუმცა თემფლმა არ იცის, გუბერნატორი რომ წასულია.

თემფლი (მუხლმოყრილი სიბნელეში ლაპარაკობს). ეს არის და ეს. მოვიდა პოლიცია. ნენსი ბნელ სამხარეულოში იჯდა და მოთქვამდა: „დიახ, უფალო, ეს მე ჩავიდინე, უფალო.“ მე მის გვერდით ვიჯდები; მე ვიდექი, ის იჯდა; და იმ ღამეს ორივე უსიტყვოდ ქრწინდნენ. ტკივილისა და სასოწარკვეთილებისაგან, მარტოსულნი და სასოწარკვეთნი დაკარგულნი. მერე ის გავაკეთე, რაც მიბრძანა. პოლიციას დავურეკე. მოვიდნენ. „ეს მე ჩავიდინე“, — უთხრა ნენსიმ მათ. მაშინ გადაწყვიტე ხმა არ ამომეღო და აქამდე არც ამომიღია.

ინთება შუქი. ფარდა ნელ-ნელა ადის ზემოთ.

ნენსი წაიყვანეს. ისე წავიდა, არც შეძომხედა. და საკანშიც სულ ამას იმეორებდა: „ეს მე ჩავიდინე, მე ჩავიდინე“. დიახ, ეს მან ჩავიდინა. მაგრამ სინამდვილეში ვინაა მკვლეელი, თუ არა მე? ჩემ ნაცვლად კი ის უნდა მოკვდეს!

სტივენსი დაიხრება, მხარზე ხელს შეახებს, სთხოვს ადექიო. ქალი თავაუღებლად ეწინააღმდეგება.

სტივენსი. ადექით, თემფლი!

უნდა შეეშველოს, მაგრამ ქალი მის ხელს მოიშორებს და თავად დგება.

თემფლი. ახლა უკვე მალე მოხდება ყველაფერი, არა, ძია გევინი? (თავს არ აბრუნებს, ჰკონია, რომ გუბერნატორს ელაპარაკება). ახლა ხომ გადაარჩენთ მას? მიპასუხეთ! მითხარით პასუხი! ერთი სიტყვით მაინც! (მობრუნდება და, გოუენს რომ დაინახავს გუბერნატორის ადგილზე. გარინდებული ადგილზე გაშეშდება).

გოუენი. რა საძაგლობაა!

თემფლი (სტივენსს). ყოველთვის რატომ ცრუობთ, ძია სტივენს? რა გაიძულებთ ამას? ნუთუ ის სამართლიანობა, რაზედაც ასე ღამაში სიტყვებით ლაპარაკობთ? თუმცა რატომაც არ უნდა იცრუოთ? პირველმა ხომ მე ვიცრუე? (გოუენს.) რა საჭირო იყო დამალვა. შენი თანდასწრებითაც ვიტყვოდი.

გოუენი. უფრო ადრე უნდა დავმალოდით ერთმანეთს, რვა წლის წინათაც. და გუბერნატორის კაბინეტში კი არა, სადღაც მიტოვებული მალაროების ჭებში, ქვეყნიერების სხვადასხვა კიდეზე. (სტივენსს.) დაკმაყოფილდით, არა? ყველაფერი ხომ თქვენი სურვილის მიხედვით წარიმართა. როგორ თქვით? ჰო, ჭეშმარიტებაო. (თემფლს უცქერის.) რა მშვენიერია არა ეს ჭეშმარიტება!

სტივენსი. ამჯერად გირჩევ გაჩუმდე.

გოუენი. სხვათა შორის, ამ ჭეშმარიტების ხათრით გთხოვთ მითხრათ, სად არის წერილები? ის არამზადა ახლა ეცდება ალბათ მე მომყიდოს ისინი. მაგრამ არ გამოუვა. ამ ნავგისთვის ბევრს არ გავიღებ. (საწერ მაგიდას შემოუვლის და იმ კარისკენ მიდის, საიდანაც შემოვიდა.)

სტივენსი. წერილები მე მაქვს.

თემფლი განცვიფრებული შეხედავს. გოუენი შეჩერდება.

ხომ ვახსოვთ, თემფლი, წერილები მაგიდაზე ეწყო. ნენსიმ აიღო ისინი და მოგვიანებით მე მომიცა.

გოუენი მწარედ, უნდილად იცინის.

ბოუენი. მამ ყველაფერი წესრიგში ყოფილა. ცოდვილმა დანაშაული აღიარა, შანტაჟისტმა მარცხი განიცადა — ყველაფერი შესანიშნავად მოგვარდა. მართალია, ბავშვი გიჟს მივანდეთ, მან კი რი სიცოცხლეს გამოასალმა, რაკი ეგონა, ამით ყველაფერი მოგვარდებაო. რას იზამ, იმ იდიოტ დედაკაცს თავისებური ლოგიკა ჰქონდა — მან ერთი ბავშვის გადასარჩენად მეორე ბავშვი გასწირა. ნაფი არ ღირს ის სიამოვნება, რასაც ცხოვრება განიჭებს იმ ქალთან ყოფნით, ვისაც ნეტარება მხოლოდ შანტაჟისტის ლოგინში შეუძლია იგემოს. ერთი სიტყვით, მადლობა უფალს; მადლობა იმ წმინდან ნენსის, ვინც გადაწყვიტა ჩემი შვილი მხოლოდ იმიტომ მოეკლა, რომ აღვფრთოვანებულიყავ ჩემი ცოლის სათნოებით და პატიოსნებით. (ისევ მწარედ იცინის.)

თემფლი ჩამოჯდება და წელში გამართული, მზერაგაყინული სივრცეს უაზროდ მიაჩერდება.

მართლაც ყველაფერი დიდებულად მოგვარდა; ყველაფერი დიდებულად, ბატონებო.

სტივენსი. კიდევ რაღაც დარჩა მოსაგვარებელი.

ბოუენი. ვაშა! ნუთუ სერი ჯერ არ დასრულებულა? კიდევ ვინ უნდა მოკვდეს ჩვენს სასეიროდ?

სტივენსი. ნენსი!

ბოუენი. ნენსი? ჰო, რა თქმა უნდა. მართალია, მას ჩამოახრჩობენ; იმედია, მისი კისრის ძალები ტკაცუნს გაადენენ! კარგია, რომ ორი კახიდან ერთი მაინც მიიღებს დამსახურებულს. კარგი პროპორციაა. ამაზე მეტს ვერაფერს შესთხოვ ჩვენს გულმოწყალე ღმერთს. (სიძულვილითა და ნალველით უყურებს თემფლს.) ჰო, მართლა: ერთი საქმეა კიდევ მოსაგვარებელი. მინდა გავიგო, ნეტა რა წერია იმ განთქმულ წერილებში. რაკილა აღსარების თქმა გადავწყვიტეთ, უნდა გამოგიტყდეთ, თემფლმა სისხლი ამიჩქროლა, როცა მათზე ყვებოდა. ვფიქრობ, ფრიად ამაღელვებელი წვრილმანები იქნებოდა შიგ. ჩვენი მხიარული ქორწინებისას მე სულ სხვა ენაზე მელაპარაკებოდა, წარმოიდგინეთ, ფრიად წესიერით; შეიძლება ითქვას, ცერემონიულადაც. თუკი შეიძლება ცერემონიის დაცვა იმ წუთებში, როცა ბავშვებს აჩენენ.

სტივენსი. გაჩუმდი, გოუენ!

ბოუენი. მე კი, ბუნებრივია, მეგონა, ეს მისი აღზრდის შედეგია — მეთქი. ორ სკოლაში — კოლეჯსა და ბორდელში. და იმდენად ცდილობდა დაევიწყებინა მეორე სკოლა, სულ მუდამ პირველის ხსენებაში იყო. ჩემთან გამოცდას ახარებდა, სხვასთან კი... (სტივენსის ვესტს ამჩნევს). კარგით, ძვირფასო მეტრ, დამშვიდდით! მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, სამწუხაროა, ასე რომ მოხდა. მემფისში ჩემ გამო ამოყო თავი და ამისთვის საკადრისი სასჯელიც მივიღე — ახლა ვიძკი მისი ბრწყინვალე მრავალმხრივი განათლების ნაყოფს.

სტივენსი. გოუენ, გცემ, თუ არ შეწყვეტ!

ბოუენი. არა, არ შევწყვეტ. ჩემთან მხოლოდ წესიერების განსახიერება იყო; მხოლოდ ჩემთან! (უეცრად ქვითინი წასკდება... თემფლს მიუბრუნდება). სხვებთან კი კახა... (სტივენსი მიეჭრება. გოუენი შეაჩერებს და ხელებს გაუკავებს). თავს ნუ დაიღლით, გევიჩნ! (ხელს ჰკრავს.) რვა წლის თავშეკავების შემდეგ გამბედაობა და ძალა დამიბ-

რუნდა. ახლა ვისარგებლებ ამით, რათა ჩემი ცხოვრება ყოველგვარი სიბინძურისგან გავწმინდო. (უყურებს მათ და მოგუდული ხმით ამბობს.) ორივე მძულხართ. (გესლიანად ჩაიციინებს და თემფლს ვუბნება.) მშვიდობით, ტურფავ.

სტივინსი. პირველ ყოვლისა ეგ შენი ამარზუნე და შემფხვე რეობა მოთოკე.

გოშენი. აბა როგორ? რა თქმა უნდა! (კარისკენ მიდის.)

თემფლი (უეცრად წამოსტება). სად მიდიხარ?

გოშენი. რომ მაგრად გამოვთვრე. თუკი არ გადავეჩვიე ამ რვა წლის მანძილზე. იქნებ სხვა რამ შემომთავაზო?

სტივინსი. ბიუკი სადაა?

გოშენი. აჰ, ის, ვინც ცოცხალი დარჩა? თქვენს სახლშია, თქვენს მეუღლესთან. რა, საშიში ხომ არაა? თქვენი მეუღლეც ხოცავს ბავშვებს? (მტკიცე ნაბიჯებით მიდის კარისკენ.)

თემფლი. გოუენ! არ მიმატოვო!

გოუენი არ პასუხობს, ისე გადის.

ოო, ღმერთო ჩემო!

სტივინსი. წავიდეთ.

თემფლი (არ ინძრევა). ხვალ, ხვალ, და კიდევ ხვალ.

სტივინსი. ჰო, ხვალ ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყოს. ხვალ კვლავ დაამტვრევს მანქანას და უნდა აპატიოთ, აპატიოთ კიდევ რვა წელი, ვიდრე კიდევ კვლავ რამეს არ დაამსხვრევს (ხელს ჩაჰკიდებს ქალს). წავიდეთ, თემფლ, უკვე გვიანაა.

თემფლი (წინააღმდეგობას უწევს). გუბერნატორმა რა თქვა?

სტივინსი. მან თქვა, არაო.

თემფლი. ასე რატომ თქვა?

სტივინსი. მას შეწყალების უფლება არ აქვს.

თემფლი. უფლება არ აქვს? შტატის გუბერნატორს? კაცს, ვისაც კანონი სრულ უფლებას აძლევს შეიწყალოს ან გადაავადოს დასჯა?

სტივინსი. ეს რომ მართლმართლმსაჯულებაზე იყოს დამოკიდებული, მეც შევძლებდი სასამართლოში მის დაცვას, როგორც შეურაცხადს, და ხრ გაიძულებდით აქ მოსვლას.

თემფლი. არა მართლ მე, გოუენიც აიძულეთ, თუმცა ვერ გამიგია, როგორ მოახერხეთ. (შეჩერდება.) აი თურმე რატომ გაფუჭდა ჩვენი მანქანა და საბურავის გამოსაცვლელად მოგვიხდა გაჩერება. თქვენ მას დაურეკეთ და ისიც მოვიდა... სულ ამაოდ კი. სიმართლისთვისო, სამართლიანობისთვისო... ამაოდ, სულ ამაოდ კი. ნენსი მაინც უნდა მოკვდეს.

სტივინსი. გუბერნატორს მართლმსაჯულებაზე არ ულაპარაკია. მან ილაპარაკა ბიჭუნაზე და მის მომავალზე, თუკი თქვენ და გოუენი მასთან დარჩებით. ნენსიმ ყველაფერი გასწირა მის გადასარჩენად, უკიდურესი გზა გამოიძებნა, როგორც შეეძლო. ახლა იგი თავმოჭრილი და განწირულია.

თემფლი. მე ყველაფერზე ხელი ავიღე, ყველაფერი მივატოვე — ოჯახი, შვილები. არ გითხრათ ნენსიმ?

სტივინსი. ნენსიმ ყველა ღონე იხმარა, რა რომ ისინი არასოდეს მიგეტოვებინათ. ამას იგი პარასკევ დილას დაამტკიცებს.

თემფლი. პარასკევსო? ოო, ეს საშინელი დღე, გვეინ! უბედური დღე! პარასკევს არავინ მიემგზავრება! მხოლოდ უკანასკნელ გზას თუ გაუყვება ადამიანი! ოპ, რომ შეეწყალებინათ, ყველაფერი დასრულდებოდა. გოუენს თავისუფლად შეეძლო ჩემი ქუჩაში გადღება და მეც აქაურობას გავეცლებოდი, მაგრამ ყველაფერი დასრულდა! ახლა უკვე გვიანაა. არადა, ცხოვრება უნდა გაგრძელდეს — ხვალსაც შეგვხვება და ასე მუდამ...

სტიპენსი. წავიდეთ, თემფლ, წავიდეთ...

თემფლი (უძალიანდება). ზუსტად მითხარით, რა გიპასუხათ. დღეს არაფერი უთქვამს, ვიცი...

სტიპენსი. მან ერთი კვირის წინ მაცნობა...

თემფლი. იმ დღეს, როცა დეპეშა გამომიგზავნეთ? რა გითხრათ?

სტიპენსი. მითხრა, რომ ის მწირი ძალაუფლება, მას რომ ხელთ აქვს, ვერაფერს შეცვლის, რომ ვერ შეძლებს შეცვალოს ის, რაც ნენსიმ თავისი საზარელი საქციელით, თავისი გაუბედურებული და განადგურებული ცხოვრებით დაიმსახურა, რომელიც არცთუ ისე დიდად ფასობდა.

თემფლი (დაბნეული). მაგრამ ის ხომ ასეთი კეთილი და მოყვარულია. გამოდის, რომ მე აქ ლამის ორ საათზე მის გადასარჩენად კი არ მოვედი, არამედ აღსარება მეუქვა ჩემი ქმრისთვის ორი უცხო მამაკაცის დასწრებით; მელიარებიანა ის, რასაც წლების მანძილზე გულში ვატარებდი და ვცდილობდი მას არ გაეგო. აქ მხოლოდ იმისთვის მომიყვანეთ, რომ გავტანჯულიყავ?

სტიპენსი. პო, ამისთვის, თემფლ. და უნდა მაპატიოთ, აქ რომ მოგიყვანეთ. მაგრამ ასე იმიტომ მოვიქეცი, ნენსი მარტოდმარტო არ დარჩენილიყო. დე მისმა უგუნურმა საქციელმა სიკეთე მოიტანოს, დე იმ ქვეყნიდან დაიფაროს, გადაარჩინოს პატარა ბიუკი იმისაგან, რაც ემუქრება. აი რისთვის მოხვედით აქ.

თემფლი. კარგი. ვთქვათ, ასეც გავაკეთე. ახლა შეგვიძლია შინ დავბრუნდეთ?

სტიპენსი. დიას. ოღონდ ჯერ ნენსი ვინახულოთ:

თემფლი. ჩვენ მივალთ მასთან და ვეტყვით, რომ ჩამოახრჩობენ?

სტიპენსი. მას არც სურს შეწყალება. თუმცა შეიძლება უნებურად იმედი ჰქონდეს.

თემფლი. ჩვენ მივალთ მასთან. უთუოდ მივალთ. (ბარბაც-ბარბაცით და ბორძიკით გასასვლელი კარისკენ მიდის. სტივენსი ცდილობს დაეხმაროს. მაგრამ იგი ხელს ითავისუფლებს და მიდის. არავის მიმართავს, თითქოს სიზმარშიაო, ისე ლაპარაკობს.) ჩვენ ნენსისთან მივალთ ჩემი სულის გადასარჩენად... თუკი მაქვს იგი... თუკი არს ღმერთი, რომ იგი გადაარჩინოს... თუკი ინებებს მის გადარჩენას...

მეშვიდე სურათი

თორმეტი მარტი, 10 საათი და 30 წუთი.

ციხე. პირველ სართულზე მნახველთა დარბაზია, მარცხნივ კარი, მძიმეურდულიანი, ციხის კანცელარიაში რომ გადის. სიღრმეში ერთადერთი მსხვილი გისოსებიანი ფანჯარაა ქუჩაში გამავალი. მზიანი დილაა. გარედან ღრჭიალით იღება კარი მარჯვენა მხარეს. შემოდის სტივენ-

სი ციხის ზედამხედველის თანხლებით. სტივენსი ისეა ჩაცმული, როგორც მეექვსე სურათში. ზედამხედველს პიჯაკი არ აცვია, უსაყულო პერანგის ამარაა. მუხლის ქვემოთ ფეხზე უზარმაზარი გასაღებების ასხმა ჰკიდია რკინის რგოლზე, როგორც ფერმერებს — ფარანი. შემოდის და კარს კეტავს. სტივენსი ზღურბლს გადმოაბიჯებს და ფარანს შედგება. ზედამხედველი კარს ჩაკეტავს.

მ-რ ტაბსი. ესეც ასე! ახლა პატიმარს მოვიყვან.

სტივენსი. არა, დაიცადეთ, სანამ მისტერ გოუენ სტივენსი მოვიდოდეს. განკარგულება გაეცით?

მ-რ ტაბსი. დიას. ჩემი მეუღლე მოაცილებს. შემიძლია კანცელარიაშიც დაველოდო.

სტივენსი. არაა საჭირო. მითხარით, პატიმარი როგორ არის?

მ-რ ტაბსი. წყნარადაა. პორჩილად: „დიას, მისტერ“, „არა, მისტერ“. რას წარმოიდგენს კაცი, თუ ამ შავდრუნჩას, ამ გათახსირებულს შეეძლო მოკვლა...

სტივენსი. უთხარით, რომ უნდა მოვსულიყავით?

მ-რ ტაბსი. არა. მგონი, ემზადება...

სტივენსი. ემზადება?

მ-რ ტაბსი. ხვალ დილას გაასაღებენ. ჰოდა, თავი წესრიგში მოკვავს. ხანმოკლე ოპერაცია გასლავთ, მაგრამ ხანგრძლივ დაფიქრებას მოითხოვს. ერთი სიტყვით, ემზადება. მღვდელი მოითხოვა.

სტივენსი. ხომ არაფერი უთქვამს შეწყალებაზე?

მ-რ ტაბსი. შეწყალებაზე? ვერა გუბერნატორი ვერ გაბედავს მკვლელის შეწყალებას, რომელმაც ბავშვი მოახრჩო. ჩვენს თანამოქალაქეებს სამართლიანობა უყვართ. ციხეს გადაწვავენ. თქვენ ხომ ამ კვირაში ყოველ საღამოს ნახულობდით. რაიმე სათქმელი რომ ჰქონოდა, ადვოკატს მიმართავდა და არა ციხის ზედამხედველს. (ცნობისმოყვარეობით უყურებს სტივენსს.) მართალია, მეტრ, რომ გუშინწინ იმ შავდრუნჩა პატიმრებთან ერთად მღეროდით?

სტივენსი. მართალია.

მ-რ ტაბსი. თქვენ რა, სიმღერა გიყვართ?

სტივენსი. არა, მაგრამ სიმღერა მეხმარება.

მ-რ ტაბსი. ეს კარგია, მეტრ. ჩვენი კონსტიტუცია გვარწმუნებს, რომ ჩვენ ყველანი თავისუფლები ვართ. როგორც ჩანს, შავკანიანებიც საჭიროებენ დახმარებას, ყოველ საღამოს მღერიან და მღერიან. ციხე კი არა, ნამდვილი საოპერო კლასია. თანაც ყველა ბარიტონია. რაღაც მონოტონურად კი გამოსდით. არ ვიცი, ჩვენი გემოვნება ემთხვევა თუ არა, მეტრ, მაგრამ მე ბასები უფრო მომწონს. იქნებ ვთხოვოთ შერიფს რომელიმე ბასი დააპატიმროს გუნდის შესავსებად, თქვენც ბარიტონი გაქვთ, მეტრ?

სტივენსი. დიას.

მ-რ ტაბსი. სამწუხაროა! თქვენზე ასე ამბობენ, კარგი თეთრია. მღერისო. ცუდი თეთრკანიანები, ეტყობა, არასოდეს მღერიან. ზანგები თავისებურად სჯიან, არა, მეტრ? რა თქმა უნდა, მიზეზიც აქვთ თქვენი მადლიერი იყვნენ. იმ ზანგის ქალს არა მარტო სასამართლოსგან, თქვენი ახლობლებისგანაც იცავდით. მით უმეტეს, რომ ზანგის

ქალმა თქვენი ძმისშვილისშვილი მოკლა. იშვიათზე იშვიათი შემთხვევაა და მეც...

სტივენსი. აქ მხოლოდ ზანგები გყავთ?

მ-რ ტაბსი. თითქმის. ამას ქუჩიდანაც შეამჩნევთ, როცა მათ სე-
ლებს დაინახავთ.

სტივენსი. ხელებს?

მ-რ ტაბსი. დიას. ვისოსებს შორის. თავად არ ჩანან, მაგრამ შავი ხელები კი მოუჩანთ, ეს ხელები არ აკაკუნებენ, არ ინძრებიან, უბრალოდ აწყვია ვისოსებს შორის. როდესაც საღამოს პირზე ქალაქიდან ვბრუნდები, აუცილებლად ფანჯრებს ავხედავ ხოლმე, გადავთვლი ხელებს და გული მშვიდად მაქვს: ყველა პატიმარი ადგილზეა-თქო.

სტივენსი. წყნარად არიან?

მ-რ ტაბსი. დიას, ჯეფიც კი. მერე და რამდენი თავსატეხი გაგვიჩინა... გასსოვთ?

სტივენსი. არა.

მ-რ ტაბსი. მაშინ ის იყო ცოლი დაეღუპა. სულ ორი კვირის დაქორწინებულნი იყვნენ, როცა იგი დაასაფლავა. რომ დაქანცულიყო და ჩასძინებოდა, ჯერ მთელი ღამე მინდორში დაეხეტებოდა. მაგრამ ამან არ უშველა. მერე კარგად გამოთვრა, მაგრამ არც ამან უშველა. მერე ჩხუბი ატეხა. შემდეგ ბანქოს თამაშისას ერთ თეთრკანიანს სამართებლით ყელი გამოსჭრა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიძინა და კარგადაც გამოიძინა. ასეც მიაგნო შერიფმა იმ სახლის ვერანდაზე მძინარს, რომელიც იმიტომ დაიქირავა, რომ დაქორწინების შემდეგ იქ ეცხოვრა, იქ დაბერებულყო და ასე გაელია წუთისოფელი. სამწუხაროდ, შერიფმა გამოაღვიძა და აქ მოიყვანა. მაშინ კი უეცრად გადაირია. შერიფმა, მე და კიდევ ხუთმა ზანგმა პატიმარმა ძლივს მოვახერხეთ მისი წაქცევა და გაკავება, ვიდრე ხელბორკილსა და ფეხბორკილს დაადებდნენ. იატაკზე გაჭიმეს და განძრევის საშუალება არ მისცეს. ექვსი კაცი, იქნებ მეტიც, ზედ დააწვა. და, როგორ ფიქრობთ, რას იძახდა? ასე იძახდა, ვერ ვივიწყებ, სულ ვფიქრობ და ვფიქრობო.

სტივენსი. ახლა როგორ არის?

მ-რ ტაბსი. ახლა აღარ ფიქრობს. მთელი დღე ვისოსებზეა ჩაჭიდებული, მაგრამ გარეთ არ იყურება. კედელს მისჩერებია და მხოლოდ ზოგჯერ თუ გადაანაცვლებს ხელებს ვისოსებზე.

სტივენსი. მღერის?

მ-რ ტაბსი. არა. ასეთები აღარ მღერიან. ყველაფერი მორჩენილია, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. პირდაპირ გეტყვით: ციხეში ზანგები მირჩევნია თეთრკანიანებს. თეთრკანიანები მუდამ უკმაყოფილონი არიან, სულ წუწუნებენ, სულ რაღაცას აკრიტიკებენ. ზანგები კი, პირიქით, ერთი-ორი დღის შემდეგ ეგუებიან აქაურობას და თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში.

აკაკუნებენ. შემოდის გოუენი.

აბა, მე წავალ და მისის სტივენსს დაველოდები. ნახვამდის.

გადის.

ბოუენი. რატომ მთხოვეთ აქ მოსვლა?

სტივენსი. ჯერ ეს მინდა გადმოგცე. (გაუწოდებს პაკეტს).

ბოუენი (პაკეტს დასცქერის). რა არის?



როცა მათ სე-
ერქმენულნი
ზიზღნიქითა

სტივენსი. წერილები... მთხოვეს შენთვის გადმომეცა.

ბოუენი. ვინ გთხოვათ?

სტივენსი. სულ ერთი არაა? აიღე. იმედია, იცი, როგორ მოიქცე.

ბოუენი. თქვენ კი იცით?

სტივენსი. არ წაიკითხო, ისე დაწვი.



ეროვნული

ბოუენი. წავიკითხო? (იტინის.) წესიერი კაცი, არ წაიკითხავს ასეთ წერილებს თუნდაც იმისთვის, რომ საკუთარი ცოლის ლიტერატურულ ნიჭს გაეცნოს, მაგრამ ვარ კი წესიერი ვაცი?

სტივენსი. ახლა შეგიძლია ეს დაამტკიცო. პირველ ყოვლისა დაივიწყე, რასაც შენ წესიერ, კარგ წრეს და ხალხის აზრს ეძახი! სრულიად საკმარისია მხოლოდ ადამიანი იყო.

ბოუენი. თქვენ კი იცით, რას ნიშნავს ადამიანი იყო? მომილოცნია. მართალი გითხრათ, რაღაც არ მჯერა. (კარისკენ მიდის.) მივდივარ. არ მინდა თემფლთან შეხვედრა.

სტივენსი. მე კი გთხოვ დაელოდო და მის გვერდით იყო, როცა ნენსისთან ილაპარაკებს...

ბოუენი. არავითარ შემთხვევაში! არც მისი დანახვა მინდა და არც ნენსის.

სტივენსი. რას იტყვი, ნენსი რომ დაგეხმაროთ?

ბოუენი. მართლა? ნეტა როგორ?

სტივენსი. პატიება სთხოვეთ და თვითონაც გაპატიებთ.

ბოუენი. გესმით კი, რას ნიშნავს პატიება? არა, პირდაპირ აღმაფრთოვანეთ.

სტივენსი (გაცხარებით). თუ მას შემდეგ, რაც გუბერნატორთან მოისმინე, კიდევ ვერ მიხვდი, რას ნიშნავს მწუხარება, მაშინ უკანასკნელი კაცი ყოფილხარ.

ბოუენი (შეხედავს და სახეზე უეცრად ვედრება გამოეხატება. თავს გადააქნევს და ყრუ ხმით ამბობს, ისე რომ სტივენსს არ უყურებს.) მე რომ უკანასკნელი კაცი ვიყო, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მაგრამ არა, მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. (უეცრად მობრუნდება.) ოჰ! აღარაფერი მესმის, აღარაფერი.

სტივენსი უახლოვდება, ხელს მოკიდებს.

მე მივდივარ, გევიან. გთხოვთ მაპატიოთ ყველაფერი.

სტივენსი. წადი ბიუკისთან. წერილები ცეცხლში ჩაყარე შემდეგ იქნებ დაბრუნდე კიდევ.

გოუენი ყოყმანობს, გასვლა უნდა, მაგრამ კარი დაკეტილია. აკაკუნებს. ისმის გასაღებების ჩხრიალი. ზედამხედველი კარს აღებს.

მ-რ ტაბსი. ათასი ბოდიში, მაგრამ...

გოუენი განზე გასწევს და გადის.

(სტივენსს.) მაგარი ყმაწვილია! მიჩვეული ვარ უკვე კარის ჩაკეტვას, დამიჯერეთ, ეჭვი არ შემსვლია.

სტივენსი. მჯერა.

მ-რ ტაბსი. ამ ყმაწვილმა კი რაღაც იეჭვა. ალბათ ეჭვიანობის საბაბიც ჰქონდა. იცით, ერთი ბიძა მყავდა, რომელსაც ცოლი ავტოკატასტროფაში დაეღუბა. მას აქეთ ყველაფრის მიმართ ეჭვიანი გახდა. ვთქვათ, მიიღო წერილი, ატრიალებს ხან ასე, ხან ისე და არ ხსნის. მოყვება ოთახში ბოლთის ცემას, მერე დაჯდება, მიაჩერდება ამ წერილს

შუბლშეჭმუსხული. რა უნდა იყოსო, იძახის. მოკლედ, ძალიან ეჭვიანი გახდა, მერე დაავადმყოფდა. წამლებს კი ისევ ეჭვიანობის გამო არ იღებდა; პოდა, მოკვდა კიდევ. პატიოსნებას გიფიცებით, მეტრ, სტეფანო-ტა ნდობაც კი სიცოცხლეს უადვილებს ადამიანს.

სტივენსი (გალიზიანებული). მე მინდა მისის სტივენსის შეხვედრით.

მ-რ ტაბსი. რა თქმა უნდა... საბრალო ქალი...

აკაკუნებენ. სტივენსი მოუთმენლად გაიქნევს ხელს და კარის გასაღებად მიდის. შემოდის თემფლი.

გამარჯობათ, მისის სტივენს. ისე მოიქეცით, როგორც შინ. უფრო სწორად, ის მინდა გითხრათ, მოხარული ვარ-მეთქი თქვენი ნახვით... ყავას ხომ არ ინებებთ? თუ ინებებთ, ჩემი ცოლი ახლავე მოგართმევთ.

თემფლი. გმადლობთ, მისტერ ტაბს. არ შეიძლება ახლავე ვნახო ნენსი?

მ-რ ტაბსი. რა თქმა უნდა მოხარულიც იქნება თქვენთან შეხვედრის. მგონი, პატიებას მოგთხოვთ. სახვალიოდ ემზადება.

გადის.

თემფლი (სტივენსს). პატიებას? როგორ შეიძლება ამის თქმა? მითხარით, როგორ?

ნენსი ზედამხედველთან ერთად კარიდან შემოდის სცენის სიღრმეში. ორი ნაბიჯის მოშორებით შედგება. ისე აცვია, როგორც პირველ სურათში.

მ-რ ტაბსი. აბა, მეტრ, ისარგებლეთ თქვენი დროით.

სტივენსი. დიდხანს არ დაგრჩებით.

მისტერ ტაბსი გადის. ნენსი გულგრილად უყურებს თავის მნახველებს.

თემფლი (უახლოვდება ნენსის, ხელს შეახებს და შეჩერდება). ნენსი! შენ აქ ხარ, მე კი, ხომ ხედავ, ჩემი ნებით მოვედი. შენ აქ დარჩები, მე კი თავისუფლად ვივლი ქუჩებში.

ნენსი. ასეც უნდა იყოს. (სტივენსს.) მისტერ გოუენს გადაეცით წერილები?

თემფლი რალაცის თქმას აპირებს, მაგრამ სტივენსი შეაწყვეტინებს.

სტივენსი. პო, როგორც მთხოვეთ.

თემფლი (შემკრთალი). წერილები მას მიეცით? რატომ?

ნენსი. დასაწყევად.

თემფლი. მის ადგილას თავს ვერაფერს შეიკავებდა და წაიკითხავდა. ვიცი, ახლა ყველაფერი ვიცი. თქვალბი ამეხილა.

ნენსი. მისტერ გოუენსმა შეიძლება ბევრი ცუდი იკადროს, მაგრამ იმ წერილებს არ წაიკითხავს, მისმა ცოლმა რომ სხვა მამაკაცს გაუგზავნა. მან ისინი დაწვა.

თემფლი. ცრუობ. როგორ შეგიძლია ციხეში იცრუო?

სტივენსი. კმარა, თემფლ. იქ, სადაც ახლა ნენსი იმყოფება, უთუოდ იმსახურებს, რომ მოუსმინოთ.

ნენსი. რომ წაუკითხა, სამუდამოდ გაგეცლებოდათ. არის სიტყვები, რისი დავიწყებაც არ შეიძლება. მაგრამ მან მაშინვე გაანადგურა

წერილები. ამიერიდან ის არასოდეს მივატოვებთ, არც თქვენ და არც ბიუკის, თუკი თავად არ მივატოვებთ.

თემფლი. ახლა მე ველარაფერს შევძლებ. არა უშავს, ნენსი.

ნენსი. მე ვიცი, სადაც იყავით ამ ღამეს, თქვენ და ის... (სტივენსზე ათითებს). თქვენ მერთან იყავით! რა გითხრათ?

თემფლი. ოო, ღმერთო! მერთან? არა! თავად გუბერნატორმა სონთან. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდი, რატომაც არ მოვიდა მისტერ სტივენსი წუხელ, ხომ ასეა? მაგრამ ის არ შეგიძლია იცოდე, რა გვითხრა გუბერნატორმა. იცი, გუბერნატორთან შენზე თითქმის არ გვილაპარაკნია. თურმე მასთან შენი შეწყალების სათხოვნელად კი არ უნდა მივსულიყავით, არც დასაცავად. თუმცა ჩემი ფიქრით ამის უფლება მქონდა, ეს ჩემი ვალი იყო... ასე ნუ მიყურებ!

ნენსი. მე თქვენ არ გიყურებთ. თუმცა ყველაფერი კარგადაა. ვიცი, ვიცი, რაც გიპასუხათ გუბერნატორმა. წინასწარვე გეტყოდით, რასაც გიპასუხებდათ და აღარ მოგიწევდათ მასთან მისვლა. რა თქმა უნდა, უნდა მეთქვა თქვენთვის, როგორც კი შევიტყვე, რომ თქვენ და ის... (თითს ისევ სტივენსისკენ გაიშვერს და თავს ოდნავ დახრის.) დიახ, უნდა გამეფრთხილებინეთ, რომ წამებისგან მეხსნეთ. ეს არ გავაკეთე. თუმცა ყველაფერი კარგადაა...

თემფლი. უნდა გეთქვა, ნენსი, და არ წავიდოდი, არ ვილაპარაკებდი. ისინი ჩამოგახრჩობენ, ნენსი. მაგრამ რას იზამ, თუკი აუცილებლად უნდათ შენი ჩამოხრჩობა. მაშ რატომ არაფერი არ უთხარი?

ნენსი. არ ვიცი. ალბათ ყველაფრის მიუხედავად მაინც იმედი მქონდა. იქნებ სასწაულისა მჯეროდა. მაგრამ რალა ჩემთვის მოხდებოდა ეს სასწაული? და მაინც იმედი მქონდა. რაც უფრო მეტად გიჭირს, ხომ უფრო ძნელია თავს აჯობო, იმედზე უარს ვერა და ვერ იტყვი, მხოლოდ ისლა გრჩება საცოდავ ცოდვილს, იმედს მოებლაუჭო. ალბათ იმიტომ, რომ სხვა არაფერი დაგრჩენია. მერე და როგორ ებლაუჭები შენს იმედს! სასწაული კი არ ხდება, იმედიც ქრება. ასე სჯობი: ძალიანაც კარგი...

სტივენსი. მართლა სჯობია, ნენსი?

ნენსი. ჰო. ახლა მხოლოდ რწმენაა საჭირო.

სტივენსი და თემფლი გაკვირვებული თვალებით უცქერიან.

უბრალოდ უნდა გწამდეს და მორჩა. ახლა ვიცი, რაც გითხრათ გუბერნატორმა. მეც კმაყოფილი ვარ. უკვე დიდი ხანია ამაზე თანახმა ვიყავ. ჯერ კიდევ სასამართლოზე, მოსამართლესთან. მანამდეც, სალამოს, ბავშვის ოთახში, ვიდრე სელს ავმართავდი...

თემფლი (მოიკუნტება). გაჩუმდი!

ნენსი. მე ჩუმად ვარ. მე ყველაფერზე მოველაპარაკე ძმას ჩვენსას.

თემფლი. რომელ ძმაზე მელაპარაკები?

ნენსი. იმ ძმაზე, სახრჩობელაზე მიმავალთ რომ მიჰყვება. იმაზე, ვინც მათთან ერთად მოკლეს. ყველაფერი თუმცა ვერ გავიგე: რასაც ამბობდა, მაგრამ მაინც მიყვარს, რადგან იგი მოკლეს.

თემფლი. ალბათ ის დაგეხმარება, რომ მოკვდე, მაგრამ მე ვინ დამეხმარება, რომ ვიცოცხლო? მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, ვიცი, როგორ მოვიქცე. ამას მეც მივხვდი მაშინ, იმ სალამოს ბავშვების ოთახში. მა-

გრამ როგორ მოვახერხო? არ ვიცი. სიკვდილი ჩემთვის უფრო ადვილია. არადა, უნდა ვიცოცხლო. ოღონდაც როგორ?

ნენსი. უნდა იწამოთ.

თემფლი. რა უნდა ვიწამო? ხომ ხედავ, რა დღეში ჩაგვაგდეს? მეც და შენც. თუკი ფიქრობ, რომ ვინმეს წინაშე უნდა დავდგეთ, ამაზეც თანახმა ვარ. ოღონდ შენ ერთი ხარ, ვისაც მინდა დაგვეხმარებოდეს. (უხერხულად დაიხოქებს.)

ნენსი. ადექით. ქალბატონმა მსახურს არ უნდა დაუჩოქოს. არის სხვა ბატონი ამქვეყნად და მისი მსახური უნდა იყო.

თემფლი. მე მისი მსახური არ ვარ. ისეთ ბატონს ვერ ვემსახურებ, ვინც სიკვდილის განაჩენი გამოგიტანა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ დროს გოუენტთან ერთად გავიქეცი.

ნენსი. იმიტომ გაიქეცი, რომ ცუდისკენ გიწევდათ გული, როგორც მე. ვერაფერს გააწყობ, ასეთები ვართ. იგი ვერ დაგვიშლის, თუკი ცუდისკენ მიგვიწევს გული. მაგრამ ყველაფერი რომ გააწონასწოროს, მან დაამკვიდრა ამქვეყნიური ტანჯვა-წამება, რათა ცოდვილთ და უბედურთ იმქვეყნიურ ნათელში გაუხსნას გზა. მე მწამს მისი.

სტივენსი. მართალი ხართ, ნენსი. უნდა იწამოთ.

ნენსი. გმადლობთ, მისტერ სტივენს. ამას იმიტომ მეუბნებით, რომ ფიქრობთ, შევუმსუბუქებო ხვალინდელ განსაცდელს. მაგრამ ხვალინდელი დღის გამო როდი ვამბობ. მე მაინც მეშინია, თუმცა ვიცი, რომ ძმა ჩვენი შემეწევა.

თემფლი (დაბნეული დგება). ის ჯერ არავის შეწევნია. თავის თავსაც კი. ისინი მოვლენ და წაგიყვანენ; მათ ავი უნდათ შენთვის, შენ კი პატიობ.

ნენსი. მე არ ვპატიობ, მაგრამ მკვლელსაც კი შეიძლება შეენდოს. მწამს, რომ არის ასეთი ადგილი. და მეც იქ მინდა მისგლა.

თემფლი. შენ მიხვალ იქ. ისინი შეგინდობენ, როცა მოკვდები... როცა მიწაში იქნები.

ნენსი. არა. მიწაში არა. არის ისეთი ადგილი, სადაც თქვენს პატარას არაფერი ეხსომება, ჩემი ხელებიც კი.

თემფლი. კი, კი, არის ასეთი ადგილი, სადაც შენს პატარასაც ნახავ. აკი მითხარი, ექვსი თვე ვატარე მკერდთან და, როცა გასართობად თუ, არ მახსოვს, სადაც წახვედი, ქმარმა ფეხი ჩაგაზილა მუცელში და შვილი დაკარგე. არის კი ისეთი ადგილი ამქვეყნად, სადაც ჩვენი შვილები ჩვენს პატიებას შეიძლებენ? მითხარი, არის კი ამქვეყნაზე ისეთი ადგილი, სადაც ბოლოს და ბოლოს ადამიანები ერთმანეთის გაწამებას და კვლას მოიშლიან?

ნენსი. არის.

სტივენსი. ბავშვის მამა იყო, ფეხი რომ ჩაგარტყათ ორსულს?

ნენსი. არ ვიცი.

სტივენსი. ჩაგარტყათ თუ არა?

ნენსი. კი, ჩამარტყა. მაგრამ, არ ვიცი, მისი მამა იყო თუ არა. მამა შეიძლება სულაც სხვა იყო.

სტივენსი. სხვა?

ნენსი. კი, მისტერ სტივენს. მაგრამ ალბათ ამასაც შემინდობენ.

ისმის ნაბიჯების ხმა; კარი ღრჭიალით იღება და შემოდის ზედამხედველი.

მ-რ ტაბსი. როგორ არის საქმე, მეტრ?

სტივენსი ნენსის შესედავს.

სტივენსი. კარგად. მშვიდობით, ნენსი. რაც შეეძლება ადგილი ვილონე.

ნენსი მარცხენა კარისკენ მიდის.

თემფლი (მიეჭრება). ნუ მიმატოვებ მარტო.

ნენსი. თქვენ მარტო არ ხართ. (დგას და სივრცეს გასცქერის. შემდეგ ყრუდ ამბობს).

არს იგი ყვავილიც და კლდეც,

ის განზანს და მოგვიშუშებს იარებს.

და ტანჯვას აგვაცილებს სიკვდილის ჟამს.

ნენსი ზედამხედველს მიჰყვება. ისმის რკინის კარის ღრჭიალი და ვასალების ჩხაკუნი. შემდეგ ისევ გამოჩნდება ზედამხედველი, ალებს გარეთ კარს და იცდის.

მ-რ ტაბსი. ესეც ასე. სადამოს ის დაადგება იმ გრძელ და მძიმე გზას! მერჩივნა არ გავყოლოდი. (იცდის კართან.)

თემფლი უძრავად დგას, ვინემ სტივენსი ხელს არ მოკიდებს. გონს მოეგება, ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ თავბრუ დაეხვევა და წაბარბაცდება. ზედამხედველი მოასწრებს და ხელს შეაშველებს. აბა დაჯექით სკამზე! წყალს მოგიტანთ!

თემფლი (გონს მოდის). არა, არა, უკვე უკეთ ვარ.

მტკიცე ნაბიჯით მიდის კარისკენ. მისტერ ტაბსი თვალს გააყოლებს.

მისტერ ტაბსი. მართლა უკეთ ხართ?

თემფლი (უფრო მტკიცედ მიაბიჯებს). მაპატიეთ.

მისტერ ტაბსი. რა ბრძანებაა! მესმის ყველაფერი. ეს თქვენი შესაფერი ადგილი სულაც არ გახლავთ.

თემფლი. ოო, ვინმეს რომ შეეძლოს ჩემი შველა და დახმარება. სულ ერთია, ვინ იქნება, ოლონდაც ასე მარტო აღარ ვიყო ამ უბედურ მიწაზე, ოლონდაც არ მტკიოდეს და ასე დაცარიელებული არ მქონდეს გული, ოლონდაც თვალი მომეხუჭოს და დავიძინო.

ისმის გოუენის ხმა.

გოუენი. თემფლ!

თემფლი და სტივენსი ჩერდებიან. შემოდის გოუენი და თემფლისკენ მიდის. ჯერ მერყეობს, მერე წყნარად ამბობს:

წავიდეთ, თემფლ. დროა დავბრუნდეთ.

თემფლი (ერთხანს დუმს). დავბრუნდეთ? ვისთან?

გოუენი. ბიუკი გველის.

თემფლი. შენთან ერთად? ჰოო. თუმცა აქვს განა მნიშვნელობა?

იგი კარისკენ მიემართება.





ინგლისურიდან

თარგმნა ნადი ბობაქმი

ამერიკელი მწერალი ქალის აღის მანროს მოთხრობების პირველი კრებული გამოვიდა 1968 წ. და მის ავტორს საყოველთაო აღიარება მოუტანა როგორც აშშ-ში, ასევე კანადასა და დიდ ბრიტანეთში. მალე ამ კრებულს მოჰყვა არაერთი რომანი და ლიტერატურული პრემიებიც, მათ შორის, კანადის სახელმწიფო პრემია. 1971 წ. კი მწერლის ერთ-ერთი რომანი აღიარებულ იქნა წლის საუკეთესო წიგნად.

1975 წ. აშშ-ში გამოვიდა ა. მანროს მოთხრობების მეორე კრებული საერთო სათაურით. „მინდა რაღაც გითხრა“.

ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ერთ-ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან.

პატრიკ ბლეთჩფორდს როუზი შეუყვარდა, უფრო სწორად, თავი დაირწმუნა, შემიყვარდაო. გოგონა ვაჟის მეტისმეტი ყურადღებით გაოცებული იყო: პატრიკს მისი ცოლად შერთვა სურდა. კოლეჯთან ელოდებოდა, სახლამდე აცილებდა, გვერდიდან არ შორდებოდა, ერთი სიტყვით, ვინც როუზს გამოელაპარაკებოდა, უნდა გაეთვალისწინებინა, რომ პატრიკიც იქვე იყო. თვითონ პატრიკი როუზის მეგობრებთან თითქმის არ ლაპარაკობდა, სამაგიეროდ ცდილობდა თავისი ეჭვიანი და ცივი თვალებით ენიშნებინა გოგონასათვის, შენი მეგობრების უაზრო ლაყბობა მომბეზრდაო. მართალია, როუზს სიამოვნებდა, რომ პატრიკი ასეთი ყურადღებით ანებივრებდა, მაგრამ ამავე დროს აღიზიანებდა კიდევც. ერთხელ როუზის მეგობარმა გოგონამ ნენსი ფოლსმა რაღაც სიტყვა არასწორად წარმოთქვა, პატრიკმაც არ დაახანა და როუზს გადაულაპარაკა, როგორ მეგობრობ ასეთ უვიცებთანო.

ნენსიმ და როუზმა საავადმყოფო „ვიქტორიაში“ სისხლი გაიღეს, სანაცვლოდ თხუთმეტ-თხუთმეტი დოლარი ერგოთ, მაშინვე წავიდნენ და საგარეო ვერცხლისფერი სანდლები იყიდეს. მერე აქაოდა, სისხლის გაღების შემდეგ ორგანიზმი სუსტდებაო, კანფეტები და ნიგვზიანი ნაყინიც მიირთვეს... ნეტავი რატომ არ გამოექომაგა როუზი ნენსის?

პატრიკი მდიდარი ოჯახის შვილი იყო. მისი ოჯახი ბრიტანეთის კოლუმბიაში ცხოვრობდა. ოცდაოთხი წლის ასპირანტი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორობას აპირებდა და გულმოდგინედაც მეცადინეობდა. მაღალ, გამხდარ, ლამაზ ქერა ყმაწვილს თვალის კუთხეში ღია წითელი ფერის მოგრძო ხალი აჩნდა ცრემლივით და ამის გამო რაღაცნაირ უხერხულობასაც გრძნობდა ყოველთვის, თუმცა თავს მაინც იმშვიდებდა, ასაკში შესვლისას გამიუფერულდება და ორმოცი წლისას

მთლად გამიჭრებაო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პატრიკს სულაც არ აუშნოებდა ეს ხალი. როუზი მერე და მერე იგონებდა, ჩემს თვალში მაშინ ხალი კი არა, რაღაც სხვა უფრო აუშნოებდაო. სწორედ ის რაღაც აღიზიანებდა მას, ნერვებს უშლიდა და თავგზას უბნევდა კიდევ. პატრიკს ხმაც ისეთი ჰქონდა, გაგაქვავებდა, თვითონაც მხოლოდ მარტო იყო, თეფშები და ფინჯნები მაგიდიდან უცვივოდა, ხანმოკლე ქაღალდებოდა, თასიდან არაქისი ეპნეოდა. ერთი სიტყვით, კლოუნივით იქცეოდა, არადა, კლოუნობისა არაფერი ეცხო.

კინოში ან სადმე წასვლისას პატრიკი გოგონას სახლთან ხვდებოდა. რაკილა დათქმულ დროზე ადრე მიდიოდა, იქვე დოქტორ ჰენშეივის სახლის კიბეზე ჩამომჯდარი ელოდებოდა ხოლმე როუზს. ზამთრის ერთ საღამოსაც ასე მშვიდად და მორჩილად იჯდა კიბეზე. ბნელოდა, მხოლოდ ქუჩის ლამპიონი ანათებდა იქაურობას მკრთალად.

— აჰ, როუზ, მოდი აქ, ქუჩაში გადაიხედე! — ქალბატონმა ჰენშეივმა ფანჯარასთან მიიხმო ქალიშვილი. მის ხმაში სინაზეც გამოსჭვიოდა და მხიარული გუნება-განწყობაც. ორთავემ ჩაბნელებული კაბინეტის ფანჯრიდან გადაიხედეს ქუჩაში. — საბრალო ბიჭი, — აღერსიანად ექვა მან.

დოქტორი ჰენშეივი ადრე ინგლისურ ენას ასწავლიდა. სამოცდაათ წელს მიტანებული დარბაისელი ქალბატონი ცოტა კოჭლობდა, მაგრამ სამაგიეროდ ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. მშვენიერი ჭალარა ნაწნავი მომხიბვლელად ჰქონდა შემოვლელი კეფაზე.

„საბრალო“ პატრიკი ასე იმიტომ მოიხსენია, რომ ჯერ ერთი, ვაჟი შეყვარებული გახლდათ და მეორეც, — კაცი იყო; კაცები კი დასაბამიდან ცდუნებისთვის არიან განწირულნი, ირწმუნებოდა ქ-ნი ჰენშეივი. შემოდან ვაჟი შეუპოვარიც ჩანდა და შესაბრალისიც, ჯიუტიც და თვინიერიც.

— კარს დარაჯობს, — ჩაეცინა ჰენშეივს, შემდეგ კი ვითომ შეწუხებულმა დაუმატა: — აჰ, ძვირფასო მე მგონი ეს ბიჭი ერთმა ცულ-ლუტმა გოგომ გააბა მახეში.

როუზს ქ-ნი ჰენშეივის ეს სიტყვები არ ესიამოვნა. არც ის მოეწონა, პატრიკს რომ დასცინა, არც პატრიკის იქ ყოფნა ესატებოდა გულზე. ვაჟი თითქოს იხვეწებოდა, მიდით, დამცინეთო. მაინც რა ახირებულ ვინმეა ეს პატრიკი, თავის დაცვა არ შეუძლია, სამაგიეროდ სხვისი გაკრიტიკება ძალიანაც ემარჯვება, არც პატივმოყვარეობაა მისთვის უცხო ხილი.

— როუზ, შენ ჭკვიანი გოგო ხარ, ალბათ ეს დაგაინტერესებს, — ეტყოდა ხოლმე ქ-ნი ჰენშეივი და ხმამაღლა უკითხავდა სტატიებს გაზეთ „კანადური სამსჯავროდან“ ან ყოველთვიურ ჟურნალიდან „ატლანტიკა“. თავის დროზე იგი ქალაქის პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და სამოქალაქო სასამართლოს წევრიც გახლდათ. კრიტიკულ წერილებსა და რეცენზიებს აქვეყნებდა გაზეთებში. მისი მშობლები ექიმი-მისიონერები ყოფილან, ქ-ნი ჰენშეივიც ჩინეთში დაბადებულა. მას აქაც პატარა, ჩინური ყაიდის სახლი ჰქონდა, ამ სახლის კრიალა იატაკის, სუფთა ხალიჩების, ჩინური ლარსაკებისა და თასების სურათ-პეიზაჟებისა და გრავიურების ბოლომდე აღჭმა და შეფასება იმ დროს როუზს ნამდვილად არ ხელეწიფებოდა. ბუხრის თავზე ნეფრიტის მინიატურულ

ცხოველებსა და თავის მშობლიურ ჰენრეთში საიუველირო მალაზი-
ის ვიტრინაში გამოწყობილ სამშვენისებს შორის დიდ განსხვავებას
ვერ ამჩნევდა. თუმცა დროთა განმავლობაში ისწავლა კარგისა და ცუ-
დის გარჩევა და ახლა უკვე შევძლო განესხვავებინა ერთმანეთისაგან
ჰენშეივის პაწია ქანდაკებები და თავისი დედინაცვლის, ენოქის მიერ
ხუთ დოლარად და ათ ცენტად ნაყიდი სამშვენისები.

როუზს დოქტორ ჰენშეივთან ყოფნა და ურთიერთობა მოსწონდა
თუ არა, ბოლომდე ვერ გარკვეულიყო, სასადილო ოთახში ცოტა და-
ბნეული იჯდა ხოლმე სუფრასთან. მუხლებზე ტილოს ხელსახოცი ეფა-
რა და საჭმელს ლამაზი თეთრი თეფშიდან მიირთმევდა, მაგრამ სამყო-
ფი საჭმელი იქ არასოდეს ყოფილა და როუზიც ხშირად ფუნთუშას ან
შოკოლადის ფილას ყიდულობდა და თავის ოთახში ინახავდა. სასადილო
ოთახის ფანჯრის რაფაზე გალიაში იადონი ფრთხილებდა, დოქტორი
ჰენშეივი კი პოლიტიკასა და მწერლობაზე ესაუბრებოდა. ურჩევდა
ფრენკ სკოტსა და დოროთი ლივსეის ნაწარმოებები აუცილებლად წაი-
კითხეო. ისედაც, წამდაუნაშუბ უმეორებდა: ეს წაიკითხე, ის წაიკითხეო.
როუზი კი გულში ეწინააღმდეგებოდა, არაფერსაც არ წავიკითხავო.
თომას მანსა და ტოლსტოის ხომ კითხულობდა, პოდა, საკმარისი იყო.

დოქტორი ჰენშეივის გაცნობამდე როუზმა არაფერი იცოდა „მუ-
შათა კლასზე“. ეს სიტყვები მან მოგვიანებით თავის სახლშიც წარმოს-
თქვა.

— ეს ალბათ ის ხალხია, ქალაქის გარეუბანში საკანალიზაციო არ-
ხისა და ნაგავსაყრელის ახლოს რომ ცხოვრობს, — თქვა ფლომ.

— იქაც ცხოვრობენ და სხვაგანაც. „მუშათა კლასი“ ქალაქის მო-
სახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, — უპასუხა როუზმა ცივად და
საქმის ცოდნით.

— მართლა? — გაიკვირვა ფლომ. — კიდევ კარგი, ჩვენს ნაცნო-
ბებში რომ არავინ ურევია მასეთი.

ჰენშეივის სახლმა ერთი რამ ნამდვილად შესძლო: როუზის უშუა-
ლობას ბოლო მოუღო, იმ უშუალობას, მშობლიურმა სახლმა რომ ჩამო-
უყალიბა მაგრამ ახლა შინ დაბრუნება — შეიძლება გადაუჭარბებლად
ითქვას — ცივ ნათებაში შესვლას ნიშნავდა, რადგან ფლომ ჩვეულებ-
რივი ნათურები მთელ სახლში ფლუორესცენციულით შეცვალა, საკუჭ-
ნაო და სამზარეულოც არ დავიწყებია, ხოლო სამზარეულოს კუთხეში
მდგარ „ბინგოში“ მოგებულ აბაჟურს ცელოფანი ჩამოაფარა. როუზის
ცნობიერებაში ეს ორივე სახლი თითქოს ურთიერთუნდობლობითა და
ეჭვით იყო გამსჭვალული. დოქტორი ჰენშეივის მყუდრო და ლამაზი
ოთახები როუზისათვის ძნელად მისაწვდომ ცოდნის ტაძარს წარმოად-
გენდა, ხოლო თავის სახლში ფლოს რაც არ უნდა შეენიღბა, ყველგან
ამკარად ჩანდა სევდისმომგვრელი სიღარიბე. დედინაცვალი კი ისტი-
ბარს არ იტყუნდა და სულაც არ მიაჩნდა თავი ღატაკად. სიღარიბე არ
ნიშნავს მაინცადამაინც საცოდაობას, როგორც ეს დოქტორ ჰენშეივს
პკონია, — გაიფიქრა როუზმა.

სიღარიბეა, როცა ამ საზიზღარი ნათურებით მოგაქვს თავი, როცა
გამუდმებით ლაპარაკობ ფულზე და ღვარძლით იხსენებ იმ ხალხს, ვინც
ლამაზ ნივთებს ყიდულობს; სიღარიბეა, როცა კუდაბზიკობ, პოლიეთი-
ლენის მიხატულ-მოხატული ქობით დამშვენებული ფარდები ვიყიდეო.

სწორედ ასეთი ფარდები ჩამოჰკიდა ფლომ წინკარში ფანჯრებზე. სი-
ლარიბეა კარსუკან ტანსაცმელი რომ ჰკიდია ლურსმანზე. ტუალეტიდან
უბრალო ჩქამიც რომ ისმის და კედლები ათასნაირი ღვთისმოსავი თუ
ნახევრად უწმაწური შეგონებებით რომ არის აჭრელებული:

ეროვნული
ბიზლიმთეა

„ღმერთი ჩემი მოძღვარია“.
„იწამე იესო ქრისტე და გადარჩები“.

ნეტავ რად უნდა ეს პლაკატები ფლოს, მას ხომ ღმერთი არ სწამ-
და. ან კიდევ: „ჩემს სამზარეულოს ჩემს გემოზე მოვრთავ“, „ორზე
მეტი ადამიანი ერთ საწოლში სახიფათო და არაკანონიერია“, — კალე-
ნდარივით გაეკრა კედელზე.

ეს ბოლო პლაკატი ბილი ფოუფმა მოუტანა. პატრიკს რომ ენახა,
ნეტავ რას იტყოდა, ან საერთოდ, რას იფიქრებდა, ბილის მონაყოლი ამ-
ბები რომ მოესმინა?

ბილი საყვასბოში მუშაობდა, საყვასბოს პატრონი ერთი ბელგიელი
ლტოლვილი იყო, რომელიც თავისი უტიფარი ფრანგული სიმღერებითა
და ამ ქვეყანაში წარმატების მოპოვებაზე თავისი ბავშვური, გულუბრყ-
ვილო ოცნებით ბილის ნერვებს უშლიდა.

ერთხელ გაბრაზებულმა ბილიმ პირში მიახალა: „ჩამოსულხარ აქ
თა ბრძნულ აზრებს აფრქვევ; ხომ არ გგონია, ჩვენ ვმუშაობთ შენთვის?
შენ მუშაობ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის!“ ამ სიტყვებით მოვაკეტი-
ნო — იკვეხნიდა შემდეგ ბილი.

პატრიკი ღროდადრო სიტყვას გადაუკრავდა ხოლმე როუზს, თუკი
მართლა მხოლოდ ორმოცდაათი მილია შენს სახლამდე, ხომ შეიძლება
წამოგყვე და შენი ოჯახი გავიცნოო.

— რასაკვირველია, შეიძლება, მაგრამ იქ მხოლოდ ჩემი დედინაც-
ვალია.

— ცუდია, მამაშენს რომ ვერასოდეს შევხვდები! მამას რელში
ერქვა. ისტორიით იყო გატაცებული. ეს დახასიათება ბევრს არაფერს
ეუბნებოდა პატრიკს.

— შენი მეურვე შენი დედინაცვალია? — ჰკითხა ერთხელ პატ-
რიკმა.

— არ ვიცი.

— ალბათ მამაშენმა ანდერძში მეურვე დაგინიშნა. ამჟამად მის ქო-
ნებას ვინ განაგებს?

ქონება როუზს ცოფელთვის ადგილ-მამულები ეგონა.

— არა, ფულზე და კიდევ სხვა რამეზე გეუბნები, რაც დატოვა, —
აუხსნა პატრიკმა.

— არაფერიც არ დაუტოვებია, — უპასუხა როუზმა.

— რას ამბობთ? — გაუკვირდა პატრიკს.

როუზი კოლეჯის ამბებს უკვებოდა ხოლმე ჰენშეიგს. სტუდენტურ
შეკრებებზე, ფეხბურთსა და ცეკვებზე ელაპარაკებოდა. ჰენშეივი ჰკუას
არიგებდა, კარგია რომ სტიპენდიანტი ხარ, მაგრამ წვრილმანებს ნუ
მიედ-მოედები, ნურც ნურაფერში ჩაერევო. მართალიც იყო, როუზს
არც მაიეცადამაინც აინტერესებდა, ირგვლივ რა ხდებოდა, მაგრამ არც
ჰენშეივის შეგონებები ეხატებოდა ცულზე.

დოქტორი პენშეივის სახლის სადარბაზო შესასვლელი იმ გოგონათა ფოტოსურათებით იყო აჭრელებული, კოლეჯში სწავლისას მასთან რომ ცხოვრობდნენ. ახლა იმათგან უმეტესობა მასწავლებელია, მხოლოდ ერთია — დიეტოლოგი, ორი — ბიბლიოთეკარი და ერთი ინგლისური ენის სპეციალისტი. არც ერთი არ ვახლდათ გათხოვილი, არც ერთს არ ჰყავდა შვილი. როუზი ამ ფოტოსურათებს ისევ გამოვიყვებო-უვლიდა, ერთხელაც არ გაიხედავდა მათკენ. ვერ იტანდა მოკრძალებულ, მადლიერ და მომლიძარე სახეებს, მათ მსხვილ-მსხვილ კბილებსა და ქალურ ვარცხნილობას. მარადიულ ღვთისმოსავეებს ჰგავდნენ სურათებზე. მათგან არცერთი არ გამხდარა მსახიობი, არც ყვითელი პრესის ჟურნალისტი. არც ერთის ცხოვრება არ იყო როუზისათვის მისაბაძი. მას მსახიობობა სურდა, მაგრამ კოლეჯის დრამ-წრეს ახლოს არ ეკარებოდა. გამორჩეული არც სიმღერა იცოდა და არც ცეკვა. არფაზე დაკვრას სიამოვნებით ისწავლიდა, მაგრამ მუსიკალური სმენა ლალატობდა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ — ცნობილი პიროვნება გამხდარიყო, ამასთან, კოსტა, მოხდენილი და ჭკვიანიც. ერთხელ პენშეივსაც გაუმხილა, კაცი რომ ვიყო, კორესპონდენტობას ვინატრებდიო. პენშეივიმა ეს სურვილი მოუწონა, კორესპონდენტობა ქალსაც მშვენივრად შეუძლიაო. ენების შესწავლას მოჰკვიდე ხელი, პოლიტეკონომიურ მეცნიერებასაც გაეცანი და ზაფხულში იქნებ რომელიმე გაზეთში დაგაწყებინო მუშაობა, მეგობრები იქ ბლომად მყავსო.

როუზი ამ აზრმა ცოტა დააფრთხო, თანაც პოლიტეკონომია ჭირივით ეჯავრებოდა. როგორმე თავი უნდა დაეძვრინა. პენშეივთან გულის ნადების გამჟღავნება სახიფათო იყო, ამ ქალთან შემთხვევით მოხვდა. წესით, აქ სხვა გოგოს უნდა ეცხოვრა. მაგრამ ავად გახდა და ტუბერკულოზის დიაგნოზით სანატორიუმში გააგზავნეს. სტუდენტთა რეგისტრაციის მეორე დღეს პენშეივი კოლეჯის ოფისში მივიდა, რათა რომელიმე პირველკურსელი შეერჩია. როუზი შემთხვევით შეხვდა მას. გოგონას უწყების ფურცელი სადღაც დაჰკარგვოდა და იმის გაგება სურდა სტიპენდიანტი სტუდენტების კრება რომელ ოთახში ჩატარდებოდა.

პირველ კრებაზე ჩვეულებრივ ხაზინადარი გამოდიოდა. პირველკურსელებს ფულის ეკონომიურად ხარჯვასა და დამატებით შემოსავალზე ესაუბრებოდა. ურჩევდა, სწავლასთან ერთად სამუშაოც იშოვეთ და ჯიბის ფულიც ყოველთვის გექნებათო.

როუზმა ოფისში აუდიტორიის ნომერი გაიგო.

— თქვენც სამიათასმეთორმეტე აუდიტორიაში მიდიხართ? — დაეწია როუზს ერთი გოგონა. როუზმა კიო, უთხრა და ისინი ერთად აუყვნენ კიბეს. თან სტიპენდიაზე ლაპარაკობდნენ. როუზმა ჯერ არ იცოდა, სად უნდა ეცხოვრა. საერთოდაც, თითქოს შემთხვევით მოხვდა აქ. თავისი მცირე სტიპენდიიდან სწავლის ქირას თუ გადაიხდიდა, მერე მხოლოდ სამასიოდე დოლარი რჩებოდა წიგნების საყიდლად და საარსებოდ.

— სამუშაოს შოვნა მოგიწევს, — ახლად გაცნობილ გოგონას შედარებით დიდი სტიპენდია ჰქონდა, მაგრამ მაინც აპირებდა, სადმე კაფეში მუშაობას. ცხოვრებითაც ჯერჯერობით ნახევრად სარდაფში ცხოვრობდა. რა ღირს შენი ოთახი, ან, საერთოდ, თბილი კუთხე, რა ეღირებაო, — ამდენი ანგარიშისაგან ლამის თავბრუ დაეხვა როუზს.

როუზის თანამოსაუბრეს, თმადახვეულ ქალიშვილს გახუნებული კოფთა ეცვა. გამუდმებული რეცხვისა და უთოობისაგან კოფთას პრიალი გაუდიოდა. ზორბა, მოშვებული მკერდი ჰქონდა. ალბათ, ძველი, მოვარდისფრო, ჭუჭყიანი და გვერდებგარეხილი ბიუსგალტერი ატვირთავდა, გაიფიქრა როუზმა. ლოყაზე აქერცლილი ლაქა ეტყობოდა.

— ალბათ აქ არის, — თქვა მან.

კარს პატარა ფანჯარა ჰქონდა დატანებული. კარს შიღმა ოთახში ოთხი-ხუთი გოგონა იჯდა და როუზს მოეჩვენა, ამ გოგონებს ისეთივე ღვთისმოსავი და ქალური იერი დაჰკრავდა, როგორც ამ ახლადგაცნობილ გოგონას. ოთახში ბიჭებიც იყვნენ. თვალეზგაბრწყინებულებს ბავშვურ სახეებზე თვითკმაყოფილება აღბეჭდვოდათ. გოგონებში უფრო დაქალებულებს ჰგავდნენ, ბიჭები — ლამის თორმეტი წლისანებს. მაგრამ ისინი პატარა სარკმლიდან ჩანდნენ ასეთები. მათ არც აქერცლილ-გადაყვლეფილი იდაყვები უჩანდათ, არც ჩაშავებული კბილები და არც წირპლი თვალეზზე. ასე დაახასიათა როუზმა ისინი ფიქრებში. ერთი რამ კი ამკარად ეტყობოდა ყველას: ნიღბაფარებულებივით იყვნენ, კეთილმოსურნეობისა და მამებლობის საბურველი ჰფარავდათ. სხვაგვარად, ყველა კითხვაზე ვერ გასცემდნენ ასე ზუსტ და ამომწურავ პასუხს. ალბათ, თავი გამოიჩინეს მონდომებით, სხვებს გაუსწრეს და მიაღწიეს იმას, რომ ახლა იმ ოთახში სხედან. როუზიც ხომ ერთ-ერთი იმათგანი იყო.

— მეც მათიანი ვარ. იქაა ჩემი ადგილი, — გაიფიქრა მან.

წარმოიდგინა, თითქოს უკვე კაფეტერიაში მუშაობდა. ბამბის ქსოვილის მწვანე ფორმაში გამოწყობილი ისედაც ტანსრული კიდევ უფრო მსუქანი ჩანდა. სიცხისაგან სახეაწითლებულს თმა ორთქლისაგან შეწებებოდა. მოშუშულ ხორცსა და შემწვარ წიწილას დაატარებდა და წამდაუწუმ ონშივარში გახვეულ მაგიდებს ეჯახებოდა. ფორმის ტანსაცმელში თავს უხერხულად გრძნობდა. რცხვენოდა, ასეთ მძიმე სამუშაოზე რომ მოეწყო, თუმცა შრომა რა სასირცხვილოა. ყველანი ატყობდნენ, რომ გონიერი გოგონა იყო, მაგრამ ღარიბი. ეს კი როუზს ვითომ ეთაკილებოდა. ბიჭებისათვის სიღარიბე არც ისე სათაკილოა, გოგონებისათვის კი ბედ-იღბლის ამბავია. ღარიბი გოგონა ყველას ფეთხუმი და შტერი წარმოუდგენია, კოხტა და მოხდენილი კი აუცილებლად ჭკვიანი უნდა იყოს. ოჰო, რა კარგი შედარება გამოუვიდა. მართლა ასე იყო? ღირდა ამაზე დაფიქრება? ნამდვილად ღირდა.

როუზი ქვემო სართულზე ჩავიდა. დერეფნები სტუდენტებით იყო სავსე. ისინი არც სტიპენდიანტები იყვნენ და არც არავისგან ელოდნენ დახმარებას. სულაც არ გრძნობდნენ თავს შებორკილად. სარეგისტრაციო მაგიდებთან შეჯგუფულიყვნენ. ზოგს იისფერი და ზოგს თეთრი სპორტული ქურთუკები ეცვათ. ერთმანეთს უბოდიშოდ ელაპარაკებოდნენ და იყო ერთი გნიასი და გადაძახილ-გადმოძახილი. როუზი გულისტკივილით გრძნობდა მათ უპირატესობას. მწვანე თხელი ველვეტის ქვედა კაბა ფეხებში ებლანდებოდა და ეკვროდა. ცოტა მეტი ფული რომ ჰქონოდა, უკეთეს ქსოვილს იყიდდა. არც კოფთა მადგას ხეირიანადო, ფიქრობდა იგი, თუმცა სახლში ყველაფერი მშვენიერი ეჩვენებოდა. ტანსაცმელი ფლოს მეგობარმა შეუკერა პენრეთში. ამ მკერავს გართულება სჭირდა სრულ კაბებზე და ყოველთვის ასეთს კერავდა. როდესაც როუზმა თანაც, ქვედა კაბა ცოტა დამივიწროვეო, მკერავმა უკმეხად მიახალა:

უკანალის გამოჩენა ხომ არ მოგიწევდაო. მაგის დარდი სულ არა მაქვსო, — უნდოდა ეპასუხა როუზს, მაგრამ რატომღაც გაჩუმება არჩია. სწავლასთან ერთად სადმე სამუშაოც უნდა იშოვო, ოჯახს დაეხმარებო, — დაარიგა მკერავმა.

მოულოდნელად დერეფანში მდივანმა ქალმა გააჩერა:

— შენ სტიპენდიანტი სტუდენტი ხარ?

როუზს ეგონა, მისაყვედურებს, კრებას რატომ არ ესწრებო, და თავი მოისაწყლა; ცუდად გავხდიო, დააპირა თქმა, მაგრამ მდივანმა დაასწრო:

— გამომყევი, ვიღაც უნდა გავაცნო.

ოფისში დოქტორი ჰენშიევი ცოტა არ იყოს აბეზარ ადამიანად მიაჩნდათ. იგი ყოველთვის ღარიბ, ცოცხალ და მსიარულ გოგონებს ირჩევდა. მოსდენილებზე და კობტებზე უარს ამბობდა.

— მე მგონი გაგიმართლა დღეს, — უთხრა მდივანმა როუზს. — რა მოყამული ხარ.

როუზს არ მოსწონდა, ასეთ შენიშვნას რომ აძლევდნენ, მაგრამ მაინც მორჩილად გაიღიმა.

დაახლოებით ერთ საათში იგი ჰენშიევის სახლში დაბორილობდა ჩინურ ფარდებსა და ლარნაკებს შორის. მალე კაფეტერიის ნაცვლად კოლეჯის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. ბიბლიოთეკის გამგე ჰენშიევის მეგობარი იყო. შაბათობით მუშაობდა წინგთსაცავში, წიგნებს ალაგებდა. შემოდგომაზე შაბათობით ბიბლიოთეკა თითქმის ცარიელი იყო, რადგან ფეხბურთის მატჩები იმართებოდა. ღია ფანჯრებში გულშემატკივართა ღრიანცელი და სიმღერები შემოდისოდა.

კოლეჯის შენობები ძველი არ იყო, მაგრამ ძველის ყაიდაზე აეშენებინათ. ხელოვნების ფაკულტეტისათვის განკუთვნილ შენობას კოშკი ედგა. ბიბლიოთეკას ურდულიანი ფანჯრები ჰქონდა. როუზს აქ ყველაზე მეტად შენობები და წიგნები მოსწონდა შაბათის გარდა სხვა დღეებში კოლეჯში ჩვეულებრივ სიცოცხლე სჩქეფდა, ახლა კი სიჩუმეს დაესადგურებინა. ყველანი ფეხბურთის მატჩზე გაკრეფილიყვნენ. სტუდენტების ყვირილი და ურიაბული ეზოს იკლებდა, რაც როუზს სიგიჟედ და უგუნურობად მიაჩნდა. მაინც რა უაზრო შეძახილებითა და სიმღერებით ივსებოდა იქაურობა! ნუთუ ეს მშვენიერი შენობები იმისათვის ააშენეს, სტუდენტებს ასეთი სულელური სიმღერები ემღერათო? — რამდენჯერ გაუფიქრია როუზს. გამაელთ კი ვერავის გაუმხელდა ამ ფიქრს. ის კი არადა, ვინმეს რომ ეთქვა, რა საშინელებაა შაბათობით მუშაობა, ამას სჯობს რომელიმე სპორტულ ღონისძიებას დაესწროო, მაშინვე უყოყმანოდ დაეთანხმებოდა, მარაალი ხარო.

ერთხელ სოფლის მეურნეობის ლიტერატურის სექციაში ვიღაც კაცმა ფეხზე უჩქმიტა. საერთოდ, იქ მხოლოდ ასპირანტებსა და მომსახურე პერსონალს უშვებდნენ, თუმცა ქვედა სართულის ფანჯრიდანაც შეიძლებოდა ვინმე ამომხვრალიყო. საცავში როუზმა ადრევე შეამჩნია ერთი კაცი, რომელიც წელში მოხრილი ათვალიერებდა წიგნებს ქვედა თაროზე. როუზი რომ მიუახლოვდა, რათა რომელიღაც წიგნი თავის ადგილას დაედო, კაცმა, ზურგს უკან ჩაუარა, სწრაფად დაიხარა, წინდის ბოლოს შიშველ ბარძაყზე წაეტანა და უჩქმიტა. ყველაფერი ერთ წამში მოხდა. როუზი სახტად დარჩა. კარგა ხანს გრძნობდა მის თითებს.

სექსუალური ჩქმეტა ნამდვილად არ ყოფილა. უფრო სუბრობას ჰგავდა, მაგრამ არა მეგობრულს. როუზმა გაიგონა როგორ გაიქცა ის კაცი, როგორ ააზანზარა რკინის სტელაჟები მისმა ფეხის ხმამ. ზანზარი რომ მიწყდა, გოგონამ მიათვალაიერ-მოათვალაიერა იქაურობა, მიიარ-მოიარა საცავი, კაბინებშიც შეიხედა, იქნებ სადმე წავაწყდეთ. თვითონაც არ იცოდა, რად უნდოდა იმ კაცის ნახვა, უბრალოდ, ისევე როგორც ბავშვები დამალობანას თამაშის დროს ეძებენ ხოლმე ერთმანეთს. ფეხზე დაიხედა, ნაჩქმეტი ადგილი გაწითლებოდა. გაელიმა, მისმა ჯიშინმა ფეხებმა, თქვენ წარმოიდგინეთ, ალბათ ცისფერსაც გაუღვიძა მადა. უჩქმიტა და ამით თითქოს დასაჯაო კიდევ.

ნაშუადღევს აქ რამდენიმე ასპირანტი მუშაობდა ხოლმე. ზოგჯერ პროფესორიც მოდიოდა, მაგრამ ახლა ყველა კაბინა ცარიელი იყო. კუთხეში ბოლო კაბინის კარიც თამამად შეაღო, ეგონა, იქაც არავინ იქნებოდა, მაგრამ კაბინაში ყმაწვილი კაცი იჯდა. წიგნი მუხლებზე გაეშალა. იატაკზე წიგნები და ქაღალდები იყო მიმოფანტული. როუზმა ჰკითხე, აქ ხომ არ შემოსულა ვინმეო. ვაჟმა უპასუხა, არაო.

გოგონამ უამბო, რაც მოხდა, იმიტომ კი არა, რომ ეშინოდა, არა, უბრალოდ უნდოდა, ვინმესთვის ეთქვა, რაც თავს გადახდა. ვაჟის ასეთ რეაქციას არც ელოდა. უეცრად გრძელი ყელი და სახე წამოუწითლდა, ფეხზე წამოიჭრა, დაავიწყდა, მუხლებზე წიგნი რომ ედო. წიგნი დაცურდა და იატაკზე დავარდა. ფურცლებიც მიმოიფანტა.

— რა სიმდაბლეთა! — წამოიძახა მან.

— სამელნე ვარდება! — შესძახა როუზმა.

ვაჟი დაიხარა, მაგრამ სამელნე უკვე ძირს ეგდო. საბედნიეროდ, სახურავი მჭიდროდ ეხურა და არ დაქცეულა.

— გატკინა? — ჰკითხა ვაჟმა.

— არა, სულაც არა.

— ავიდეთ მაღლა და დირექციაში განვაცხადოთ.

— არა, არ ღირს.

— ზემოთ არავინაა და ვისთან უნდა განვაცხადოთ? უფროსი წასულია.

— ცუდია, — ისე აღელდა ვაჟი, რომ როუზმა ერთი პირობა გაიფიქრა, ნეტავი არ მეთქვაო.

— აბა, წავედი. სამუშაო მელოდება, — უთხრა როუზმა.

— მართლა კარგად ხარ? — ჰკითხა ვაჟმა.

— კო, კარგად ვარ, — მიუგო როუზმა.

— მე აქ ვიქნები. თუ დაბრუნდეს, დამიძახე.

ასე გაიცნო როუზმა პატრიკი. იგი რაინდული ბუნების ყმაწვილი გახლდათ. რაინდის ცხოვრების მიზანიც ხომ „სუსტი სქესის“, „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენლის განსაცდელიდან დახსნაა. და აჰა, ხელსაყრელი შემთხვევაც თავისთავად მიეცა. თუმცა ვაჟი საკუთარ თავზე, თავის რაინდობაზე მოჩვენებითი ირონიითა და დაცინვით ლაპარაკობდა, მაგრამ ვის მოატყუებდა?

როუზი პატრიკს შაბათობით ბიბლიოთეკაში ზოგჯერ შემთხვევით კოლეჯის ეზოში ან კაფეში ხვდებოდა. ვაჟი თავაზიანად ესალმებოდა და ეკითხებოდა, როგორა ხარ, იმ კაცს კიდევ ხომ არ შეუწუხებინხარო, ანდა მაშინდელმა თავდასხმამ შენზე ცუდად ხომ არ იმოქმე-

დაო. დაინახავდა თუ არა როუზს, უცებ წითლდებოდა. ალბათ იმიტომ წითლდება, ის ამბავი აგონდებაო, ფიქრობდა როუზი. მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ ვაჟს მოსწონდა.

მან გოგონას სახელიც გაიგო და მისამართიც. როდესაც დაურეკა და კინოში დაბატოდა, როუზი ვერც კი მიხვდა, ვინ ურევდა. მაგრამ მერე უცებ მისი ძალადი, მღელვარე და მოკრძალებული ხმით უცნო. როუზი დაპირდა, წამოვალო. დოქტორ ჰენშეივისათვის არაფერი გაუმხელია, რადგან ქალი მუდამ აქებდა: რა კარგია, დროს ბიჭებთან ხეტიალში რომ არ ფლანგავო.

შემდეგ როდესაც ვაჟთან სიარულს მოუხშირა და გაუშინაურდა კიდევ, როუზმა პატრიკს უთხრა:

— სასაცილო არ იქნება, ის კაცი შენ რომ აღმოჩნდე?

მაგრამ პატრიკი აქ სასაცილოს ვერაფერს ხედავდა. ის კი არადა, გაცხარდა, ეს რამ გაფიქრებინაო.

— კარგი ერთი, გეხუმრე, — უთხრა როუზმა. — მშვენიერი სიუჟეტია მოემის მოთხრობისათვის, ანდა პითჩოკის ფილმისთვის.

სწორედ პითჩოკის ფილმის სანახავად მიდიოდნენ.

— რას იტყვი, მე მგონი, საინტერესო იქნებოდა, პითჩოკს რომ გადაეღე ფილმში როგორც გაორებული პიროვნება, რომელიც გოგონების დაჩქმეტაზე ჭკუას კარგავს და თან მორცხვი სწავლულიცაა.

— რაო, მორცხვ სწავლულად მიგაჩნვიარ? — ხუმრობით ხმა დაიბოხა და გაიბღინა ვაჟი.

პატრიკი იშვიათად ხუმრობდა როუზთან. როდესაც შეყვარებული ხარ, სიცილი და ოსუნჯობა უადგილოაო, იტყოდა ხოლმე.

— მე არ მითქვამს, რომ სინამდვილეში მორცხვი ხარ, ანდა გოგონების ჩქმეტა გიყვარს!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე მგონი, ვაჟკაცური გარეგნობა სულაც არა მაქვს, — ჩაილაპარაკა შეფიქრებულმა პატრიკმა.

როუზი შეაკრთო და გააღიზიანა ვაჟის ყალბმა გულახდილობამ. ვაჟკაცური გარეგნობა როგორ არ ჰქონდა იმ სულელს!

— ჩვენ სხვადასხვა სამყაროს ვეკუთვნით, — უთხრა ერთხელ როუზმა ისეთ ზეაწეულ კილოზე, თითქოს პიესის გმირი ყოფილიყო. — მე ღარიბი ოჯახიდან ვარ. ნეტავი განახა ჩემი უბადრუკი სახლი, — სცადა თავი შეეცოდებინა, თუმცა იცოდა, პატრიკი სიღარიბით არ დაიწუნებდა.

— ძალიანაც კარგი, მიხარია, რომ ღარიბი ხარ. სამაგიეროდ საყვარელი ხარ. „მათხოვარ ქალს“ ჰგავხარ, — უთხრა პატრიკმა.

— ვის?

— ნახატია ასეთი: „მეფე კოფეტუა და მათხოვარი ქალი“. რაო, ეს ნახატი არ გინახავს?

პატრიკს ერთი ახირებული ხუმრობა სჭირდა. არა, ეს ხუმრობა არ იყო. ხუმრობა მან საერთოდ არ იცოდა. ირონიით სჩვეოდა გაოცების გამოხატვა. თუ მან სხვაზე მეტი იცოდა, დამცინავი გაოცება ეხატებოდა სახეზე. ასევე ეხატებოდა მაშინაც, როცა სხვამ იცოდა მასზე მეტი. ზედმეტად ქედმაღალი და ამავე დროს მორიდებულიც გახლდათ. ქედმაღლობა ალბათ სიმდიდრის ბრაოიანო, ფიქრობდა როუზი. მაგრამ

ვაჟს ეტყობოდა, სიმდიდრის გარეშეც ასეთი იქნებოდა. პატრიკის დე-
ბიც ასეთები იყვნენ. თუკი ვინმეს ცხენებისა და იალქნიანი ნავეების არა-
ფერი გაეგებოდა, აუცილებლად ტუჩს აუბზუებდნენ. ვინც მათზე
მეტად ერკვეოდა მუსიკაში ანდა, ფთქვათ, პოლიტიკაში, იმისაც ზემო-
დან უყურებდნენ, პატრიკსა და მის დებს მხოლოდ ქვედალლთა ჰქონ-
დათ საერთო. ნუთუ ბილისა და ფლოსაც შეეძლოთ უმჯობესობები ყო-
ფილიყვნენ? რა თქმა უნდა შეეძლოთ, მაგრამ ისინი სოციალურად და-
უცველები იყვნენ. ირგვლივ, რაც ხდებოდა, ყველაფერი გულთან მიპ-
ქონდათ. პატრიკსა და მის დებს კი სულაც არ აინტერესებდათ ქვეყა-
ნაში რა ხდებოდა, სუფრასთან ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, პატარა
ბავშვებივით იბუტებოდნენ; მათ არ სჭირდებოდათ დიდი ძალისხმევა,
რათა საერთო მასიდან გამორჩეულიყვნენ. არ სჭირდებოდათ პირფე-
რობა, რათა ხალხის კეთილგანწყობილება დაემსახურებინათ. არ სჭი-
რდებოდათ იმიტომ, რომ მდიდრები იყვნენ.

თავიდან როუზს წარმოდგენაც არ ჰქონდა, პატრიკი თუ ასეთი
მდიდარი იყო, მაგრამ ეს არავის სჯეროდა. ყველანი ამბობდნენ, ანგა-
რიშიანი და ჭკვიანი გოგო ყოფილაო. მაგრამ როუზი აინუნშიაც არ აგ-
დებდა მათ ლაპარაკს. თურმე პატრიკი სხვა გოგოებსაც მოსწონდათ,
მაგრამ ვაჟის ყურადღება ვერც ერთმა ვერ დაიმსახურა, ადრე როუზს
უფროსი გოგონები ზედაც არ უყურებდნენ, ახლა კი ერთგვარი პატი-
ვისცემითაც კი ეპყრობოდნენ.

დოქტორმა ჰენშეივმაც როცა დაინახა, საქმე უფრო სერიოზუ-
ლად იყო, ვიდრე ფიქრობდა, გადაწყვიტა როუზი დაერიგებინა და ხუ-
მრობით სიტყვაც გადაუკრა, ფულის ყადრი გცოდნიაო.

— პატარა ამბავი როდია ცნობილი მაგნატის მემკვიდრის მოხიბ-
ლვა, — ჰენშეივის ხმაში ირონია გაკრთა: — მართალი გითხრა, ფული
და სიმდიდრე არც მე მძულს, ის კი არადა, ხშირად მინატრია, ნეტავი
მქონდეს-მეთქი.

თავს იკატუნებს, მდიდარი არა ვარო, — ვაიფიქრა როუზმა.

— დარწმუნებული ვარ, კომერციას შენც აუღებ ალლოს და საქ-
მესაც სასარგებლო, მომგებიანი მიმართულებით წარმართავ. მაგრამ
შენ ხომ სხვა მიზნები და მისწრაფებანი გაქვს, როუზ? სწავლა, სამე-
ცნიერო ხარისხი; ნუთუ ყველაფერს ასე იოლად დათმობ?

უზარმაზარ სავაჭრო იმპერიაში პატრიკის მამასაც ედო თავისი
წილი. ბრიტანეთის კოლუმბიაში რამდენიმე უნივერსალის მფლობელი
გახლდათ. ამის თაობაზე პატრიკმა გაკვირით უთხრა როუზს. ალბათ პა-
ტრიკი ისეთივე სახლში ცხოვრობს, ჰენშეივის ქუჩაზე რომ არის ჩამწ-
კრივებულიო, ფიქრობდა როუზი და ორ სხვადასხვა გაღმა-გამოღმა
სამყაროს ერთმანეთს უდარებდა. ჰენრეთელი შეძლებული ვაჭრებიც
გაიხსენა. არა, მაინც როგორ გაუმართლა ბედმა. შეყასბის ან ოქრო-
მჭედლის ვაჟს რომ შეყვარებოდა, ხალხი იტყობდა, ბედი ჰქონიაო...
ახლა ხომ მით უმეტეს!

როუზმა ბიბლიოთეკაში მოიძია ცნობილი მხატვრების ნამუშევარ-
რთა ილუსტრაციების ალბომი. მოძებნა ის სურათიც, პატრიკმა რომ
ახსენა. დააკვირდა მოკრძალებულ და ამავე დროს ვნებიან მათხოვარ
ქალს, რომელსაც თეთრი ფეხები და ბედსმინდობილი, თვინიერი გამო-
მეტყველება ჰქონდა. ნუთუ როუზიც ასეთი იყო? ნუთუ პატრიკი მას

ასეთად აღიქვამდა? ნუთუ მასაც სჭირდებოდა ეს გოროზი, სასტიკი მეფე, რომელიც სასიყვარულო სარეცელზეც კი არ ჰკარგავდა გონებას? მბრძანებელი, მპყრობელი და უხეშია. უკიდევანო ვნების მთავარში სურს ჩაითრიოს როუზი? მაგრამ პატრიკზე მიიღვას ასე არ იტყვის, — გაუელვას როუზს.

როუზი პატრიკს ასე ადვილად ხელს ვერ ჰკარგავდა, რომ მდიდარი იყო. არა, ფული აქ არაფერ შუაშია. აქ მთავარია ის სიყვარული, რომელსაც ვაჟი სთავაზობდა. გოგონას როგორღაც ებრალებოდა და უნდოდა ეშველა. თითქოს ვაჟს რაღაც დიდი, მძიმე და კაშკაშა საგანი მიჰქონდა, ვთქვათ, ვეებერთელა ვერცხლის კვერცხი, რომელიც, საეჭვოა, რაიმეში გამოსდგომოდა. სიმძიმისაგან წელში მოხრილმა თითქოს ხალხში მხოლოდ როუზი გამოარჩია და ის საგანი გაუწოდა. არა, კი არ გაუწოდა, სთხოვა, შემეშველეო. ჰოდა, თუკი როუზი შველაზე უარს ეტყოდა, მაშინ ვაჟი ასეთ სიმძიმეს გაუძლებდა განა? მოკლედ, როუზი სიმდიდრისაკენ კი არა, სიყვარულისკენ ილტვოდა. პატრიკის სიყვარულში კი ნამდვილად დარწმუნებული იყო. ისიც სჯეროდა, თუკი ვაჟს ზურგს შეაქცევდა, მეორედ ასე აღარ გაუმართლებდა. რაც შეეხება პატრიკს, გადაჭრით ჯერ არაფერს ეუბნებოდა.

როუზმა იცოდა, ადრე თუ გვიან ვინმე აუცილებლად შეიყვარებდა, მაგრამ ზოგჯერ შიშიც გაჰკარგავდა გულში, ვაითუ არავის შევუყვარდეთო. ხანდახან სარკის წინ დადგებოდა და ლამაზ, მომნუსხავ სიტყვებს ამბობდა: შეყვარებული, ქმარი, მეუღლე, ძვირფასი, საყვარელი... ნუთუ ამ სიტყვების წარმოთქმა როუზსაც მოუწევდა? არა, არ მოუწევდა, ამაზე მხოლოდ ოცნებობდა, სინამდვილეში კი გათხოვება არც უნდოდა.

თვალგახელილი იწვა. ფიქრებისგან დაღლილს ძილი არა და არ ეკარებოდა. სცადა, ამაღლებულად ეფიქრა პატრიკზე. მისი გამხდარი, თეთრი სახე წამოუდგა თვალწინ. იგი მართლაც ლამაზი და ჭკვიანი იყო. მთელი დღეები დისერტაციას ჩაჰკირკიტებდა, ხვეწდა და ასწორებდა. მის ჰულოვერს თამბაქოს სასიამოვნო სუნი ასდიოდა. პატრიკი ოცდაოთხი წლისა იყო. როუზის თანატოლ გოგონებს არცერთს არ ჰყავდა ამ ხნის თაყვანისმცემელი. როუზს უნებურად გაახსენდა მისი სიტყვები, მე მგონი, ვაჟკაცური გარეგნობა სულაც არა მაქვსო. მერე თანდათან ფიქრებს გაჰყვა... „გიყვარვარ? მართლა გიყვარვარ?“ — შეშფოთებითა და შიშით შეჰყურებდა პატრიკი. „ჰოო“, — უპასუხა როუზმა. „რა ბედნიერი ვარ; რა ბედნიერები ვართ!“ — აღტაცებით წამოიძახა პატრიკმა. მერე ვაჟმა მათი ამაღლებული სიყვარული სხვათა მიწიერ სიყვარულს შეადარა. როუზს ურყოლამ დაუარა ტანში. დათოვლილ პარკში ხეტიანით ისედაც დაღლილს, პატრიკის აღტაცებამაც გამოაცალა ღონე და საკუთარმა გრძნობამაც. პატრიკს ჯიბეში ჩაუყო ხელი და უცებ ვაჟის ხელში ხელჩარგულს რაღაც შმაგი და დაუმორჩილებელი აუმხედრდა სულში. და ეს რაღაც გაშმაგებული ცდილობდა ნაპირიდან გადმოსეთქვას. უნდა როგორმე დაიოკოს სული, დაიოკოს... და ანგარიშმიუცემლად ვაჟს წაეთამაშა. ხან უღიტინებდა, ხან ხელზე ჩქმეტდა... ხოლო ჰენშეივის სახლს რომ მიუახლოვდნენ, პატრიკს ტუჩებში აკოცა. პირი ძალით გააღებინა. იქნებ ასე არ უნდა მოქცეულიყო? პატრიკმა კოცნაზე კოცნითვე უპასუხა, რბილი ტუჩები ჰქონდა, ენას გაუბედავად ამოძრავებდა. იმის ნაცვლად, რომ გოგონა მკლა-

ვებში მოემწყვდია, კინალამ თვითონ ჩაიკეცა, თითქოს ერთიანად მოიღვენთა და ძალა გამოეცალათ.

— რა საყვარელი ხარ, რა კარგი კანი გაქვს. რა მშვენიერი წარბები. რა კოხტა და ლამაზი ხარ, — ჩასჩურჩულებდა პატრიკი როუზს სიამოვნებდა ვაჟის სიტყვები. ნეტავი ვის არ ესიამოვნებოდა?!

— არა, კოხტა არა ვარ, საკმაოდ სქელი ვარ, — იცინოდა როუზი.

— შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ. ერთი წიგნი მაქვს: „თეთრი ქალღმერთი“. დავინახავ თუ არა, მყისვე შენ მაგონდება.

როუზმა თავი გაინთავისუფლა, დაინხარა, თოვლს ამოჰკრა ხელი და ვაჟს შეაყარა.

— ჩემი თეთრი ღმერთი, — იცინოდა როუზი.

პატრიკმა თოვლი ჩამოიფერთხა. როუზი კი კვლავ ცელქი ბავშვივით აყრიდა და აყრიდა თოვლს. ვაჟი არ იცინოდა, გაოცებული და აღელვებული ჩანდა. როუზმა წარბებიდან თითით ჩამოუწმინდა თოვლი, ხოლო ყურებიდან ენით ამოულოკა. იცინოდა და იცინოდა, თუმცა სასოწარკვეთილი უფრო იყო, ვიდრე მხიარული. თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა.

— ჩუ! ჰენ-შეივი გაიგონებს, — დამარცვლით ჩასჩურჩულა პატრიკმა. მისი ნაზი, ალტაცებული და პოეტური ხმა ახლა მხოლოდ გაღიზიანებას გამოხატავდა.

— ჰენშეივი შენზე ამბობს პატივსაცემი ახალგაზრდააო. მე მგონი შეუყვარდი, — მიუგო როუზმა. ერთხელ საუბარში ჰენშეივმა მართლაც შეაქო პატრიკი.

— ჰოდა, წადი ახლა და მისი უბიწობა ჩაიბარე. დარწმუნებული ვარ, ქალწულია, — როუზმა კვლავ თმაში ჩააყარა თოვლი და აუჩეჩა. მერე პალტოში შეუცურა ხელი და წინ შარვალზე აუსვ-ჩაუსვა.

— ოჰო, რა მაგარია. ჰენშეივისათვის გაგმაგრებია, — ასეთი რამ არასოდეს უთქვამს და არც არასოდეს მოქცეულა ასე.

— გაჩუმდი, — შეწუხებული და თან გაბრაზებული ხმა ჰქონდა პატრიკს. მაგრამ როუზი ვერ ჩერდებოდა. მან თავი ასწია და ჰენშეივს მეორე სართულის ფანჯარაში ხმამაღალი ჩურჩულით დაუძახა:

— დოქტორო ჰენშეივ! მოდი და ნახე, პატრიკს რა აქვს შენთვის, — ხელი ისევ იმ ადგილას ედო.

პატრიკმა ერთი ხელი პირზე მიაფარა, მეორეთი მისი ხელი მოიშორა. მერე რამდენჯერმე უთავაზა კიდევ სახეში, მაგრამ როუზს ვითომც არაფერიო, ვითომც პალტოს ცარიელი სახელოები ხვდებოდა მხოლოდ. ის კი არადა, რაღაცნაირი შეებაც კი იგრძნო: პატრიკისაგან დათაფლული სიტყვების მოსმენა როდი სურდა მხოლოდ, უნდოდა ვაჟი ცოტა განძრეულიყო, ცოტა ემოქმედა... როუზიც აჰყვა და ცემაზე ცემით უპასუხა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ სერიოზულად არ მოხვდა და არ ემწარა. ეგონა, პატრიკი ამას ვერ შესძლებსო. მაგრამ მშვენივრად შესძლო. დააჩოქა როუზი, ხელი ზურგს უკან გადაუგრიხა და სახე თოვლში ჩაარგვევინა. მაგრამ მაშინვე გაუშვა და კიდევ გააფუჭა მკვლავი.

— მაპატიე, როუზ, ხომ არაფერი გატკინე?

ქალი ბარბაცით წამოდგა და თოვლიანი სახით გაუს სახეზე მიეხუტა. პატრიკმა მოულოდნელობისაგან უკან გადადგა ნაბიჯი.

— მაკოცე, თოვლს აკოცე, მიყვარხარ, — ჩურჩულით უთხრა როუზმა.

— მართლა გიყვარვარ, მართლა? — თოვლი მოწმინდა და ტუჩებში გაგიჟებით ჩაეკონა პატრიკი.

უცებ ზემოდან დოქტორ პენშეივის ხმა შემოესმათ.

— როუზ, როუზ!

პენშეივს ფარანი ეჭირა და როუზს ისე წყნარად და გამამხნეველად ეძახდა, თითქოს გოგონას — სადღაც სახლთან ახლოს ნისლში გზა არეოდეს.

— მართლა გიყვარს? — პენშეივს სერიოზული და ცოტა არ იყოს ეჭვიანი ხმა ჰქონდა იმ საღამოს.

— ჰო, მიყვარს, — ისე ღრმად ამოისუნთქა როუზმა თითქოს ნაზ გრძნობას გზა მისცაო.

— კარგი, თუკი გიყვარს...

როუზს შუალამისას გაეღვიძა და შოკოლადის მთელი ფილა შეჭამა. საერთოდ, ტკბილეულზე გიჟდებოდა. გაკვეთილზე ან კინოში რამდენჯერ უნატრია ნამცხვარი. პენშეივი დროდადრო „ევროპულ საშაქარ-ლამოში“ კექსს ყიდულობდა და თვალწინ სწორედ ეს მოყავისფრო ნამცხვარი წარმოუდგებოდა, რომელსაც მართალია შოკოლადის მომწარო გემო დაჰკრავდა, მაგრამ მაინც სწრაფად თავდებოდა. საკმარისი იყო პატრიკზე წამოეწყო ფიქრი, რათა თავის გრძნობებში გარკვეულიყო, რომ ის ოინბაზი ნამცხვარი მაშინვე წინ აეფარებოდა. ასე რომ, სიყვარული წონაში ამატებიანებდა და დროდადრო შუბლზე გამონაყარიც უჩნდებოდა.

როუზის საწოლ ოთახში ციოდა, რადგან გარაჟის თავზე იყო დაშენებული და კედლის სამიფე მხარეს ფანჯრები ჰქონდა დატანებული. სხვა მხრივ ოთახს არა უშავდა; საწოლთან საბურქნეთის ცის ფონზე აღბეჭდილ შენობათა ნანგრევების ჩარჩოიანი ფოტოები ეკიდა. დოქტორ პენშეივს ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობისას გადაელო.

როუზი იეიტსის¹ შემოქმედებაზე თხზულებას წერდა. მწერლის ერთ-ერთ პიესაში აღწერილია ამბავი მეფის ასულისა, რომელიც ფერიებმა იხსნეს უსიყვარულო ქორწინებისაგან.

„წადი, გასცილდი აქაურობას, საბრალო ბავშვო“... კითხულობდა როუზი და თვალეები ცრემლებით ევსებოდა. თითქოს ის კდემამოსილი ქალწული, რეგვენმა გლეხებმა რომ მახეში გააბეს, თვითონ ყოფილიყო! მაგრამ სინამდვილეში თავად გააღდათ მდაბიო ოჯახისშვილი, რომელმაც ჭკვიანი და კეთილშობილი პატრიკი მოხიბლა, და რომელიც არსად არ აპირებდა გაქცევას.

როუზმა ერთ-ერთი ფოტო კედლიდან ჩამოხსნა და მის ადგილას რომელიღაც პოემის დასაწყისი მიაწერა. იგი მაშინ გაახსენდა, როდეს

1 — იეიტსი უილიამ ბატლერი (1875-1939) — ირლანდიელი მწერალი.

საც ლოგინში შოკოლადის ფილას მიირთმევდა. გარეთ ციოდა, ქარი გარაჟის კედლებს ეხეთქებოდა.

„გიჟის ბავშვს მუცლით ვატარებ“, — ასე იწებოდა პოემა / წერა აღარ გაუგრძელებია და აღარც წაშლა უცდია.

პატრიკი ორ სხვა ასპირანტთან ერთად ჩვეულებრივ ბინაში ცხოვრობდა. არც მანქანა ჰყავდა, ტანისამოსიც ისეთი ეცვა, უფრო ლარიბული რომ ეთქმოდა. მისი მეგობრები მასწავლებელთა და მინისტრთა შვილები იყვნენ. მამაჩემს ყველაფერი აქვს, მაგრამ მე არაფერს მაძლევს: მე ხომ ბიზნესი სრულებით არ მიზიდავს, მეცნიერი მინდა გავხდეო, — ამბობდა პატრიკი.

ერთ დღეს პატრიკმა როუზი თავის ბინაში მიიყვანა, იცოდა ნაშუადღევს იქ არავინ იქნებოდა. ოთახში ციოდა. სასწრაფოდ გაიხადეს და ლოგინში ჩაწვნენ. კანკალებდნენ, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და ჩუმად იცინოდნენ. უფრო როუზი ცელქობდა და ადგზნებული კისკისებდა, თან გულში ეშინოდა, ვაითუ ვერაფერი მოვახერხოთო. მაგრამ პატრიკმა, მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ დაბნეული იყო, ყველაფერი მშვენივრად მოახერხა. ხოლო როუზი ხელოვნურად იგრიხებოდა და ვნებიან ქალს თამაშობდა. გაეხარდა, როდესაც ყველაფერი დამთავრდა, თვალთმაქცობა აღარ დამჭირდებაო. ხოლო როდესაც გაიპარა, ჩვენც ის გავაკეთეთ, რასაც სხვები ლოგინში აკეთებენო, გული სიხარულით აევსო. სიამოვნებით შეჭამდა ნიგვზიან ნაყინს ან ვაშლის ღვეზელს. მერე პატრიკმა თხოვა, მოდი ნუ ავდგებით და ყველაფერი თავიდან დავიწყოთო. ამან კი ძლიერ გააოცა. მაგრამ ვაჟის სურვილს დაჰყვა. სიამოვნება ხუთჯერ თუ ექვსჯერ სიახლოვის შემდეგ განიცადა. მერე ქალს ვნება თანდათან გაუნელდა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა პატრიკმა.

— არაფერი! — მიუგო ქალმა.

ცოტა ხანში ვნების ახალი ტალღა კვლავ აუზვირთდა. ხოლო როდესაც ნორმალური ცნობიერება ისევ დაუბრუნდა, ვაჟს ათასი მადლობა უთხრა. ადრინდელი ეჭვებისათვის უნდოდა ბოდიში მოეხადა. თუმცა ხმამაღლა სიტყვა არ დაუძრავს.

პატრიკი ყავის მოსადუღებლად გავიდა. როუზი კი ვაჟის საწოლში მოხერხებულად მოკალათებული ფიქრებში ჩაიძირა. ხომ შეიძლებოდა ისე აწკობილიყო ყველაფერი, როგორც წარმოიდგინა. სექსში შეთანხმებულებს, ცხოვრებაც თანხმობით უნდა გაეტარებინათ. თუმცა ამის იმედი დიდად არ ჰქონდა. პატრიკის რაინდული ბუნება, მაგრამ დამცინავი ხასიათი როუზს თავგზას უბნევდა: რა მისი ბრალია, მაინცდამაინც ასეთი უჩვეულო ადამიანი რომ შეუყვარდა? მისდა უნებურად პატრიკის სასაცილო უცნაურობანი წარმოუდგა თვალწინ. საწოლში წამოჯდა და მიათვალა მიათვალა იქაურობა. ვაჟის ნივთებს: წიგნებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმლის ჯაგრისებს, საბეჭდ მანქანას, კედელზე მიმაგრებულ კარიკატურებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს სასაცილო იერი დაჰკრავდა. დაე, უჩემოდ პატრიკი იყოს ისეთი, როგორიც არის; ხოლო ჩემთან მინდა ჭკვიანი და ზოგჯერ ხუმარაც იყოსო, — გაიფიქრა როუზმა. მინდა, ჩვეულებრივი ადამიანი იყოს. არც

გმირი მჭირდება და არც სულელი. რომ შემოვა, ნეტავ არ დამიწყოს გაღმერთება და ზედმეტი თაყვანისცემას, რაც მართლა სძულდა. მაგრამ ამავე დროს სძულდა კრიტიკაც და შენიშვნებიც. პატრიკს ბევრი რამის შეცვლა უნდოდა. საინტერესოა, როუზისა რა მოსწონდა. კილოს ხომ უწუნებდა და უწუნებდა, შეცდომებზეც უბოდიშოდ მიუყუდიებდა. როუზი ბრაზობდა: სოფლური კილო სულაც არა მაქვს, ~~საინტერესოა~~ სავით ლაპარაკობენო. ვაჟი არც მისი სექსუალური გაბედულებით იყო აღფრთოვანებული, თანაც სულ როუზი ლაპარაკობდა და ხანდახან ისეთი უხეში სიტყვები წამოცდებოდა, პატრიკი სახტად რჩებოდა, თუმცა ისიც კარგად უწყობდა, რომ უხეშობის მიღმა იმალებოდა როუზის მშვიდი და დამყოლი ბუნება. პატრიკს დიდი გეგმები ჰქონდა: როუზს წესიერ ლაპარაკს ასწავლიდა, მეგობრებს ჩამოაცილებდა და ვულგარულობასაც მოაშლევინებდა.

როუზს სხვა თვისებებიც გააჩნდა, მაგრამ მათზე ვაჟს წარმოდგენაც არ ჰქონდა. გოგონას შეეძლო ბეჯითიც ყოფილიყო და ზარმაციც, პატივმოყვარეცა და საკუთარი თავის უკმაყოფილოც. ამ თვისებებს გულდაგულ მალავდა, რადგან ფიქრობდა, პატრიკმა რომ გაიგოს, აუცილებლად გადამიყვარებსო.

მათ ორჯერ იმოგზაურეს ერთად. სააღდგომოდ ბრიტანეთის კოლუმბიაში გაემგზავრნენ მატარებლით. მშობლებმა პატრიკს ბილეთის ფული გამოუგზავნეს. თავად პატრიკსაც ცოტაოდენი დანაშოგი ჰქონდა, ცოტაოდენიც მეგობრისაგან ისესხა და როუზსაც უყიდა ბილეთი, მაგრამ გააფრთხილა ჩემს მშობლებთან სიტყვა არ დაგცდეს, ბილეთის ფული რომ არ გქონდაო. ცხადია, ვაჟს ეთაკილებოდა იმის გამხელა, რომ როუზი ღარიბი ოჯახიდან იყო. პატრიკს ქალის ჩაცმულობისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ამაზე როუზმა იზრუნა. ჰენშიევს ლაბადა გამოართვა, ხომ შეიძლება სანაპიროზე ციოდესო. კლასიკური სტილის ლაბადა იყო. ცოტა გრძელი ჰქონდა, მაგრამ სხვამხრივ არა უშავდა. მერე კიდევ ერთხელ გაიღო სისხლი და აღებული ფულით ბეწვიანი, ჭერმისფერი, ანგორის, სრული სვიტერი იყიდა. ამ სვიტერმა უფრო გაუსვა ხაზი მის პროვინციულობას, რაც განსაკუთრებით მაშინ იჩენდა თავს, როდესაც საქმე რაიმეს ყიდვას შეეხებოდა.

პატრიკის მშობლები ვანკუვერის კუნძულზე ცხოვრობდნენ. სიდნეისთან ახლოს. სახლს ნახევარი აკრი კოხტად გაკრეჭილი მდელი ერტყა გარს. მარტში, შუაგულ ზამთარშიც, მდელი მწვანედ ხასხასებდა. როუზის მშობლიურ მხარეში მარტი ჯერ ისევ შუაგულ ზამთარს წარმოადგენს. მდელს მერე იწყებოდა დამრეცი, ქვიანი ფერდობი, დაბლა კი ვიწრო პლაჟი იყო გაწოლილი. პლაჟს მიღმა მარილიანი წყალი ლივლივებდა. თეთრად შეღებილ-შებათქაშებული ტიუდორული სტილის სახლი ნახევრად ხისა და ნახევრად ქვისგან იყო აგებული. სასტუმრო ოთახის, სასადილოსა და კაბინეტის ფანჯრები ზღვას გადაჰყურებდა. აქ ალბათ ზღვიდან ძლიერი ქარი ქროდა, რადგან სქელი მინები ნიკელის ჩარჩოებში ჩაესვათ. ასეთი სქელმინიანი ვიტრინა ჰქონდა აგრომობილების მალაზიას ჰენრეთში. ზღვის მხარეს სასადილო ოთახის კედელი მთლიანად შუშისა იყო. გარედან გამობურცული შუშა, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს უზარმაზარ ბოთლში იყავი გა-

მომწყვდეული. განჯინასაც ასეთივე ციმციმა შუშის მუცელი ჰქონდა და ნავივით იყო წაგრძელებული. ყველაფერი თვალში საცემად დიდი და სქელი გახლდათ: სქელი პირსახოცები, სქელი ხალიჩები, მსხვილტარიანი დანა-ჩანგლები. ერთი სიტყვით, ყველგან დამთრგუნავი სიდიდე და ფუფუნება სუფევდა, რამაც ისე ძლიერ იმოქმედა, რომ ერთი-ორი დღის შემდეგ ხელ-ფეხში სისუსტეს გრძობდა. დანა-ჩანგალს ისე ეჭიდებოდა, თითქოს რაღაც მძიმე სამუშაოს იწყებო. შემწვარი ძროხის ხორცის წვრილ-წვრილად დაჭრა და ლეჭვა მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. კიბეზე ასვლისას სუნთქვა ეკვროდა. აქამდე ვერც წარმოიდგენდა, რომ ქვეყნად შეიძლებოდა ყოფილიყო სახლი, რომელსაც შეეძლო მოეგუდა ადამიანი, თუმცა ადრე ბევრ ისეთ ადგილასაც ყოფილა, სადაც არამეგობრული დამოკიდებულება უგრძნია.

პირველსავე დილას პატრიკის დედამ როუზი კარ-მიდამოს დასათვალიერებლად წაიყვანა. მწვანეში ჩაფლული, დარაბებზე სუროშემოვლებული, მომხიბლავი კოტეჯი დაანახა, იქ ჩვენი მოსამსახურე ცოლქმარი ცხოვრობსო. კოტეჯი პენშეივის სახლზე დიდი იყო. როდესაც როუზმა ეს ცოლ-ქმარი გაიცნო, გაოცება ვერ დაფარა: ასეთი თავდაჭერილი, ღირსეული და სწორად მოუბარი ხალხი არც კი ეგულებოდა თავის მშობლიურ პენრეთში. ლამის პატრიკის მშობლებსაც სჯობდნენ ზრდილობიან სიტყვა-პასუხში.

პატრიკის დედამ ყვავილნარი და ბოსტანიც უჩვენა როუზს. კვლები პატარა ქვების მწკრივებით იყო ერთმანეთისგან განცალკავებული. პატრიკის ნახელავიანო უთხრა ქალმა. რაზეც არ უნდა ესაუბრა ამ ქალს, მის ხმაში გამოსჭვავოდა ზიზღისა და გულგრილობის მაგვარი რაღაც.

— ნუთუ მართლა პატრიკმა ააშენა? — ყალბი, უადგილო აღფრთოვანებით წამოიძახა როუზმა.

— ჰო, ნამდვილი შოტლანდიელია, — უპასუხა პატრიკის დედამ. — თქმა მინდა, რომ საზოგადოდ, ბლეთიფორდები გლაზგოელები არიან.

— შოტლანდიელები საუკეთესო კალატოზები იყვნენ. ჰოდა, იქნებ პატრიკის ერთ-ერთი შორეული წინაპარიც კალატოზი იყო — მოჩვენებითი უდარდებლობითა და მამებლობით წარმოთქვა როუზმა, თუმცა მისი ხმა ისეთივე უცხო და სხვისი იყო, როგორც ეს ლაბადა.

არა, არა მგონია, კალატოზები ყოფილიყვნენ, — როუზმა იგრძნო, პატრიკის დედამ საწყენად რომ მიიღო მისი სიტყვები, აქაოდა, ჩემი ქმრის ოჯახს როგორ ეკადრება კალატოზობაო. მაგრამ როდესაც როუზმა უკეთ გაიცნო იგი, უფრო სწორად, როდესაც უკეთ დააკვირდა (ამ ქალის უკეთ გაცნობა შეუძლებელი იყო), მიხვდა, პატრიკის დედა მიკიბულ-მოკიბულ ზოგად ფრაზებს ვერ იტანდა. ისიც იგრძნო, რომ როუზის ვითომდა მეგობრული ლაქლაქიც დიდად არ მოსწონდა.

არ უყვარდა, ბუნდოვანი და ახირებული ფრაზების ჩართვა საუბარში. ამინდზე საუბრისას მისთვის სრულიად საკმარისი იყო ეთქვათ, „ო, რა თბილი დღეა“, ვიდრე: „ეს დღე მაგონებს იმ დღეს, როდესაც...“ მოგონებები ნამდვილად არ უყვარდა.

პატრიკის დედა ვანკუვერის კუნძულის ჩრდილოეთით, ამჟამად გაუქმებულ დასახლებაში ყოფილა დაბადებული. იგი ხე-ტყის ბარონის

ერთადერთი ქალიშვილი იყო პატრიკს არაერთხელ უკითხავს დედისთვის, ადრე რომელი გემები შემოდის პორტშიო, ან რომელ წელს გაუქმდა დასახლებაო, ანდა საით მიდიოდა ხე-ტყით დატვირთული საბარგო მატარებელიო, რაზეც ქალი გაღიზიანებული პასუხობდა: არ ვიცი, საიდან უნდა ვიცოდეთ? ამგვარ გაღიზიანებას სხვა დროს ეშვი-ათად შეამჩნევდით.

წარსულს მაინცდამაინც არც პატრიკის მამა იხსენებდა. და საერთოდ, ბევრი რამ, რაც პატრიკს სჩვეოდა, მამამისს აღიზიანებდა.

— ნეტავ რად გინდა ამ ყველაფრის ცოდნა?! — უყვიროდა იგი სუფრასთან შვილს. იგი დაბალი, წითური კაცი იყო. ოთხკუთხა მხრებით მეომარს მოგავიწყებდათ. პატრიკი უფრო დედას ჰგავდა, რომელიც მალალი, ქერა და ელეგანტური ქალი გახლდათ. ჩაცმასა და მაკიაჟის შერჩევას გემოვნება არ ღალატობდა.

— რად მინდა და ისტორია მაინტერესებს, — მიუგებდა პატრიკი ამალლებულ და თან გაღიზიანებულ კილოზე.

— ისტორია მაინტერესებს, ისტორია, — გამოაჯავრებდა ხოლმე მისი უმცროსი და მარიონი.

პატრიკის უმცროსი დები, ჯოანა და მარიონი, როუზზე უფროსები იყვნენ. პატრიკთან შედარებით უდარდელი ბუნებისანი ჩანდნენ. მათ პირველივე დილას, საუზმის დროს შეკითხვები დააყარეს როუზს.

— ცხენზე ჯდომა იცი?

— არა.

— ნიჩბების მოსმა შეგიძლია?

— არა.

— ჩოგბურთს თამაშობ? გოლფს? ბადმინტონს?

— არა, არა, არა.

— ჩვენი პატრიკივით ესეც ინტელექტუალია ალბათ, — თქვა პატრიკის მამამ.

ამის თქმაზე, როუზის გასაკვირად, პატრიკი ხმამაღლა და რალაცნაირი გააფთრებით მოჰყვა როუზის ჯილდოების ჩამოთვლას. ნეტავ რისი იმედი ჰქონდა? ნუთუ იმდენი ჭკუა არ ყოფნიდა, რომ ეგრძნო, ამ ტრაბახით ოჯახში როუზისადმი უპატივცემულობას უფრო გააღვივებდა?! მთელი ოჯახი ერთსულოვანი იყო პატრიკის წინააღმდეგ. მათ აღიზიანებდათ მისი ინტელექტუალური ინტერესები და ტელევიზიისათუ სპორტის მიმართ ზიზღი. ოჯახის წევრები იმ დროს ერთიანდებოდნენ, როდესაც საქმე პატრიკს ეხებოდა, ხოლო სხვა შემთხვევაში ერთმანეთს არ ინდობდნენ. მამას თავისი ქალიშვილები არ უყვარდა, პატრიკზე რომ აღარაფერი ვთქვათ. თუმცა არც პატრიკი რჩებოდა მათთან ვალში. ყველას ეჩხუბებოდა და მასხრად იგდებდა. განსაკუთრებით დებს, რომლებიც უამრავ დროსა და ფულს ხარჯავდნენ ნაფებსა და ცხენებში. დები ერთმანეთშიც კინკლაობდნენ როუზისათვის სრულიად გაუგებარ საკითხებზე: ქულებიო, სესხიო, გასტუმრებაო... ყველანი ერთად კი დედას ეჩხუბებოდნენ საჭმლის თაობაზე, რომელიც სუფრაზე მუდამ უხვად ელაგა და გემოც მშვენიერი ჰქონდა. დედა ყველასთან სიტყვაძუნწი იყო და ვერც დაადანაშაულებდი. როუზს ამდენი ღვარძლიანი ხალხი ერთად თავმოყრილი არსად ენახა. ბილი ხომ ჯა-

ჯღანა და აუტანელი კაცი იყო, როუზის დედინაცვალის ფლოც ჭირვეული, უსამართლო და ყბელი, როუზის მამასაც ცივი და შეუბრალებელი კაცის სახელი ჰქონდა სიცოცხლეში, მაგრამ პატრიკის ოჯახთან შედარებით ანგელოზები იყვნენ. მხიარული, გულღია და შესაბამისი ბული ანგელოზები.

— შენი ოჯახის წევრები ყოველთვის ასეთები არ არიან, არ მოვწონვართ და ამიტომ ჩხუბობენ და კინკლაობენ? — ჰკითხა ერთ დღეს როუზმა პატრიკს.

— შესაძლოა მათ იმიტომ არ მოსწონხართ, რომ მე მომწონხარ, — უპასუხა პატრიკმა ამაყად და ერთგვარი კმაყოფილებით. — მე მიდგანან ჯიბრში.

ქალ-ვაჟი პლაჟზე იწვა სიბნელეში, ლაბალებში გახვეულები ეხუტებოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. დოქტორ ჰენშეივის ლაბადა წყალმცენარეების ლაქებს აეჭრელებინა.

— ახლა ხომ ხვდები, რატომ მჭირდება ასე ძალიან, — თქვა პატრიკმა.

მერე როუზმა წაიყვანა პატრიკი თავის სახლში. არც იქ იყო, საქმე ისე, რომ გეთქვა: დედა, რა ვნახეო. ამას როუზი კიდევ ელოდა. აფორიაქებულმა ფლომ თაღვამი და კარტოფილი მოხარშა. ბილიმ კი ხორცის მაღაზიიდან სოფლური ძეხვი მოიტანა. პატრიკმა ერთი კი გასინჯა და მერე საჭმლისთვის პირი აღარ დაუკარებია. მაგიდას სინთეტიკური სუფრა ეფარა. თავზე ფლუორესცენციული ნათურის მილი დაჰნათოდათ. მაგიდაზე იდო მომწვანო — მოთეთრო პლასტმასის გედი, რომლის ფრთებში ფერადი, დაჭმუჭნული ქალღმერთის ხელსახოცები ეწყო. ფლომ გედი ბილის მიაწოდა, ხელსახოცი ამოიღეო, მან კი გაურკვეველად ჩაიდუღუნა, არ მინდაო.

მთელი ჰენრეთი როუზის გათხოვებაზე ლაპარაკობდა. ამბავი ბილსა და ფლოსაც მიუვიდათ. კბილის ექიმის ცოლმა, ფაშფაშა ქალბატონმა და ვეტერინარის ცოლმაც, რომლებიც ხორცის მუდმივი მუშტრები იყვნენ, ბილის უთხრეს, ყური მოვკარით, როუზი მილიონერზე თხოვდებაო. როუზმა იცოდა, მათი ჰენრეთში ჩამოსვლის მეორე დღეს ბილი მაღაზიაში მილიონერის ვაჟის ამბავს მიიტანდა და მოჰყვებოდა ტრახასს, დავსვით და ჩვენებური ძეხვით გავუმასპინძლდით, მე და ფლოს მისი მილიონერობა არაფრად ჩავვიგდიაო.

როუზმა იცოდა, ვიღაც ფლოც რაღაცას იტყოდა: დედინაცვალს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, პატრიკის აღელვებული ხმა და აკანკალებული ხელი.

მაგრამ ახლა სუფრასთან ორივენი საცოდავები და დაბნეულები ჩანდნენ. როუზი დაილალა. ხან რაზე წამოიწყო საუბარი, ხან რაზე. ისე არაბუნებრივად გამოსდიოდა ლაპარაკი, თითქოს ინტერვიუს იღებდა ორი უბრალო ადგილობრივი მაცხოვრებლისაგან. როუზს რცხვენოდა, ისინი რომ მდაბიოები იყვნენ. სუფრა რომ ღარიბული ჰქონდათ, რცხვენოდა სინთეტიკურ სუფრაზე დიდის ამბით რომ შემოედგათ ხელსახოცების გედი, რცხვენოდა პატრიკის გამოც, რომელიც მოღუშული იჯდა, ხოლო როდესაც ფლომ კბილების საჩიჩქნი მიაწოდა, შეძკრთალს ირონიულმა ღიმილმა ხომ სულ დაუმაჩვია სახე. როუზს ფლოს გამოც

რცხვენოდა, მისი მოკრძალება და ლაქუცი აღიზიანებდა, ყველაზე მეტად კი საკუთარი თავისა რცხვენოდა, ბუნებრივად ლაპარაკსა და თავის დაჭერას ვერ ვახერხებო. პატრიკი რომ არა, როუზი ფლომ, ბილისა და პენრეთის მკვიდრთა კილოზე ილაპარაკებდა. თუმცა ეს კილო ახლა ყურს ჭრიდა.

აქაურები კი არ საუბრობდნენ, ყვიროდნენ. მკვებრად, მასწავლებლებულად ისროდნენ სიტყვებს, თითქოს ერთმანეთს ყუმბარებს უშენენო. როუზი უსმენდა მათ პატრიკის ყურით; უმხერდა პატრიკის თვალთ და გაოცებული იყო.

როუზი შეეცადა პენრეთის ისტორიაზე ჩამოეგდო სიტყვა, იქნებ პატრიკი ამან დააინტერესოსო, მაგრამ საუბარმა სულ სხვა მიმართულება მიიღო. სადავეები ფლომ ჩაიგდო ხელში და მოყვა, მაგრამ რა მოყვა!.. ისაო, ის საშინელი უბანი, სადაც ახალგაზრდობაში ვცხოვრობდი, თვითმკვლევლობებითაა ცნობილიო...

როუზის შიში გამართლდა. ფლომ სხაპასხუპით ჩამოკაკლა, ერთმა კაცმა როგორ გამოიჭრა ყელი დანით, ერთი ყურიდან მეორე ყურამდე. მეორემ ტყვია დაიხალა შუბლში, მაგრამ პირველი გასროლა უშედეგო აღმოჩნდა, თოფი ხელმეორედ გატენა და შუბლი გაიხვრიტაო, მესამემ ჯაჭვზე ჩამოიხრჩო თავიო, მეოთხეს — ქალს — მართალია თავი არ მოუკლავს, მაგრამ ერთი კვირის თავზე ნახეს თავის სახლში მკვდარიო. ეს ამბავი ზაფხულში მოხდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა სურათი იქნებოდაო. ყველა უბედურება ჩემი სახლიდან ხუთი მილის რადიუსში ხდებოდა და ამიტომ ვიცი ასე დაწვრილებითო. თქვენი შეშინება სულაც არ მინდა, ღმერთმა დამიფაროსო. განა ამაზე საშინელი ამბები არ გვსმენიაო?

— მართალი ხარ, — უთხრა პატრიკმა როუზს, როდესაც ავტობუსით უკან ბრუნდებოდნენ. — უკეთური ხალხია და ადგილიც ყოვლად უბადრუკი. კარგია, დროზე რომ გამოერიდე აქაურობას.

როუზმა იგრძნო, პატრიკს ეს არ უნდა ეთქვა.

— კი მაგრამ, ფლო ხომ შენი ნამდვილი დედა არ არის? შეუძლებელია შენი მშობლები ასეთები ყოფილიყვნენ, — არც ეს მოეწონა როუზს, თუმცა გულის სიღრმეში ეთანხმებოდა კიდევ. როუზი გრძნობდა, პატრიკი სხვას მოელოდა. ეგონა, დარბაისელ ხალხს შეხვდებოდა. ეგონა, თავისი ღარიბი მეგობრების მსგავს ოჯახში აღმოჩნდებოდა, სადაც დაკემსილი, მაგრამ სამაგიეროდ ქათქათა თეთრი ხელსახოცები ალაგია სუფრაზე. სადაც ამაყი, გემოვნებიანი, გადაღლილი, მაგრამ განათლებული ადამიანები ფუსფუსებენ. რა სულმოკლე ყოფილაო, გაიფიქრა როუზმა. მაგრამ თვითონაც ხომ სულმოკლე აღმოჩნდა. ვერ ამოუდგა მხარში თავისიანებს. წლების შემდეგ ამას ადვილად ახერხებდა, მაშინ კი დაბნეული იყო და იტანჯებოდა. თავისიანებისადმი ერთგულებისა და თავდადების გრძნობა ნელ-ნელა იღვიძებდა მის სულში. ეგონა, როგორც იქნა, ამ ქალაქს თავი დავაღწიეო, მაგრამ თურმე რა მშობლიური, რა ახლობელი ყოფილა მისთვის ყოველი ხე, ბუჩქი, ქუჩა, მაღაზია თუ თავისი ღარიბი კერა. მოაგონდა, პატრიკის უშველებელი სახლი, უკიდევანო ოკეანე, მთები და ქვები. არა, როუზი უფრო მჭიდროდ

იყო თავის სახლთან დაკავშირებული, ვიდრე პატრიკი — თავის კერასთან.

მაგრამ ვაჟი ყოველნაირად ცდილობდა უკან მიხედვის საშუალება მოესპო მისთვის. ძვირფასი ბეჭედი უყიდა და განუცხადა, ისტორიას თავს ვანებებ, ბედი მამაჩემის ბიზნესში უნდა ვცადო.

— მე კი მეგონა, ბიზნესი შენი საქმე არ იყო, — უთხრა როუზმა.

— მართალია, ასე აღრე მიმაჩნდა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვერ მოვიქცევი. ცოლი ხომ უნდა ვარჩინო, — მიუგო ვაჟმა.

მამამ შეაქო შვილი. საღად აზროვნებს, დაოჯახება რომ გადაწყვიტაო და შესთავაზა, თუ გინდა ჩემს ერთ-ერთ მაღაზიაში სამუშაოს მოგცემ, მერე სახლსაც გიყიდო. მამამისის წინადადებაზე პატრიკმა უარი არ თქვა, ისევე როგორც როუზმა ვერ უთხრა უარი ვაჟს, რომელსაც გოგონას ცოლად შერთვა უნდოდა. მაგრამ მათ არცერთს ანგარება არ ამოძრავებდათ.

— შენს მშობლებს რომ სახლი აქვთ, ისეთი სახლი გვექნება ჩვენც?

— ჰკითხა როუზმა.

— არა მგონია, თავდაპირველად იმოდენა სახლი დაგვჭირდეს, — უპასუხა პატრიკმა.

— ასეთი სახლი არც მინდა. არც მათსავით მინდა ვიცხოვრო.

— ისეთი სახლი გვექნება, როგორსაც მოისურვებ.

რა თქმა უნდა, „უბადრუკი“ სახლი არ იქნება, გაიფიქრა როუზმა.

ის გოგონებიც კი, რომელთაც როუზი მხოლოდ შორიდან იცნობდა, აჩერებდნენ და თხოვდნენ, ბეჭედი გვაჩვენეო, თან აღტაცებას ვერ მაღავდნენ და წინასწარ ულოცავდნენ გათხოვებას.

როდესაც ჰენრეთში მეორედ მარტო ჩავიდა, ქუჩაში კბილის ექიმის ცოლი შეხვდა:

— როუზ, რა კარგია კიდევ რომ ჩამობრძანდით, მინდა ჩაიხე გვეწვიოთ. ამ ქალაქის ყველა ღირსეულ ქალბატონს სურს მიგიპატიჟოთ ოჯახში, — ღიმილით უთხრა მან.

ეს ქალი როუზს აღრე არც დალაპარაკებია, ის კი არადა ეგონა, საერთოდ არ მიცნობსო. და აჰა, გზა ხსნილი იყო. ბარიერები გადალახული. რა სირცხვილია! ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო. იმის მაგივრად რომ ღირსეულად გასცლოდა იმ ქალს, ცოტა წამოწითლდა, უდარდელად ააბრჭყვიალა თავისი ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი და ღიმილით უპასუხა, მშვენიერი აზრიაო.

— რა ბედნიერია, — ამბობდნენ მასზე ნაცნობები. როუზსაც ბედნიერი ეგონა თავი ყველაფერი მარტივად აეწყო. იღიმებოდა და ლოყებზე პატარა ფოსოები უჩნდებოდა. თვალები უბრწყინავდა. უდარდელ პატარძლად გადაიქცა. როდესაც ეკითხებოდნენ, სად იცხოვრებთო. უზრუნველად პასუხობდა, ბრიტანეთის კოლუმბიაშიო. ეს მხარე მის ზღაპარს უფრო ჯადოსნურს ხდიდა. მერე კითხვებს დააყრიდნენ: მართლა ასეთი ლამაზია იქაურობა? ზამთარი მართლა არ იცის იქ?

— ო, დიას, ო, არა! — გაიძახოდა როუზი.

ერთ დღეს დილაადრიან ადგა, ჩაიცვა და დოქტორ პენშეივის სახლიდან გავიდა. სისხამი დილა იყო და ავტობუსები ქალაქში ჯერ არ მოძრაობდნენ. პატრიკის სახლისკენ გზას ფეხით დაადგა. პარკში მოხუ-

ცი ქალი ძალღებს ასეირნებდა. ორივე თოკი ჩაებლუჯა ხელში. ძალღე-
 აი გასაქცევად იწევდნებ. ქალი ექაჩებოდა, ლაძის წაქცეულიყო. მზე
 ის იყო ამოდრიოდა და ბალახზე დადებულ ცვარს ათასფრად აბრწყვია-
 ლებდა. გაზონებში ხარგიხები ჰყვოდნებ.

კარი ნამძინარევა და თმააჩეჩილდა პატრიკმა გაულო. ზოლიანი
 პიუამო ეცვა.

— რა მოხდა, როუზ?

როუზმა ხმა ვერ ამოიღო. ვაჟმა ოთახში შეიყვანა. როუზმა ხელე-
 ბი კისერზე მოხვია, სახე მის შკერდში ჩამალა და სასოწარკვეთილმა
 ძლივს ამოთქვა:

— პატრიკ, ცოლად ვერ გამოგყვები.

— ავად ხარ? რა მოგივიდა?

— ცოლად ვერ გამოგყვები, — როუზის ხმას სიმტკიცე გაუნელ-
 და.

— გიჟი ხარ. ნამდვილად გავიჟდი.

როუზს არ სწყენია ეს სიტყვები. პატრიკმა რომ კარი გაულო და
 მისი ნამძინარევი თვალები, მისი პიუამო დაინახა, მიხვდა, იქ რისთვის-
 საც მივიდა. მისი გადაწყვეტილება არანორმალური იყო. პატრიკისათ-
 ვის ყველაფერი უნდა აეხსნა, მაგრამ იცოდა, ვერაფერსაც ვერ აუხსნი-
 და, ვერაფრით დაარწმუნებდა, ვერც შესაფერის სიტყვებს მოძებნიდა,
 ხმაც და იერიც ყალბი ექნებოდა.

— ალელგებული ჩანხარ. რა მოხდა?

— არაფერი.

— ამ დროს აქ როგორ მოხვედი?

— ფეხით.

როუზს ტუალეტში შესვლა მოუნდა, მაგრამ იკავებდა, ახლა ასეა
 საჭირო, მაგრამ ვის ძალღმს ბუნებრივ მოთხოვნილებას წინ აღუდგეს?
 ჰოდა, ვერც როუზმა შესძლო ეს:

— ახლავე მოვალ! — მიაძახა ვაჟს და ტუალეტში შევიდა.

იქიდან გამოსულმა დაინახა, რომ პატრიკს ელექტროჩაიდან
 ჩაერთო და ყავის მომზადებას აპირებდა. ვაჟი შეცბუნებული ჩანდა,
 მაგრამ მაინც თავი ღირსეულად ეჭირა.

— ნახევრად მძინავს, — თქვა მან. — ახლა დაჯექი და... ჯერ ეს
 მითხარი, მენსტრუაცია ხომ არა გაქვს?

— არა, როუზი დაიბნა და ალელდა კიდევ ვაითუ გამოთვალოს და
 მიხვდეს, რომ ვატყუებო.

— კარგი, თუკი არც მენსტრუაცია გაქვს და არც არაფერი მომხ-
 დარა, მაშ, ეს შენი სიტყვები რალას ნიშნავს?

— არ მინდა გათხოვება, — როუზმა ცოტა შეარბილა ადრე ჩაფი-
 ქრებული სათქმელი:


„შენი ცოლობა არ მინდა“.

— როდის მიიღე ეს გადაწყვეტილება?


— დიდი ხანია. არა, ამ დილით.

ისინი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. როუზმა საათს შეხედა, რვის
 წუთები იყო.

— სხვები რომელზე იღვიძებენ?



ზოლიანი
 პიუამო
 ბიზნისი

- დაახლოებით რვაზე.
- ყავისთვის რძე გაქვს? — მაცივრის კარი ხმაურით გამოაღო როუზმა.
- წყნარად მიხურე, თუ შეიძლება, — უთხრა პატრიკმა  ჯერ ხეირიანად არ გათენებულა.
- ბოდიში.
- გუშინ სალამოს გვიანობამდე ვსეირნობდით. ყველაფერი მშვენივრად იყო. დღეს დილით მოდიხარ და მეუბნები, გათხოვება არ მინდაო. მითხარი, რატომ არ გინდა?
- არ მინდა.
- აბა, რა გინდა?
- არ ვიცი.
- პატრიკმა ყავა მოსვა და როუზს თვალი თვალში გაუყარა.
- გასაგებია, ყველაფერი გასაგებია, — თქვა მან ბოლოს.
- რა არის გასაგები?
- ვიცი, ვინც დაგარიგა.
- არც არავის დაფურიგებია.
- ამას უთუოდ ჰენშეივი იზამდა.
- არა.
- ვიცი, რასაც მაგ ქალზე ამბობენ. გოგოები უყვარსო. თავის მდგმურს თუ ვინმე მეგობარი ვაჟი გამოუჩნდა, აუცილებლად ჩამოაშორებსო. ასე არ არის?
- არა ხარ მართალი.
- მითხარი, როუზ, რა გელაპარაკა?
- არაფერიც არ უთქვამს, — ატირდა როუზი.
- ნამდვილად?
- პატრიკ, მომიხსიენე, არ შემიძლია, ცოლად ვერ გამოგყვები. არ ვიცი რატომ. არ შემიძლია და მორჩა. მაპატიე. დამიჯერე, არ შემიძლია, — სლუკუნებდა როუზი.
- ჩუ! წყნარად, თორემ ხალხს გააღვიძებ, — პატრიკმა თავის ოთახში გაიყვანა. საწოლზე დასვა და კარი დახურა. როუზს ხელები მუცელზე ჯვარედინად დაეწყო და წინ და უკან ქანაობდა.
- რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ვაჟმა.
- ისე მიძნელდება, ისე მიჭირს ამაზე ლაპარაკი.
- ნუ გეშინია, მითხარი ტუბერკულოზი ხომ არ აღმოგაჩნდა ან რაიმე ინფექცია?
- არა.
- ოჯახის რომელიმე წევრი სულთ ავადმყოფი ხომ არ გყოლია?
- გაუბედავად ჰკითხა ვაჟმა.
- არა, — ქვითინს მოუმატა როუზმა.
- აბა, რა მოხდა?
- არ მიყვარხარ, არ მიყვარხარ, არა, — როუზი საწოლზე დაემხო და სახე ბალიშში ჩამალა. — ძალიან ვწუხვარ. ო, როგორ ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა.
- რამდენიმე წუთს სიჩუმე ჩამოვარდა.
- კარგი, თუ არ გიყვარვარ, ძალას არ გატან, — ხმა დაეძაბა პა-

ტრიკს, ცოტა გესლიც გაერია. — მაინტერესებს, იცი კი, საერთოდ, რა გინდა? არა მგონია, იცოდე.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვიცი თუ არა, რა მინდა. არ მიყვარხარ და არც არასოდეს მყვარებიხარ, — შვებით ამოისუნთქა როუზმა.

— ჩუმად, არ გააღვიძო ისინი.

— არ მინდისხარ. არასოდეს მიყვარდი, ყველაფერში შეცდომილს ხყო.

— კარგი, ჰო, კარგი. გასაგებია.

პატრიკს სახე მეტისმეტად გაჰფითრებოდა. მოგრძო ხალი ნაიარევივით აჩნდა თითქოს ამან უბიძგა როუზს, უფრო გულსაკლავი სიტყვები ეთქვა.

— რატომ გეგონა, რომ მიყვარდი? რატომ იქცევი ისე, თითქოს არასრულწლოვანი ადამიანი ვიყო. აბუჩად მიგდებ მეც და ჩემს ოჯახსაც. შენ გგონია, ცოლად რომ მირთავ დიდ წყალობას იჩენ?

— შეძიყვარდი, როუზ. აბუჩად სულაც არ გიგდებ გაღმერთებ, — თქვა პატრიკმა.

— აზიზი და პრანჭია ხარ! — საწოლიდან წამოხტა როუზი. უდიდესი შვება იგრძნო, ეს სიტყვები რომ მიახალა. მერე უფრო და უფრო საშინელებები გადმოთაფრქვია: — ნამდვილი სიყვარული რა არის, არც კი იცი. თავიდანვე მინდოდა, გაგშორებოდი, მაგრამ მეცოდებოდი ყველაფერს ეჯახები, ყველაფერს ამტვრევ და ამას აინუნშიც არ აგდებ. არაფერი არ განაღვლებს შენი თავის გარდა. ტრაბახი კი გიყვარს, მაგრამ სულელი ხარ, წესიერად ტრაბახიც არ შეგიძლია. თუ ნამდვილად გინდა, ხალხმა შენზე შეხედულება შეიცვალოს, ტრაბახს უნდა მოეშვა, თუ არადა, მასხრად აგიგდებენ ყველანი.

პატრიკი ტახტზე ჩამოჯდა და როუზს მორჩილად მიაჩერდა. როუზს მისი გალახვა მოუნდა. უნდოდა, უფრო საშინელი და უტიფარი სიტყვები ეთქვა, მაგრამ ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და თითქოს ამით გზა გადაუკეტა საკუთარ არსებაში ჩაგროვილ ავსა და ღვარძლიან სიტყვებსო, მხოლოდ ეს ამოღერლა, მეტად აღარ გნახავო და კარისაკენ წავიდა, მაგრამ კართან შედგა, მობრუნდა და სევდაგარეულ ხმაზე დაემშვიდობა:

— ნახვამდის.

მეორე დღეს ვაჟისაგან ბარათი მიიღო:

„გუშინდელის ვერაფერი გამიგია, როუზ. მინდა, შეგხვდე და გელაპარაკო. მაგრამ ვფიქრობ, ერთ-ორ კვირას თუ მოვიცდით და არ შეგხვდებით ერთმანეთს, უკეთესი იქნება. ყველაფერს დრო გაარკვევს.“

როუზს ბეჭედი იმ დილით თითზე ეკეთა, მაგრამ იმ ალიაქოთში უკან დაბრუნება სულ გადაავიწყდა. მერე ვერც ფოსტით გაუგზავნა, ძვირფასია, არ დაიკარგოსო. ჰენშეივისთვისაც არ უნდოდა სიმართლე გაემხილა. ამიტომაც ისევ ეკეთა თითზე. გაუხარდა, როდესაც პატრიკის ბარათი მიიღო. იფიქრა, შეგხვდები და ბეჭედს მივცემო.

როუზი უნებლიედ დაფიქრდა იმაზე, რაც პატრიკმა ჰენშეივის შესახებ თქვა. ნათქვამში სიმართლის მარცვალ ნამდვილად იდო. აბა მაშ, რად ითრევს ფეხს როუზი და ჰენშეივს სიმართლეს არ ეუბნება? არ უნდა, მისი კმაყოფილი, მოწონების ნიშნად გაბრწყინებული სახე და-

ინახოს. გეგონება, თავს ძლივს იკავებს, ცოტაც და მიულოცავს ვაჟთან განშორებასო.

გამოცდები მაქვს, არ მცალია და პატრიკსაც ამიტომ აღარ ვხვდებიო, უთხრა როუზმა პენშეივს. ქალი ამ ამბავმა აშკარად გაახარა.

როუზს არც სხვებთან დასცდენია სიტყვა. უნდოდა, კვლავ ელაპარაკათ მასზე. ყურადღების ცენტრში იყო და ეს ძალიან მოსწონდა. ერთი პირობა გადაწყვიტა, დაჯდები და მოვიფიქრებ შემდგომში როგორ მოვიქცეო. აღარც დოქტორ პენშეივთან უნდოდა გაჩერება, კოლეჯის მიტოვებაც დააპირა, ის ხალხი ახლა რომ მილოცავს, ბედმა გაგიღიმაო, ბოლოს და ბოლოს ხომ გაიგებს სიმართლესო. სამუშაო უნდა ვიშოვნო სადმეო. ბიბლიოთეკის გამგემ შესთავაზა, მთელი ზაფხული აქ დარჩი და იმუშავეო, მაგრამ ეს უფრო პენშეივის წყალობა იქნებოდა. სადმეოფისში რომ მოეწყოს, მეცადინეობისა და გამოცდების ჩაბარების ნაცვლად სულელური ბლანკების შევსება და ზარის ხმაზე წინ და უკან სირბილი მოუწევს. ეს კი ნამდვილად არ უნდოდა. სამუშაოზე ფიქრს თავი დაანება და გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას, რაც ასე მოსწონდა და ეხერხებოდა.

ერთ შაბათ დღეს, ბიბლიოთეკაში პატრიკი ნახა. შემთხვევით კი არ მოუკრავს თვალი, არამედ საგანგებოდ ფეხაკრეფით დაუყვა რკინის ხვეულ კიბეს, რათა ერთი ბნელი კუნჭულიდან შეეხედა პატრიკის კაბინაში. ვაჟი ზურგშექცეული იჯდა. როუზმა მხოლოდ გრძელი, გამხდარი კისერი და მხრები დაინახა. უჯრებიანი პერანგი ეცვა. ამ პერანგს შაბათობით იცვამდა ხოლმე. როუზი არც გაღიზიანებული იყო და არც შეშინებული. თავისუფლად შეეძლო შესულიყო და გამოლაპარაკებოდა. რაც მართალი, მართალია ვაჟი ღირსეულად მოიქცა. გოგონასათვის არც თავი შეუცოდებია და არც დაუშინებია, არც წერილებითა და ტელეფონის ზარებით აუკლია. არც პენშეივის სახლის კიბეზე მჯდარა საათობით. მის კეთილშობილებას როუზი ძალიან აფასებდა. გოგონას რცხვენოდა იმ სიტყვებისა, პატრიკს რომ მიახალა: თანაც მთლად სიმართლედ არ იყო! ყოველ შემთხვევაში, ერთი-ორჯერ აშკარად გადააჭარბა. როუზი ისე ააღელვა, ჩააფიქრა და სევდა მოჰგვარა მისმა დანახვამ, რომ ერთბაშად მოუნდა რაღაც სასიამოვნო გაეკეთებინა მისთვის, თუნდაც კაეშანი გაეფანტა.

წარმოიდგინა, ვითომ კაბინაში ჩუმად შევიდა. ვაჟს ფეხაკრეფით მიეპარა და მხრებზე ხელი მოხვია. როუზს კი უხაროდა, მაგრამ პატრიკს იმ ამბის შემდეგ კიდევ მოუბრუნდებოდა გული?.. მერე, ვითომ ორივენი იცინოდნენ, ტიროდნენ და პატიებას თხოვდნენ ერთმანეთს. „მიყვარხარ“, „მეც ძალიან მიყვარხარ“, „შენი წყენინება არ მინდოდა“, „გიჟი ვიყავი, ნამდვილი სულელიო“ და ასე შემდეგ.

ცდუნება ისეთი ძლიერი იყო, როუზმა ველარ გაუძლო და მართლა შევიდა.

წლების შემდეგ, როდესაც როუზი წარსულს იხსენებდა, გულახდილად ყვებოდა, მაშინ იქ ბიბლიოთეკაში უფრო თანაგრძნობამ გამითბო გულიო. ერთი სიტყვით, პატრიკის ვიწრო, წინწახრილი კისრის ცქერას ველარ გაუძლო, კაბინაში შევიდა და მკლავებში ჩაუვარდა; როუზმა მშვენივრად უწყოდა, რომ პატრიკის სიყვარულისა და ალერსის გარე-

შე ვერ იცხოვრებდა. უმისოდ მომავალი არად უჩანდა. მომავლისა ეშინოდა, სიღარიბისა ც. ტორონტოში მატარებლის ბილეთის ფული რომ მქონოდა, ჩემი ცხოვრება სხვაგვარად აეწყობოდაო, — იგონებდა როუზი. უაზრობა იყო ჩვენი ურთიერთობის აღდგენა. ამის გამო მწარედ დავისაჯე. ათი წელი პატრიკის ცოლი ვიყავი, ბევრჯერ ვიწუხებო და ისევ შევრიგებულვართო. მაგრამ სამაგიეროდ როუზს ამის შესახებ არაფერი მახსენებია, სიმწრით კედელს როგორ ახლიდა თავს, ერთხელ ფანჯარასაც კი ესროლა ჯამი და ჩაამტვრია. შემდეგ აკანკალებულმა ლოგინამდე ძლივს მიაღწია. მერე ცოტა დაწყნარდა და პატრიკს პატიება სთხოვა. ქმარმაც, სხვა რა გზა მქონდა, აპატიო; უკვე მერამდენედ. ასე მიდიოდა მათი ცხოვრება. ზოგჯერ პატრიკსაც ევსებოდა მოთმინების ფილა და ცოლს სცემდა. ყოველი ცემა-ტყეპის შემდეგ კი მეორე დღეს ადრე დგებოდნენ და საუზმეს დიდის ამბით შეექცეოდნენ. კვერცხსა და ლორს მიირთმევდნენ და ყავას აყოლებდნენ, თან დარცხვენილნი კრძალვით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, თავს იმშვიდებდნენ, ჩვენც სხვებივით ჩვეულებრივი ცოლქმრული ურთიერთობა გვაქვსო. და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ორივესათვის აუტანელი არ გახდა მათი ერთად ყოფნა და მანამ, სანამ როუზმა სამსახური არ იშოვა და საკუთარი ფული არ გაუჩნდა. შესაძლოა სულაც ეს გახდა მათი დაცილების ნამდვილი მიზეზი.

მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ, რასაც როუზი მხოლოდ გუმანით თუ გრძნობდა და მასზე ლაპარაკს ერიდებოდა. მათ მართლაც ჩვეულებრივი, სრულიად ასატანი ცოლქმრული ცხოვრება მქონდათ: შპალერს აკრავდნენ, საყიდლებზე დადიოდნენ, სასმელ-საჭმელზე ზრუნავდნენ, ბავშვის ავადმყოფობის გამო წუხდნენ; ეს ყველაფერი იყო, მაგრამ ზოგჯერ, თუნდაც ერთხელ მაინც ხომ უნდა ეგრძნოთ ბედნიერება თუ არა, ბედნიერების მოლანდება მაინც. საოცარია, თითქოს ისინი ერთ თარგზე მოჭრილი, მაგრამ ორი სხვადასხვა ადამიანი იყო. თითქოს სადღაც შორს, საკუთარ თავს მიღმა არსებობდა ორი კეთილი და უცოდველი ადამიანი: როუზი და პატრიკი. შესაძლოა, სწორედ ასეთი პატრიკი დაინახა როუზმა იმ დღეს ბიბლიოთეკაში. ნეტავი არ შესულიყო მაშინ მასთან.

მსგავსი ამბავი მეორედაც განმეორდა, ერთ წვიმიან შუალამეს ტორონტოს აეროპორტში. ისინი დაახლოებით ცხრა წლის დაცილებულები იყვნენ. როუზი ამ დროისათვის უკვე ცნობილი ტელეჟურნალისტი გახლდათ. თავის საავტორო გადაცემებში პოლიტიკოსებს, მსახიობებს, მწერლებს, რჩეულ პიროვნებებს, აგრეთვე მთავრობასა თუ პოლიციაზე განაწყენებული უბრალო ხალხსაც იწვევდა. ზოგჯერ იმ ადამიანებთანაც უწევდა საუბარი, რომლებიც ამტკიცებდნენ მფრინავი თეფში ან ზღვის ურჩხული ვნახეთო.

როუზი მართო იყო. აეროპორტში არავინ დახვედრია. დაღლილი, მთლად გალუმპული და შეციებული გახლდათ. უეცრად პატრიკს მოჰკრა თავალი. იგი კაფე-ბარისკენ ზურგშექცეული იდგა. საწვიმარი ეცვა. ცოტა გასუქებულიყო, მაგრამ როუზმა მაშინვე იცნო. ქალს გაახსენდა, რარიგ უყვარდათ ერთმანეთი და გაიფიქრა, მოდი მივალ, მხარზე ხელს შევახებ და ჩემი უეცარი გამოჩენით გაგაოცებ და ბედნიერს გავხდიო.

მაგრამ ასე არ მოქცეულა. მხოლოდ ერთი წუთით შედგა. ამ დროს კაცი მობრუნდა და როუზმა მისი მეტისმეტად თავდაჯერებული და მედიდური მხერა შეამჩნია. გემოვნებით ჩაცმული, დიხჯი, სანტომიანი პატრიკი თვითკმაყოფილი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ხალი მართლაც გაუფერულდებოდა. ალბათ რა უბადრუკი და უბედურნი ჩანდა როუზი თავის დაჭმუჭნილ პალტოში, სველი, შუბლზე ჩამოყრილი თმითა და წვიმისაგან ალაგ-ალაგ ჩამორეცხილი მაკიაჟით.

პატრიკმა ჯიქურ შეხედა და როუზმაც მისი სასტიკი, მკაცრი და გამაფრთხილებელი მხერა დაიჭირა. ძნელია დაჯერება, მაგრამ როუზმა ეს ყველაფერი დაინახა.

ხშირად როდესაც როუზი სატელევიზიო კამერის წინ ტელევიზიაში მოწვეულ რომელიმე სტუმარს ესაუბრებოდა, ამჩნევდა, როგორ ცდილობდა მოსაუბრე სახეზე შესაფერისი ნილაბი მოერგო. სულერთია ვინ იქნებოდა იგი: გამოცდილი პოლიტიკოსი, პატივსაცემი ქველმოქმედი თუ ის დიასახლისი, რომელიც შემთხვევით გამხდარიყო რომელიღაც უბედურების მოწმე. ანდა ჩვეულებრივი მუშა, რომელსაც სამუშაოზე გმირობა ჩაუდინა, დაშავებულიყო და ახლა დაპირებულ პენსიას აღარ აძლევდნენ. კამერის წინ ყველა გულმოდგინედ ცდილობდა, სახეზე ნილაბი მოერგო, ნეტავ ცხოვრებაშიც თუ იფარებდნენ სახეზე ნილაბს? ალბათ არა.

ამრიგად, მათ ერთმანეთი დაინახეს. ალბათ რა გულის მოსაფხანია, როდესაც შუალამისას, სადღაც ქვეყნის კიდეზე იხილავ დაღლილსა და გასაცოდავებულ შენს ჭეშმარიტ მტერს!

როუზი სასწრაფოდ შებრუნდა და იქაურობას გაეცალა. მაგრამ განა შეიძლებოდა იგი ვინმეს, მით უმეტეს პატრიკის მტერი ყოფილიყო. ნუთუ შეიძლება აგრერიგად გძულდეს ქალი, როცა იგი ღიმილითა და კეთილი სურვილებით აღსავსე მოისწრაფის შენსკენ? მაგრამ თურმე შეიძლება, თანაც ეს მხოლოდ და მხოლოდ პატრიკს შეეძლო, სხვას არავის.





ინგლისურიდან

თარგმნა სტეფანე მხარბრიძემ

ტომას მური

მწუხრის ზარები

მწუხრის ზარებმა, მწუხრის
 ზარებმა
 თვალწინ ამინთეს ზღაპრულ
 კანდელად
 ყრმობა, სამშობლო, ის ნეტარება,
 მათ რომ ვუსმენდი უკანასკნელად.
 გაქრა ბავშვობის წლები ფრთამაღლი,
 ბევრიც საწუთრომ გასწირა მწარედ,

მათ ახლა ფარავთ ქვეები სამარის,
 ველარ უსმენენ ამ მწუხრის ზარებს.
 ასე იქნება, მეც რომ მოვკვდები,
 ის ხმა ნაცნობი კვლავ ტკბილად
 დარეკს,
 ამქვეყნად სულ სხვა მოვლენ
 მგოსნები
 და უგალობენ ამ მწუხრის ზარებს.

უილიამ გლეიკი

სიმღერა

გალატებული ვიდოდი მინდვრად
 და ბედნიერი ვიყავი მაშინ,
 როს სიყვარულის მეუფე წმინდა
 უცებ დავლანდე ულურჯეს ცაში.

ვნებისგან დამთვრალს მესროლე
 ბადე,
 დამატყვევა და მომაჯადოვა.

სულში ვარდების ალი ჩადვარა,
 ამიელვარა გულში შროშანი
 და დამანახა თავის ბაღნარი,
 მარად უჭკნობი და სხივოსანი.

მუდამ დაცინვით მიმზერს
 თვალეში,
 სასიმღეროდ რომ გავაღებ ბაგეს,
 მომეფერება ნაზი ალერსით,
 მაგრამ, ვით მონას, არაფრად
 მაგდებს.

მან ნეტარების ამტყორცნა ცამდე
 და სულის მოთქმაც აღარ მადროვა,

ავადმყოფი პარდი

ვარდო, ხარ სნეული,
მჭკნარი, მილეული,
მწველი სიყვარულით
გხრავს ჭია მალული.

ეგ გაუმაძლარი
შენშია ჩამჯდარი,
გკლავს იგი წვალეებით
ტრფობის ააღვებით



მწყემსი

ხარ ბედნიერი მწყემსი, —
თვალს მზესთან ერთად ახელ,
მიერეკები ნახირს
და სალამურიც კვნესის.

ირგვლივ ბლავილი ბატკნის
ზაფხულის ნანად გესმის,
ნახირი წყნარად დადის
და თავს არავინ გესმის.

ოსკარ უაილდი

სილუეტები

ზღვა ანანავებს ნაცრისფერ
ჭავლებს,
ქარი აწვალებს დაფლეთილ
ღრუბელს,
მჭკნარ ფოთოლივით დაჰყურებს
მთვარე
ნავის აფრებით დაფენილ უბეს.
გაცრეცილია ფერმკრთალი ქვიშა,

მეზღვაურ ბიჭის მოცურავს ნავი,
გახარებულმა მშვიდი გზის ნიშნად
ბრინჯაოსფერი შემართა მკლავი.

ფრენენ ფრთოსნები ცაში
გუნდებად,
სადღაც მინდორ-ველს ბინდი ედება,
მთიბავთა ჯგუფი სახლში ბრუნდება
და იფანტება სილუეტებად.

ედგარ ალან პო

ანაბელ ლი

ცხოვრობდა ზღვის პირას ლამაზი
ასული
სულ წინათ მრავალი წლის,
ეგება თქვენც გყავდეთ ოდესმე
ნახული,
ექახდნენ ანაბელ ლის.
მასთან მაერთებდა მხოლოდ
სიყვარული
და თვით მალმერთებდა ის.

რომ გაოცებული და შურით
აღვსილი
იყო სერაფიმი ცის.

ეს გახდა მიზეზი, რომ ის
კომმარეთი
ჩამოწვა ნაპირზე ზღვის,
და ქარი სუსხავდა მქროლავი
შავეთით

ჩემს ლამაზ ანაბელ ლის,
გახსნა ზენაარმა ლაუვარდის
კარედი
და ზეცად მიიხმო მყის.
და გაჩნდა სატრფოს ბნელი
საძვალეთი
იმავე ნაპირას ზღვის.

მაშინ ბავშვი გახლდათ, მეც ვიყავ
ყმაწვილი,
ო, წინათ მრავალი წლის...
და ეს სიყვარული ისე ზეაწვდილი
გვხვდა მე და ანაბელ ლის,

აგი ანგელოზნი შურიან ლაციციით
რომ გადმოგვეყურებდნენ ძირს,
ეს იყო მიზეზი (დიახ, კარგად იცის
ყველამ ამ ნაპირზე ზღვის),
რისხვა ბნელეთიდან მოვარდნილ
ქარიშხლის
ვერ ასცდა ანაბელ ლის.

ამ ტრფობით დაფუძახნეთ თვით
ჩვენზე ხნიერნი,
მზიდველნი მრავალი წლის,
ჩვენზე უბრძენესნი, ჩვენზე
გონიერნი,
და ვერც ანგელოზი ცის,
და ვერცა დემონი ზღვის,

ეპილი დიკინსონი

●
მე სილამაზემ ისე მამწარა,
მომკლა და მერე შემიტკბო მიწამ,
უცებ სიმართლემ დაასამარა
ვიღაც, რომელიც ჩემ გვერდით
მიწვა.

— რამ მოგკლა? — კითხვა
შემომამბარა,

ვერ გამყრის ვერარა, რაგინდაც
ჩლიერი,
ჩემს ძვირფას ანაბელ ლის.

მთვარე ჩემს სანატრულს
სატრფოსთან მსწერილებსა —
მასიზმრებს ანაბელ ლის
და მისთა თვალთა შუქს ჩემს
სულში აბრწყინებს
ვარსკვლავი, მალლით რომ კრთის,
ყოველდამ მასთან ვარ, ვინც მე
მათრთოლებდა,
ყოველდამ საფლავში ვრჩები
საცოლესთან,
საფლავში ნაპირზე ზღვის,
ნაპირზე მღელვარე ზღვის.

ვთქვი: — სილამაზემ დამშრიტა
ვნებით.

— მე კი სიმართლემ არ გამახარა,
მამ, ორივენი ვყოფილვართ ძმები.

გათენებამდე სატრფოთა მსგავსად
შეცუფვით ბაასს დარდის გამხელით,
არ გადაფარა ვიდრემდე ხავსმა
ჩვენი ბაგე და ჩვენი სახელი.





გერმანულიდან

თარგმნა დია თაქვარაძიამ

კახუცინ ძმა მედარდუსის დანატოვარი ჩანაწერები

გამომცემლის წინასიტყვა

ძალიან მინდოდა, მოწყალეო მკითხველო, მიმეყვანეთ იმ ტოტებდაბურულ ქადართან, რომლის ძირას პირველად წავიკითხე ამბავი ძმა მედარდუსის შესახებ. მინდოდა გვერდით მომესვით ფშვიად ეკალ-ბარდებსა და ათასფრად აბრკუვიალებულ ყვავილებში ჩაკარგულ ქვის სკამზე და მეოცნებე და მწყურვალე მწერა მიგვეპრო ლურჯი მთებისთვის, გასაოცარი მშვენებით რომ აღმართულიყვნენ მზით გაჩახჩახებულ მდელოზე ხეივნის ბოლოში. როგორც კი უკან მოიხედავ, ჩვენგან რაღაც ოციოდ ნაბიჯზე უთუოდ შეამჩნევ გოთური სტილით ნაგებ შენობას, რომლის პორტალი უხვადაა შემკული ქანდაკებებით. ქადრის ხშირფოთლოვან ტოტებს მიღმა წმინდა ხატებები შემოგვეცქერიან სხივჩამდგარი, ცოცხალი თვლებით. ქვის ფართო გალავანზე მოხატული ეს მხიარული ფრესკები გარშემო ნათელს აფრქვევენ. აი, წითლად აბრდღვიალებული მზე მთებზე ჩამოდგა. საღამოს ქარი მზეს მალდა ატყორცნის. ყველგან სიცოცხლე და ხალისი ჩქეფს. ჩურჩულითა და ხმაურით მოედებიან საოცარი ხმები ხეებს და ბუჩქებს. ისინი თითქოს სიმღერებად და ორღანოს ჰანგებად იღვრებიან, მალდა, სულ მალდა მიიწევენ და ზეცის ბინადარნი ხდებიან. და ასე აღწევს შორიდან ჩვენამდე ხმათა ეს უღერა. ანაფორით შემოსილ წმინდა მამებს ღვთისმოსავი მწერა ზეცისკენ მიუპურიათ და მღუმარედ მიდგ-მოდიან წალკოტის ხეივანში. გეგონება, წმინდა ხატებები გაცოცხლებულან და ტაძრის მაღალი ლავგარდნებიდან მიწაზე დაშვებულანო. საოცარი თქმულებებისა და ლეგენდების იღუმალეებით აღსავსე ურუოლა ისე აგიტანს, თითქოს ეს ზღაპრად თქმული საკვირველებანი შენს თვალწინ ხდებოდეს და სურვილი გჩინდება გჭეროდეს მათი ნამდვილობა. ამ განწყობით კითხულობ მედარდუსის ამბავს და მღვდლის უცნაური ხილვები უფრო მეტი რამე გგონია. ვიდრე აგზნებული წარმოსახვის თავგზისდამკარგავი უთავბოლო თამაში.

და რაკი შენ, მოწყალეო მკითხველო, სულ ახლახან იხილე მონასტრის კედლებზე მოფენილი წმინდანთა სახეები, იქაური სულიერი მამები და ღვთისმსახური ბერები, ალბათ ეჭვი არც უნდა შეგეპაროს, რომ ქალაქ ბ-ში მდებარე კახუცინთა მონასტრის მშვენიერ წალკოტში შემოგიყვანე.

რაკი ერთხელაც გარემოებამ ამ მონასტერში მომახვედრა და მონასტრის ღირსპატივცემულმა წინამძღვარმა მიჩვენა ძმა მედარდუსის დანატოვარი არ-

ქივში შენახული ქალაღდები, ვითარცა დიდად გამორჩეული ღირსშესანიშნაობა და, თუმცა წინამძღვარს ამაზე გული ეთანადრებოდა, მაინც გადავლახე მისი დაეჭვება და გავეცანი ჩანაწერების შინაარსს. მართალია გითხრათ, მოხუცს ეჭვი არც იმაში ეპარებოდა, ამ ხელნაწერებმა მზის სინათლე იხილონ კი არადა, სულაც უნდა ცეცხლს მისცენ და ამით სრულად აფუჭონ ქირქსაგან მიწისა. გთავაზობ რა წასაკითხად, კეთილმოწყალე მკითხველს ამ ქვეყნულდებში ნაამბობს, მეშინია, შენც იგივე აზრის არ გახდე. მაგრამ თუკი განიზრახავ მედარღუსთან, როგორც მის უერთგულეს მეგობართან ერთად იმოგზაურო მონასტრის ჩაბნელებული დერეფნებით და სენაკებით ჭრელ, ძალიან ჭრელ სამყაროში და მასთან ერთად იხილო და განიცადო მისი ცხოვრების საშინელი, ძრწოლვისმომგვრელი, შეშლილი და სასაცილო საოცრებანი. მაშინ უთუოდ მოგხიბლავს და სიხარულს მოგგვრის შესწ წინაშე გადაშლილი ნაირფერი სურათები სამყაროსი, რომელსაც camera obscura ჰქვია. იქნებ ისიც მოხდეს, რომ ერთი შეხედვით უსახო და ბუნდოვანმა საგნებმა, თუკი მათ ყურადღებით დააკვირდები, დასრულებული და მკაფიო მონაზულობა მიიღოს. შენ უსათუოდ შეიცნობ, როგორ გადაიქცევა ავი ბედისწერის მიერ გაჩენილი დაფარული ჩანასახი საუცხოო მცენარედ, ამონაყარს გაიკეთებს, ტანს ფიცხად აიყრის, ვიდრე ბოლოს და ბოლოს ერთი გაშლილი ყვავილთაგანი ნაყოფს არ გამოისხამს, ცხოვრების ძირმწარე წვეწს მთლად არ გამოსწოვს და ჩანასახს შიგნითვე არ ჩაკლავს.

მას შემდეგ რაც კაპუცინ მედარღუსის ჩანაწერები გადავიკითხე (ეს კი საკმაოდ ვაშიძნელდა, რადგან ნეტარხსენებულს წვრილი, ძლივს გასარჩევი, ბერ-მონაზვნური ხელწერა ჰქონდა). ყოველთვის მგონია, რომ ყველაფერი, რასაც უბრალოდ ოცნებასა და წარმოსახვას ვეძახით, სიმბოლური შეცნობაა საიდუმლო ძაფებისა, მთელს ჩვენს ცხოვრებას რომ თან გასდევს და მის უთვალავ გამოვლენაში ჩაწნულ-ჩაგრეხილა. ოღონდ ეს კია, დაღუპულია იმის საქმე, ვისაც მგონია, რომ ამის შემცნობს ხელეწიფება თვითნებურად დაწყვიტოს ეს იდუმალი ძაფები და გაუტოლდეს იმ ბნელ ძალას, რომელიც ჩვენს ნება-სურვილს თავის ჭკუაზე ატრიალებს.

ვინ იცის, მოწყალეო მკითხველო, როცა ამ წიგნს წაიკითხავ, იქნებ შენც ჩემსავით იფიქრო. მე კი, ჩემდა თავად სულითა და გულით მოვისურვებდი ასე ყოფილიყო მიზეზთა სხვათა მნიშვნელოვანთა გამო.

ნაწილი პირველი

პირი პირველი

ბავშვობის წლები და სამონასტრო ცხოვრება

დედას არასოდეს უამბნია, როგორი იყო მამის ამქვეყნიური სუფევა, რა ურთიერთობები ჰქონდა მას ცხოვრებაში. მაგრამ როცა ვიხსენებ ჩემს ადრეულ ბავშვობაში მამაზე გაგონილ ამბებს, ვრწმუნდები, რომ იგი დიდად მცოდნე, ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი უნდა ყოფილიყო. მისი ადრინდელი ცხოვრების შესახებ დედაჩემის მონაყოლისა თუ ცალკეული მინიშნებების მიხედვით, რაც მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, ვიცოდი, რომ ჩემი მშობლები ოდესღაც მყუდროდ და შეძლებულად ცხოვრობდნენ, აურაცხელი ქონების მფლობელები იყვნენ, მაგრამ მოულოდნელად ყველა-

ფერი დაკარგეს და მიძიმე, გამოუვალ სილატაკეში ჩავარდნენ. მამა სატანამ აცთუნა და საზარელი ცოდვა ჩაიდინა: კაცი მოკლა. სიცოცხლის ბოლო წლებში კი, ღვთის მაღლით ნათელმოსილმა, ცოდვების მონანიება განიზრახა და ამ მიზნით ცივ, შორეულ პრუსიაში მდებარე „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში იწყო მომლოცველობა. პრუსიაში მოგზაურობისას უცხოელ-ქმარმა უამრავი განსაცდელი გადაიტანა. წლების შემდეგ [დღემ] მარჯულად იგრძნო, რომ ეს მლოცვარება უნაყოფოდ არ ჩავლილა, რისიც მამას ძალიან შეეშინდა. მაგრამ მიუხედავად თავისი მწუხარე, დამთრგუნველი სულიერი მდგომარეობისა, მამამ მეტისმეტად გაიხარა, როცა ეს ამბავი შეიტყო. ამაში მან დაინახა აღსრულება ზეციური აღთქმისა. ერთხელ მამას გამოეცხადა წმინდა ბერნარდუსი, რომელმაც აღუთქვა, ვაჟიშვილის დაბადებით მას მიეტევებოდა მომაკვდინებელი ცოდვა და სულის საუკუნო განსასვენელი მიეგებოდა. „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში მამა ავად გახდა. რაც უფრო თავგამეტებით აღასრულებდა იგი მლოცვარების უმძიმეს ტვირთს, მით უფრო ზეიმობდა გამარჯვებას ავისმომასწავებელი სწეულება. ბოლოს კი, სწორედ იმ წუთებში, როცა ამ ქვეყანას მოვევლინე, მამამ სული განუტევა და ცოდვებისაგან განთავისუფლდა. ჩემს ბავშვობის დროინდელ მოგონებებში დღესაც ცოცხლებს წარმტაცი სურათები „წმინდა ცაცხვის“ მონასტრისა და მისი დიდებული ეკლესიისა. იქვე შორიანლო კვლავ შრიალებს ასწლოვანი დაბურული ტყე, ნედლ სურნელებს მაფრქვევს ნებივრად მობიბინე ბალახი, ტოკავენ ათასფერება ყვავილები, და ეს ყველაფერი ჩემი ბავშვობის აკვანს მაგონებს. წმინდა ღვთისმშობლის მონასტერში არც გარეული მხეცები ბუდობენ და არც მკბენარ მწერებს დაუდევთ ბინა. ბუზების ბზუილი და ქრიჭინების ქრიჭინიც კი აღარსად გვესმის. ირგვლივ მყუდროებას დაუსადგურებია. აქ განუწყვეტილ ჩავვესმის მღვდელმსახურებისა და მლოცველების ღვთისმოსავი სიმღერები. სამსხვერპლოს ოქროს საცეცხლურიდან საკმევლის ნელი სურნელი იფრქვევა, სქელ ბოლქვებად ცაში ამავალი. ჩემს თვალწინ ცოცხლდება სამონასტრო ცხოვრება. შუა ეკლესიაში კვლავ ვხედავ ვერცხლით მოჭედილ ცაცხვის ძელს, რაზეც ოდესღაც ანგელოსებს წმინდა მარიამის სასწაულმოქმედი ხატი დაუსვენებიათ. ეკლესიის კედლებიდან და გუმბათიდან კვლავ მიღიმიან ნაირფერი შესამოსელით მორთული ანგელოსთა და წმინდანთა სახეები. მახსოვს დედა საეკლესიო სასწაულებზე მიამბობდა მონასტერში, სადაც მისმა ტანჯულმა სულმა შვება და მოსვენება ჰპოვა. მისი ნაამბობი ღრმად ჩამებეჭდა გონებაში. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს ეს ყველაფერი მეხილა და განმეცადა, თუმცა შეუძლებელიც იყო ჩემი მოგონებები ასე შორეულ წარსულს გადანვდენოდა, რადგან ორი წლისაც არ ვიყავი, როცა მე და დედამ მონასტერი დავტოვეთ. თუმცა ერთი მაინც მჯერა, სახელდობრ, ერთხელ რომ უკაცრიელ ეკლესიაში ვიხილე, უცნაური სახება დიდებული კაცისა და ეს კაცი იყო უცხოელი მხატვარი, რომელიც ჯერაც უხსოვარ დროში გამოჩნდა ამ ადგილებში და ეკლესია აშენდა თუ არა, ამ კაცმა, რომლის ენა ძეხორციელმა არ იცოდა, თავისი გრძნეული და ოსტატურად განვრთნილი ფუნჯით სულ მოკლე ხანში შესანიშნავად მოხატა მისი კედლები, მერე კი, როცა სამუშაო გაასრულა, იდუმალად გაუჩინარდა. კარგად მახსოვს აგრეთვე ერთი მოხუცი, უცნაურად მოსილი გრძელწვერა ქალარა მლოცველი, რომელსაც ხშირად დავყავდი ხელში აყვანილი ტყეში სასეირნოდ. იგი ქრელ ხავსებსა და ქვებს მიგროვებდა, მეთამაშე-

ბოდა. რატომღაც მგონია, რომ მისი ცოცხალი ხატი დედის ნაამბობიდან შემორჩა ჩემს მეხსიერებაში. ერთხელ მოხუცმა მლოცველმა უცხო და მშვენიერი ჩემი კბილა ბიჭი მომიყვანა. ორივენი ბალახებში ჩავახდებოდით ხოლმე, ერთმანეთს ვკოცნიდით და ვეფერებოდით. შერე იმას/ჭრელ ქვებს ვჩუქნიდი. ბიჭი ამ ქვებით მინაზე ათასნაირ ფიგურებს ხაზავდა, ბოლოს კი ყოველთვის ჯვრის გამოსახულებით ამთავრებდა. დედა ქვის სკამზე ჩამოჯდებოდა, მამაკაცი მის ზურგს ამოფარებული იდგა და ნაზი გულისყურით ადევნებდა თვალს ჩვენს ბავშვურ თამაშს. ერთხელ ბურქებიდან მოულოდნელად რამდენიმე ყმანვილკაცი გამოვიდა, ჩაცმულობასა და იერზე ეტყობოდათ, რომ „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში ისინი მოეყვანა უმაქნის ცნობისნადილსა და სანახაობისადმი ფუქსავატურ ყინს. ერთმა, როგორც კი დაგვინახა, გაიცინა:

— მოდით, ნახეთ, ჭეშმარიტად წმინდა ოჯახია აბა რა! სწორედ საჩემო პოზაა და ეს არის, — თქვა და სასწრაფოდ ქალაღდი და ფანქარი მოიმარჯვა. ის იყო ჩვენს დახატვას უნდა შედგომოდა, რომ მოხუცმა მლოცველმა თავი აიღო და მრისხანედ შეუყვირა:

— საწყალობელო ლაზღანდარავ! ხელოვანი გინდა გახდე და როგორ გახდე, ამაზე წარმოდგენაც არა გაქვს. შენ ხომ არც ერთხელ წაგკიდებია რწმენისა და სიყვარულის ცეცხლი. უამისოდ კი შენი ხელიდან გამოსული ნაწარმოებები შენსავით უსულგულო და გამოფიტული იქნება. განწირული, ეული და უსასოო დარჩები სამარის კარამდე და საკუთარი არარაობის უმწეო შეგრძნებაში ამოგხდება სული.

ამ სასტიკი წინათგრძნობით გაოგნებული ყმანვილები იქაურობას მსწრაფლ გაეცალნენ. მოხუცმა კი დედას უთხრა:

— დღეს ერთი საოცარი ბავშვი მოგიყვანეთ. იგი თქვენს ვაჟიშვილს სიყვარულის ნაპერწკალს გაუღვივებს. ოღონდ ახლა კი კვლავ უკან უნდა წაგგვართო იგი. ამიერიდან ვეღარც იმას იხილავთ და ვეღარც მე. უნდა გითხრათ, რომ თქვენს ვაჟიშვილს დიდი ნიჭი აქვს ღვთით მომადლებული, მაგრამ მის ძარღვებში დულს და ბობოქრობს მამისეული შეცოდება. დროთა განმავლობაში მისგან სახელოვანი თანამოსაგრე დადგება. დაე, გახდეს იგი ღვთისმსახური და ეზიაროს მის მაღლს.

დედამ ვერც კი გამოხატა, რაოდენ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე მოხუცი მლოცველის წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა. თუმც მტკიცედ კი გადაწყვიტა, ოდნავადაც არ დაეტანებინა ძალა ჩემს თანდაყოლილ მიდრეკილებებზე და მშვიდად დალოდებოდა განგების ნებას, რომელიც ჩემს მომავალს წარმართავდა. მით უფრო არ გაუჭირდებოდა ამ გადაწყვეტილების შესრულება, რამდენადაც დედა ოცნებასაც ვერ ბედავდა ჩემთვის სოლიდური, სისტემატური განათლება მიეცა და როგორც შეუძლო ისე ახერხებდა ჩემს განსწავლას.

ჩემი თავდაპირველი ყველაზე ნათელი მოგონებები იწყება იმ დროიდან, როცა შინისაკენ მიმავალმა დედამ, ვისაც მეც თან ვყავდი, გზად კარტეზიანულ მონასტერში შეიარა და მონასტრის ბრწყინვალე ილუმენი ქალი მოინახულა. იგი — მამაჩემის ძველი ნაცნობი იყო და დედას უაღრესად თბილად შეხვდა. დროის ის მონაკვეთი, რომელიც მოხუცი მღვდლის იდუმალი გაუჩინარებით იწყება, მართალი გითხრათ, ბუნდოვნად, მაგრამ გარკვეულ წილად მაინც შემორჩა ჩემს მეხსიერებას. გარდა ამისა, ისიც აღსანიშნავია, რომ შემდგომში დედამაც გაამდიდრა ჩემი მო-

გონებები მხატვრისა და მოხუცი მლოცველის ნაამბობთა მიხედვით. ხოლო რაც შეეხება კარტიზიანული მონასტრის ბრწყინვალე ილუმენ-ქალთან შეხვედრის პერიოდს, იგი რადაცნაირ ხინჯად დააჩნდა ჩემს ცნობიერებას, როგორც ცარიელი ფურცელი, რადგან დროს ამ ნაწილზე იოტისოდენა წარმოდგენაც არა მქონია, რადგან არანაირი მოგონება არ შემინახულა ჩემს მახსოვრობაში. ოღონდ ის კი კარგად მახსოვს, როგორც კარტიზის წინა დღეებში დედამ თავის კვანძობაზე კარგად გამომანყო, ძველი ჩასაცმელები გამირეცხა და დამიკემსა. ქალაქში ახალი ბაფთები მიყიდა, ველურად წამოზრდილი გაბურძგნული თმა შემისწორა და სუფთად დაბანილ-დავარცხნილს მკაცრად ჩამაგონა ილუმენი-ქალის წინაშე დამჯერე და თვინიერი იყავიო. მერე ჩამკიდა ხელი და ქვის განიერი კიბის საფეხურებს ერთად ავუყვავით და შევედით მალაღგუმბათიან ოთახში, რომლის კედლებზე რელიგიური შინაარსის დიდებული სურათები ეკიდა. სწორედ აქ ვიხილე პირველად აბატისა, ტანმალალი, ულამაზესი და უდიდებულესი ქალბატონი. სადა მონაზვნური შესამოსელი კიდეც უფრო გამოკვეთდა ბრწყინვალე ილუმენი-ქალის კეთილშობილურ ღირსებას, უნებურად რომ ღრმა მონიწებას აღუძრავდა ირგვლივ ყველას. ქალბატონი, რომელიც პირადად იცნობდა ჩემს განსვენებულ მამას, გულითადად შეეგება დედას ჩემსას, მერე კი დაფიქრებული, სულის დაფარულ კუნჭულში შემღწევი მზერა მომაპყრო და დედას ჰკითხა:

— ეს ბიჭი თქვენი ვაჟიშვილი ხომ არ გახლავთ?

მისმა ხმამ, საერთოდ მისმა გარეგნობამ, უცხო გარემომ, მალაღჭერიანმა ოთახმა კედლებზე ჩამოკიდებულმა ხატებმა და ყველაფერმა, რაც კი გარშემო არსებობდა, იმზომ სულისშემძვრელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ შიშმა ამიტანა და მწარედ ავტირდი, მაგრამ რატომ, თვითონაც არ ვიცოდი. აბატისამ ნაზი და ალერსიანი მზერა მომაპყრო და მითხრა:

— რა მოგივიდა, პატარავ? ჩემი ხომ არ შეგეშინდა? რა ჰქვია თქვენს ბიჭს, ძვირფასო? — ჰკითხა დედას.

— ფრანცი, — მიუგო დედამ.

— ფრანცისკი — წარმოთქვა წინამძღვარმა ქალმა დიდი ნუხილით. მერე ხელში ამიყვანა, მკერდზე მაგრად მიმიკრა და უეცრად კისერი ისე მეტკინა, საშინლად ვიღრიალე. ილუმენმა-ქალმა სწრაფად გამიშვა ხელი, ხოლო საგონებელში ჩავარდნილი დედა ძალიან შენუხდა, ხელი დამიტაცა და უნდოდა იქაურობას მოვეშორებინე, მაგრამ ილუმენმა-ქალმა ამის უფლება არ მისცა. მერე გამოირკვა, რომ ჩემთვის კისერი უტკენია ალმასის ჯვარს, რომელიც ქალბატონს მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული. მოხვედრისას ჯვარი კისერში ისე მაგრად შემერჭო, რომ სამუდამო ნაიარევი დამიტოვა.

— საბრალო ფრანცი, — მითხრა თავადის ქალმა, — კისერი კი გატკინე, მაგრამ მანც შეგობრები დავრჩებით.

ამასობაში ერთ-ერთმა დამ თაფლაკვერა და ტკბილი ღვინო მომიტანა. მომხიბლავმა თავადის ქალმა მუხლებზე დამისვა და თავისი ხელით ჩამიდო პირში ნუგბარი, რომელიც მისი ალერსით გათამამებულმა ისე სულმოუთქმელად შევხანსლე; რომ თავპატიყი არც გამიდვია. როცა ტკბილი ღვინოს რამდენიმე ყლუპი მოვსვი და ეს მოხდა პირველად ჩემს სიცოცხლეში, კვლავ დამიბრუნდა კარგი გუნება-განწყობილება და ის სიმ-

კვირცხლე და ხალისიანობა, რითაც: დედის თქმით, ადრეული ბავშვობიდან გამოვიჩინეოდი. ჩემს სიცილსა და ყბედობას საზღვარი არა მქონდა. აბატიცა და მონაზონი ქალების საამებლად ათას რამეს ვჩამახავდი, ჩემთვის გაუგებარი იყო, როგორ ჩამოაგდო დედამ სიტყვა ჩემს დაბადების ადგილზე, „წმინდა ცაცხვის“ მშვენიერ მონასტერზე და მეც ზეფრდმუჟი-საგან შთაგონებულმა, ისე ცხოვლად აღვწერე უცხო მხატვრის ქმედებული სურათები, თითქოს მათ უღრმეს აზრს ვწვდომოდე, თანაც ისე მიხალ-მისხალ დავხატე წმინდანთა ღირსპატივმისაგებელი საცხოვრისი, თითქოსდა შესანიშნავად ვიცნობდი და სრულიად გათავისებული მქონდა მრავლისმომცველი სასულიერო ისტორიული ლიტერატურა და ყოველივე ამით გაოცებული იყო არა მხოლოდ აბატიცა, არამედ თვითონ დედაჩემიც. თანაც რაც უფრო ბევრს ვლაპარაკობდი, მით უფრო მატულობდა ჩემი აღმაფრენა და როცა განცვიფრებულმა თავადის ქალმა მკითხა, მითხარი, გეთაყვა, საიდან იცი ეს ყველაფერიო, წამითაც არ დავფიქრებულვარ ისე მივუგე, რომ ოდესღაც ერთმა უცხო მლოცველმა ჩვენსა მოიყვანა მშვენიერი და საოცარი ბიჭი, რომელმაც ყველა ხატის მნიშვნელობა განმიმარტა, რაც კი „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში ესვენა, გარდა ამისა წმინდანთა ცხოვრებაზეც ბევრი რამ მიაჩბო, ზოგიერთ ხატს კი ქრელი ქვებით მიხატავდა.

ზარების რეკვამ მწუხრის ლოცვა გვამცნო, მონაზონმა დარჩენილი ნამცხვარი ქალაღდის პარკში გამიხვია და მომანოდა, მე კი შეხვეული დიდი სიამოვნებით ჯიბეში ჩავიდე. ილუმენი-ქალი ფეხზე წამოდგა და დედას უთხრა:

— დღეის ამას იქით თქვენი შვილის აღმზრდელად მიგულებთ, ძვირფასო ქალბატონო. ამიერიდან ბიჭს მზრუნველობას არ მოვაკლებ.

გახარებულმა და აღელვებულმა დედამ ხმა ვერ ამოიღო და მადლიერების ნიშნად თვალთაგან ცრემლი წასკდა, მერე კი ილუმენ-ქალს ხელები დაუკოცნა, ის იყო გარეთ უნდა გავსულიყავით, როცა თავადის ქალი მოგვიახლოვდა. მან კვლავ ხელში ამიყვანა, ჯვარი ფრთხილად გვერდზე გადასწია, გულზე მაგრად მიმიკრა და ცხარედ ატირდა. აბატიცას მღულარე ცრემლმა შუბლი დამინამა. ქალბატონმა ამოიკვნესა და მითხრა:

— ფრანცისკუს, იყავი მუდამ ღვთისმოსავი და კეთილი!

ამ სიტყვებმა სულით ხორცამდე შემძრა და ტირილი მომინდა, მაგრამ არც კი ვიცოდი, რად.

წინამძღვარი ქალბატონის ხელშეწყობით დედამ პატარა მეურნეობა მოაწყო მონასტერთან ახლო მდებარე მომცრო კარმიდამოში. მალე ნივთიერი მდგომარეობა საკმარისად გაგვიუმჯობესდა. ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში გაჭირვებას ბოლო მოეღო. ახლა უკეთ მეცვა და მეხურა, სოფლის მღვდელთან ვმეცადინებოდი, ამავე დროს ბავშვთა საეკლესიო გუნდში ვმღეროდი, როცა მღვდელი ეკლესია-მონასტერში ღვთისმსახურებას ატარებდა.

დღემდე წარუშლელ მოგონებად დამრჩა ჩემი ბავშვობისა და ყრმობის ბედნიერი ხანა, ვითარცა ნეტარი სიზმარი. მაგრამ ვაი რომ შორს, ჩემგან ძალიან შორსაა ის აღთქმული ქვეყანა, სადაც ოდენ სიხარული, უღრუბლო ბავშვობის უბინო განცხრომა იყო გამეფებული. ახლა კი, როცა უკან მოვიხედავ, მხოლოდ პირდაფრენილ უძირო უფსკრულს ვხედავ, სამარადისოდ რომ მაშორებს მშობლიურ მხარეს. მხურვალე გულისთქ-

მით შეპყრობილი დაჟინებით ვათვალისწინებ დილის ცისკრის ძონისფერ ბოლში გახვეულ უფსკრულის პირას მონაწილედ ძვირფას სახეებს და თითქოს ხელახლა მესმის ჩემი ახლობლების დაუფინყარი საყვარელი ხმები. განა ამქვეყნად არსებობს უფსკრული, რომელზე გადაქროლება არ ძალუძდეს სიყვარულის უმძლავრეს ფრთებს? რას მიქვია ტრფობისათვის დრო და სივრცე? განა სიყვარული არ ცოცხლობს ადამიანის ფრთებში? განა იმან საზღვარი იცის? მაგრამ, აი უფსკრულის სიღრმეში წამოჩნდა მართებთან ბურუსით მოცული აჩრდილები, რომლებიც სულ უფრო სქლად ჩამონვებიან ღრუბლებივით და ძლიერად შემჭიდროებულნი გარს მეხვევიან და სასოებას მიკარგავენ, ჩემს სულს კი ამყამინდელი შეჭირვებები ისეთნაირად მოიცავენ, რომ სევდაც კი გამოუთქმელი ნეტარებით აღსავსე ტკივილით აღმავსებს და ოდენ სიკვდილის მომვლინებელ განუკურნებელ ტანჯვად მექცევა.

სოფლის მღვდელი თვითონ სიკეთის განსახიერება იყო. მან ისე ოსტატურად წარმართა ჩემი ცოცხალი გონება, ისე სწორად შეუსატყვისა სწავლების მისეული მეთოდი ჩემი ხასიათის თავისებურებებს, რომ სწავლა სიხარულს მანიჭებდა. მალე კი წარმატებებსაც მივალწიე. ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე დედა მიყვარდა, ხოლო იღუმენ-ქალს თავიანთს ვცემდი ვითარცა წმინდანს. ჩემთვის მისი ხილვა დღესასწაული იყო. რამდენჯერ მინდოდა მის წინაშე სამზეოზე გამომეფინა ახლად შეძენილი ცოდნა, მაგრამ როგორც კი გამოჩნდებოდა ანდა გულითადად დამელაპარაკებოდა, სიხარულისაგან თავგზა მებნეოდა და დიდის ჯაფისა და წვალეების ფასად ძლივსლა ვპოულობდი შესაფერის სიტყვებს საპასუხოდ. ძალა არ შემწევდა მასთან საუბრისა. მხოლოდ მისი ცქერით ვტკბებოდი. ყურის დაგდება შემეძლო მარტო. მისი ყოველი სიტყვა ღრმა კვალს ტოვებდა ჩემს სულში. დიდხანს მყოფნიდა, სხვა დღეებშიც თან მდევდა მისი ხილვით გამონვეული სადღესასწაულო განწყობა. მისი სახება ყველგან თან მახლდა აგრეთვე მაშინაც, როცა განმარტოებით ვსეირნობდი და ეს ხშირად ხდებოდა იმ ხანებში. ჩემს არსებას ყოველთვის გამოუთქმელი ტკბილი გრძნობა შეიპყრობდა, როცა მთავარ სამსხვერპლოზე ვიდექი და საცეცხლურს ვაქანავებდი, საეკლესიო ქოროში კი ორღანოს ძლევაამოსილი ჰანგები აგრილდებოდა ბობოქარ ნიაღვრებად და როცა მრავალ ხმათა შორის იმის ხმას შევიცნობდი, სულში სხივი მეღვრებოდა. მეგონა, იგი ღრუბლებდდან ჩამოდიოდა და უზენაესისადმი, უწმინდესისადმი წინათგრძნობით ვივსებოდი. ყველაზე მშვენიერი დღე, რითაც კვირების განმავლობაში წინასწარ ვხარობდი და რაზეც არასოდეს შემეძლო ფიქრი შინაგანი აღტაცების გარეშე — ეს იყო წმინდა ბერნარდუსის დღესასწაული. ეს დღე მონასტერში საზეიმოდ აღინიშნებოდა, რადგან წმინდა ბერნარდუსი კარტუზიანული ორდენის მფარველად ითვლებოდა. მეზობელი ქალაქიდან თუ ახლომდებარე მიდამოებიდან ერთი დღით ადრე მოედინებოდა ურიცხვი ნაკადი ადამიანებისა. ისინი თავს იყრიდნენ ყვავილოვან მდელზე, რომელიც მონასტერს ეკვროდა. მხიარული ხორხოცი დღედაღამ არ წყდებოდა. არ მახსოვს, ამ დალოცვილ დღესასწაულზე (წმინდა ბერნარდუსის დღე აგვისტოში მოდიოდა) ოდესმე კარგი ამინდი არ ყოფილიყო. მოზეიმეთა ქრელ მარაქაში ვხედავდი კრძალვით აქეთ-იქით მავალ მლოცველებს, რომლებიც სასულიერო ჰიმნებს მღეროდნენ, აქვე მიდიმოდიოდნენ და ერთი ურიამული ჰქონდათ სადღესასწაულოდ გამოპრან-

ჭულ სოფლის გოგო-ბიჭებს. ეკლესიის მამებს ხელები სალოცავად აღეხ-
 როთ და ღვთისმოსავი მზერით გასცქეროდნენ ღრუბლებს. ბიჭებთან
 ოჯახებს მოღზე ფეხი მოერთხათ, გემრიელი საჭმელ-სასმლით ავსებული
 კალათები იქვე დაელაგებიათ და სუფრას შლიდნენ. საამური გალობა,
 ღვთისმოსავი სიმღერები, მონანიეთა ღრმა ამოკვნესა, გაღმარების
 სიცილ-კისკისი, ჩივილი, ოხვრა, ყიჟინა, ხუმრობა, ლოცვა-
 ფერი ერთმანეთში არეულიყო, მიდამოს სიცოცხლით ავსებდა, გამაყრუე-
 ბელ, მაგრამ სულისმიმტაც გასაოცარ კონცერტად ყლერდა ირგვლივ. სა-
 მონასტრო ზარის პირველი ჩამოკვრა და უმაღლ სამარისებური სიჩუმე ჩა-
 მოწვებოდა. გარშემო, სადამდეც ითვალის მისწვდებოდა, მუხლმოდრე-
 კილთა ხშირი რიგები მოსჩანდა. ღვთისმოსავ სიჩუმეს მხოლოდ ლოცვის
 ყრუ, ძლივს გასაგონი ბუტბუტი არღვევდა, ასობით ბაგე რომ იმეორებ-
 და. და აი, მინყდება თუ არა ზარების უკანასკნელი რეკვა, ჭრელი მასა
 კვლავ ამოძრავდება, შეფრთხილდება, აირ-დაირევა და ხელახლა იწყება
 წუთით შეწყვეტილი მხიარულება. წმინდა ბერნანდუსის დღეს თვითონ
 ეპისკოპოსი, რომლის რეზიდენციაც მეზობელ ქალაქში მდებარეობდა, აღა-
 სრულებდა სამონასტრო ეკლესიაში ადგილობრივი და მახლობლად მდე-
 ბარე ადგილების დაბალი რანგის სასულიერო პირებთან ერთად სადღე-
 სასწაულო ლიტურგიას. ღვთისმსახურების დღეს მღეროდა ეპისკოპოსთა
 კაპელაი, რისთვისაც მთავარ საკურთხეველთან საგანგებოდ აღემართათ
 იშვიათი სტავრით მოფარდაგებული კათედრა. ჩემში დღესაც ცოცხლობს
 ის გრძნობა, რომელმაც მაშინ გული ამიჩქროლა. პირველქმნილი ჭაბუ-
 კური სინორჩით ხარობს ეს გრძნობა მუდამ, როცა ფიქრებით იმ ნეტარ
 ხანას ვენჯევი, რომელიც ასე გულისმომკვლელად და სწრაფად გაქრა და
 გაუჩინარდა. მეტადრე ცხოვლად მახსოვს საეკლესიო სიმღერა „Gloria“,
 რომელსაც ხშირად ასრულებდნენ, რადგან იგი აბატისას უსაყვარლესი
 მუსიკალური ნაწარმოები იყო. წამოთქვამდა ეპისკოპოსი Gloria-ს და
 ეს სიტყვა მძლავრი აღმაფრენით მოედებოდა მთელს ქოროს და ნეტარი
 ბგერებით ივსებოდა ირგვლივ არე-მიდამო. Gloria in excelsis deo¹ და
 განა ამ სიტყვებით არ განიხსნებოდა ზეციური სასუფეველი საკურთხევე-
 ლსა ზედა? გეგონებოდა, მონასტრის კედლებზე მოხატული სერაფიმები და
 ქერუბიმები სადაცაა ღვთაებრივი სასწაულით გაცოცხლდებიან, ფრთებს
 გაისწორებენ, აფრთხილდებიან, ტაძარს გადაუქროლებენ და ხოტბას შე-
 ასხამენ უფალს გალობითა და საოცარი სიმთა ყლერით. აღტყინებული
 ლოცვის დამთრგუნველმა გაოცებამ შემიპყრო და გაბრწყინებული შე-
 მიყვანა ღრუბლებს მიღმა შორეულად ნაცნობ მშობლიურ სამყაროში.
 სურნელოვან ტყეში ანგელოსთა საყვარელი ხმები მომესმა, მაღალი შრო-
 შანების ბუჩქებიდან საოცარი ბიჭი შემომეგება და ღიმილით მითხრა:

— სად იყავი ამდენხანს, ფრანცისკუს? შენთვის ათასფერადი ყვავი-
 ლები დაგკრიფე და მინდა მოგიძღვნა, თუკი ჩემთან დარჩები და სამარა-
 დისოდ შემეყვარებ.

ყამის წირვის შემდეგ მონაზვნები აბატისას წინამძღოლობით, რომელ-
 საც თავზე მიტრა ებურა, ხოლო ხელთ ვერცხლის კვერთხი ეპყრა, საზეი-
 მო სვლას აწყობდნენ მონასტრის დერეფნებსა და ეკლესიაში. რა სინძინ-
 დეს, რა მაღალ ღირსებას, რა ზემინიურ სიდიადეს ასხივებდა ამ მშვენიერ-

1. დიდება, მაღალო ღმერთო (ლათ.).

რი ქალის თვალები, მისი ყოველი მოძრაობა. თვითონ იგი ბრძანდებოდა მოზეიმე ეკლესია, რომელიც ღვთისმოსავ ადამიანებს წყალობასა და კურთხევას ჰპირდებოდა. როგორც კი უნებლიედ მისი მზერა შემეფეთებოდა, მინდოდა ფეხქვეშ გაუგებოდი. ღვთისმსახურების შემდეგ მონასტრის დიდ დარბაზში სასულიერო პირებსა და ეპისკოპოსთა კაპელასკურის ჭამას უწყობდნენ. პურობაზე ესწრებოდნენ, აგრეთვე მონასტრის კეთილმოსურნენი და მეგობრები, ქალაქის ვაჭრები. მეც მქონდა პატივი დავსწრებოდი ამ სერობებს, რადგან რეგენტს ძალიან ვუყვარდი და ჩემთან მასლაათი დიდად ართობდა. როცა წმინდა ლოცვით გზნებული ჩემი სული მთლად ზეციურმა ნათელმა აღიტაცა, სულში მინიერი ცხოვრების საამოცთუნება შემომეჭრა და ნაირფერადი სანახაობები გადამიშლა. სტუმრების ხმაშაღალ სიცილ-ხარხარში ისმოდა სამხიარულო ამბები, ხუმრობები, ანეგდოტები თუ მახვილგონივრული გამონათქვამები. მანამ ცლიდნენ ღვინით სავსე ფიალებს თავგადაკლულად, ვიდრე გვიანი ღამე არ მოაღწევდა და გადამთვრალ მეინახეებს სახლებში არ ჩამოარიგებდნენ.

როცა თექვსმეტი წლისა შევსრულდი, სოფლის მღვდელმა გამომიცხადა, რომ უკვე საკმარისად ვიყავი მომზადებული სემინარიის უმაღლესი თეოლოგიური კურსის მოსასმენად. სემინარია კი მეზობელ ქალაქში მდებარეობდა. ამ დროისათვის უკვე საბოლოოდ მქონდა განზრახული ბერად აღკვეცა. ჩემი ეს განზრახვა დედას ნამეტნავად ახარებდა, რადგან ამაში ხედავდა მლოცველის იღუმალის ნათქვამის აღსრულებასა და გაცხადებას, რაიც გარკვეულწილად მამის გამოუცნობ, საოცარ ხილვას უკავშირდებოდა. გარდა ამისა დედას სჯეროდა, რომ ღვთისმსახურებით ცოდვებისაგან განწმენდდი და მარადიული ტანჯვის წყევლისაგან ვიხსნიდი განსვენებული მამის სულს. იღუმენმა-ქალმა დიდად მოიწონა ჩემი განზრახულება და კვლავ გამიმეორა, რომ თავის მფარველობასა და შემწეობას არ მოშაკლებდა, ვიდრე უმაღლეს სასულიერო წოდებას არ მივიღებდი. თუმცა ქალაქი იმდენად ახლო იყო, რომ მონასტრიდან მოჩანდა მისი კოშკები და სეირნობის მოყვარულნი მის ლამაზ შემოგარენს ირჩევდნენ სახეტილოდ, მაინც ძალიან მეძნელებოდა განშორება ძვირფას დედასთან, დიდებულ ქალბატონთან, ვისაც სულის სიღრმეში თავი ვანს ვცემდი, აგრეთვე ჩემს კეთილ მასწავლებელთან. ისიც ცნობილია, რომ განშორების ტკივილი არ არის დამოკიდებული ხანსა და მანძილზე, ადამიანს რომ მოყვასისაგან აშორებს და ეს გათიშვა კი მას ყოველთვის ძალიან უჭირს. იღუმენი-ქალი როგორღაც უჩვეულოდ ღელავდა, მის ხმაში ნალექელი გამოკრთოდა, მაგრამ ცდილობდა მღელვარება დაეფარა, როცა ტკბილად მებაასებოდა, მაფრთხილებდა, შთამაგონებდა. მან კობტა კრიალოსანი და პანია ლოცვათა წიგნი მისახსოვრა სუფთად ილუსტრირებული ნახატებით. მერე კი გადმომცა სარეკომენდაციო წერილი ქალაქის კაპუცინთა მონასტრის წინამძღვრისადმი, თანაც მიწია, როგორც კი ჩახვალ, დაუყოვნებლივ მოძებნე, რადგან მას შეუძლია ბევრი სასარგებლო დარიგება მოგცეს და საქმითაც დაგეხმაროს.

ძნელად თუ იპოვნი კაპუცინთა მონასტერზე უფრო მყუდრო და კომპნია სავანეს, რომელიც ქალაქის განაპირა მდებარეობდა. მონასტრის ტურფა ნალკოტი მწვანეში იყო ჩაფლული და შორეული მთათა ხედები ამშვენებდა. რამდენჯერაც არ უნდა გენახა, მისი ცქერით ვერ გაძლებოდი, სულ მუდამ ნორჩი მშვენებით ბრწყინავდა. როცა მის ფართოდ გაშ-

ლილ ხეივანებში ვსეირნობდი, თვალს შევაავლებდი რა საუცხოო ხეთა კორომებს, ცოტა ხანს დავყოფდი ხან ერთ, ხან მეორე ხესთან, ირგვლივ გადაშლილი თვალწარმტაცი სანახებით ვტკბებოდი. სწორედ ამ ნაღკოტში შევხვდი პირველად წინამძღვარ ლეონარდუსს. ეს მაშინ მოხდა, როცა მონასტერს ვეწვიე, რათა მისთვის აბატისას სარეკომენდაციო ბარათი გადამეცა. წინამძღვრის ჩვეული გულითადობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც წერილი წაიკითხა. მან იმდენი კარგი მითხრობდა, რომ პირველი ნახვისთანავე დიდად მომხიბლა. წინამძღვარს ირგვლივ ძმები ეხვია. სულ მცირე ხანში შესანიშნავად გავარკვიე, რა დამოკიდებულება ჰქონდა მას მღვდლებისადმი და, საერთოდ, მისი სამონასტრო ცხოვრების წესი. წინამძღვრის გარეგნულ იერში ნათლად გამოსჭვიოდა სულის სიმშვიდე და მხნეობა, რაც ეკლესიის ბერებსაც გადასდებოდათ. ვერც ერთი ძმის სახეზე ვერ შეამჩნევდი მჭმუნვარების, სულის დამღრღნელი ჩაკეტილობის კვალსაც კი, რაიც ხშირად იკითხებოდა სხვა მღვდელთა გამომეტყველებაში. მიუხედავად ორდენის მკაცრი წესებისა, ლოცვა წინამძღვარ ლეონარდუსისათვის უფრო ზეციურისაკენ მიდრეკილი სულის მოთხოვნილება იყო, ვიდრე ასკეტური მონანიება ადამიანურ ბუნებრივ ცოდვათა გამო და მას შეეძლო ამ თვალსაზრისით ისე წარემართა და აღეგზნო ძმანი მისნი ყოველი წესისა და რიგის დაცვით, რომ ყველგან სიმხნე და სიმშვიდე დაენერგა და სწორედ ამნაირი განწყობაა, მართალი რომ გითხრათ, ძირითადი არსი სასულიერო ცხოვრებისა, რისი დამკვიდრებაც კი შესაძლოა მიწიურად შეზღუდულ სინამდვილეში. მამა ლეონარდუსს შესწევდა ძალა და უნარი გარკვეულწილად რიგიანი ურთიერთობა დაემყარებინა ამქვეყნიურ სამყაროსთან. უხვი შემონირულობანი, რაიც ყოველის მხრიდან ებოძებოდა მალაღბატივმისაგებელ მონასტერს, შესაძლებელს ხდიდა განსაზღვრულ დღეებში ტრაპეზი გაეშალათ მონასტრის მეგობრებისა და მფარველებისათვის. შუა დარბაზში დაედგათ გრძელი ტაბლა, რომელიც ნატიფად გაეწყობთ ფაიფურისა და ბროლის საუცხოო ჭურჭლით. სტუმრებთან მხოლოდ ლეონარდუსი ჯდებოდა მაგიდის ბოლოში, მომალლო ალაგას. ძმები კი, ჩვეულებრივ, კედელთან მიდგმულ ვიწრო ტაბლასთან სხდებოდნენ და წესდების მიხედვით შედარებით უბრალო ჭურჭელს ხმარობდნენ. მონასტრის მზარეულმა გემრიელი სამარხვო საჭმელების შესანიშნავი მომზადება იცოდა, რაც სტუმრებს მეტისმეტად მოსწონდათ. ისინი თვითონვე იმარაგებდნენ ღვინოს სუფრაზე და ასე ქეიფი კაპუცინთა მონასტერში წარმოადგენდა გულთბილი და საამო შეხვედრის ადგილს საერო და სასულიერო პირებისა და მათ შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა, რომელიც ორივე მხარისათვის მართლაც რომ სარგებლობის მომტანი იყო საეკლესიო ცხოვრების ჭეშმარიტი არსის შესაცნობად. საერო ცხოვრების ამოცანაში ჩანთქმული ადამიანები წამიერად განერიდებოდნენ მას და მონასტრის მშვიდ სავანეში ეძიებდნენ სულიერ ნავთსაყუდელს, სადაც სულ სხვა ცხოვრება მეუფობდა, რაც მკვეთრ კონტრასტს ქმნიდა საერო კაცთა ყოფასთან. სულში ანაზღად მოხვედრილი ნაპერწკალი აიძულებდა მინის შვილთ ეღიარებინათ, რომ არსებობს სხვა გზაც, განსხვავებული იმ გზისაგან, რაზეც საერო კაცები მიდიან და რომ აქაც შეიძლება ჰპოვონ სიმშვიდე და ნეტარება. და ადამიანს, რომლის სული ცხოვრებისეულ ამოცანაზე ამალღე-

ბულა, ძალუძს აქვე მიწაზეც შექმნას უმაღლესი ყოფიერება. თავის მხრივ ეკლესიის მსახურებიც იძენდნენ მათთვის არასაკმარის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ისინი ეცნობოდნენ საერო კაცთა საქმიანობასა და ვნებათა ღელვას. ამ ადამიანებში თავისდაუნებურად აზრთა სხვადასხვაობას ბადებდა ცხოვრებისეული მოვლენები, მონასტრის კედლებში რომ დულდა. და რომ ყალბი შეფასება არ მიეცეს მიწიერ სანყისს, სასულიერო პირები ვალდებული არიან ადამიანების ნაირფეროვან, შინაგანობით განსაზღვრულ ცხოვრების წესში აღიარონ თანაწარუხდომლობა სულიერი პრინციპების სხივური გარდატეხისა, ურომლისოდაც ყველაფერი ამ ქვეყანაზე უფერულია და მოსაწყენი. უდავოა, რომ წინამძღვარი ლეონარდუსი ზნეობრივი და მეცნიერული თვალსაზრისით ბევრად აღემატებოდა მონასტრის დანარჩენ ბერებს. ყველანი ერთხმად აღიარებდნენ მას ყველაზე მცოდნე და ნაკითხ ღვთისმეტყველად. იგი ისე სადად, ნატიფად და მკაფიოდ ჩამოაყალიბებდა ურთულეს ფილოსოფიურ საზრისებს, რომ რჩევებისათვის სემინარიის პროფესორებიც კი მიმართავდნენ, რადგან მისგან დამოძღვრას საჭიროებდნენ. მამა ლეონარდუსი იმაზე უფრო განათლებული იყო, ვიდრე ეს სასულიერო პირს შეეფერებოდა. ასე მაგალითად, იგი სრულყოფილად ფლობდა იტალიურ და ფრანგულ ენებს და გამორჩეული დიპლომატიური ნიჭის წყალობით მას ახალგაზრდობაშივე ანდობდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დავალებებს. როცა მამა ლეონარდუსი გაეცანა, იგი უკვე ხანდაზმული იყო, მაგრამ თვალეებში ჭაბუკური გზნება ენთო, თუმცა საპატიო ჭაღარა გასთქვამდა მის ასაკს. წინამძღვარს ბაგებზე მომხიბვლელი ღიმილი დასთამაშებდა. მთელს მის არსებას გამსჭვალავდა შინაგანი სიამე და სულიერი სიმშვიდე. მამა ლეონარდუსის საუბარი იყო გრაციოზული და მწყობრი, მოძრაობაც ასეთი ჰქონდა. იგი ისეთი ტანწყობილი იყო, რომ კაპუცინთა ორდენის ბერთა უხეში მოსასხამიც კი ნატიფად ჰქონდა მორგებული. ვერავის იპოვნოდი მღვდელთა შორის, ვისაც თავისუფალი არჩევანი არ გაეკეთებინა, ვინც შინაგანი მონოდების გარეშე მოსულიყო მონასტერში. პირიქით, ბევრი მათგანი აქ მოიყვანა მკაფიოდ გამოვლენილმა მოთხოვნილებამ ბერ-მონაზვნური ცხოვრებისადმი. მამა ლეონარდუსი უმაღლ ნუგეშს სცემდა იმ ბედრკულს, ვინც მონასტერში ეძიებდა ნავთსაყუდელს, რათა დალუპვისაგან ეხსნა თავი. მონანიება მისთვის გარდამავალი საფეხური იყო სიმშვიდის მისაღწევად. იგი შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენდა მაღალი საზოგადოების მიმართ, ოღონდ მის ყალბ ოქრომკედს პატივს არ სცემდა. მიწაზე ცხოვრობდა, მაგრამ მიწიურზე მაღლა დგებოდა. სამონასტრო ცხოვრების ამზომ უჩვეულო ტენდენციები ლეონარდუსმა იტალიაში შეისისხლხორცა, სადაც, კულტმსახურება და საერთოდ რელიგიური მსოფლწედა ბევრად უფრო ნათელია და სიხარულისმომგვრელი, ვიდრე კათოლიკურ გერმანიაში. ისევე როგორც იტალიური ეკლესიის არქიტექტონიკაში ანტიკური სტილია დღემდე შენარჩუნებული, ზუსტად ასევე მგონია, თითქოს ქრისტიანობის მისტიკურ წყვდიადში შეაღწია ძველი სამყაროს ადამიანთა სიცოცხლისმადგინებელი მსოფლჭვრეტის შუქმა და გაანათა იგი იმ საოცარი ნათელით, რაიც ადრე ოლიმპოს ღმერთებსა და გმირებს ადგათ თავზე შარავანდად.

ლეონარდუსმა მალე შემიყვარა და იტალიურ და ფრანგულ ენებში მამეცადინებდა, მაგრამ ჩემს სულიერ სამყაროში უპირატესი მნიშვნელო-

ბა ენიჭებოდა ნაირგვარი შინაარსის წიგნებს, რომელთაც იგი წასაკითხად მაძლევდა. მეტადრე მისი განმანათლებლური საუბრები მიზიდავდა. თითქმის მთელ დროს, რაიც სემინარიაში სწავლის პერიოდში უხვად მქონდა, ვატარებდი კაპუცინთა მონასტერში და ვგრძნობდი, დღითი დღე როგორ მტკიცედ იდგამდა ჩემში ფესვს ლტოლვა მეუდაბნური ცხოვრებისადმი. ბოლოს და ბოლოს ჩემი სასუკვარი სურვილი მამა ლეონარდუსს ვავუმხილე. წინამძღვარმა ჯიქურ უარი არ მითხრა, მხოლოდ მირჩია, ბერად აღკვეცა ორი წლით გადამედო. ამ ხნის მანძილზე კი კარგად შეემსწავლა საერო ცხოვრება და რაც შეიძლება ხშირად მეტრიალა მაღალ საზოგადოებაში.. საეპისკოპოსო რეგენტის მეშვეობით, რომელიც სიმღერასა და ცეკვაში მამეცადინებდა, ქალაქის მაცხოვრებელთა შორის ნაცნობებიც შევიძინე, მაგრამ მათ გარემოცვაში თავს მეტისმეტად უხერხულად ვგრძნობდი. მეტადრე დიდი იყო ჩემი შეცბუნება ქალთა სქესის მიმართ. ამ გარემოებამ, აგრეთვე თანდაყოლილმა მიდრეკილებამ მჭვრეტელური ცხოვრებისადმი, საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი ბედი.

ერთხელ წინამძღვარმა ბევრი საოცარი რამ მიაჩნო საერო ცხოვრებაზე. იგი საჩოთირო თემებსაც გადასწვდა, რომლებსაც მისთვის ჩვეული ხიბლითა და სისადავით განიხილავდა. ოღონდ საძრახისი კუთხით მოვლენების დანახვას თავს არიდებდა, სამაგიეროდ ყოველთვის ზუსტად შეეძლო გაეცნობიერებინა სინამდვილე. ბოლოს წინამძღვარმა ხელი მომკიდა, თვალებში დაკვირვებით ჩამხედა, თითქოსდა უნდოდა სულის იდუმალი მოძრაობა ამოეცნო და მკითხა, კვლავ უბინო ვიყავი თუ არა. წინამძღვრის ორაზროვანმა შეკითხვამ ცოცხალ ფერებში ნამოტივტივა ერთი მივიწყებული ამბავი ჩემი ცხოვრებიდან, რის გამოც სირცხვილისაგან სახეზე აღმური მომედო. ამ წუთებში გამახსენდა კონცერტმაისტერის და, რომელსაც, მკაცრად თუ განვსჯიდით, ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ გაფურჩქვნის ასაკში შესული ქორფა და მეტისმეტად მიმზიდველი, ტანწერნეტა და მოხდენილი აღნაგობის გოგო იყო, უმშვენიერესი მკლავები და უჩვეულო სინატიფით გამოკვეთილი თვალისმომჭრელად ქათქათა მკერდი ჰქონდა. ერთ დილით კონცერტმაისტერთან სამეცადინოდ მივედი და კარი სწორედ იმან გამიღო. ტანზე დილის მსუბუქი სამოსი ეცვა და ნახევრად შიშველი მკერდი მოუჩანდა. შემკრთალმა ქალმა მკერდი სწრაფად კი დაიფარა, მაგრამ რალა დროს, თვალი მოვატანე რა შიშველ მკერდს, მზერა ველარ მოვწყვიტე, ვერც ხმა ამოვიღე, რალაც უცხო გრძნობა დამეუფლა და ქარიშხალივით დამიარა მთელ სხეულში. სისხლი ამიჩქროლდა, საკუთარი გულის ძგერა მესმოდა, გული ლამის საგულედან ამოვარდნას ლამობდა. წყნარმა ამოხვნეშამ როგორღაც სული მომათქმევინა. გოგონა გონს ვერ მოეგო, ანაზდად მომიახლოვდა, ხელი მომკიდა, რა მოგივიდაო, მკითხა. მისმა მოახლოებამ კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩამაგდო. საბედნიეროდ ოთახში შემოვიდა თვითონ კონცერტმაისტერი და ამ სატანჯველისაგან მიხსნა. იმ დღეს რომ ვიმღერე, ისე არაბუნებრივად არასოდეს მიმღერია, არც ასეთი ყალბი აკორდი ამიღია. იმზომ ღვთისმოსავი ვიყავ, თავს გადახდენილი ეშმაკეულ ცდუნებად ჩავთვალე და თავი ნეტარად ვიგრძენი, როცა სულ მოკლე ხანში ასკეტური წვრთნა-ვარჯიშებით ვძლიე ავადსახსენებელ მტერს. და ახლა, როცა ლეონარდუსმა ეგრე ორაზროვანი შეკითხვა დამისვა, ჩემს წინაშე კვლავ გაცოცხლდა მაცდური სახება საკინძერახსნილი მომხიბვლელი გოგოსი. კვლავ ცხადად ვიგრძენ მისი თბილი სუნთქვა, მისი

ნაზი ხელების შეხება და რაც დრო გადიოდა, მით უფრო მიპყრობდა შინაგანი ძრწოლა ლეონარდუსი კი იმნაირი მრავალმნიშვნელოვანი ირონიული ღიმილით მიმზერდა, რომ ცახცახმა ამიტანა. ამ მზერას ველარ გავუძელი და თვალები ძირს დავხარე. წინამძღვარმა ანთებულ ლოყაზე ხელი მომითათუნა და აღერსიანად მითხრა:

— ვხედავ, შვილო ჩემო, რომ სწორად გამიგე და სწავლებულად მიდიხ. ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს. დიახ, უფალი დაგიფარავს ამიერიდან წუთისოფლის ამოც ცთუნებათაგან. მუდამ გახსოვდეს, შვილო ჩემო, — დასძინა მან, — რომ ყველანაირი ტკბობა, რასაც კი მინიერი ცხოვრება გვთავაზობს, სწრაფწარმავალია. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ამგვარ ცთუნებათ წყევლა და შეჩვენება მოსდევს. ეს ცთუნებები ბადებს ენით აუნერგელ სიძულვილს, ამაღლებულისა და მშვენიერისადმი გრძნობათა მოდუნებასა და მოჩლუნგებას, რაიც ამსხვრევს და ნაცარტუტად აქცევს ადამიანის ბუნებაში დაბუდებულ საუკეთესო სულიერ სანყისს.

რაც უფრო მეტად ვცდილობდი მალე დამევიწყებინა წინამძღვრის შეკითხვა და უფრო კი ამ შეკითხვით გამოწვეული ჩემს წარმოსახვაში ცხოვლად აღბეჭდილი სურათი, მით უფრო მიძნელდებოდა მისი გადალახვა და დავინწყება. პირველ ხანებში კიდევ შო, რალაცნაირად შევძელი თავი დამეღწია შთაბეჭდილებისაგან, რომელიც ჩემზე კონცერტმაისტერის დამმოახდინა. ხანდახან ისე უშუალოდ მეჭირა თავი მის სიახლოვეს და ეს ბედნიერს მხდიდა. მაგრამ შემდეგ და შემდეგ გამიძნელდა, ნელნელა მომეძალა ამ გოგოზე ფიქრი და იძულებული ვიყავი მასთან შეხვედრას მოვრიდებოდი, რადგან გული მკერდიდან ლამობდა ამოვარდნას, როცა იმას ვუყურებდი. მისი ხილვა მბოჭავდა, შინაგან მოუსვენრობაში მაგდებდა, ეს კი იმზომ საშიშად მეჩვენებოდა, რომ ამოუხსნელი ტკბილი სევდა მუუფლებოდა, თანაც ავხორცი ნადილი მიპყრობდა, რაც დიდ შეცოდებად მიმაჩნდა. ჩემი ეს საეგებო მდგომარეობა საბოლოოდ ერთმა შემთხვევამ გამოააშკარავა. კონცერტმაისტერმა ერთ საკონცერტო საღამოზე დამპატიყა. ასეთ საღამოებს იგი იმ ხანებში ხშირად მართავდა ხოლმე. საღამოს კონცერტმაისტერის დასთან ერთად რამდენიმე მანდილოსანიც ესწრებოდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩემი კრძალვა და რიდი. იმ გოგოს დანახვა ხომ სუნთქვას მიკრავდა. იმ საღამოს იგი საგანგებოდ კეკლუცად იყო ჩაცმული და უფრო ლამაზი მეჩვენა, ვიდრე ოდესმე. მისკენ მიზიდავდა რალაც უხილავი და უსაზღვრო ძალა და თვითონაც ვერ გამერკვია, რა იყო ეს. ჩემდა უნებურად განუწყვეტლივ მის შორიახლო ვტრიალებდი, ხარბად ვიჭერდი მის ყოველ გამოსხედვას, მისგან წარმოთქმულ ყოველ სიტყვას. საკმარისი იყო ანაზდად ხელით შევხებოდი იმის კაბას და ჩემი სული უღრმესი, დღემდე განუცდელი ნეტარებითა და უმიზეზო მხიარულებით ივსებოდა. ჩემი ეს აღტაცება ყმანვილ ქალს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ამან ეტყობა რალაცნაირი სიამეც მოჰგვარა. ზოგჯერ გაშმაგებული ტრფობით და ვნებით აღვსილს მენადა ხელი დამეფლო და მხურვალედ მიმეკრა მკერდზე. კონცერტმაისტერის და დიდხანს იჯდა როიალთან. ბოლოს ფეხზე წამოდგა, ხელთათმანი კი სკამზე დარჩა, დაავინწყდა. ტყვიანაკრავივით წამოვხტი, ხელთათმანს სასწრაფოდ დავწვდი, გაშმაგებით მივიტანე ტუჩებთან და უგონო კოცნა დავუწყე. ერთმა ქალბატონმა, ეს რომ დაინახა, კონცერტმაისტერის დასთან მიირბინა და ყურში რალაც უჩურჩულა. ორივემ დამყინავად შემხედა, მერე გოგონებმა სიცილი დამა-

ყარეს, მე კი ამ ქვეყანას ლამის აღარ ვიყავი. თითქოს ყინულივით ცივი წყალი გადამასხეს. გუნებაწამხდარი ვაქვანდი კოლეგიუმში, ჩემს სენაკში შევედი და, უგონოდ სასონარკვეთილებაში ჩავარდნილი, იატაკზე გავიშხლართე. თვალთაგან ღვარღვარად მდიოდა მდულარე ცრემლი წყველაკრულვას ვუთვლიდი იმ გოგოსაც და საკუთარ თავსაც. ხანჯელვით ვხარხარებდი, ხანაც გიჟივით ვხარხარებდი. ყველგან მელანდებოდა მხმეჭიქის მღებებიც დამცინოდნენ და აბუჩად მიგდებდნენ. ისე სავალალო ყოფაში ჩავვარდი, ფანჯრიდან მინდოდა გადავარდნა, მაგრამ საბედნიეროდ რკინის გისოსმა შემიშალა ხელი. გარიჟრაჟზე თითქო ოდნავ დავმშვიდდი კიდევ, მაგრამ საკუთარ თავს მტკიცე აღთქმა მივეცი, აღარასოდეს თვალითაც აღარ დამენახა ჩემი დამლუპველი გოგო და საბოლოოდ ამელო ხელი ამქვეყნიურ სიამეებზე. ჩემს სულში უნინდელზე უფრო მძლავრად ჩამორეკა ზარმა, რომელიც მეუდაბნოეს განმარტოებული ცხოვრებისაკენ მიხმობდა. ამით ზურგს ვაქცევდი მიწიერ ცთუნებებს. დამთავრდა თუ არა ჩვეულებრივი საეკლესიო მეცადინეობები, უმაღლესი წინამძღვარ ლეონარდუსს მივაშურე, მინდოდა სასწრაფოდ მემცნო ჩემი მტკიცე განზრახვა ვაპუცინთა ორდენში მორჩილად შესვლაზე. მინდოდა აგრეთვე დედასა და აბატისასაც დროულად სცოდნოდათ ეს ამბავი. მამა ლეონარდუსს თითქოს გაუკვირდა კიდევ მოულოდნელი და აჩქარებული გადაწყვეტილება რომ მივიღე ესოდენ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით. ზედმეტი ჩამციებლობით თუმცა იმას ჩემს სულში ხელი არ უფათურებია, მაგრამ მაინც გამოთქვა სურვილი, ცოდნოდა მიზეზი, რამ მაიძულა ასე უნებლიედ და გატაცებით შევდგომოდი სამონასტრო ცხოვრების დაწყებას, ბერ-მონაზვნური ყოფის ადათ-წესებს ვზიარებოდი, თუმცა შესანიშნავად მიხვდა, რომ ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში მომხდარი რაღაც საგანგებო მოვლენა. გადაულახავი სირცხვილის გრძნობა დამეუფლა, რამაც ხელი შემიშალა სიმართლე გამემხილა მისთვის. სამაგიეროდ ჩემს სულში ჯერაც მოჭიატე ზეალმაფრენით ვუამბე ბავშვობისდროინდელ საოცარ ხილვებზე, რამაც განსაზღვრა სამონასტრო ცხოვრებისაკენ ჩემი სწრაფვა. ლეონარდუსი წყნარად მისმენდა, არც ეჭვი გამოუთქვამს ჩემი ხილვების ჭეშმარიტებაზე, ოღონდ აშკარად მაგრძნობინა, რომ მსგავსი ხილვები არ შეიძლება იყოს გულწრფელი დასტური იმისა, რომ ბერად შედგომა განიზრახო. ასეთ შემთხვევაში ძნელია გაარკვიო, სად იწყება ილუზია და სად მთავრდება სინამდვილე, რომ სინამდვილეზე მეტად იგი უფრო ილუზიასა ჰგავს. უნდა აღინიშნოს, რომ მამა ლეონარდუსს საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი ზებუნებრივ მოვლენებზე, მათ შორის არც წმინდანთა საყოველთაოდ ცნობილ ხილვებზე, იქამდე, რომ ქრისტიანობის პირველ მქადაგებელთა სასწაულებზეც კი. ამის გამო ისეთი წუთებიც მქონია, როცა ცთუნებას ავყოლივარ და იგი იდუმალ სკეპტიკოსად ჩამითვლია. ერთხელ გავბედე და ვთხოვე გამოეთქვა თავისი აზრი კათოლიკური სარწმუნოების მქირდავებზე. მეტადრე გავკიცხე მათ შორის ისეთები, რომლებიც, ბავშვურ სიცელქეს აყოლილნი, ყველაფერს ზებუნებრივს ცრუ რწმენის გამომხატველი აუგ სიტყვებით ამკობდნენ.

— ურწმუნოება, — მორცხვი ღიმილით მიპასუხა წინამძღვარმა, — ყველაზე უხამსი რამაა ცრურწმენათა შორის, — და საუბარი სულ სწვა, ჩემთვის ნაკლებად საინტერესო თემაზე გადაიტანა. მხოლოდ მოგვიანებით მომეცა შესაძლებლობა ვზიარებოდი წინამძღვრის დიდებულ აზრებს ქრი-

სტიქიური რელიგიის მისტიკური მხარის შესახებ, რომელიც მიუთითებდა ჩვენი სულიერი პრინციპის იდუმალებით აღსავსე კავშირზე უმაღლეს არსთან და მე იძულებული ვიყავი მეღიარებინა, რომ მამა ლეონარდუსი საფსებით მართალი იყო და სწორად მოქმედებდა, როცა თავისი სულის უმდიდრეს საგანძურს მხოლოდ უაღრესად მასთან დაახლოებულ და უკვე ხელდასხმულ მოწაფეებს ანდობდა.

დედამ მომწერა, გული ადრევე მიგრძნობდა, რომ საერო ყოფას ვერ იკმარებდი და სამონასტრო ცხოვრების წესს აირჩევდიო, წმინდა მეღარდუსის დღეს მან თვალნათლივ იხილა მოხუცი მლოცველი, რომელიც ოდესღაც შეხვდა „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში, მე კი კაპუცინთა შესამოსელი მეცვა, მლოცველს ჩემთვის ხელი ჩაეწყო და მივყავდი. ილუმენი ქალი, სავსებით ეთანხმებოდა ჩემს განზრახვას. ბერად აღკვეცამდე ცოტა ხნით ადრე ერთხელ კიდევ ვინახულე ისინი, რომლებმაც ყურად იღეს რა ჩემი წრფელი სურვილი, გამინახევრეს წესდებით გათვალისწინებული საკანონოს ვადა. დედისეული ხილვის ზემოქმედებით საეკლესიო სახელი მეღარდუსი დავირქვი.

ძმათა შორის ურთიერთობა მონასტერში, ლოცვები იქნებოდა თუ საერთოდ საეკლესიო წეს-ჩვეულებანი, სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც პირველი ნახვისთანავე წარმომედგინა. მთელს მონასტერში გამეფებულმა სიხარულისმომგვრელმა და კეთილსასურველმა მყუდროებამ ჩემს სულში ზეციური სიმშვიდე დაავანა, იმ ნეტარი სიზმრის ბადალი, ადრეულ ბავშვობაში რომ მეზმანა „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში. ბერად აღკვეცის საზეიმო რიტუალის ჟამს მაყურებელთა შორის კონცერტმაისტერის და შევამჩნიე. იგი ნაღვლიანად მიცქერდა და ვგონებ, თვალზე ცრემლიც ადგა. მაგრამ ცთუნების ჟამი უკვე ჩავლილი იყო, რა ვიცი, ეგებ ეს სულაც ადვილად მიღწეული გამარჯვებით გამოწვეული უტიფარი სიამაყის გამოხატულება იყო, რის გამოც ჩემს სახეს ღიმილმა გადაურბინა. სწორედ ეს ღიმილი შეამჩნია მამა კირილუსმა, რომელმაც იმ დროს გვერდით ჩამიარა.

— რა გიხარია, ჩემო ძმაო! — მკითხა მან.

— რატომ არ უნდა მიხაროდეს? მე ხომ ამქვეყნიურ ამაოებათ და წარმავალ ცდუნებათ განვუდექი? — მივუგე ძმა კირილუსს, მაგრამ არ დავფარავ, როგორც კი ეს სიცრუე ვთქვი, თითქოს განგებამ დამსაჯა და ტანში უსიამო ჟღერუანტელმა დამირბინა. ეს იყო მიწიური ეგოიზმის უკანასკნელი შემოტევა, რის შემდეგაც მთელი ჩემი არსება სრულმა სიმშვიდემ მოიცვა და რა კარგი იქნებოდა, თუ ეს სიმშვიდე არასოდეს მიმატოვებდა. მაგრამ რას იზამ? სად წაუხვალ სატანის ძალას? ვის ძალუძს დაენდოს თავისი საჭურვლის უძლეველობას? განა ისეთი რა შორს გამჭვრეტელი უნდა იყო? ძნელია გამოიჩინო სიფხიზლე, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯოჯოხეთური ძალები გითვალთვალებენ.

ხუთი წელი არც იყო გასული მას შემდეგ, რაც მონასტერში მივედი, როცა წინამძღვრის განწესებით ხანშიშესული, დაუძლურებული ძმა კირილუსის ნაცვლად სამონასტრო რელიქვიათა საკუჭნაოს ზედამხედველობა მომანდეს. რელიქვიად ითვლებოდა წმინდანთა ძვლების ნაშთები, მაცხოვრისეული ჯვრის ნაფოტები და სხვა წმინდა ნივთები, რომლებიც ფაქიზად ინახებოდა მინის კარაღებში და საეკლესიო დღესასწაულების ჟამს ამ კურთხეულ ნივთთა თაყვანისცემად მოსული ხალხის საჩვენებლად გა-

მოიფინებოდა. ძმა კირილუსმა ნელ-ნელა გამაცნო ამ წმინდა საგნების ყველა ეგზემპლარი, აგრეთვე მათზე შედგენილი დოკუმენტები. იგი დაბეჯითებით მიდასტურებდა ამ საგნებისა და დოკუმენტების, აგრეთვე მათგან მოვლენილი სასწაულების უტყუარობასა და ნამდვილობას. იგი მიმტკიცებდა, რომ ეს საგნები და დოკუმენტები სარწმუნოა, უტყუარია აგრეთვე მათგან მოვლენილი სასწაულებიც. ვიცოდი, რომ ძმა კირილუსი სავსებით იზიარებდა ჩვენი წინამძღვრის შეხედულებებს სასულიერო განათლების შესახებ. ამიტომ არც კი დავფიქრებულვარ, ისე გამოვთქვი ეჭვი, რამაც ძალუმად გამკრა გულში:

— ნუთუ, საყვარელო ძმაო კირილუს, მართლა გჯერა ამ ნივთთა უტყუარობა და ნამდვილობა? ნუთუ ყოველი ნივთი უცილობლად და ჭეშმარიტად ისაა, რადაც იმას ასალებენ? იქნებ მრავალი ამნაირი კურთხეული ნივთი, რომელთაც ამა თუ იმ უტყუარ რელიქვიად მიიჩნევენ, არსებითად სხვა არაფერია, თუ არ კაცის მიწრიელი სიხარბის წარმონაქმნი? ასე მაგალითად, იმასაც ამბობენ, რომელიღაც მონასტერში, ჩვენი მაცხოვრის ჯვარი ხელუხლებლადაა შენახულიო, და ამის მიუხედავად ყველგან მაინც ნაფოტ-ნაფოტ დაშლილს გვიჩვენებენ. ეს ნაფოტები რომ შევკრიბოთ, როგორც ერთი ძმათაგანი თავმოთნე ხუმრობით ამტკიცებს, ჩვენს მონასტერს შეშად გამოადგება და მთელ წელს ეყოფა გასათბობადო. ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ჭეშმარიტების მარცვალაც ხომ ძევს ამ ხუმრობაში.

— აბა რა ჩვენი საქმეა, ძვირფასო მედარდუს, — მომიგო ძმა კირილუსმა — მსგავსი მოვლენების კრიტიკული განსჯა, მაგრამ, სიტყვამ მოიტანა და, უნდა გაგიმხილო, რომ მეც მანდა ვარ. თუმცა აქ არსებულ ყველა რელიქვიას თან ახლავს წერილობითი დოკუმენტები, რომლებიც მათ წარმომავლობას ადასტურებენ, მაგრამ მათ შორის თითო-ოროლა თუ არის უფლებამოსილი იწოდებოდეს იმად, რადაც მიიჩნევენ. მაგრამ ამაში დიდად მნიშვნელოვანი, ვფიქრობ არც არაფერია. გაიხსენე, ძვირფასო ძმაო მედარდუს, რაგვარად ვფიქრობთ ამაზე მე და ჩვენი წინამძღვარი და შენს თვალში ჩვენი რელიგია დიდების ახალი შარავანდით შეიმოსება. მარტო ის რად ღირს, ძმაო მედარდუს, რომ ეკლესია ჩვენი იდუმალებით აღსავსე ძაფებს აბამს ბუნებრივის ზებუნებრივთან დასაკავშირებლად. იგი ისეთნაირად წარმართავს მიწიერი ყოფისა და ცხოვრებისაკენ მიდრეკილ ჩვენს ორგანიზმს, რომ ნათლად წარმოაჩინოს უზენაესი სულიერი პრინციპიდან მისი წარმოშობა, მისი შინაგანი ნათესაობა საოცარ არსთან, რომლის ძალა ცხელ სუნთქვასავით გამსჭვალავს მთელ იმის ბუნებას და უზესთაეს ყოფას წინათ იგრძნობს, რისი ფესვებიც ჩვენშივეა და რომელიც თითქოს სერაფიმის ფრთებით სულს გვიბერავს. მაინც რას უნდა წარმოადგენდეს შეშის ეს პანანკინტელა ნაფოტები? ამბობენ, ქრისტეს ჯვრის ჩამონათალიაო. ან კიდევ რა არის მის წმინდა სხეულს მოგლეჯილი ძვლების ის ჩამონაფცქვენი, ანდა მისი სამოსელის ნაფლეთები უსასოეს რელიქვიად რომ ინახება ჩვენს წმინდა საყდარში? მორწმუნე კაცს ხომ არაწაიბრის ძალდატანება და ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება, რომ თავისი სულიერი შესაძლებლობები უდრტვინველად წარმართოს ზეშთაგონების მოსავლინებად, რასაც მის წინაშე გადაშლის ნეტარი სამეფო, რაზედაც ამქვეყნიურ სუფევაში იმას მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. და ასე იღვიძებს სულიერი ზემოქმედება წმინდანისა, რომლის იდუმალი რელიქვიები აღგვაფრთოვანებენ და გულის თქმაში გვაგდებენ, რომ ძალი და შეწევნა მო-

გვეცეს და ზენარი არსისადმი მტკიცე რწმენა გაგვიჩნდეს, რაც სულის სიდრმეში ნუგეშსა და შემწეობას აღგვიძრავს. დიახ, ასეთნაირად აღძრული უზეშთაესი სულის ძალამ ადამიანში, შესაძლოა, მძიმე ხორციელი გვემა დასძლიოს. აი, სად მარხია წყაროსთვალთ იმ წმინდანებს, მიერ შექმნილი სასწაულები, რომელთა უარყოფა არამც და არამც შეუძლებელია, რადგან ეს სასწაულები თითქოს აქ თავშეყრილი ადამიანების თვალწინ ხდება.

ამ წუთში გამახსენდა წინამძღვრის მიერ მრავალგზის მინიშნებით გამოთქმული თვალსაზრისები ქრისტიანული რელიგიის შესახებ, რომლებიც სავსებით შეესატყვისებოდნენ ძმა კირილუსისას და ახლა უკვე ამ რელიქვიებს სულ სხვა თვალთ ვუყურებდი. თუ ეს ყველაფერი ადრე რელიგიის ნიღბით დაფარულ პირფერულ თამაშად მეჩვენებოდა, ახლა ღრმა კრძალვით და პატივისცემით შევყურებდი. ძმა კირილუსს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის შთაბეჭდილება, რაც ჩემზე მისმა სიტყვებმა მოახდინა და კიდევ უფრო მეტი გზებით და გულის სიდრმეში შემღწევი სინრფელით განაგრძო მისხალ-მისხალ ჩვენება რელიქვიების კოლექციებისა, თანაც საჭირო ახსნა-განმარტებებსაც მაძლევდა, ბოლოს კი გულმოდგინედ ჩაკეტილი კარადიდან გამოიღო საგანგებოდ შენახული კოთხო.

— ამაში, ძმაო მედარდუს, შენახულია ჩვენი მონასტრის ყველაზე საოცარი და იდუმალებით აღსავსე ღირშესანიშნაობა. ვიდრემდე მონასტრში ვარ, ეს კოთხო წინამძღვრისა და ჩემს გარდა ხელში არავის ჭერია. სხვა ძმებმა, მით უფრო უცხო პირებმა ამ კოთხოს არსებობაც არ იციან. თვითონ მე კი მისი უბრალოდ ხელის შევლებაც კი შინაგანად მაძრწუნებს. მასში თითქოს ავისმომასწავებელი ჯადო-გრძნებაა ჩაგმანული. ვინც შესძლებს ამ კოთხოში შეხიზნულ გრძნეულებას ძალა გამოაცალოს და გააარაფროს, იგი გადმოინთხევა და ხრწნასა და უსაშველო გაქრობას მიაგებს ყველას, ვისაც კი თავს დააცხრება. რაც ამ კოთხოში ასხია, აშკარად ეშმაკეული სამსალაა და მისგანაა წარმომავალი. იგი ეტყობა იმ უხსოვარ ხანიდანაა შემორჩენილი, როცა სატანას ჯერ კიდევ შეეძლო ცხადად და ყველას დასანახად შებრძოლებოდა ადამიანთა მოდგმას, მის ხსნასა და გადარჩენას.

უდიდესი განცვიფრებით შევხედე ძმა კირილუსს, რომელმაც პასუხიც არ დამაცადა, ისე განაგრძო სათქმელი:

— ძვირფასო ძმაო მედარდუს. ამჯერად თავს შევიკავებ აზრი გამოვთქვა ამ უკიდურესად იდუმალ საგანზე. არც ჩემეულ მოსაზრებებს მოგახვევ თავზე, ამასთან დაკავშირებით რომ გამიჩნდა. სჯობს, უშფოთველად გადმოგცე ამ რელიქვიის გარშემო არსებული დოკუმენტები, რომელთაც აი, იმ კარადაში ნახავ და, დრო რომ მოვა, თვითონ წაიკითხავ. შენ ალბათ კარგად გეცოდინება წმინდა ანტონიუსის ცხოვრება, ისიც გემახსოვრება, რომ იგი უდაბნოში გადაიხვეწა, რათა განრიდებოდა მინიურ ცთუნებებს და ღვთის მსახურებით ეხსნა სული თვისი, უმკაცრესი მონაწიეობა დაედო ცხოვრების წესად, ლოცვებსა და სინანულში განელია დღენი სიცოცხლისა. ეშმაკმაც არ დააყოვნა და მის კვალს დაედევნა, იგი არა ერთხელ გადალობებია გზაზე წმინდანს, უნდოდა ხელი მოეცარა მისთვის, დაეფრთხო მისი ღვთისმოსავი აზრები. ერთხელ შებინდებისას წმინდა ანტონიუსმა დაინახა რაღაც გაურკვეველი ბუნდოვანი ფიგურა, რომელიც თანდათან მისკენ მოემართებოდა. როცა ეს გაურკვეველი სახე მიუახლოვ-

და, წმინდა ანტონიუსმა მისდა დიდად გასაოცრად უცნობის დაგლეჯილ მოსასხამიდან თავგამოჩრილი ბოთლები შეამჩნია. უცნაურ სამოსში გამოხვეულმა სატანამ მეუდაბნოეს გესლიანად გაუღიმა და ჰკითხა, ხომ არ ინებებს წმინდა მამა გემო გაუსინჯოს ელექსირს, რომელიც მეუდაბნოე-მაქვს ბოთლითო. სატანა რა ხანია ვერანაირ ზემოქმედებას ვეღარ ახდენდა ანტონიუსზე, იგი აშკარად გრძნობდა თავის უძლეურებას. მის წინაშე და აღარც ცდილა ორთაბრძოლაში ჩაბმას, მხოლოდ მისი აბურხად აგდება იკმარა. მეუდაბნოეს, რა თქმა უნდა, სატანის ახირებული მოთხოვნა ვერ გაანაწყენებდა. მაგრამ ის კი გამოკითხა, რისთვის დაათრევედა ამდენ ბოთლს ასე უცნაურად თავგამოჩრილებს. ეშმაკმა მიუგო; „ვინც კი შემხვდება, ყველას უკვირს, თან, ცნობისნადილით შეპყრობილნი, მთხოვენ მოვასმევინო. უნდა ნახოთ, რანაირი ვნებით უსინჯავენ გემოს ჯადოსნურ სასმელს. ჩემი ელექსირები სხვადასხვა გემოსია და ასე როგორ იქნება, ერთი მაინც არ მოეწონოს ვინმეს. ჩვეულებრივი მოკვდავი ბოლომდე რომ დაცლის ბოთლს, უმაღ ჩემი მონა და ქვეშევრდომი ხდება“. ყველა თქმულება ერთნაირად გადმოგვცემს წმინდა ანტონიუსის ამ ხილვას. ჩვენთან დაცულ დოკუმენტებში ასეთ რამესაც ამბობენ, აი, სატანა გაეცალა აქაურობას და გადაბიბინებულ მინდორში რამდენიმე სავსე ბოთლი დატოვა, წმინდა ანტონიუსმა სწრაფად აკრიფა ბოთლები და თავის გამოქვაბულში გულდაგულ გადამალა ეს კაცის დამაქცევარი და თავგზის ამბნევი ელექსირი, ხომ შეიძლება, უდაბნოში ვინმე გზადაკარგული ანდა რომელიმე ჩემი მონაფე უცაბედად გადაწყდეს ამ ბოთლებს, გემო გაუსინჯოს საშინელ სამსალას და მერე ცეცხლოვან გენიაში ჩავარდესო. ჩვენს მონასტერში შენახული ერთი დოკუმენტი იმასაც გვაუწყებს, თითქოს წმინდა ანტონიუსს ეშმაკის ელექსირით ავსებულ ბოთლი ერთხელ თვითონაც გამოეცალოს. ამ დროს ბოთლიდან თურმე დამარეტიანებელი ოხშივარი გამოსულა და მეუდაბნოეს გარს შემოხვევია საშინელი, ჭკუის დამაბნეველი ჯოჯოხეთის სურათები, რომელთაც მაცთუნებელი ოინბაზობით უცდიათ მისი მოხიბვლა. წმინდა ანტონიუსს უმკაცრესი მარხვითა და ხანგრძლივი ლოცვებით განუფანტავს ეს ეშმაკისეული საცთური. ჩვენ მემკვიდრეობად გვერგო წმინდა ანტონიუსის დანატოვარი ერთი ბოთლი, რომელიც ეშმაკის ელექსირითაა სავსე. სწორედ ეს ბოთლი ინახება ამ კოთხოში. ამის დამადასტურებელი საბუთები ისე უტყუარია და ზუსტი, ძნელად თუ შეგეპარება ეჭვი დაგეჯერა რომ ბოთლი მართლა იპოვნეს წმინდა ანტონიუსის სიკვდილის შემდეგ მის მიერ დანატოვარ ნივთთ შორის. იმასაც გეტყვი, ძვირფასო ძმაო მედარდუს, როგორც კი ხელს შევახებ ბოთლს, შენ წარმოიდგინე, კოთხოსაც კი, რაშიც ეს წმინდა რელიქვიაა შენახული, უმაღ ღრმა და ამოუხსნელი შიში ამიტანს ხოლმე და მეჩვენება აი, საცაა ეს უცნაურად დამარეტიანებელი სუნი მეტაკება და ენით უთქმელი შინაგანი მღელვარებით ამავსებს-მეთქი. ამ დროს ისე ვიბნევი და ვიფანტები, რომ ღვთისმსახურების ჟამსაც კი ჭკუაზე ვერ მოვდივარ, თუმცა განუწყვეტელი ლოცვითა და მარხვით ადვილად ვაღწევ დავთრგუნო ეს ცოდვიანი განწყობილება. რაღაც არ მგონია ჩემი ეს სულდამძიმება ეშმაკის უშუალო ზემოქმედების ბრალი იყოს, მაგრამ აქ რომ ჩემში დაბუდებულ მტრულ ძალას გარკვეული წილი უდევს, ეს კი აშკარაა. ძვირფასო ძმაო მედარდუს, შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და უცხო ძალის მიერ აღგზნებული შენივე წარმოსახვა ყველაფერს ელვარე, ცინცხალი

ფერებით დაგიხატავს და შენც, მამაცი, მაგრამ გამოუცდელი მეომარივით უზომო გაბედულებას გამოიჩინე, თავდავიწყებით ჩაებმები ბრძოლაში და ზედმეტად დაენდობი რა საკუთარ ძალებს, შეუძლებელს მოინადინებ, ამიტომაც გირჩევ, არასოდეს არ გახსნა ეს კოლოფი ანდა აჯობებს თუ რამდენიმე წელს თავს შეიკავებ, ხოლო ცნობის ნადელომე ქრომიარ გაცთუნოს, შორს განაგდე იგი შენს თვალთაგან.

ეს თქვა და ძმა კირილუსმა იდუმალი კოთხო კვლავ კარადაში ჩაკეტა, მე კი ჩამაბარა გასაღებების ასხმა, რაზეც იმ კარადის გასაღებიც ეკიდა. ძმა კირილუსის ნაამბობმა ჩემზე ღრმა და უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. რაც უფრო იზრდებოდა ჩემში ცთუნება ამ ღირსშესანიშნავი რელიქვიის ხილვისა, მით უფრო ვცდილობდი მხსომებოდა ძმა კირილუსის გაფრთხილება, მაგრამ მეტისმეტად მეძნელებოდა მივყოლოდი მის შეგონებას. როცა კირილუსი წავიდა, ერთხელ კიდევ შევახვე თვალი რელიქვიებს, რომელთა მეტავალყურეობაც მომანდეს. მერე ასხმულიდან ის პანია გასაღები ამოვაძრე, რითაც ის საშინელი კარადა იყო დაკეტილი და საიდუმლოდ ჩავმაღე ჩემს სანერ მაგიდაზე დახვავებულ ხელნაწერებში.

სემინარიის პროფესორთა შორის გამოირჩეოდა ერთი ბრწყინვალე ორატორი. როცა იგი ქადაგებდა, ეკლესია მუდამ ხალხით იყო გადაჭედებული. მისი მჭევრმეტყველება ცეცხლს უკიდებდა მსმენელს, უსაზღვროდ იპყრობდა მათ გულებს, ყველას მწველი კრძალვით ალავსებდა. მეც სხვების მსგავსად მოხიბლული ვიყავი მისი შთამაგონებელი და აღმტაცი სიტყვების ჯადო-გრძნებით, გულწრფელად აღმაფრთოვანებდა მისი მაღალნიჭიერება და ოსტატობა. ამავ დროს სადღაც გულის კუნჭულში რაღაც ძალა გამკრავდა და მძლავრად შემარხევდა ხოლმე, თითქოს მიბრძანებდა, მისებრ იქადაგეო. ამ ძალამ მთლად დამიმორჩილა, წირვის შემდეგ ჩემს სენაკში შევიკეტებოდი ხოლმე, განმარტოებული შთაგონების ნეტარ წუთებს განვიცდიდი. მხოლოდ ხანდახან თუ ვახერხებდი გზებით აღვსილი იმპროვიზაციის ჟამს წარმოთქმული სიტყვებისა და აზრების დამახსოვრებასა და ჩანერას. ჩვენს მონასტერში ქადაგება მიჰყავდა ერთ-ერთ ძმათაგანს, ან უკვე საკმაოდ ხანში შესულ მღვდელს, რომელსაც წლების მომატებასთან ერთად ჯან-ლონე აკლდებოდა, ამიტომაც მისი ქადაგება მდორედ და უსიცოცხლოდ მიმდინარეობდა, გვალვისაგან წყალნაკლული ნაკადულის უილაჯო ხშიანობას ემგვანებოდა. გარდა ამისა მღვდელს სიტყვიერი თუ აზრობრივი მარაგიც შემოლეოდა და რაკი უკონსპექტოდ კითხულობდა, იძულებული იყო მეტისმეტად გაეჭიანურებინა სათქმელი. ამის გამო მისი ქადაგებები აუტანლად მოსაწყენი ხდებოდა, წისქვილის ქვის ერთფეროვან რაკუნს მოგაგონებდა. მსმენელთა უმრავლესობას უჭირდა მისი ქადაგებების ბოლომდე მოსმენა, რამდენჯერ ტკბილად ჩასძინებიათ და მხოლოდ მაშინ გამოღვიძებიათ, როცა ორღანო აყლარუნებულა. ძმათა შორის მარტოოდენ მამა ლეონარდუსი ფლობდა მჭევრმეტყველების იშვიათ ნიჭს, მაგრამ იგი ასაკოვანი გახლდათ უკვე, და ქადაგებებს თავს არიდებდა. ასე რომ წარუმატებელი ქადაგის შემცვლელიც არავინ ჩანდა. წინამძღვარი ხშირად დამლაპარაკებია ამ სამწუხარო ამბის გამო, სწორედ ამიტომ აკლია მონასტერს თვალსაჩინო ღვთისმოსავთა სტუმრობაო. ერთხელ ძალ-ლონე მოვიკრიბე და წინამძღვარს გულის ფანცქალით ვუთხარი, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას აღმოვაჩინე ჩემში ქადაგებისადმი სწრაფვა და ეს სწრაფვა იმზომ ძლიერი იყო, რომ რამდენიმე სასულიერო

ხასიათის საუბარიც კი ჩავიწერე-მეთქი. მამა ლეონარდუსმა ამ ჩანაწერების ნახვა მოისურვა და როცა გადაათვალიერა, დიდად მოიწონა და უახლოეს საეკლესიო დღესასწაულზე საცდელი ქადაგების ჩატარებაც შემომთავაზა. ჩემი მცდელობა არ შეიძლებოდა ხელმოცარული გამომდგარიყო, რადგანაც ბუნებამ ყველაფერი მომმადლა, რაც კი აუცილებელია ორატორულ ხელოვნებაში ნარმატივის მისაღწევად: მომხიბვლელი გარეგნობა, მეტყველი სახე, ძლიერი ტემბრის ხმა, ხოლო რაც შეეხება კათედრაზე თავდაჭერას, სწორ ფესტიკულაციებს, ამის სწავლება თვითონ წინამძღვარმა იკისრა. საზეიმო დღეც დადგა. ეკლესია ჩვეულებრივზე უფრო მეტად აივსო ხალხით. და მეც არც თუ მთლად აუღელვებლად ავედი კათედრაზე. თავდაპირველად წინასწარ შედგენილ ჩანაწერებს მივყვებოდი. მოგვიანებით მამა ლეონარდუსმა მითხრა, პირველ ხანებში ხმა გითრთოდაო. მაგრამ ეს მთრთოლვარე ხმა სავსებით შეესატყვისებოდა მწუხარე და მოკრძალებულ აზრებს, რითაც ქადაგება იწყებოდა. ზოგიერთმა ჩემი ხმა ჩათვალა საგანგებო ორატორულ ხერხად, რომელიც დიდი ზემოქმედების მოსახდენად იყო გათვალისწინებული, მაგრამ მალე იფეთქა ჩემს სულში მინავლული ზეციური აღმაფრენის მბუჟტავმა ნაპერწკალმა. წინასწარ მომზადებული კონსპექტი მიმავინწყდა და სრულად მივნებდი შთაგონების ძალას, რომელიც წამიერად მომევილინა. ვგრძნობდი, როგორ ამემღვრა და ამიჩქეფდა სისხლი ძარღვებში. ყურს ვუგდებდი, როგორ გრგვინავდა თავლებქვეშ ჩემი ხმა, ვხედავდი წინ გაშვერილ საკუთარ ხელებს, მალლა აპყრობილ თავს ჩემსას, თითქოსდა ზეციური აღმაფრენის ნათელ სხივებს მაყრიდა. ჩემი ქადაგება დავასრულე გულისამაჩუყებელი სენტენციით, რომელშიც ვითარცა მნთებარე ფოკუსში თავი მოვუყარე ყველაფერ წმინდასა და მშვენიერს, რაზეც ასე თავგამოდებით ვლაღაღებდი საეკლესიო კათედრიდან. ჩემმა ქადაგებამ უჩვეულო, გაუგონარი, კოლოსალური შთაბეჭდილება მოახდინა. ჩემს გამოსვლას მოჰყვა მდულარე ცრემლთა ფრქვევა, ბაგეთაგან უნებურად მოწყვეტილი კდემით აღსავსე ნეტარების გამომხატველი წამოძახილები და ხმამაღალი ლოცვები. ჩემი ტალანტით მოხიბლულმა ძმებმა უდიდესი განცვიფრება გამოთქვეს. წინამძღვარი ლეონარდუსი მხურვალედ გადამეხვია და მონასტრის სიამაყე მიწოდა. ჩემი დიდების ამბავი მთელ ქვეყანას მოედო. ქალაქის ყველაზე წარჩინებული და ყველაზე განათლებული ადამიანები წირვის დაწყებამდე ერთი საათით ადრე, ვიდრე მწუხრის ზარი დარეკავდა, თავს იყრიდნენ მონასტრის პატარა ეკლესიაში, რათა ძმა მედარდუსის ქადაგება მოესმინათ. აღტაცებასთან ერთად იზრდებოდა ჩემი მონადინება და გარჯილობა, რათა ქადაგებები შთაგონების მგზნებარე წუთებში სრულქმნილი და მოსხეპილი ფრაზებით შემემკო, რის წყალობითაც კიდევ უფრო მეტად ვხიბლავდი მრავალრიცხოვან მსმენელს და ჩემდამი პატივისცემა მალე გადაიზარდა წმინდანისადმი თაყვანისცემად და ლამის გაღმერთებად. ქალაქი რელიგიურმა სიგიჟემ მოიცვა. საიდან არ მოდიოდნენ მონასტერში. საკმარისი იყო მცირეოდენი საბაბი და ყველა აქეთკენ მოიწევდა. ჩვეულებრვ სამუშაო დღეებშიც კი გული შინ არ უდგებოდათ და აქეთ გამორბოდნენ, რათა ძმა მედარდუსი დაენახათ, ორიოდ სიტყვა მაინც ეთქვათ მისთვის. და ჩემს არსებაში თანდათან მომწიფდა აზრი იმის შესახებ, რომ მე ჩვეულებრივი ადამიანი კი არაა. ღვთისაგან საგანგებოდ გამორჩეული პიროვნება ვიყავი. ჩემი დაბადების იდუმალი გ. წმინდები „წმინდა ცაცხვის“ მონას-

ტერში, გარდახდომილების მტვირთველი მამის მიერ ცოდვების მონანიება, ის უცნაური გარემოცვა, რომელშიც ჩაიარა ჩემმა ადრინდელმა ბავშვობამ — ეს ყველაფერი ნათელი დადასტურება იყო იმისა, თუ რა უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ჩემს სულს ზეციურთან, სული ჩემი ჯერაც ამქვეყნიურ ყოფაში ამაღლებულიყო ზეცაში, ხოლო თავად მისი მოდგმას, მიწის შვილთ აღარ ვეკუთვნოდი, ღვთის ნებით ზეცაში მხოლოდ მიწაზე ვიყავი ჩამოსული ადამიანთა ხსნად და ნუგეშად. ახლა ჩემთვის ცხადი გახდა, რომ მოხუცი მლოცველი, რომელიც „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში გავიცანი, სხვა არავინ იყო, თუ არა წმინდა იოსები, ხოლო ის უცნაური ბიჭი — თვითონ ყრმა იესო, ისინი მომეახლნენ, რათა მოსაღმებოდნენ ჩემში წმინდანს, რომელსაც განგებამ არგუნა გარკვეული დროის განმავლობაში დედამიწაზე მოგზაურობა. მსგავსი აზრები ყოველდღე ცხოვლად იკიდებდა ფეხს ჩემს არსებაში, ამიტომაც მთრგუნავდა, სულს მიხუთავდა გარშემო მყოფ ადამიანებთან ურთიერთობა. უკვალოდ გამიქრა სულის სიმშვიდე და ხალისი, რაც წინათ არასოდეს მტოვებდა. ძმათა უშფოთველი შეგონებანი და წინამძღვრის თბილი მოპყრობა ჩემს ბოროტეულ გაგულისებასა და გულისწყრომას იწვევდა, თითქოს ისინი ვალდებული იყვნენ ეღიარებინათ ჩემში წმინდა, მათზე ძალა მდგომი ძალა, ქედი მოეხარათ ჩემს წინაშე, რათა ღმერთისათვის შემევედრებინა იმათი თავი, და რაკი ისინი მსგავსს არაფერს აკეთებდნენ, მე ისინი მიმაჩნდა იმ ადამიანებად, რომლებიც ჯოუტად ვარდებიან ცთომილებაში. ჩემს ქადაგებებში ათასჯერ მივანიშნებდი, რომ ახლოვდება ჟამი, განთიადის დარად მანათობელი სხივებით აღმობრწყინებული, მორწმუნე მრევლის ხსნად და ნუგეშად მოვლინებული, როცა ღვთის რჩეული წმინდანი გამოცხადდება ზეციური ნათელიდან დედამიწაზე. ჩემს მიერ წარმოსახულ ნიჭიერებას მისტიური ფერებით ვმოსავდი და იგი თავისი განუმეორებელი ხიბლით მით უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა ბრბოზე, რაც უფრო გაუგებარი იყო მისთვის. წინამძღვარს ჩემზე გული აშკარად გაუცივდა, ჩემთან ლაპარაკსაც კი თავს არიდებდა მოთანაგის გარეშე. მაგრამ ერთხელ, როცა ძმები წავიდნენ-წამოვიდნენ და მონასტრის ხეივანში სერიზობისას როგორღაც მარტონი აღმოვჩნდი, მოულოდნელად წინამძღვარმა მითხრა:

— საყვარელო ძმაო მედარდუს, ეს რამდენიმე ხანია შენი საქციელი არ მომწონს, იგი უსიამო განცდას აღმიძრავს. შენს სულში ისეთი რამ ხდება, რაც ღვთისმოსავ, ალალ-მართალ ცხოვრებაზე ზურგს გაქცევინებს. შენს მიერ წარმოთქმულ სიტყვებში უკეთური სიბნელე გამეფებულა და ძალიან მეშინია, სამუდამოდ არ დავშორდეთ ერთმანეთს. ნება მომეცი, გულახდილი ვიყო. ამ წუთში შენ ზიდავ დანაშაულს ჩვენი ცოდვა-ბრალით აღსავსე დასაბამისა, რომელიც სულის ძალუმი აღტყინების ჟამს მუდამ ბნელ-უკუნეთის კარიბჭეს გვიხსნის, საითკენაც უსაზმნო ქროლვით მავალთ ადვილად გვეკარგება გზა-კვალი. შენ დაგაბრმავა წარმატებამ, თაყვანისცემამ, რასაც ყოველი ქადაგების შემდეგ მოგაგებს ამოებისაკენ ქარაფშუტულად მიმსწრაფე მაღალი საზოგადოება და საკუთარი სახეც გეკარგება, უჩვეულო ხდები, ფერშეცვლილი, მაგრამ ეს მირაჟია მხოლოდ, შემზარავი უფსკრულისაკენ რომ მიგაქანებს. ჩაუკვირდი საკუთარ თავს, მედარდუს! მოეშვი სიგიჟეს, რომელიც გონებას გიბნელებს! მგონი, სწორად მიგიხვდი და შენ დაკარგე სულის სიმშვიდე, ურომლისოდაც ვერ მოსძლებ

ამქვეყნად, საშველი არ დაგადგება, ვერ განიკურნები. ნება მიბოძე გაგაფრთხილო: განერიდე ეშმაკს, რომელიც თავის ქსელში გახვევს! იყავი ისევ ის ღვთისნიერი ყმანილი, მე რომ გულით მიყვარდა.

როცა ამ სიტყვებს მეუბნებოდა, წინამძღვარს თვალთავან ^{წრეში} სცვიოდა. მან ხელი მომიჭირა, მერე გამიშვა და ჩემი პასუხისთვის არც დაუცდია, ისე გაეცალა იქაურობას. წინამძღვრის ნათქვამნი ^{მტკრულად} ჩამრჩა გულში, გავლიზიანდი, მან გაიხსენა ჩემი წარმატებები და ჩემდამი აღვლენილი თაყვანისცემა, რაიც სხვებისაგან გამორჩეული ნიჭიერების წყალობით მოვიპოვე. აშკარა იყო, რომ მას წვრილმანი შური ათქმევინებდა ჩემზე საყვედურებს, ასე პირუთვნელად რომ გამიმჟღავნა. მღვდელთა კრებაზე შინაგანი მრისხანებით შეპყრობილი კვლავინდებურად ვდუმდი და საკუთარ წვენში ვიხარებოდი. ჩემი არსება სავსებით შთანთქა ახალმა ყოფიერებამ. დღედაღამ მოსვენება აღარ მქონდა, ღამეებს ვტეხდი და რაც შეიძლება ღამაზე სიტყვებს ვეძებდი. მინდოდა ამ სიტყვებით შემემკო ჩემი ქადაგებები და ხალხის გულამდე მიმეტანა. ეს კი სულს აღმივსებდა. რაც უფრო შორს ვიდექი ღვთისმშობლისა და ძმებისაგან, მით უფრო წარმატებით ვაღწევდი ბრბოს მოხიბვლას.

წმინდა ანტონიუსის დღეს ეკლესია ისე გადაიჭედა ხალხით, რომ საჭირო გახდა ყველა კარის გაღება, რათა ყოველი მხრიდან მოზღვავებულ საყდრის წინ შეკრებილ ხალხს, შესაძლებლობა ჰქონოდა მოესმინა ჩემი ქადაგება. არასოდეს ისე მძლედ, მგზნებარედ და სულისშემძვრელად არ მიქადაგნია. ვლაპარაკობდი წმინდა ანტონიუსის ცხოვრებაზე, რომელსაც როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, თან დავურთავდი ცხოვრებაში ღრმად შეჭრილ ღვთისმოსავ მოძღვრებებს, ვლაპარაკობდი ეშმაკის ცთუნებაზე, ვისაც შეცოდებამ მისცა ძალა ადამიანთა წასაბილწად, ქეშმარიტების გზიდან გარდახდომილებისათვის და უნებლიედ წყაროსავით მორაკრაკე სიტყვების ნაკადმა მიმიყვანა ელექსირის თქმულებამდე, რომელიც ღრმააზროვან, ალეგორიად წარმოვაჩინე. მოულოდნელად ჩემი ეკლესიის ირგვლივ გაცეცეებული მზერა მოხვდა ერთ ანონილ, ლაკარტანა კაცს, რომელიც სვეტს მიყრდნობოდა, ხელები გულზე დაეკრიფა და მხრებზე უცნაურად მოესხა მუქი იისფერი ღაბადა. სახეზე მკვდრის ფერი დასდებოდა. დიდი შავი გაქვავებული თვალების მზერა გულზე ალესილი ხანჯალივით ნესობოდა. უსიამო და შემადრწუნებელმა გრძნობამ შემიპყრო. უცნობს თვალი მოვარიდე, ძალ-ღონე მოვიკრიბე და ლაპარაკი განვაგრძე, მაგრამ ჩემდაუნებურად თვალი მაინც მისკენ გამირბოდა, თითქოს უცხო გრძნეულმა ძალამ მომნუსხაო. იგი კი უძრავად, გაქვავებული იდგა ქანდაკებასავით, ხოლო აჩრდილისეული მზერა ჩემკენ მოემართა, მაღალ ნაოჭებით დაღარულ შუბლსა და ქვემო დაწეულ ბაგეზე მწარე დაცინვა და მძულვარება მოჰფენოდა. შიშსა და ძრწოლას მგვრიდა მთელი მისი შესახედაობა. დიახ, ეს იყო უცნობი მხატვარი „წმინდა ცაცხვის“ მონასტრიდან. მომეჩვენა, რომ ვიღაცის ყინულივით ცივი ხელი მარწუხივით დამწვდა ყელში და მახრჩობდა. შუბლზე განსაცდელის მწარე ოფლმა დამასხა, ენა დამება, აზრი დამეფანტა, სიტყვას თავი ვეღარ მოვუყარე, რას მივედმოვედებოდი, თვითონაც არ ვიცოდი. საყდარში ჩურჩული გაისმა. ხალხი აბურტყუნდა. ხოლო ის შიშისმომგვრელი უცხო მამაკაცი ისევ და ისევ უძრავად იდგა, სვეტს მიყრდნობილი დაჟინებით მომშტერებოდა. მძვინვარე სასონარკვეთილებაში ჩავარდნილმა და ჯოჯოხეთური ძრწოლვით აღვ-

სიღმა გაცოფებით ვიქუხე: „აქედან გაეთრიე, წყეულო, გაეთრიე-მეთქი გეუბნები. იცოდე, რომ იგი მე ვარ. დიახ, მე წმინდა ანტონიუსი ვარ“. როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვი, გული შემიღონდა. გონს როცა მოვეგე, ჩემს სენაკში ვიყავ. თავზე ძმა კირილუსი დამტრიალებდა, მივლიდა, მამშვიდებდა. უცნობის შემადრწუნებელი სახე ისევ ცხადად მედგა თვალწინ. ყველაფერი ძმა კირილუსს ვუამბე და რაც უფრო დამაჯერებლად ჩამაგონებდა იგი, რომ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩემს მიერ წარმოსახული ქიმერა, რომელიც წარმოშვა ძალმოსილი და თავგადადებული ქადაგების შედეგად აგზნებულმა ფანტაზიამ, მით უფრო მიპყრობდა მწარე სინანულისა და სირცხვილის გრძნობა საეკლესიო კათედრაზე ჩემი ქცევის გამო. როგორც ეს მოგვიანებით შევიტყვე, მსმენელებს ეგონათ, რომ მე ჭკუა შემერყა. ამის თქმის საბაბს მათ აძლევდა ჩემი უნებლიე წამოყვირება ქადაგების ყამს. სულიერად მოვტყდი, დავბეჩავდი. სენაკში შევიკეტე და უმკაცრეს ეპიტიმიას მივყე ხელი, მხურვალე ლოცვებით ვინრობდი თავს და ვებრძოდი ეშმაკს, რომელმაც ისიც კი გაბედა, რომ ამ წმინდა ალაგას უტიფრად დამცინა და „წმინდა ცაცხვის“ მონასტრის ღვთისმოსავი მხატვრის სახით გამომეცხადა. მაგრამ ჩემს მეტს არავის დაუნახავს იისფერლაბადიანი კაცი და წინამძღვარიც მისთვის ჩვეული ღვთისნიერებით ყველგან თავგამოდებით ავრცელებდა აზრს, რომ ჩემი ენაარეული მეტყველების მიზეზი იყო მძიმე სნეულება, ქადაგების ყამს რომ შემადრწუნებლად შემომიტიო. ჯერ კიდევ ღონემიხდილი და სნეული რამდენიმე კვირის განმარტოებული ყოფის შემდეგ სამონასტრო ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი. სისუსტისა და უღონობის მიუხედავად კვლავ შევეცადე საეკლესიო კათედრაზე ასვლას, მაგრამ შინაგანი ძრწოლვისაგან გატანჯულმა, შემზარავი ფერმიხდილი აჩრდილისაგან დევნილმა, ძლივსლა მოვიკრიბე ძალღონე, მინდოდა დალაგებულად და ჭკუადამჯდარად მელაპარაკა, მაგრამ ვერ შევძელი. მჭერმეტყველების ადრინდელი ცეცხლი ჩამქრობოდა. ამიტომაც ახლა ჩემი ქადაგებები ტლანქი, დაუხვენავი, დაფანტული და უთავბოლო იყო. მსმენელებს გულწრფელად ვეცოდებოდი ჩემი სამუდამოდ დაშრეტილი ნიჭის გამო. მათი რიცხვი, დღითი-დღე კლებულობდა. საეკლესიო კათედრა კვლავ იმ მოხუცმა მღვდელმა დაიკავა, ვინც ადრე ატარებდა ქადაგებებს, რადგან ამჯერად იგი ჩემზე ბევრად უკეთესად წარმართავდა საუბარს.

გავიდა ხანი და მონასტერს ერთი ახალგაზრდა გრაფი ეწვია ჰოფმაისტერის თანხლებით, რომელთან ერთადაც იგი მოგზაურობდა ხოლმე. გრაფმა მოისურვა ჩვენი მონასტრის უთვალავ ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. სტუმრებს შევუძეხით სენაკში, სადაც მონასტრის რელიქვიები იყო მოთავსებული. წინამძღვარი ჩემი თანდასწრებით აჩვენებდა სტუმრებს ეკლესიასა და მგალობელთა გუნდს, მაგრამ მოულოდნელად წინამძღვარს დაუძახეს და უცხო სტუმრებთან მარტო დავრჩი. სტუმრებს ყოველი ნივთი, ყოველი რელიქვია ვაჩვენე და თითოეულის მნიშვნელობა განვუმარტე. ანაზდად გრაფმა მომეტებული ყურადღება გამოიჩინა ერთი ძველგერმანული ნატიფად მოჩუქურთმებული კარადისადმი, რომელშიც მომცრო კოლოფში მოთავსებული ეშმაკის ელექსირი იყო ჩაკეტილი. საკმაოდ უხალისოდ გავეცი პასუხი შუკითხვაზე, რა ინახებოდა ამ კარადაში. მაგრამ გრაფი და მისი თანამგზავრი არ მომეშვნენ, ვიდრემდე არ ვუამბე ლეგენდა წმინდა ანტონიუსისა და მისი მცთუნებელი ეშმაკის შესახებ და

როგორც თავის დროზე ძმა კირილუსმა მაუნყა, უცხო სტუმრებს მოვახსენე, რომ ეს ბოთლი ინახება ჩვენს მონასტერში, ვითარცა რელიქვია, თანაც დავსძინე, რაოდენ საშიშია და საფრთხილო ამ კოლოფის გახსნა და ბოთლის უბრალოდ დათვალიერებაც კი. თუმცა გრაფი სცნობდა და აღიარებდა ჩვენს რელიგიას, იმას ჰოფმაისტერისა არ იყო საჭირო: სჯეროდა ამ წმინდა თქმულებისა. ორივემ ბევრი იცინა სასაცილოდ ეშმაკზე, რომელიც დაგლეჯილი მოსასხამით დაატარებდა მაცდუნებელ ბოთლებს. მათ ბევრი მახვილგონივრული შენიშვნა გააკეთეს ამასთან დაკავშირებით, ბოლოს კი ჰოფმაისტერმა სერიოზულად მითხრა:

— ნუ გაბრაზდებით ჩვენზე, ქარაფშუტა საერო კაცებზე, თქვენო მალაღლირსებავ. გჯეროდეთ, რომ მეცა და გრაფიც ღრმა პატივს მივაგებთ წმინდანთ, ვითარცა ჩინებულ, ღრმად მორწმუნე ადამიანებს, რომლებიც წამითაც არ დაფიქრებულან, უშურველად მისცეს მსხვერპლად მინიერი სიხარული და საერთოდ მთელი ცხოვრებაც სულის გადასარჩენად და მახლობელთა ცოდვების მოსანანიებლად. ხოლო რაც შეეხება იმ ლეგენდას, რომლის გახსენებაც ახლა ინებეთ, დარწმუნებული ვარ, თვითონ წმინდანთა მიერ გამოგონილი ალეგორიაა კაცთა დასამოძღვრად და გაუგებრობის გამო შევიდა მათ ცხოვრებაში, როგორც ჭეშმარიტად მომხდარი ამბავი.

ეს თქვა და ჰოფმაისტერმა სწრაფად ახადა სახურავი კოლოფს, საიდანაც უცნაური ფორმის შავი ფერის ბოთლი ამოიღო, ოთახში საამო და სიამის მომგვრელი სუნი დატრიალდა. ეს სუნი როდი იყო დამარეტიანებული, როგორც ამას ძმა კირილუსი ამბობდა, პირიქით, ამ ნაზმა სურნელმა სასიკეთო ზემოქმედება მოახდინა ჩემზე.

— სანაძღვოს დავდებ, — წამოიძახა გრაფმა — რომ ეშმაკის ელქსირი სხვა არაფერია, თუ არ საუცხოო სირაკუზული ღვინო.

— თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, — კვერი დაუკრა გრაფს ჰოფმაისტერმა — იცით, თქვენო მალაღლირსებავ, თუ ეს ბოთლი მართლა გერგოთ მემკვიდრეობად წმინდა ანტონიუსისაგან, მაშინ ბევრად უფრო ბედნიერი ყოფილხართ, ვიდრე ნეაპოლის მეფე. რომაელებს ერთი ცუდი ჩვეულება ჰქონდათ, ბოთლს საცობით კი არ უცობდნენ თავს, არამედ ღვინოზე ზეთს აწვეთებდნენ და ისე ინახავდნენ, რის გამოც საწყალ მეფეს წართმეული ჰქონდა სიამოვნება ამ ძველი რომაული ღვინისათვის გემო ჩაეტანებინა. თუმცა ეგ თქვენი ღვინო არც ისე ძველია, როგორც სირაკუზული, მაგრამ სხვებთან შედარებით იგი მაინც ყველაზე ძველ ღვინოდ შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც, თუ შეირგებთ და მშვიდად წვეთ-წვეთობით გამოწრუპავთ, ჯიგრიანად მოიქცევით.

— რა თქმა უნდა, — აიტაცა ეს აზრი გრაფმა, — ეგ ძველისძველი სირაკუზული ღვინო მაცოცხლებელი ძალით აჩქეფდება თქვენს ძარღვებში და კუდით ქვას ასროლინებს სნეულებას, რომელმაც, ვატყობ, ხელი დაგრიათ და დაგაძაბუნათ, წმინდა მამაო.

ჰოფმაისტერმა ჯიბიდან ფოლადის ბოთლის გასახსნელი ამოიღო და, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოთლს საცობი ააძრო. ჰაერში მყისვე მტრედისფერმა ნაპერწკალმა გაიელვა და სწრაფად გაუჩინარდა. ბოთლიდან ამოვარდნილი მძაფრი სუნი კი მთელს ოთახს მოედო. ჰოფმაისტერმა პირველად გაუსინჯა გემო ღვინოს და ალტაცებით წამოიძახა:

— დიდებული და საუცხოო სირაკუზული ღვინოა: წმინდა ანტონი-

უსის ღვინის სარდაფი, მართალი გითხრათ, ურიგო არც უნდა იყოს! სა-
ტანაც რომ ყოფილიყო ამ სარდაფის მერიქიფე, ამ წმინდა კაცს იგი, მგო-
ნი, არც ისე უვერაგებდა, როგორც ამას ამბობდნენ. მიირთვით, გრა-
ფო!

გრაფმაც მოსვა ღვინო და ჰოფმაისტერის ნათქვამი დასტურა.
ბევრი იოხუნჯეს რელიქვიებზე. რაც კი მონასტერში რელიქვიებია, მათ
შორის ეს რელიქვია, ყველას ჯობიაო, იცინოდნენ, ნეტავი ყველა სარდა-
ფი ასეთი რელიქვიებით იყოს სავსეო. მე კი თავჩაქინდრული და თვალეზ-
დახრილი, დამნაშავესავით მდუმარედ ვუცქერდი იმათ ქეიფს. მათი ლა-
ლობა და მხიარულება გულზე ცეცხლს მიკიდებდა, ბოლმით მახრჩობდა.
ამაოდ მიკიჟინებდნენ სტუმრები, შენც გასინჯე წმინდა ანტონიუსის ღვი-
ნო, შეგერგებაო, მაგრამ მტკიცე უარზე ვიდექი. მერე ბოთლს გულმოდ-
გინედ თავი დავუცე და კარადაში შევინახე.

უცხო მნახველებმა მონასტერი დატოვეს. მაგრამ ჩემს სენაკში მარ-
ტოდ დარჩენილმა ვერ დავფარე შინაგანი სიამე და სულის სიხალისე, რა-
მაც აშკარად მომიცვა. ღვინის სურნელმა მართლაც ჯანი გამიმრთელა.
კირილუსი რომ მეუბნებოდა, იმ ცუდი ზემოქმედების მისხალსაც ვერა
ვგრძნობდი, პირიქით, გულზე ძალამოდ მეცხებოდა ამ სურნელის კეთილ-
მყოფელი გავლენა. რაც უფრო ბევრს ვფიქრობდი წმინდა ანტონიუსის
ლეგენდაზე, მით უფრო შთამბეჭდავად ყლერდა ჩემს სულში ჰოფმაისტე-
რის სიტყვები, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ იგი მართალი იყო, რადგან
სწორად ესმოდა არსებული მდგომარეობა და მართებულად განმარტავდა
მას. სწორედ ამ დროს პირველად ელვასავით გამკრა ფიქრმა თავში, რომ
სწორედ იმ საბედისწერო დღეს, როცა უკეთური ძალა ასე დამლუპველად
დამატყდა თავს, თვითონვე განვიზრახე იმგვარად წარმომედგინა ეს თქმუ-
ლება, ვითარცა სამოდღვრებო ალფეგორია წმინდა კაცისა. ფიქრები ამე-
შალა, ერთ საფიქრალს მეორე მოჰყვა და იმნაირად შემიბყრო, სხვა ყვე-
ლაფერი, რაც კი ჩემს გარშემო არსებობდა, შთანთქა. „რა მოხდება“, —
ვფიქრობდი ჩემთვის — თუ ეს საუცხოო სასმელი თავისი სულიერი ზე-
მოქმედებით შენც განგკურნავს, შენში კვლავ გაღვივდება ჩამქრალი ცე-
ცხლი და ახალ სიცოცხლედ იფეთქებს. იქნებ შენი სული ისე იდუმალ შე-
კთვისოს ამ ღვინოს, შენში მთვლემარე ბუნებრივი ძალები გამოაღვიძოს
და მისმა სურნელმა, სუსტ და უსუსურ კირილუსს რომ არეტიანებს, სი-
ამე მოგგვაროს და სიკეთე მოგიტანოს“. მაგრამ როგორც კი საბოლოოდ
განვიზრახავდი მივეყოლოდი მონასტრის ყონალთა შეგონებას და სურ-
ვილის შესრულებას ვინწყებდი, ყოველთვის მბორკავდა რაღაც შინაგანი,
შეუცნობელი წინააღმდეგობა. მივუახლოვდებოდი თუ არა კარადას გასა-
ღებად, მის ჩუქურთმაში მელანდებოდა მხატვრის შემადრწუნებელი სახე,
რომელიც გულის გამგმირავი, ცოცხალ-მკვდრის გაქვავებული თვალებით
მომშტერებოდა, სულს მიფორიაქებდა. ამ საშინელი ჩვენებით შეძრული
სენიდან გავრბოდი, რათა წმინდა ალაგას შემენანიებინა ჩემი მკრეხელუ-
რი ფიქრი და ლტოლვა. მაგრამ გამუდმებით თან მდევდა ფიქრი სულის
განმკურნებელი და სიმხნის მომნიჭებელი საუცხოო ღვინით თრობისა. სა-
სონარკვეთილებაში მაგდებდა წინამძღვრისა და მონასტრის ძმათა ჩემ-
დამი დამოკიდებულება, რასაც თან ახლდა კეთილგანზრახული, მაგრამ
დამთრგუნველი სიფრთხილე. მამა ლეონარდუსმა ლოცვებისაგან გა-
მანთავ სუფლა, რათა სრულად აღმედგინა ძალები: გულზე ჯავრშემონო-

ლილმა განვიზრახე ღამეები გამეტეხა, ყველაფერი გამეკეთებინა, სიკვდილსაც არ დავრიდებოდი, ოღონდაც კვლავ დამებრუნებინა სიცოცხლის ნიშატი, ანდა საბოლოოდ უარი მეთქვა ამქვეყნიურ ტანჯვა-ვატანზე. სანოლიდან სწრაფად წამოვდექი და დერეფანში აჩრდილივით გავიარე. ღვთისმშობლის ხატის წინ დანთებული კანდელი ხელში აჭრღე, ნუკლესია გამოვიარე და სენაში შევედი. კანდელის მოციმციმე შუქით განათებული ხატები თითქო შეირხნენ, გეგონებოდა, თანაგრძნობით შემხედესო, ჩამსხვრეული ფანჯრებიდან თითქოსდა ქოროსავით გაისმა აბობოქრებული ქარიშხლის ყრუ გრუხუნი და ამას მოჰყვა მოთქმა და ვედრება. ამ ხმათა შორის დედის ხმა შემომესმა: „მედარდუს, შვილო ჩემო, ამას რას შვრები? თავი დაანებე ამ საშიშ საქმეს!“. როცა სენაში შევედი, ყოველივე მიწყდა, მიჩუმდა. კარადა გამოვალე, კოლოფს ხელი დავტაცე და იქიდან ბოთლი ამოვიღე, საცობი მოვაძრე და მაგრად გადავკარი. ძარღვებში ცეცხლი მომედო და ენით უთქმელი კეთილისყოფა დამეუფლა. კიდევ მოვსვი და საოცარი მშვენებით სავსე სიცოცხლის ფეთქვა ვიგრძენი. ცარიულ კოთხოს სასწრაფოდ თავი დავახურე და კარადაში შევდე. ხოლო მადლის მომნიჭებელი ბოთლი სენაკში წამოვიღე და ჩემს სანერ მაგიდაზე დავდგი. ამ დროს ხელში მომხვდა პანია გასაღები, რომელიც ადრე სხვა გასაღებების ასხმას მოვხსენი და აქ შევინახე, რათა ცთუნებისაგან თავი დამეღწია. კი მაგრამ, როგორ გავალე კარი უამგასაღებოდ, ან მაშინ, როცა სტუმრები მოვიდნენ, ან ახლა? გასაღებების ასხმა ყურადღებით დავათვალიერე და სხვა გასაღებთა შორის ერთი უცნობი გასაღები შევამჩნიე, სწორედ იმითი გავალე კარი მაშინაც და ახლაც, ოღონდ ჭკუა ისე მქონდა დაბნეული, ამისთვის გული არ გამიცია. უნებლიედ მთელი სხეული ამითრთოლდა. დიდხანს ასე დაყოვნება აღარ შემეძლო, რადგანაც ღრმა ძილისაგან გამოფხიზლებულ ჩემს გონებაში ჭრელ-ჭრელი სურათები არეულიყო ერთმანეთში, ვიდრემდე არ გათენდა, ძილი და მოსვენება დამეკარგა. როგორც კი ინათა, უმაღლ მონასტრის ბაღისაკენ გავსწიე მთებიდან ამოწვერილ მზის ჩახჩახა სხივებში განსაბანად. ლეონარდუსმა და მონასტრის ბერებმა მაშინვე შეამჩნიეს ჩემი ფერისცვალება. უწინდელივით ხმაგაკმენდილი და გულჩათხრობილი კი არ ვიყავი, არამედ მხნე და სიცოცხლით სავსე. როგორც კი საეკლესიო კათედრაზე ფეხი შევდგი და ქადაგება ვიწყე, ენამჭევრობის ძველებური ცეცხლი შემომეგზნო. როცა ლეონარდუსთან მარტო დავრჩი, მან დიდხანს მიყურა, თითქოს უნდოდა ჩემი სულის საიდუმლო ამოეცნო. მერე სახეზე წყნარი, ირონიული ღიმილი მოეფინა და მითხრა, ზეგარდმოვლენილმა ხილვამ ხომ არ შთაბერა ძმა მედარდუსს ახალი, განმაჭაბუკებელი ძალაო. სირცხვილისაგან სახე ამეღენა. ამ წუთში ყლუპი ძველი ღვინით გამოწვეული შთაგონება დუხჭირი და შეუფერებელი მეჩვენა. წინამძღვრის წინაშე თვალვებდახრილი და თავჩაქინდრული ვიდექი. ლეონარდუსმა თავის ნებაზე მიუშვა ჩემი ფიქრების მდინარება. ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, რომ შერგებულ ღვინით მოტანილი დაძაბულობა დიდხანს არ გასტანდა, არამედ ჩემდა სავალალოდ კიდევ უფრო მომტეხდა, დამაბეჩავებდა, მაგრამ საბედნიეროდ ასეთი რამ არ მომხდარა. ვგრძნობდი, რაოდენ განახლებული ძალით დამიბრუნდა ჭაბუკური სიმხნე, აგრეთვე დაუდეგარი სურვილი უმაღლეს წრეებში მოღვაწეობისა, რისი შემოთავაზებაც კი მონასტერს შეეძლო. მტკიცედ დავდექი იმ აზრზე, რომ უახლოეს წმინდა დღესასწაულზე კვლავ

შევძლებდი ქადაგებას. ეს ბედნიერება მართლაც მხვდა წილად. მაგრამ სა-
ეკლესიო კათედრაზე ასვლამდე ის საოცარი ღვინო ვიგემე. სიცოცხლეში
ასე მგზნებარედ, ამოდ და გულში ჩამწვდომად არ მიღალიდნია. მალე
ხმა გავარდა ჩემი განკურნების შესახებ და ეკლესიაც წინანდებურად ხა-
ლხით გადაიჭედა. მაგრამ რაც უფრო დიდი წარმატება მიქონდა ბრბოში,
მით უფრო მკაცრად და თავშეკავებულად მეპყრობოდა მამა ლეონარდუსი
და მე თანდათან სულით ხორცამდე შევიძულე იგი, რადგან მეგონა, რომ
ამას ჩემდამი წვრილმანი შური და ბერ-მონაზვნური გულზვაობა გაუჩ-
ნდა.

ახლოვდებოდა წმინდა ბერნარდუსის დღე და დაუცხრომელი გულის-
თქმა მწვავდა, აბატიას წინაშე გამომებრწყინა შუქი ჩემი ბრწყინვალე
მჭევრმეტყველებისა. ამიტომაც ვთხოვე წინამძღვარს ნება დაერთო ამ
დღეს კარტეზიანელთა მონასტერში ჩამეტარებინა ქადაგება. ჩემმა თხო-
ვნამ ლეონარდუსი როგორღაც გააოცა. მან არ დამიმალა, რომ ამჯერად
თვითონ აპირებდა იქ წასვლას საქადაგებლად და საამისოდ კიდევ ემზა-
დებოდა. მითხრა, რომ სულაც არ უჭირს თანხმობა ჩემს თხოვნაზე, რად-
განაც შეუძლია უქეიფობა მოიმიზებოს, ბოდიში მოიხადოს და ქადაგები-
სათვის თავის მაგივრად მე გამაგზავნოს.

ეს მართლაც ასე მოხდა. წინა საღამოს დედაჩემი და თავადის ქალი
მოვიწახულები, რომელთა კვლავ ხილვამ ჩემზე მკრთალი შთაბეჭდილება
მოახდინა. ჩემი არსება სულით ხორცამდე შეეპყრო ფიქრს მომავალ ქა-
დაგებაზე, რითაც ორატორული ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს უნდა
მივახლებოდი. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მამა ლეონარდუსის ნაც-
ვლად, რომელიც მოულოდნელად ავად გახდა, ქადაგებას მე წარვუძღვე-
ბოდი და იქნებ ამ გარემოების ბრალიც იყო, რომ ეკლესიას ჩვეულებრივ-
ზე უფრო მეტი რაოდენობის განათლებული ფენის წარმომადგენლები
მოაწყდნენ. წინასწარ სტრიქონიც არ ჩამინერია, მხოლოდ გონების თვა-
ლით მოვხაზე ქადაგების ძირითადი საკითხები, უმთავრესად იმედს ვამ-
ყარებდი შთაგონების უშრეტ ძალაზე, რასაც ჩემში აღძრავდა სადღესას-
წაულო ღვთისმსახურება, მოწინებით ბლომად თავმოყრილი ხალხი და
თვითონ დიდებული ეკლესია, მაღალი თაღებით დამშვენებული. მართალი
გითხრათ, არც შევმცდარვარ. მე შევძელი ერთმანეთთან დამეკავშირები-
ნა მოგონებები წმინდა ბერნარდუსზე და ამ მოგონებებში შემავალი ღვთის-
მოსავი, ღრმააზროვანი სამოძღვრებო და გულისამაჩუყებელი სურათები
და აღწერილობები. ცეცხლოვან ნაკადად მოსჩქეფდა ჩემს ბაგეთაგან წა-
რმოთქმული სიტყვები და ჩემკენ ხარბად მოპყრობილ მსმენელთა თვალე-
ბში მე ვკითხულობდი გაოცებასა და გაკვირვებას. ო, რა ვნებით მეწადა
შემეტყო, რას ფიქრობდა ჩემზე დიდებული ქალბატონი, რა მოუთმენლად
ველოდი მისგან შინაგანი მოწონების გამომხატველი სიტყვების აღმოთქ-
მას. მეგონა, რომ იგი ამჯერად ცხადად შეიცნობდა ჩემში ჩასახლებულ
უზეშთაეს ცხოველმყოფლობას, გაუნელებელი კრძალვით შემხვდებოდა,
მე ხომ ძალაუნებურად ჯერ კიდევ ბავშვობაში მოვახდინე მასზე წარუ-
ხოცველი შთაბეჭდილება და განცვიფრებაში მოვიყვანე. როცა ქალბატონ-
თან შეხვედრის სურვილი გამოვთქვი, იმან ინება ჩემთვის შემოეთვალა,
რომ თავს უქეიფოდ გრძნობს და ამიტომ ლაპარაკის ხალისი არა აქვს
არც ჩემთან და არც სხვასთან. მისმა პასუხმა გულში უსიამოდ გამკრა,
გამანანყენა, თანაც ამაყი ილუზია ამეკვიატა, ვიფიქრე, ჩემმა ქადაგებამ

იგი იმზომ აღაფრთოვანა, უსაზღვრო მოთხოვნილება იგრძნო, ერთხელ კიდევ მოისმინოს ჩემი ღვთით შთაგონებული სიტყვები-მეთქი. დედა ღრმა მწუხარებით დათრგუნვილი ჩანდა, რისი მიზეზიც ვერა და ვერ ვშეხსნა. იდუმალი გრძნობა ჩამდახოდა, რომ ამაში თვითონ მიმიძღვოდა ბრალი, მაგრამ ნათლად ვერ გამერკვია, რად ხდებოდა ასე. დედამ გადმომხედა ქალბატონის წერილი, რომელიც მხოლოდ მონასტერში დაბრუნების შემდეგ დაწამოდა. როგორც კი ჩემს სენაკში ფეხი შევდგი, წერილი გავშალე და გაცვივებით წავიკითხე შემდეგი სტრიქონები: „ჩემო საყვარელო ბიჭო, (სულ მინდა ასე დაგიძახო). დღეს მონასტრის ეკლესიაში წარმოთქმულმა შენმა ქადაგებამ დიდად დამამწუხრა. შენი სიტყვა როდია კრძალვით აღსავსე, ღვთისაკენ კდემით მიმსწრაფე სულის გამოწაფა. შენეულ აღმაფრენას როდი ძალუძს სერაფიმის მსუბუქი ფრთებით ცად აღამალლოს მონა ღვთისა, ვინც უსპეტაკესი თრთოლვით მოიხილავს ზეციურ მეუფებას. ვაი, რომ, გულზვაფი ნებივრობა შენი სიტყვისა, აშკარა ძალღონე-დაუზოგავი მცდელობა უმეტესწილად ორიგინალური და თვალშისაცემი ელვარებით გამოირჩეოდეს შენი ქადაგება, ცხადად მიჩვენებს, რომ უმაღლეს მიზნად როდი დაგისახავს შენი სამწყსოს დამოძღვრა, და მისთვის ღვთისმოსავი აზრების ჩაგონება, არამედ ბრბოს უმაქნის, ამაო მონონებას და იაფფასიან გაკვირვებას ესწრაფვი. შენ პირფერულად ავლენ შენი სულისთვის უცხო გრძნობებს და პატივმოყვარე მსახიობის დარად პირობით, დასწავლილ გამოთქმებს და არაბუნებრივ ფესტიკულაციას იყენებ და ამას ყველაფერს აკეთებ ყბადაღებული წარმატების მოსაპოვებლად და ღელოს გასატანად. შენ, შვილო ჩემო, ვატყობ, ცბიერმა ძალამ ხელი დაგრია და იგი დაღუპვის კარამდე მიგიყვანს, თუკი საკუთარ თავს არ ჩაუღრმავდები და ცოდვებს არ განუტევებ შენგან. იცოდე, რომ შენი ზნე, შენი ყოფა ცოდვაა, უსაშველო ცოდვა და ეს ცოდვა მით უფრო განუზომელია, რადგან შენ საზეიმო აღთქმა მიეცი უფალს, რომ უარს იტყოდი მინიურ ამოვებაზე და იმთავითვე მეუდაბნოებისათვის განიწირე. შენი რიოში სიტყვით დიდად შეურაცხყავ წმინდა ბერნარდუსი, რომელიც ზეციური მრავლისმოთმინებით შეგინდობს და გაგინათებს ქრისტიანებისაკენ მავალ გზას, რომელსაც სატანისაგან ცთუნებული გადაუდევრი და ილოცებს შენი სულის გადასარჩენად. მშვიდობით იყავ“.

აბატისას სიტყვებმა ისე გამიგმირა გული, თითქოს ათასჯერ ჩამცეს გაბასრული ხანჯალი. შინაგანი რისხვით აღვინთე, რადგან ლეონარდუსის მრავალგზისი მინიშნებები ჩემს ქადაგებებზე სრულად დაემთხვა აბატისას შეხედულებას და უკვე ეჭვიც აღარ მეპარებოდა, რომ წინამძღვარმა ისარგებლა ქალბატონის ღვთისმოსაობით და ჩემი პიროვნების და აგრეთვე ჩემი ორატორული ტალანტის წინააღმდეგ წააქეზა იგი. უკვე ლეონარდუსის უბრალო შეხედვაც კი ჩემს შინაგან გამძვინვარებას იწვევდა, ბრაზისაგან მთელი სხეულით ვცახცახებდი, ხშირად მისი მოკვლაც კი გამიელვებდა თავში, მაგრამ ამაზე ფიქრი შიშის ზარს მცემდა. რაც უფრო აუტანელი იყო ჩემთვის აბატისას და წინამძღვრის საყვედურები, მით უფრო სულის უღრმეს უფსკრულში ვგრძნობდი მათ სიმართლეს, თუმცა მაინც ჯიქურ და მტკიცედ ჩემსას განვაგრძობდი, კვლავ ვიკრებდი ძალღონეს საიდუმლო ბოთლში დაგმანული ღვინის ყლუპებით, კვლავ ვაფერადებდი ჩემს ქადაგებებს რიტორიკის ზიზილ-პიპილებით, გულდაგულ ვსწავლობდი

სახის გამოშეტყველების დაყენებას და შესტიკულაციის წესებს, რის წყალობითაც გაუგონარ წარმატებებს ვალწევდი.

ერთხელ გამთენიისას, როცა დილის ნათელი ათახფერად სხივებად დაეფრქვა ეკლესია-მონასტრის ფანჯრებს, ფიქრებში წასული განმარტოებით ვიჯექ სააღსარებო სკამზე, ეკლესიის მაღალი ქონებების ქვეშ სრული სიჩუმე და მდუმარება სუფევდა, მხოლოდ ფენის ხმა ისმოდა მორჩილისა, რომელიც ეკლესიას ჰგვიდა და ასუფთავებდა. უეცრად ჩემს ახლო რაღაცამ გაიშრიალა და მე დავინახე მაღალი, წარმოსადეგი აღნაგობის უცნაურად შემოსილი ბანოვანი. სახეზე სქელი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული. იგი ეკლესიის გვერდითი ალყაფის კარიდან შემოვიდა. მომიახლოვდა, რათა აღსარება გაენდო ჩემთვის. ყოველი მისი მოძრაობა ენით უთქმელი სინარნარით გამოირჩეოდა. უცნობი მანდილოსანი მუხლებზე დაეცა და მკერდიდან ღრმა ოხვრა აღმოხდა. მისი ცხელი სუნთქვა სახეს მიწვადა. ვიდრემდე ხმას ამოიღებდა, მანამდე მისმა ჭკუისდამკარგავმა ჯადო-გრძნებამ მომხიბლა და დამიმონა. მაგრამ სად შემეძლო გამოშეტქვა, როგორი დამატყვევებელი და უჩვეულო ხმის ტემბრი ჰქონდა მას, ყოველი მისი სიტყვა გულის უსათუთეს სიმებს მირხევდა. უცნობი ქალი აღსარებას მეუბნებოდა. იგი გამომიტყდა, რომ აკრძალულ სიყვარულს განიცდის და კარგა ხანია ამოდ ებრძვის ამ მოუთოკავ გრძნობას, მაგრამ ვერას გამხდარა. ეს სიყვარული ცოდვიანია, რადგან მისი სატრფო საუკუნოდაა მიჯაჭვული საღრმითო აღთქმას, ხოლო სიგიჟის ზღვარზე მისულმა ქალმა, უიმედო სასონარკვეთის ჟამს დასწყევლა ეს აღთქმა. ქალი ერთხანს შეჩერდა, ხმა აუთრთოლდა. ყელს მოწოლილი ცრემლი ნიაღვარივით მოაწვა და აქვითინებულს ესლა აღმოხდა, „თვითონ შენა ხარ, მედარდუს, ვინც ასე გამოუთქმელი გრძნობით მიყვარს“. მომაკვდინებელმა კრუნჩხვამ თითქოს ყველა ნერვი ამიტოკა. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. აქამდე ჩემთვის უცნობი გრძნობა სულს მიწვნავდა. მინდოდა სულ მეცქირა მისთვის. ვნებით მიმეკრა მკერდზე. ვნებისა და ნეტარების ერთდროულმა განცდამ ძალ-ლონე გამომაცალა, თუმცა წუთიერი განცხრომა მარადიული ჯოჯობეთური ტანჯვის წილ მერგო. მთელი ჩემი არსებით უჯი-ათად მისკენ ვილტვოდი. უცნობი ქალი დუმდა, მაგრამ მისი ღრმა სუნთქვა მესმოდა. ველური სასონარკვეთა შემომენთო. და ძლივსლა მოვიკრიბე ძალა. ბოლოს და ბოლოს ხმა ამოვიღე, სულ არ მახსოვს, სახელდობრ რა ვილაპარაკე, მხოლოდ ის ვიცი, რომ ქალი სიტყვისუთქმელად ადგა და წავიდა. თვალეებზე ცხვირსახოცი საგანგებოდ ავიფარე და გაქვავებული, რეტდასხმული ვიჯექი სააღმსარებლოში.

ბედზე ეკლესიაში არავინ შემოსულა, რის გამოც საშუალება მომეცა მარტოდ დარჩენისა. მერე კი უჩუმრად ჩემს სენაკში გავილაღე. რა სულ სხვანაირი მეჩვენა ახლა ირგვლივ ყველაფერი, რა უაზრო და ფუჭი — ჩემი გულისთქმა! მე არ მინახავს პირისახე უცნობი ქალისა, მაგრამ იგი მაინც ცოცხლობდა ჩემს სულში, ნეტარებით მიცქერდნენ მისი მშვენიერი მუქლურჯი თვალები, ამ თვალებში მარგალიტის ცრემლები ბრწყინავდნენ, ყოველისმშთანთქმელ გზნებად რომ მიკიდებდა გულში ცეცხლს. ამის განქარვება არანაირ ლოცვას, არანაირ მონანიებას და არც ხორციელ გვემას არ შეეძლო, თუმცა, ჩემის მხრივ, ეს ყველაფერი მოვსინჯე, ხორცი დავითრგუნე, რათა მარადიული წყევლის მუქარას განვრიდებოდი, რადგან ცეცხლი, რომელიც უცნობმა

ქალმა მომიკიდა, მაცთუნებელ ნდომას აღმიძრავდა, რაც აქამდე არ ვიცოდი, რა იყო და ვერაფრით გამოვხსნოდი ამ ტკბილ ტანჯვას.

ჩვენს ეკლესიაში ერთ-ერთი სამსხვერპლო წმინდა როზალიას ეძღვნებოდა. იქ ერთი დიდებული ნახატი ეკიდა. მასზე გამოხატული იყო წმინდა როზალია მონამეობრივი სიკვდილის წუთებში და სწორედ მასში შევიცან ჩემი სატრფო. წმინდანის შესამოსელი ძალიან უკმაყოფილოები ქალის უცნაურ სამოსს. სამსხვერპლოს საფეხურზე დამხობილი საათობით ვეგდე სულით ხორცამდე სიგიჟით შეპყრობილი, სასომიხდილი მწარედ ვგოდებდი. ეს გოდება ისე აფრთხოდა დანარჩენ ბერებს, რომ ისინი შიშით ახლოს აღარ მეკარებოდნენ. შედარებით სიმშვიდის ყამს მონასტრის წალკოტში წინ და უკან დავრბოდი. ქალი ცოცხლად იდგა ჩემს თვალწინ, კეთილსურნელ სიშორეში უგზოუკვლოდ მოხეტიალე, ხან ბუჩქებიდან გამოდიოდა, ხანაც წყაროს წყალზე აღიმართებოდა მისი მშვენიერება, ზოგჯერ აყვავებულ მდელოზე დააბიჯებდა. ყველგან იგი იყო, მხოლოდ იგი და მე დავწყევლე ჩემს მიერ საზეიმოდ მიცემული აღთქმა სამუდამოდ დავხსნოდი ამქვეყნიურ ცთუნებათ და ამის კვალზედ დავწყევლე აგრეთვე ჩემი მიწიური არსებობაც. და მე გავრბოდი მონასტრის კედლებიდან გარეთ, თვალმიუწვდენელ სამყაროში. ვგრძნობდი, რომ ვერ დავცხრებოდი, სიმშვიდეს ვერ ვპოვებდი, ვიდრე იმას არ ვნახავდი, არ დავეუფლებოდი თუნდაც უღირალ საფასურად — ხელი ამელო სულის ხსნაზე. ბოლოს და ბოლოს ის მაინც შევძელ დამეცხრო, დამეყუჩებინა ჩემი გიჟური აფეთქება, რომელიც გაუგებარი იყო ძმებისა და წინამძღვრისათვის. თავი ისე მეჭირა, თითქოს დავმშვიდდი, სინამდვილეში კი ჩემი სულის წიაღში მძლავრად იდგამდა ფესვს დამლუპველი ვნება, ძილი და მოსვენება წაშითაც არ მქონდა. ყველგან თან მსდევდა მისი ხატება. შამფურივით ვტრიალებდი ჩემს მაგარ სანოლზე და წმინდანებს იმას კი არ შევთხოვდი, რომ ჩემს თავზე ავად მოფარფათე მაცთუნებელ ხილვას დავხსნოდი ანდა სამუდამო წყევლისაგან გადაერჩინათ ჩემი სული, არამედ სულ სხვა სავედრებელი გამჩენოდა, მინდოდა წმინდანთ ჩემთვის ის ქალი მოეგვარათ, რომ ამით საბედისწეროდ მიცემული ფიცი და აღთქმა განმრიდებოდა. თავისუფლება მეწადა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ცოდვით სავსე ზნუნამხდრობა მეგემა.

დასასრულ საკუთარ თავთან ხანგრძლივი და დიდი ჭიდილის შემდგომ მტკიცედ განვიზრახე — ჩემს ტანჯვა-წუხილს ბოლო მოღებოდა მონასტრიდან ჩემი სამუდამო გადახვეწით. რატომღაც მეგონა; თუკი სამონასტრო აღთქმას თავს დავაღწევდი, ეს საკმარისი იქნებოდა, რომ იმ ქალს ჩემს მკლავებში ვიხილავდი და მძვინვარე ვნებათა ღელვაც დამიცხრებოდა.

გადავწყვიტე როგორც შემეძლო ისე შემეცვალა ჩემი გარეგნული იერი, წვერი მომეპარსა, საერო ტანისამოსი შემეძინა და ჩამეცვა და მანამ მეხეტიალა ქვეყანაზე, ვიდრე უცნობ ქალბატონს არ ვიპოვნიდი. იმაზე კი სულ არ ვფიქრობდი, რაოდენ ძნელი, ძნელი კი არადა, შეუძლებელიც იყო ჩემი ნება-სურვილის აღსრულება, არც იმას დაგიდევდით რამედ, როგორ ვიცხოვრებდი მონასტრის კედლებს მიღმა თუნდაც ერთი დღე, როცა ჯიბეში გროშიც არ მომეპოვებოდა.

და აი, როგორც იქნა დადგა მონასტერში ჩემი ყოფნის ბოლო დღე. ბედმა გამიღიმა და გვარიანი ბიურგერული ჩასაცმელიც ვიშოვნე. მეორე ღამეს საბოლოოდ უნდა დამეტოვებინა მონასტერი და აღარასოდეს აღარ

მივბრუნებოდი მას. საღამო ხანს სრულიად მოულოდნელად წინამძღვარ-
მა თავისთან მიხმო. გული გადამიტრიალდა, ტანში გამცრა, რადგან დარ-
წმუნებული ვიყავი, ჩემი ფარული განზრახვის შესახებ, ალბათ, რაღაც შე-
იტყო-მეთქი. ლეონარდუსმა არაჩვეულებრივი სიძარბაისლით, ასე გასინ-
ჯეთ, შემაგულიანებელი ღირსების გრძობითაც მიმიღო, ^{რუსუგამოც უნე-}
ბლივთ მთელი სხეული ამიკანკალდა.

სიზღვირითა

— ძმაო მედარდუს, — დაიწყო მან, — შენი აზრსმოკლებული, სუ-
ლელური საქციელი, რაიც თვითონ მე სულიერი აღტყინების უმწვავეს გა-
მოვლენად მიმაჩნია და რასაც იქნებ არცთუ უმნიველო ზრახვით მის-
დევ, არღვევს ჩვენს შორის არსებულ წყნარ ურთიერთობას და იგი დამ-
ლუპველად ზემოქმედებს სიმყუდროვესა და სიხალისეზე, დღემდე რომ
დასადგურებულა ძმათა ღვთისმოსავ ყოფაში. არ ვიცი, იქნებ ეს ყველა-
ფერი შენს თავზე დატეხილი ავისმქნელი ფათერაკის ბრალი იყოს. შენ,
რა თქმა უნდა, მუდამ ჰპოვებდი ნუგეშს ჩემთან — შენდამი მამობრივი
ზრუნვით გამსჭვალულ მეგობართან, ვისაც ყველაფერში ენდობოდი, მაგ-
რამ ამის მიუხედავად, შენ მაინც ჯიუტად დუმილს არჩევ. ახლა ამ ნუთ-
ში ყველაზე უფრო მიჭირს, ვიდრე ოდესმე, აღსარება ვისმინო შენგან,
რადგან დარწმუნებული ვარ, შენი საიდუმლო უსათუოდ წამართმევს სუ-
ლიერი სიმშვიდის რაღაც ნაწილს მაინც, რაც ყველაფერს მირჩევნია სი-
ბერის ამ ნათელ ჟამს. აბა, დაფიქრდი, რამდენჯერ განაცდევინე ამაზრზე-
ნი უსიამოვნება წმინდა როზალიას სამსხვერპლოს წინ არა მხოლოდ მო-
ნასტრის ბერებს, არამედ შემთხვევით იქ მოხვედრილ გარეშე პირებსაც
შენი უკადრისი, შემადრწუნებელი გამოხდომებით, რაც სიგიჟის შემოტე-
ვებს უფრო ნააგავს. ამიტომ აშკარად შემეძლო სამონასტრო წესდების
თანახმად მკაცრი სასჯელი დამედო შენთვის, მაგრამ ამის გაკეთება არ
მინდა, რადგან, ვინ იცის, შენი გზააბნეულობა მავანი უწმინდური ძალის,
იქნებ თვითონ სატანის ბრალიც იყოს, ვისაც რიგიანად ვერ შეერკინე, ვერ
გაუძალიანდი, ვისთან ბრძოლა-ჭიდილშიც ვერ იმარჯვე, მე მხოლოდ ამას
გირჩევ, თავგამოდებით ილოცო და მოინანიო. მე შენი სულის სიღრმეში
ვიხედე. შენ თავისუფლება გინდა!

მამა ლეონარდუსი დაჟინებით მომაჩერდა. მის მზერას ვერ გავუძელი,
ქვითინით პირქვე დავემხე და ვალიარე ჩემი ცოდვილი ზრახვა.

— შესანიშნავად მესმის შენი, — განაგრძო წინამძღვარმა, — ისიც
კი მგონია, საერო ცხოვრება, თუკი იმას გაეცნობი და ღვთისმოსაობის
საზღვრებში დარჩები, უკეთ განგკურნავს ცთომებისაგან, ვიდრე მონას-
ტერში განმარტოებული ყოფნა. ჩვენს მონასტერში მოვლენები ისეთნაი-
რად განვითარდა, რომ ერთ-ერთი ძმათაგანი რომში უნდა გავაგზავნო.
არჩევანი შენზე შევაჩერეთ. ხვალვე შეგიძლია გზას გაუდგე სათანადო
რწმუნებებითა და ინსტრუქციებით. მით უფრო, რომ ყველაზე შესაფერი-
სი შენა ხარ ამ დავალების შესასრულებლად: ახალგაზრდა, მხნე, ყოჩაღი,
თანაც სრულყოფილად ფლობ იტალიურ ენას. ჯერ შენს სენაკში განმარ-
ტოვდი, მხურვალედ ილოცე სულის გადასარჩენად. მეც ამასვე გავაკეთებ.
ოღონდ ხორცის გვემა არ გინდა! ეს მხოლოდ ძალღონეს გამოგაცლის და
მგზავრობისას ხელს შეგიშლის. გამთენიისას ოთახში გელოდები.

ღირსპატივცემული ლეონარდუსის სიტყვამ ზეციური სხივით გაანათა
და გაათბო ჩემი გასასტიკებული სული. თუ იგი აქამდე მძულდა, ეხლა
კვლავ შემიპყრო ნეტარი ტკივილით აღსავსე უსაზღვრო და თავგადაგე-

ბულმა სიყვარულმა, რომლითაც წინათ ვიყავი მიჯაჭვული ჩემს სულიერ მამასთან. თვალთაგან მდულარე ცრემლი წამსკდა, მერე მგზნებარედ დავუკოცნე ხელები წინამძღვარს. მამა ლეონარდუსი მომეხვია. მომეჩვენა თითქოს იმან უკვე იცოდა ჩემი იდუმალი აზრები და თავისუფლებას მაზიარებდა. დიახ, ახლა მე შემეძლო დავმორჩილებოდი ულმოებელ ბედისწერას, რომელიც უსაზღვროდ განაგებდა ჩემს არსებას და ვინ იცნის, უკვე გარდასული ნეტარების წილ იქნებ ჯოჯოხეთის მარადიულ სატანჯველშიც მოვესროლე.

ასე რომ, გადახვეწა აღარ დამჭირდა. შესაძლებლობა მომეცა მონასტერი დამეტოვებინა და გავდევენებოდი კვალს იმ არსებისა, ურომლისოდაც ჩემთვის საშველი აღარ იყო, სიმშვიდე და თვალში გამოხედვა აღარ მელირსებოდა, ვიდრე იმას არ ვპოვებდი. ხანდახან ისიც კი მეგონა, ჩემი რომში გაგზავნა საგანგებო მისიით თვითონ მამა ლეონარდუსმა გამოიგონა, რათა თავაზიანად გავეშვი მონასტრიდან.

მთელი ღამე ლოცვაში გავატარე. მერე მგზავრობის სამზადისს შევუდექი. იდუმალებით აღსავსე ღვინის მონარჩენი სამგზავრო მათარაში გადავასხი, რათა საჭიროებისამებრ ამ ნაცადი საშუალებით მომემაგრებინა თავი, ხოლო ბოთლი, რომელშიც ადრე ელექსირი ესხა, კოთხოში ჩავდე და ძველ ადგილას შევიწინახე.

ძალიან გამიკვირდა პრიორის მიერ წარმოდგენილი ინსტრუქციების ნახვა, რამაც დამარწმუნა, რომ ჩემი წარგზავნა რომში აშკარა აუცილებლობით იყო გამოწვეული, რადგანაც გარემოებას, რომელიც მოითხოვდა უფლებამოსილებით აღჭურვილი ძმის იქ ყოფნას, სერიოზული საფუძველი ჰქონდა, თანაც ჩვენი მონასტრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გულზე მძიმე ლოდად შემომანვა დარდი, როცა დავფიქრდი, რაოდენ სასტიკად და უკანმოუხედავად მივატოვე პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე მონასტერი და მივწვდით თავისუფლებას. მაგრამ ჩემი ფიქრი მისწვდა სატრფოს ზმანებას და იმან გული გამიხალისა. მტკიცედ გადავწყვიტე ერთგულად მივყოლოდი დასახულ მიზანს და წინასწარ შემუშავებული გეგმით შემოქმედნა.

მონასტრის ძმები ჩემს გასაცვილებლად შეიკრიბნენ. უსაზღვრო სევდით ამევსო გული, როცა იმათ, მეტადრე კი მამა ლეონარდუსს დავემშვიდობე. დაბოლოს ჩემს თვალწინ ჩაირაზა ალაყაფის კარიბჭე მონასტრისა. შორეული მოგზაურობა მელოდა. თავისუფალი ვიყავი.

პარი მეორე

შესვლა ვალალ საზოგადოებაში

ჩემს ფერხთით ტაფობზე ლურჯ ნისლებში გახვეული მონასტერი მოჩანდა. დილის გრილმა სიომ დაუბერა, ჰაერი გაჰკვეთა და ჩემამდე მოაღწია ეკლესიის ძმათა ღვთისმოსავი სიმღერების ტკბილმა ჰანგებმა. ჩემდა უნებურად ბერების გალობას ხმა ავაყოლე. მზე ცეცხლისფრად ამობრიალდა ქალაქის მიღმა და ოქროსფერი კაშკაშა სხივები ჩააბნია აქოჩრებულ ხეებში. დილის მოციმციმე ცვარნამი სიხარულის მომგვრელი შხუილით ბრჭყვიალა აღმასებევით თავზე დააცვივდა ჭრელფერება მწერებს, რომლებმაც ბზუილი და ჟივჟივი ატეხეს. ფრინველებმა გაიღვიძეს, აფრთხი-

აღდნენ და მხიარული ყიყინა დასცეს, მერე კი მთელ ტყეს მოედვნენ. სოფლის ბიჭებისა და სადღესასწაულოდ გამოპრანჭული გოგონების გუნდი მთას მალლა აუყვებოდა. „კურთხეულ იყოს უფალი იესო ქრისტე!“ — სალამი მიიხრეს, როცა გვერდით ჩავუარე. „უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“ — მივუგე პასუხად და მომეჩვენა თითქოს ჩემს თავს ზემოთ აჩვენებდა ახალი სიცოცხლე თავისუფლებისა და სიხარულის ნაიჭვრეტად. ტურფა და ნეტარი ხილვებით. არასოდეს ვყოფილვარ ასეთ კარგ გუნებაზე. თავი სხვა ვინმე მეგონა. მკვირცხლი ნაბიჯებით ჩიტივით მივუყვებოდი ტყის პირს მთების ძირში, განახლებული ძალებით აღვსილი და ფრთაშესხმული. პირველ გზად შემხვედრ გლესს ვკითხე, სად უნდა მეპოვნა ღამის გასათევი ადგილი, რომელიც ჩემს სამოგზაურო გეგმაში იყო პირველად მითითებული. მან გულდასმით ამიხსნა და ამინერა იქ მისასვლელი უახლოესი გზა. შარავიდან უნდა გადამეხვია და გავსულიყავი ბილიკზე, რომელიც მთებს შორის მიიკლაკნებოდა. კარგა მანძილი გავიარე და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად მომაგონდა უცნობი ქალი, რომლის გულსთვისაც წამოვიწყე ეს უჩვეულო მოგზაურობა და ვის გამოც შევადგინე ფანტასტიკური გეგმა, რის მიხედვითაც იგი უნდა მეძებნა. მისი ხატი ბუნდოვანი გახდა, იგი თითქო უცხო ძალამ წაშალა. ძლივსლა ვიცანი მისი სახის მკრთალი და შეცვლილი ნაკვთები. რაც უფრო ვცდილობდი გონებაში ჩამებეჭდა მისი ჩვენება, მით უფრო ინთქმებოდა იგი ნისლში. ბოლოს კი მონასტერში თავს გადახდენილი იმ იდუმალი შემთხვევის შემდეგ ცხადად დამიდგა თვალწინ ჩემი თავაშვებული ქცევა. მართალი გითხრათ, გაუგებარიც კი მეჩვენა, როგორ შეეძლო წინამძღვარს ყველაფერ ამის შემდეგ ამზომ დიდის მოთმინებით შემწყნარედ აეტანა ჩემი გამოხდომები, და ბოლოს და ბოლოს საკადრისი სასჯელი კი არ მომაგო, არამედ რომში წარმაგზავნა საგანგებო დავალებით. მალე სავსებით დავრწმუნდი, რომ მშვენიერი უცნობი მანდილოსნის გამოჩენა და მისი აღსარება უბრალო პალუცინაცია იყო, რაიც ჩემმა ნერვიულმა აშლილობამ გამოიწვია. ამჯერად უკვე ამ ჩემს დამლუპველ და მაცთუნებელ მოღანდებას ადრინდელივით აღარ ვთვლიდი ეშმაკის გამუდმებული დევნის მიზეზად, არამედ მიმაჩნდა, რომ ამაში დამნაშავე იყო მხოლოდ ჩემი გაღიზიანებული წარმოსახვა, რომელმაც შემაცდინა და მომატყუა. ხოლო ის გარემოება, რომ უცნობი ქალი ზედმინევნით წმინდა როზალიას დარად იყო შემოსილი, მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ ამ შემთხვევაში, ჩემის შეტყობით, უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საგანგებო ცხოველმყოფლობით შესრულებული ხატი წმინდანისა, რომელიც სააღსარებო სკამზე მჯდარმა, ალბათ, მკაფიოდ ვერც გავარჩიე, რადგან საკმაო შორი მანძილიდან აღმაცერად ვხედავდი მას. ღრმად მაოცებდა წინამძღვარ ლეონარდუსის სიბრძნე — ყველაზე ჭეშმარიტი საშუალება რომ ამოარჩია ჩემს განსაკუთრნავად. მართლაც, თუკი მონასტერში დავრჩებოდი, მუდამ ერთი და იგივე საგნებით გარემოცული, საკუთარ სულში ჩაღრმავებული და სულერთიან ჩაგმანული ვიქნებოდი. ჩემი გამუდმებული მარტოობის წყალობით ის ხილვა მძაფრი და ცინცხალი ფერებით გაცოცხლდებოდა, საბედისწეროდ მექცეოდა. ჭკუას დამაკარგვინებდა. სავსებით შევეჩვიე იმაზე ფიქრს, რომ წარსულის განცდა მხოლოდ ოცნება იყო და არა სინამდვილე. სიცილს ძლივს ვიკავებდი და ჩემთვის უჩვეულო ჩიტირეკიობით ვქირდავდი საკუთარ თავს, რადგან ილუზია გამიჩნდა, თითქოს წმინდანი ჩემზე შეყვარე-

ბული იყო. ამავე დროს ისიც გამახსენდა, რომ ერთხელ თავი წმინდა ანტონიუსად გამოვაცხადე.

რამდენსამე დღეს მთებში დავეხეტებოდი. თამამად აჩხორილ, შიშის-მომგვრელ კლდეთა ქანებს შორის ვინრო ბილიკს მივუყვებოდი, დაბლა კი ტყის მკვირცხლი ნაკადულები ბორგავდნენ. გზაც თანდათან გაუვალი და უდაბური ხდებოდა. ერთხელ მზემ აუტანლად დამინვა შიშისმკვლელის თავი, წყურვილისაგან ლამის დავიხრჩვი, თითქო ჩემს ჯიბრზე ახლომახლო გზად არცერთი წყარო არ შემხვედრია. კარგა ხანი გავიდა, რაც გზაში ვიყავ და სოფლის ქაჭანებაც არსაით სჩანდა, თუმც ჩემის ფიქრით, აქამდეც უნდა გამოჩენილიყო. ქანცმილეული კლდის ერთ ნამსხვრევზე ჩამოვჯექ. ცთუნებას ველარ გავუძელ და გზად ნამოღებული მათარიდან მოვსვი ერთი ყლუპი სასწაულმოქმედი ღვინო. ისე კი, რაც გამეწყობოდა, კარგა ხანს ვცდილობდი თავი შემეკავებინა და როგორმე არ დამელია ეს ძვირფასი სამსალა. როგორც კი საოცნებო ნექტარი ვიგემე, ძარღვებში სისხლი ამიჩქეფდა, ჯანი, და ღონე მომეცა, გავხალისდი და ყოჩაღად გავუდექი გზას სანუკვარ მიზანთან მისაახლებლად. ახლა ეს მიზანი მიუღწეველი აღარ მეჩვენებოდა, პირიქით, მეგონა, რომ იგი სულ ახლო იყო. ნაძვების ტყე თანდათან გასადაგდა. შამბებში რალაცამ გაიშრიალა. იქვე ხესთან მიბმული ცხენი ჭიხვინებდა. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და საშინელმა სანახაობამ გამოგნა. ჩემს ფერხთით უფსკრულს ხახა დაეფჩინა, ხოლო მის თვალისმომჭრელ სიღრმეში ციცაბო წინ გამოშვერილ კლდეთა შორის შხუილითა და რისხვით ნაპირებს ეხეთქებოდა ტყის ნაკადული, რომლის ბობოქარი გრგვინვა შორიდან გავიგონე. კლდის ჩამონატებს ფრიალოზე, რომელიც უფსკრულს გადაჰყურებდა, მუნდირში გამონყობილი ახალგაზრდა კაცი იჯდა. იქვე იდო მისი ჯილა, დაშნა და პორტფელი. მთელი სხეულით უფსკრულის თავზე დაკიდებულს თითქოს ჩასძინებოდა, თანაც ნელ-ნელა უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მისი ქვესკნელში ჩავარდნა გარდაუვალი იყო. მივვარდი ყმანვილს, ხელი გავუწოდე, მინდოდა დამეჭირა. მერე კი ხმამალლა შევძახე: „ღვთის გულისათვის, ბატონო, გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ, ღვთის გულისათვის!“ როგორც კი ოდნავ ხელი შევახე, ყმანვილმა გაიღვიძა, ნონასწორობა დაჰკარგა, კლდიდან გადაეშვა და ფსკერისაკენ ფრიალ-ფრიალით დაექანა, მერე ავისმომასწავებელი ხმა გაისმა, ეს, ალბათ ნაფლეთებად დაშლილი სხეული დაიფანტა გარშემო. უფსკრულის თვალშეუდგამ სიღრმეში ჩაიკარგა მისი სულისშემძვრელი ყვირილი. ჩემამდე მხოლოდ ყრუ ამოკვნესამ მოაღწია და ისიც მალე მიჩუმდა. შიშისა და ძრწოლვისაგან გულგახეთქილი ადგილზე გავქვავდი. დიდხანს ვიდექი ასე გაოგნებული. ბოლოს აზრზე მოვედი, ხელი დავავლე ქუდს, დაშნასა და პორტფელს და ის იყო უნდა განვშორებოდი ამ საბედისწერო კლდეს, რომ უღრანი ტყიდან ჩემს შესახვედრად გამოემართა ვგერის ტანსაცმელში გამონყობილი ახალგაზრდა კაცი. იგი ერთხანს დაჟინებით მომჩერებოდა, მერე ისეთი ხარხარი ატეხა, შიშისაგან ცივმა ოფლმა დამასხა.

— ხედავთ, მონყალეო ბატონო გრაფო! — მითხრა ბოლოს ახალგაზრდამ, — მასკარადი მართლაც რომ უზადოდ და დიდებულად გამოგივიდათ. ჩვენი მწყალობელი ქალბატონი, წინასწარ რომ არ ყოფილიყო მოსული გულისხმას, რაღა თქმა უნდა, ველარც კი იცნობდა თავის გულის სატრფოს. კი მაგრამ, სად ნაიღეთ, მონყალეო ბატონო, თქვენი მუნდირი?

— უფსკრულში მოვისროლე! — ვილაცი ხმამ ჩემს გარეშე უბასუხა ყრულ და უსიცოცხლოდ, რადგან ეს სიტყვები მე კი არ წარმოგიტყვამს, ჩემს ბაგეებს მოსწყდა უნებლიედ. გაქვავებული ვიდექ ერთ ადგილს მიღაჭვული, ღრმად ჩაფიქრებული, გაშტერებული მზერა უფსკრულისკენ მიმეპყრო, თითქოს და ეს-ესაა ველოდი, საცაა უძირო ფსკერადან წამოინართება გრაფის გასისხლიანებული გვამი და მუქარით — მისგან დაშორება-მეთქი. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, ვითომდაც მკვლელი ვიყავი და აცახცახებული ხელებით მეჭირა ქუდი, დაშნა და პორტფელი.

— აი რა, ბატონო ჩემო! — განაგრძო გრაფის ეგერმა, — მე შარაგზას გადავლევ, ქალაქისკენ ვავწევ და მის კარიბჭესთან ახლოს გზის მარცხენა ასახვევთან მდებარე სახლში დავიმაღლები, თქვენ კი სასახლეში ნაბრძანდით, სადაც ალბათ, გელოდებიან კიდეც. ქუდი და დაშნა აქეთ მომეცით, თან წავიღებ.

ქუდიც და დაშნაც ანგარიშში უცემლად გავუწოდე.

— აბა, მშვიდობის გზა გქონდეთ, ბატონო გრაფო! ბედნიერებას გისურვებთ სასახლეში! — თქვა ახალგაზრდა კაცმა და სიმღერითა და სტვენა-სტვენით ჩაიკარგა ტყის სიბშირეში. კარგად დავინახე, როგორ გამოხსნა ხეზე მიბმული ცხენი და თან წაიყვანა. როგორც კი გახვევებულ ყოფას თავი დავაღწიე, რამაც სულით ხორცამდე მომიცვა, ღრმად ჩაფიქრდი ახლახან მომხდარ საკვირველ მოვლენებზე და მინდა ვაღიარო, რომ შემთხვევის სათამაშო გავხდი, ერთი ხელის დაკვრით რომ შემისროლა უცნაურად აბურღულ ურთიერთობათა აბლაბუდაში. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ეგერი შეცდომაში შეიყვანა ჩემი სახის ნაკვთებისა და საერთოდ მთელი ჩემი შესახედაობის საოცარმა მსგავსებამ უბედურ გრაფთან, რომელიც, ეტყობა, კაპუცინ მღვდლად შედგომას აპირებდა მახლობლად მდებარე ციხე-სასახლეში თავს გადახდენილი სატრფიალო რაღაც ამბის გამო. ამ დროს კი მოულოდნელად გზად სიკვდილი წამოეწია და იმ წამსვე უცნაურმა ბედისწერამ მისი ადგილი დამაჭერინა, თვითონ კი დაუძლეველი ვნება გამიჩნდა განმეგრძო თამაში გრაფის როლისა, მით უფრო, რომ ბედისწერაც ამას მიბიძგებდა, რაკი განგებას ასე ნებავდა. სწორედ მაგ ვნებამ დამითრგუნა ეჭვის გრძნობა და ჩამიხშო შინაგანი ხმა, რომელიც საყვედურებით მავსებდა მკვლელობისა და სხვისი სახელის უტიფრად მითვისების გამო. გავხსენი პორტფელი, რომელიც ჩემთან დარჩა და მასში ვიპოვნე წერილები და თამასუქი მნიშვნელოვან თანხაზე. ქალღმერთების დათვალიერება განვიზრახე. მინდოდა წამეკითხა წერილები, რომ რამდენადმე მაინც გავცნობოდი გარდაცვლილი გრაფის ცხოვრებას, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება ვერ შევძელი, რადგან დიდმა მღვდლვარებამ, შინაგანმა მოუსვენრობამ და არეულ-დარეულმა ფიქრებმა, განუწყვეტლივ რომ თავში მიტრიალებდა, ნება არ დამრთეს, თუნდაც ერთი წამით მაინც აზრი მომეკრიბა და გრაფის ურთიერთობებზე რაიმე შემეტყუო.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, კვლავ შევყოვნდი და კლდის ქანზე ჩამოვჯექი. ცოტა ხანს მინდოდა სული მომეთქვა. შესანიშნავად მქონდა გასიგრძეგანებული, რაოდენ სახიფათო იყო სრულიად შეუმზადებლად მთლად უცნობ გარემოში შესვლა. მოულოდნელად ტყიდან ბუკის ხმა შემომესმა, მერე სულ ახლოს გავიგონე მრავალთა სიხარულის შეძახილები და სადღესასწაულო ყიჟინა. გული ძალუმად ამიძგერდა, სუნ-

თქვა შემეკრა. ჩემს წინაშე გადაიშალა ახალი სამყარო, ახალი ცხოვრება. სასწრაფოდ გადავუხვიე ვინრო ბილიკზე, ფერდობზე დავეშვი და ბუჩქიდან გამოსულმა მინდვრის განაპირა ვიხილე დიდი და ბრწყინვალე ციხე-კოშკი. სწორედ ამ ციხე-კოშკში უნდა გათამაშებულიყო სატროფილო თავგადასავალი, რისთვისაც გრაფი ემზადებოდა. დიდხანს არც მიფიქრია, მხნედ და უშიშრად შევეგებე მოსახდენ განსაცდელს. მალე თავის სამოგვავე პარკში, რომელიც გარს ეკვროდა ციხე-დარბაზს. ცოტა ხნის შემდეგ დაბურულ ხეივანში ჩემკენ მომავალი ორი მამაკაცი დავინახე, ისინი საუბარში იყვნენ გართული და გვერდი ისე ჩამიარეს, ვერც შემამჩნიეს. ერთ მათგანს მღვდლის ანაფორა ეცვა და სრულიად ყმანვილი იყო. მის მშვენიერ, მაგრამ მიცვალებულივით ფერმიღულ პირისახეს ღრმა და გულის დამღრღნელი სევდის კვალი აჩნდა. მეორე მამაკაცს სადად ჯანესიერად ეცვა და საკმაოდ ასაკში შესული ჩანდა. ისინი ჩემკენ ზურგმიქცეული დასხდნენ ქვის სკამზე და ამიტომ შემეძლო მათი საუბარი ისე მომესმინა, სიტყვაც არ გამომპარვოდა.

— ჰერმოგენ! — მიმართა ხანში შესულმა კაცმა ახალგაზრდას, — თქვენი ჯიუტი დუმილით მთელი ოჯახი საგონებელში ჩააგდეთ და განწირეთ! თქვენი ქმუნვა და სევდა დღითიდღე მატულობს. უცხო და მიუკარებელი გახდით. ხომ ხედავთ, როგორ გაგტეხიათ ჭაბუკს ჯანი და სიცოცხლის ყვავილიც უდროოდ დაგჭკნობიათ, თქვენმა განზრახვამ, სასულიერო ცხოვრების გზა აირჩიოთ, მოკლა და დაასამარა მამის იმედები და სურვილები. მერწმუნეთ, ჰერმოგენ, მამათქვენი ამ თავის სურვილებს არად ჩააგდებდა, სასოებას გულში ჩაიკლავდა, აღარასოდეს შეებრძოლებოდა მოვლენებს, რაც განგებოდა გარდამწყვეტილი, თუკი მსგავსი განზრახვის მიზეზს სხვაგვარად ახსნიდა, სახელდობრ, მარტოობისადმი თქვენი დაუოკებელი ლტოლვით, რაც ჭეშმარიტი და შინაგანი მონოდება იქნებოდა თქვენი ბუნებისა და რამაც ჯერ კიდევ ბავშვობაში იჩინა თავი. მაგრამ მოულოდნელი, მკვეთრი ცვლილება თქვენში თითქოს წამიერად მოხდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თავს დაგატყდათ რაღაც უბედურება, რაზეც ჯიუტად დუმხართ, იმისი გახსენება კი დღედაღამ არ გასვენებთ, საშინელ ტანჯვასა და ვაებაში გამყოფებთ. ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ ხომ ჯერაც მხიარული, მიამიტი, სიცოცხლის მოყვარული ჭაბუკი იყავით. რამ დაგიკარგათ ასე მწარედ იმედი? რად არ გგონიათ, რომ ვინმე ნუგეშს მიაგებს თქვენს სნეულ გულს? მაინც დუმხართ, ხომ? გამუდმებით ერთწერტილს მისჩერებხართ და მარტოდდენ ოხრავთ. ო, ჰერმოგენ! თქვენ ხომ წინათ არნახული სიწრფელითა და სითბოთი გიყვარდათ მამათქვენი და ახლა გულს თუ ვერ გადაუშლით, მაგ მღვდლის ანაფორას მაინც ნუ აყურებინებთ, რაც იმას ყოველ წამს გაახსენებს მისთვის ესოდენ შემზარავ თქვენს განზრახვას და ამით ცეცხლზე ნავთს დაასხამთ და ახალ-ახალ დარდასა და სატკივარს მოუმატებთ. ჰერმოგენ, გადააგდეთ ეგ საძულველი ჩასაცმელი. დამიჯერეთ, გარეგნულ საგნებს საიდუმლოთი აღსავსე უტყუარი ძალა აქვს. ამასთან დაკავშირებით აქტიორები მაგონდება. ჩემი ეს შედარება, გთხოვთ, ნუ გენწყინებათ. მჯერა, რომ სწორად გამიგებთ, თუმცა იგი არც ისე შეესატყვისება მოცემულ შემთხვევას, მაგრამ მეტისმეტად ცხადი, დამაჯერებელი და განსაცვიფრებელი მაგალითი კი უთუოდ არის. აი, ის მინდა გითხრათ, მსახიობები რომ შესაფერის გრიმს გაიკეთებენ, თავს უცხო მდგომარეობაში გრძნობენ და ადვილად შედიან როლში. ნე-

ბა მიზოდეთ, ჩემი ბუნების შესატყვისად, უფრო ღალად შევხედო საგნებს, ვიდრე ეს შეიძლება მისაღები იყოს. დამიჯერეთ, თუკი ამ გრძელ სამოსს გაიხდით, რაც ადამიანს პირქუში ზეიმურობის იერს აძლევს, თანაც დაბორკილ სიარულს აჩვევს, უწინდებურად მკვირცხლი, ღალი და უდარდელი რონინი დაგიბრუნდებათ და ვინ იცის, იქნებ სრტუფუჭი და ტუტუნვაც კი იწყოს და ბრჭყვიალა სამხრეებმა, წინათ რომ მხრებს სჭამს შეწყნებდათ, ძონისფრად აგიფერადოთ ფერმკრთალი ღანვები, ხოლო დეზების ნკარუნი ტკბილ მუსიკად ჩაესმეს თქვენი ბედაური ცხენის ყურს და სარწმუნოა, რომ იგი კვლავ ძველებურად აჭიხინდეს, სიხარულით აკუნტრუშდეს და მორჩილად წაუხაროს თავი საყვარელ ბატონს. ყველაფერს აჯობებს ასე მოვიქცეთ ბარონო: გაიხადეთ ეს შავი ტანსაცმელი, რომელიც სრულებით არ გიხდებათ! ფრიდრიხს დავუძახოთ და სამხედრო მუნდირი შევუკვეთოთ!

მოხუცი წამოდგა და წასვლას აპირებდა. ჭაბუკი მოეხვია და მილეული ხმით უთხრა:

— ო როგორ მტანჯავთ, კეთილო რაინჰოლ! რა გამოუთქმელ წუხილს მაყენებთ! რაც უფრო ცდილობთ შეარხიოთ ჩემი სულის სიმები, წინათ რომ ჰარმონიულად ჟღერდა, მით უფრო ცხადად ვგრძნობ, რომ ჩემს ჭკუა-გონებას ბედისწერის რკინის ხელი დაპატრონებია და ყელში მწვდება მოსაშთობლად. ჩემი სული დამსხვრეულ ბარბითს ემსგავსება, მასში მტანჯველი უთანხმოება გამეფებულა.

— ეგ მხოლოდ თქვენ გგონიათ ეგრე, ძვირფასო ბარონო. — მიუგო მოხუცმა. — სასტიკ ბედისწერაზე ლაპარაკობთ, მუდამ რომ თან გდევთ და გდევნით, იმაზე კი ხმას არ იღებთ, რაში მდგომარეობს ეს დევნა. დავუშვათ, რომ მართლაც ასეა, მაგრამ რა მერე? განა თქვენებრ სულიერად უხვად ძალმოსილი, ენერგიით სავსე და ვაჟკაცობით გამორჩეული მგზნებარე ჭაბუკი მოვალე არ არის შეერკინოს თუნდაც ულმობელი ბედისწერის მსახვრალ შემოტევას. დიახ, იგი თავისი ღვთაებრივი ბუნებით სხივმოსილი საკუთარ ბედზე უნდა ამალღდეს და რადაც არ უნდა დაუჯდეს თავის თავში ჰპოვოს უზესთაესი სულიერი ძალა, უბადრუკი მიწიერი ცხოვრების სატანჯველზე მალლა დადგეს. და მე არც კი ვიცი, ბატონო ჩემო, რომელ ავ ბედისწერას ძალუძს მოსპოს და ამოძირკვოს სულის ეს ნება?

ჰერმოგენმა ნაბიჯით უკან დაიხია და რაინჰოლდს მოქუფრული, შეკავებული რისხვით ანთებული, რაღაც საშინელის მომასწავებელი თვალეებით ჩააშტერდა, მერე კი ყრუ, ჩამქრალი ხმით უთხრა:

— მაშ, იცოდე, ბერიკაცო, რომ თვითონ მე ვარ ულმობელი ბედისწერა. დიახ, სწორედ ეს ავი ბედისწერა მკლავს და მახრჩობს. მე ტვირთად მანევს გაუგონარი დანაშაული, საშინელი და გამანბილებელი ცოდვა, რომელიც მინდა მოვინანიო სივაგლახითა და განწირულებით. იყავ კეთილი და დაარწმუნე მამაჩემი, აუცილებელია ჩემი მონასტერში გამწესება-თქო.

— იცით, ბარონო, — ფიცხად მიუგო მოხუცმა, — არაფრით არ შეიძლება თქვენი გაშვება ციხე-დარბაზიდან, რადგან ერთობ ნერვებმოშლილი და გუნებაწამსდარი ბრძანდებით. ესეც არ იყოს, ამ დღეებში ბარონესა ჩამობრძანდება ავრელიასთან ერთად და ჯერ ისინი უნდა მოვინახულოთ.

შეშფოთებულმა ყმანვილმა იმნაირი გესლი დაანთხია და ისე დემონურად გადაიხარხარა, რომ ამის შემხედვარეს და შემყურეს ლამის გული გამისკდა. მერე მშფოთვარე ხმით მკითხა:

— ნუთუ მე, მე უნდა დავრჩე აქ, თუმცა ჰო, რა თქმა უნდა, ^{შენ მართალი ხარ, ბერიკაცო, სწორედ მე უნდა დავრჩე აქ და სხვა} ჩემი მონანიება აქ უფრო შემზარავი იქნება ვიდრე მონასტრის ^{საფლავის} შემსუთველ კედლებში.

ეს თქვა თუ არა, ახალგაზრდა კაცი ბუჩქებში გადახტა და მიიმალა. ნოხუცი კი მარტო დარჩა, თავი ხელებში ჩარგო და მთლად შეიპყრო მწუხარებამ.

— გფარვიდეს იესო ქრისტე! — სალამი ვუთხარ მოხუცს, როგორც კი ახლოს მივედი. იგი შეკრთა, გასწორდა, გაცეებით მიიხედ-მოიხედა, აქაოდა, ჩემმა გამოჩენამ რალაც ისეთი გაახსენა, რაც წინასწარ უკვე იცოდამო. მერე კი მითხრა:

— თუ არ ვცდები, წმინდა მამაო, თქვენ აქ ჩამობრძანდით ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილი ოჯახის ნუგეშისმცემლად, რის შესახებაც ამ ცოცხა ხნის წინათ გვაუწყებდა წერილობით მისი ბრწყინვალემა ქალბატონი ბარონესა.

მე, რა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად კვერი დავუკარი ნათქვამს. რაინჰოლდი ხასიათზე მოვიდა, გამხიარულდა, გულმარიხიანი გახდა, ეტყობა, ბუნებით იყო ასეთი. მერე მშვენიერ პარკში გავიარ-გამოვიარეთ ბოლოს ციხე-სასახლესთან ახლო მდებარე ფანჩატურს მივადექით, საიდანაც მათა საუცხოო სანახები მოჩანდა. რაინჰოლდმა მსახურს უხმო. მსახური სწორედ ის იყო გამოვიდა ციხე-სასახლიდან. თვალის დახამხამებაში მოგვართვა შესანიშნავი საუზმე. ერთმანეთს სავსე სასმისებს ვუჭახუნებდით. მომეჩვენა, რომ რაინჰოლდი ყურადღებით მათვალეერებდა, თითქოსდა რის ვაივაგლახით ძლივს გააცოცხლა მივიწყებული რალაც მოგონება. მერე კი ერთბაშად აღმოხდა:

— ღმერთო ჩემო, თქვენო უწმინდესობავ, თავს მოვიკლავ, თუ თქვენ მამა მედარდუსი არ იყოთ ბ-ს კაპუცინთა მონასტრიდან. კი მაგრამ, აქ როგორ მოხვდით? თუმცა რას ვამბობ, თქვენ ნამდვილად ისა ხართ, არ მეშლება. რა თქმა უნდა, თქვენ მამა მედარდუსი ბრძანდებით, ღვთის გულისათვის ამიხსენით, აქ საიდან გაჩნდით?

რაინჰოლდის სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. მთელი სხეული ამიკანკალდა. ცხადად დავინახე, როგორ მომხსნეს ნიღაბი და მკვლელობაში ბრალი დამდეს. სასონარკვეთამ ძალა შთამბერა, ამ წუთში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა.

— მე, რა თქმა უნდა, მამა მედარდუსი გახლავართ, ბ-ს კაპუცინთა მონასტრის მღვდელი და მართალი გითხრათ, რომში მივემგზავრები წინამძღვრის საგანგებო დავალებითა და რწმუნებით.

— ჩემს ყოფაში ჩავარდნილი კაცის კვალობაზე მშვიდად და ბუნებრივად ვუპასუხე.

— ეგ გასაგებია, რომში მიმავალს, ალბათ, გზა აგებნათ და შემთხვევის წყალობით ჩვენს საცხოვრისში მოხვდით. — ჩაილაპარაკა რაინჰოლდმა, — მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს, ბარონესას საიდან იცნობთ და აქეთ როგორ გამოგგზავნათ?

წამითაც არ დავფიქრებულვარ, ბრმად ვიმეორებდი სიტყვებს, რომე-

ლსაც სულის წიაღში ჩამჩურჩულებდა ვილაცის ხმა და ჩემდაუნებურად ადრე ნათქვამს მოვაყოლე:

— გზაში ბარონესას სულიერი მოძღვარი გავიცანი და სწორედ მისი რეკომენდაციით აქეთკენ გამოვეშურე, რათა შემწეობა აღმომეჩინა თქვენი ოჯახისათვის.

— ეს მართალია, — შენიშნა რაინჰოლდმა — ამის შესახებ თვითონ ბარონესამ შეგვატყობინა. ახლა ისლა დაგვრჩენია უფალს მადლი შევწიროთ, ჩვენი სახლის გადასარჩენად რომ ამ გზაზე წამოგიყვანათ და თქვენ, კი, ვითარცა ღვთისნიერი კაცი, დათანხმდით დროებით გადაგედვათ მოგზაურობა, რათა სიკეთე გექნათ ჩვენი ოჯახისათვის. ამ რამდენიმე ხნის წინათ ქალაქ ბ-ში გნახეთ და იქ მოვისმინე თქვენი ნექტარივით ტკბილი სიტყვები, ზეციური შთაგონებით აღვსილი რომ წარმოთქვამდით საეკლესიო კათედრაზე. თქვენი ღვთისმოსაობა, ჭეშმარიტი ნიჭი, მგზნებარე თავგამოდება დაღუპული სულების გადასარჩენად და დიდებული, ღვთით შთაგონებული მჭევრმეტყველება ეს ყველაფერი, საწინდარია ჩემი თქვენდამი რწმენისა, რომ სწორედ თქვენ შესძლებთ ჩვენი საწადელის აღსრულებას, რისთვისაც თვითონ არაფერი ძალგვიძს, უღონონი ვართ. მოხარული ვარ, რომ ბარონზე ადრე მე შეგხვდით და ვსარგებლობ რა ამ გარემოებით, წინასწარ მინდა გაუწყოთ ზოგი რამ ამ ოჯახზე და რა თქმა უნდა, წმინდა მამაო, მოვალე ვარ გულწრფელი ვიყო თქვენს წინაშე, ვითარცა წმინდანთან, რომელიც, ეტყობა, თვითონ ზეცამ მოგვივლინა ჩვენდა ნუგეშად. გარდა ამისა, ისიც უნდა გითხრათ, ბევრ რამეს ამ ოჯახზე მხოლოდ მინიშნებებით მოგახსენებთ. სხვა შემთხვევაში ამ ამბებზე, ალბათ, დუმილს ვამჯობინებდი. მაგრამ თქვენთვის ამ ვითარებაში აუცილებელია ყველაფრის ცოდნა, რათა სწორად და როგორც ჯერ არს ისე წარმართოთ თქვენი მცდელობა და შესაბამისად იმოქმედოთ. მაგრამ მაინც ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ უმთავრესს და აუცილებელს.

მე და ბარონი ერთად ვიზრდებოდით. სულიერი მიდრეკილებების მსგავსებამ დაგვანათესავა და მოშალა ზღვარი, რომელიც სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის ადამიანებს შორის არსებობს. ბარონს არასოდეს დავშორებივარ და როცა აკადემიის კურსი დავამთავრეთ და იგი გარდაცვლილი მამის საგვარეულო მამულს დაეპატრონა მთებში, მის მთავარმმართველად დამნიშნა. რაკი კვლავინდებურად მისი ერთგული ძმა და მეგობარი დავრჩი, თავისი ოჯახის ყველაზე საიდუმლო გარემოებანი გამანდო. განსვენებულმა ბარონმა ისურვა, რომ ვაჟიშვილს ცოლად შეერთო ასული ოჯახისა, რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ახალგაზრდა ბარონმა სიხარულით აღასრულა სურვილი მამისა, ვისი არჩეული საცოლეც მეტად ტურფა და დიდბუნებოვანი არსება გამოდგა. ისე, კი, მართალი გითხრათ, ძალზე იშვიათია, როცა მამის წადილი განგების ნებას შეესატყვისება და ერთ სულ და ერთ ხორც იქცევა ბედისწერით ერთმანეთისათვის გაჩენილი წყვილი. ამ ბედნიერმა ქორწინებამ ჰერმოგენი და ავრელია მოავლინა ამ ქვეყანაზე. წელიწადის უმთავრეს დროს დედაქალაქში ვატარებდით, ზაფხულობით კი მთებს ვეწვეოდით ხოლმე. მაგრამ ავრელიას დაბადების შემდეგ ბარონესას სნეულება შეეყარა და ზაფხულობითაც ქალაქში ვრჩებოდით, რადგან მას გამოცდილი ექიმების მუდმივი მეთვალყურეობაც სჭირდებოდა. ბარონესა ზაფხულის დამდეგს გარდაიცვალა, სწორედ მაშინ, როცა პირი მოკეთებისაკენ იბრუნა და ბა-

რონსაც იმედის ნაპერწკალმა გული სიხარულით აუვსო. ჩვენ სოფელში გადავსახლდით, რომ დრო-ჟამის გასვლას შესაძლებელი გაეხადა ბარონის ღრმა და სულისშემძვრელი მწუხარების განქარვება. ბავშვები კი რზრდებოდნენ. ჰერმოგენი მშვენიერი ჭაბუკი დადგა, ავრელია კი სილამაზითა და სულის მშვენიებით დღითი დღე თავის განსვენებულ დედას ემსგავსებოდა. ბავშვების ჯეროვანი აღზრდა იყო ჩვენი ყოველდღიური მრუთისა და სიხარულის საგანი. ჰერმოგენმა მომეტებული მიდრეკილება გამოამჟღავნა სამხედრო საქმისადმი, რის გამოც ბარონი იძულებული გახდა იგი დედაქალაქში გაეგზავნა გუბერნატორთან — თავის ძველ მეგობართან, რათა მის თვალწინ გაეცლო შესატყვისი წვრთნა და ვარჯიში და საფუძვლიანად შეესწავლა სამხედრო ხელოვნება. ამ სამი წლის მანძილზე პირველად გაატარა ბარონმა მთელი ზამთარი ჩემთან და ავრელიასთან ერთად უწინდებურად რეზიდენციაში და ეს გააკეთა ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუნდაც ცოტა ხნით ახლოს ყოფილიყო თავის ვაჟიშვილთან, მერე კიდევ იმიტომაც, რომ კვლავ მოენახულებინა კარგა ხნის უნახავი მეგობრები, რომლებიც განუწყვეტლივ ცდილობდნენ სოფლიდან მის გამოტყუებას. მთელი ქალაქი ერთბაშად ალაპარაკდა გუბერნატორის დისწულზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა რეზიდენციიდან და ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. ეს გოგონა დედ-მამით ობოლი იყო და თავის პატრონად ბიძა აირჩია. იგი სასახლის განცალკევებულ ფლიგელში ცხოვრობდა, დამოუკიდებელ მეურნეობას ეწეოდა და თავის გარშემო შესანიშნავი საზოგადოება შემოეკრიბა. მე არ ვაპირებ დანწრილებით აგიწეროთ, როგორი იყო ეფემია, ამას აზრი არა აქვს, რადგან სულ მალე საკუთარი თვალით იხილავთ და დარწმუნდებით, წმინდა მამაო, ოღონდ ის კი უნდა გითხრათ, რომ იმისი ქცევა და სიტყვა-პასუხი არნახულად მომაჯადოებელი და თვალისმომჭრელად მიმზიდველი იყო, თანაც ცხოველმოსილი და ამალღებული, რომ არაფერი ვთქვათ მის უჩვეულო ხორციელ სილამაზეზე. საცა კი გამოჩნდებოდა, ყველგან სიცოცხლე და ყმანვილქალური სიხალისე შემოჰქონდა, რასაც სანაცვლოდ უზომო გატაცებამდე მისულ გზნებასა და აღტაცებას მიაგებდნენ. იგი ყოვლად უმნიშვნელო და მოშვებულ ადამიანსაც კი აამოძრავებდა, სულის იდუმალ სიმს შეურხევდა. ხოლო ეფემიათი შთაგონებული ეს ადამიანი თავის სულიერ სილატაკეზე მალლა დგებოდა. რა თქმა უნდა, ეფემიას არც ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები აკლდა, ბუზებივით თავს ეხვივნენ და მხურვალე ვედრებით ეთაყვანებოდნენ ვითარცა ღვთაებას. ძნელად თუ იტყოდი, რომ იგი ვინმეს გამოარჩევდა მათ შორის. თაყვანისმცემლებისადმი ეფემია რალაცნაირი ცელქი ირონიით იყო გამსჭვალული, ტკბილი, დამათრობელი ბანგით ხიბლავდა მათ, თანაც არც ერთის თავმოყვარეობას არ ბლაღავდა, თითოეულთან უხილავ, განუყრელ კავშირს ამყარებდა, ისინიც მონუსხულები იყვნენ და ლაღად, უდარდელად ტრიალებდნენ მისგან შექმნილ მაგიურ არეში. ამ ცირცვამ ბარონზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ეფემია გამორჩეული გულისყურით ეპყრობოდა ბარონს, თითქოს ბავშვობიდან გამოყოლოდა მისადმი კრძალვა. ეფემიას ყოველი მასლაათი ბარონთან იყო განათლებული ჭკუისა და ღრმა შეგრძნების გამოვლინება, რაც იშვიათია ბანოვანთ შორის. იგი აღუწერელი სინაზით ეძიებდა სიახლოვეს ავრელიასთან, დიდ სითბოს იჩენდა მისადმი, მისი ტანსაცმლის უმცირეს წვრილმანზეც კი ზრუნავდა, ერთი სიტყვით, დედის მაგივრობას უწევდა.

მას შეეძლო მოკრძალებულ და გამოუცდელ გოგონას ისეთი სისათუთით ამოდგომოდა მხარში, რომ ბრწყინვალე საზოგადოებისათვის ეს თანადგონა არა თუ შესამჩნევი არ გაეხადა, არამედ პირიქით, ავრულვას ღვთისაგან მომადლებული ჭკუა და შეუცდომელი ალლო იმგვარად წარმოეჩინა, რომ მას მაღალ საზოგადოებაში უდიდესი პატივისცემით ესარგებლა, ბარონი ეფემიას ქებად იღვრებოდა. და ჩვენი ხანგრძლივი წესად ცხოვრების მანძილზე, ვგონებ, პირველად გაგვიჩნდა განსწავლებული შეხედულებები. ჩვეულებრივ ხალხმრავალ შეკრებულობებში უფრო წყნარი მეთვალყურის როლს ვამჯობინებდი, ვიდრე ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთობების გაბმასა და საუბრებს. ასევე ვაკვირდებოდი ეფემიასაც, რომელიც დროდადრო თავისი ჩვეულებისამებრ არავის აკლებდა გულისყურს და თითო-ორიოდა ალერსიან სიტყვას ჩემთვისაც გამოიმეტებდა ხოლმე და უნდა გითხრათ, სავსებით შესაძლებელი იყო, უაღრესად საინტერესო პიროვნებად შემეცნო. გამუდმებით ვუთვალთვალედი რა მას და ვხედავდი, რომ იგი აშკარად ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი ქალი გახლდათ ჩვენს გარემომცველ სინამდვილეში. ყოველი მისი ნათქვამი სიტყვა ჭკუისა და გრძნობის იშვიათი გამობრწყინება იყო, მაგრამ რაღაც მისგან სასტიკად განმიზიდავდა. რატომ ხდებოდა ასე, ვერაფრით ამეხსნა. საკმარისი იყო მისი მზერა შემფეთებოდა ანდა მასთან ლაპარაკი დამეწყო, რაღაც უცნაური, გამოუცნობი გრძნობა მეუფლებოდა, მისი დათრგუნვა არანაირად არ შემეძლო. არცთუ იშვიათად ეფემიას თვალეში განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცეცხლი გამოკრთებოდა და ელვასავით გაჰკვესდა ხოლმე, თუკი დარწმუნებული იყო, არავინ მითვალთვალესო. ზოგჯერ მის ნაზად მოხაზულ ბაგეზე გაიელვებდა სულის სიღრმემდე შემძვრელი, ბოროტნეულად ირონიული ღიმილი, რომელშიც იშვიათი სიცხადით იხატებოდა ვერაგი, ღვარძლიანი ქირღვა და აბუჩად აგდება. ამგვარი ღიმილით იგი ხშირად უცქერდა ჰერმოგენს, რომელიც არანაირ გულისყურს არ იჩენდა მისდამი. თანდათან სრულიად დავრწმუნდი, რომ ამ ქალიშვილის ლამაზი ნიღბის მიღმა იხატებოდა ბერძენი ისეთი რამ, რაზეც არავის წარმოდგენაც არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ეფემიასადმი აღვლენილ ბარონის უზომო ქება-დიდებას ვერაფრით ვუმკლავდებოდი, საწინააღმდეგოს ვერაფერს ვეუბნებოდი, მხოლოდ საკუთარ დაკვირვებებს ვამცნობდი მის ფიზიონომიაზე, რასაც იგი არად აგდებდა. ეფემიასადმი ჩემს შინაგან ანტიპათიას იგი უკიდურესად უცნაურ იდიოსინკრაზიად მიიჩნევდა. ერთხელ ამ ჩემმა მეგობარმა ბარონმა გამანდო, მალე ალბათ, ეფემია ჩემი ოჯახის წევრი გახდება, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ იგი ჰერმოგენზე დავაქორწინო. და სწორედ იმ ხანად, როცა გულდაგულ განვიხილავდით ბარონის განზრახვას, ხოლო ჩემის მხრივ, ათასწაირ მიზეზს ვეძებდი, რათა ჩემი ეფემიაზე შეხედულების სისწორე დამედასტურებინა, ოთახში მოულოდნელად ჰერმოგენი შემოვიდა. ბარონმა, რომელსაც სწრაფი და გულლია ქმედება ჩვეოდა, უმაღლესად გააფიქვინა თავისი ზრახვები და სურვილები ეფემიასთან დაკავშირებით. ჰერმოგენმა მშვიდად მოისმინა მამის მიერ უზომო გატაცებით წარმოთქმული ქება-დიდება თავისი მომავალი რძლის მისამართით. როცა ბარონმა ეფემიასადმი აღვლენილი დითირამბი დაასრულა, ჰერმოგენმა წარბშეუხრელად მიუგო, რომ ეფემია სრულებით არ იზიდავს. ვერც ვერასოდეს შეიყვარებს მას და გულწრფელად სთხოვა მამას ხელი აიღოს გუბერნატო-

რის დისწულთან დაკავშირებულ თავის განზრახვაზე. ბარონი საგონებელში ჩავარდა, რადგან პირველი მცდელობისთანავე გაუცამტვერეს მისი სანუკვარი ოცნება და რაკი ეფემიას აზრი ჯერხნობით არ იცოდა, არც პერმოგენისთვის დაუტანებია ძალა. მალე ბარონი მისთვის ჩვეული გულმხიარულებით და უწყინარობით კენწლავდა თავის ხელმოცარულ მანქანობას და მეუბნებოდა, იქნებ პერმოგენიც შენსავით იდროსინკრაზიითაა შეპყრობილი ეფემიასადმიო, თუმცა ბარონს ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა ვინმეს არ მოწონებოდა ეფემიასნაირი მომხიბვლელი და გამორჩეულად საინტერესო ყმანვილქალი. რა თქმა უნდა, ბარონის დამოკიდებულება ეფემიას მიმართ ოდნავადაც არ შეცვლილა. იგი ისე შეეჩვია ამ ქალს, რომ ერთი დღესაც ველარ ძლებდა უმისოდ. ამიტომაც სულაც არ გამკვირვებია, როცა ერთხელ ლალ და საამო გუნება-განწყობილებაზე მყოფი ელაპარაკებოდა ეფემიას და ხუმრობით ისიც კი უთხრა, ვინც კი გარს გახვევია, ყველას უყვარხარ გარდა ერთისა და ეს ერთი — პერმოგენიაო. პერმოგენმა უარი მტკიცა შენს ცოლად შერთვაზე, რასაც მე ძალზე ვიყავი მონადინებულიო.

ეფემიამ შენიშნა, სასურველი იქნებოდა, თუ ამ ქორწინების თაობაზე წინასწარ მეცოდინებოდა, ხოლო პირადად ჩემს აზრს თუ იკითხავთ, მეტადრე თქვენთან მოვისურვებდი ახლო ურთიერთობის გაბმას, ვიდრე პერმოგენთან, რომელიც, ჩემის შეტყობით, მეტისმეტად გულჩახვეული და თავქეიფა ყმანვილიაო. ამ დღიდან მოყოლებული, რაც ეს საუბარი შედგა და რაზედაც დაუყოვნებლივ მაუწყა ბარონმა, ეფემია გაორკეცებული გულისყურით ეპყრობოდა ჩემს მეგობარსა და ავრელიას. დიახ, ეფემიამ რაღაცნაირი ფრთხილი, მინიშნებებით დაარწმუნა ბარონი, რომ თუ მას ითხოვდა ცოლად, ბარონს ელოდა პედნიერი, იდეალური ცოლ-ქმრული ცხოვრება, რომლის შექმნაზე ქალი კარგა ხანია ოცნებობდა, ეფემია ჯიუტად უარყოფდა ეჭვებსა და საპირისპირო თვალსაზრისებს, რაიც მათ შორის არსებულ ასაკობრივ განსხვავებას თუ კიდევ სხვა მოსაზრებებს ეხებოდა, თანაც იმზომ მიპარვით, ფრთხილად, მოხერხებულად, ცბიერად და თანდათანობით უახლოვდებოდა მიზანს, რომ ბარონს ლამის ეფიქრა, ეს აზრები და სურვილები, რასაც ასე ბუჯითად შთამაგონებს მომხიბლავი თანამესაუბრე, საკუთრივ მე დამეზადაო. ბარონი მორჭმული და სიცოცხლით სავსე კაცი იყო და ჭაბუკური ვნების მოზღვავება იგრძნო. არაფრით არ შემეძლო მისი მოვარდნილი ველური ქროლვა შემეჩერებინა. უკვე გვიან იყო. დიდი ხანი არ გასულა და ყველას გასაოცრად ეფემია ბარონის ცოლი გახდა. თითქოს ეს შიშისმომგვრელი და მოსარიდებელი არსება, რომელიც შორიდან მაფრთხობდა, ჩემს ცხოვრებაშიც შემოიჭრა. ამიერიდან ფხიზლად და წინდახედულად უნდა ვმდგარიყავ მეგობრისა და ავრეთვე საკუთარი თავის სადარაჯოზე. პერმოგენმა სავსებით გულგრილად აღიქვა მამისა და ეფემიას დაქორწინება, ხოლო ავრელია, ეს ძვირფასი და წინათგრძნობით აღსავსე ბავშვი, ცრემლად დაიღვარა.

ქორწინების შემდეგ დიდი ხანი არც იყო გასული, როცა ეფემიამ მთებში ამოსვლა მოიწადინა. უნდა ვაღიარო, რომ თავაზიანი, სანუკვარი და ზრდილობიანი ქცევით ჩემდა გასაოცრად იგი სათნო სულის ქალს დაემსგავსა, იმზომ უსაზღვრო პატივისცემით ეპყრობოდა თავის მეუღლეს, რომ გესლიანი შურიც კი ჩაცხრა და ვერცერთმა ახალგაზრდამ, ვისაც, ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ეფემიასნაირ მომხიბვლელ ქალბატონთან

ლალობა და აშოკობა, ვერ გაბედა ნება მიეცა საკუთარი თავისთვის თუნ-
დაც ერთი ბენო ღვარძლი დაენტხია და გამქირდავი შენიშვნა დასცდენოდა
ეფემიას მისამართით. ბოლო ზამთარს კი ისევ მე გახლდით ერთადერთი,
ვინც უწინდებურად შეიპყრო თითქმის მივიწყებულმა იდიოსინკრაზიამ და
კვლავ შეეპარა ეჭვი ბარონესას სათნოებაში.

ეროვნული

ვიდრე ბარონზე დაქორწინდებოდა, ეფემიას თავგანდობლად მოტრ-
ფიალე იყო გრაფი ვიქტორინი, ლამაზი ყმაწვილი, საპატიო გვარდიის მა-
იორი, მას ზოგჯერ დედაქალაქის სამხედრო ნაწილებშიც უხდებოდა სამ-
სახური. იგი ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელსაც ეფემია სხვა თაყვანის-
მცემლებისაგან გამოარჩევდა ჟამით ჟამად, როცა წუთიერ გულსთქმას
აპყვებოდა. ერთხანს იმასაც კი ამბობდნენ, რომ ბრწყინვალე გრაფსა და
გუბერნატორის დისწულს შორის უფრო ახლო ურთიერთობა დამყარდა,
ვიდრე ეს ერთის შეხედვით შორიდან მოჩანსო. მაგრამ ამაზე ხმა დაირხა
თუ არა, ერთბაშად მიწყდა კიდევ. სწორედ გასულ ზამთარს გრაფი კვლავ
ჩამოვიდა დედაქალაქში და, ბუნებრივია, ჩვენს ოჯახსაც ეწვია, მაგრამ
თავი ისე ეჭირა, თითქოს ბარონესას ჯავრი არცა პქონდა. პირიქით, ცი-
თომდაც განზრახ გაურბოდა კიდევ. მაგრამ ამის მიუხედავად არა ერთ-
ხელ შემიმჩნევია, რაოდენ მრავლისმთქმელად უცქერდნენ შეხვედრისას
ისინი ერთმანეთს, როცა დარწმუნებული იყვნენ არავინ თვალყურს არ
გვადევნებსო. ამ დროს გიჟურად ავხორცული სურვილებისა და ვნებების
გამომხატველი, ყოვლისმშთანთქმელი ცეცხლი უგიზგიზებდათ თვალებში.
ერთ საღამოს გუბერნატორის ოჯახში თავი მოიყარა რჩეულმა საზოგადო-
ებამ. ფანჯრის ნიშში ისეთნაირად შევიმალე, რომ სანახევროდ მფარავდა
მდიდრული ფარდების ხშირი ნაკეცები. გრაფი ვიქტორინი ჩემგან ორიოდ
ნაბიჯის მოშორებით იდგა. ამ დროს გვერდით ჩაუარა ეფემიამ, ჩვეულებ-
რივზე უფრო საუცხოოდ მორთულ-მოკაზმულმა და სრულქმნილი მშვე-
ნებით გამობრწყინებულმა. ვნებით ანთებულმა გრაფმა უნებლიედ მკლა-
ვზე ხელი შეახო, ამას ჩემს მეტი ვერავინ დაინახავდა. ამ შეხებამ ეფემია
შესძრა და ააფორიაქა, მთელი სხეული აუცახცახდა. მიჭირს სიტყვებით
გამოვხატო, რა მგზნებარე აღტაცებით შეხედა ეფემიამ ვაჟს. ამ მზერაში
ირეკლებოდა გიჟური სიყვარული, ავხორცული განცხრომისაკენ დაუოკე-
ბელი ლტოლვა. ერთმანეთს რაღაც უჩურჩულეს, სიტყვები ვერ გავიგონე,
მგონი, ეფემიამ დამინახა, ამიტომ ელდანაკრავივით შემობრუნდა. მკაფი-
ოდ გავარჩიე სიტყვები: „ჩვენ გვითვალთვალებენ“.

განცვიფრებამ, შიშმა და ტკივილმა გამაქვავა. ო, წმინდა მამაო. რო-
გორ აგიწერო ჩემი იმჟამინდელი გრძნობები. აბა წარმოიდგინე, როგო-
რი სიყვარული და უღალატო ერთგულება მაკავშირებდა ბარონთან. ხომ
ხედავთ, როგორ გაცხადდა ჩემი ავისმომასწავებელი წინათგრძნობა. იმ
რამდენიმე სიტყვის გაგონებამ ფარდა ახადა ბარონესასა და გრაფს შო-
რის ფარული კავშირის უეჭველ არსებობას. მაგრამ ჯერხნობით დუმილი
უნდა დამეცვა, ხოლო ბარონესასთვის არგუსის ფხიზელი თვალით უნდა
მედარაჯნა. რათა მისი ლალატის დამადასტურებელი სამხილი მეპოვნა და
გამეხსნა სამარცხვინო ხლართები, რაშიც ჩემი საწყალი მეგობარი გაა-
ხვია, მაგრამ ვის შეეძლო შებრძოლებოდა ამ ქალის ეშმაკეულ ქვებუდა-
ნობას. სულ ტყუილი გარჯა იქნებოდა, თუ ბარონს ვაუწყებდი ჩემგან ერ-
თხელ ნანახსა და გაგონილს, რადგან შესანიშნავად ვიცოდი, ეს გველა-

ძუა ყოველთვის იპოვნიდა გამოსავალს და უხამს და გამოთავყვანებულ სულთამხილველად წარმომსახავდა.

ჯერ კიდევ თოვლი იდო მთებზე, როცა შარშანდელ გაზაფხულს აქ ჩამოვედი და ამის მიუხედავად მაინც მთებში დავსეირნობდი. ახლო სოფელში შევხვდი ერთ გლეხს, რომლის სიარული და მიხრამობრა გლეხისათვის არაბუნებრივი მეჩვენა, ხოლო როცა თავი მოაბრუნა, მაშინვე ვიცანი გრაფი ვიქტორინი, მაგრამ იგი იმწამსვე მიეფარა თვალს და ქობმახებს მიღმა მიიკარგა. ბევრი ვეცადე, მაგრამ ვერსად ვიპოვე. ალბათ, ბარონესას შეუთანხმდა, თორემ სხვანაირად როგორ უნდა ამეხსნა მისი გლეხის ტანსაცმელში გამოჩენა. ნამდვილად ვიცოდი, რომ გრაფი სადღაც აქვე ახლომახლო მიდამოებში იმყოფებოდა, რადგან აშკარად დავინახე, როგორ ჩამიქროლა გვერდით ცხენზე ამხედრებულმა მისმა ეგერმა, ოღონდ ვერაფრით გამეგო, რად არ ეწვეოდა ბარონესას ქალაქში, სადაც იგი ამჟამად ცხოვრობდა. სამი თვის წინათ გუბერნატორი ძლიერ ავად გახდა და თავისი დისწულის ნახვა მოინადინა. ეფემია დაუყოვნებლივ გაეშურა ავრელიასთან ერთად ქალაქისაკენ, ბარონმა კი უქეიფობის გამო ვერ შესწლო გამგზავრება. აი, სწორედ იმხანად დაატყდა თავს ჩვენს ოჯახს უბედურება და მწუხარება. ეფემიამ სასწრაფოდ აფრინა წერილი, რომელშიც იტყობინებოდა, რომ ჰერმოგენი მოულოდნელად შავნალვლიანობამ, შეიპყრო რასაც ხშირად მოჰყვებოდა სიგიჟის მძვინვარე შემოტევები. იგი მარტოდმარტო დაეხეტება მთებში, წყევლის თავის გაჩენის დღეს, თავი უბედურ ვარსკვლავზე შობილად მიაჩნია. მეგობრები და ექიმები უძღურნი არიან რაიმე იღონონ, სულ ამოდ ირჯებიან და დღემდე ვერაფერს გამხდარან. წარმოიდგინე, წმინდაო მამაო, რა თავზარდამცემი იქნებოდა ბარონისათვის ამის გაგონება. ბედკრული ვაჟის ხილვა უთუოდ შეაძრწუნებდა, ამიტომ ქალაქს მარტო წასვლა ვამჯობინე. ამ დროისათვის ჰერმოგენს ენერგიული მკურნალობის წყალობით სიგიჟის მძვინვარე გამოხდომები აღარ აწუხებდა, მხოლოდ წყნარი მელანქოლია დასჩემებოდა, რაც, მკურნალთა აზრით, მოურჩენელი იყო. ჩემმა ჩასვლამ ჰერმოგენი დიდად შესძრა. მან მაუწყა, რომ ამ დღეში ბედუკულმართობამ ჩააგდო და იძულებული გახადა სამუდამოდ ხელი აედო სამხედრო კარიერაზე. ამჟამად მხოლოდ ბერად აღკვეცა თუ იხსნიდა მის სულს საუკუნო წყევლისაგან. წელან რომ იხილეთ, სწორედ იმ სამოსში ჩაცმული ვნახე იგი ქალაქში და მძაფრი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შევძელი მისი აქ ჩამოყვანა. ამჯერად იგი მშვიდად კია, მაგრამ ვერასდიდებით ვერ გადავათქმევინე, თავისი ერთხელ აკვიატებული აზრი, რომელიც ტვინში ლურსმანივით აქვს ჩაჭედილი, რაგვარ არ შევეცადე, ამეხსნა, რატომ ჩავარდა ამ საშინელ ყოფაში, მაგრამ ჩემი ყოველი მცდელობა ფუჭი გამოდგა. თუკი მისი სწეულების საიდუმლოს ამოვიცნობდი, იქნებ მისი განკურნების გზებიც იოლად მეპოვნა.

ამ ცოტა ხნის წინათ მივიღეთ ბარონესას წერილი. იგი იტყობინებოდა, რომ თავისი სულიერი მამის რჩევით განზრახული აქვს გამოაგზავნოს მღვდელი, რომლის ლოცვებმა და ნუგეშისმცემელმა სიტყვებმა, ვინ იცის, ჰერმოგენზე საგრძნობი ზემოქმედება მოახდინოს, რახან მისი შეშლილობა აშკარად რელიგიური ნიშნითაა დალდასმული. გულწრფელად მახარებს, წმინდა მამაო, ის გარემოება, რომ ბედნიერმა შემთხვევამ დედაქალაქში მოგიყვანათ და მკურნალის არჩევანი თქვენზე შეაჩერეს. მჯერა, თქვენ შეს-

ძლებით სიმშვიდით დაუბრუნოთ დამწუხრებულ ოჯახს, თუკი ღვთის შეწევ-
 ნით თქვენეულ ძალისხმევას ორი მიმართულებით წარმართავთ და ორმაგ
 მიზანს დაისახავთ. კარგი იქნება, თუ გამოიკვლევთ შერმოგენის საშინელ
 საიდუმლოს, თვითონ იგი წმინდა აღსარებას გაგანდობთ, ეგ ბევრად უფრო
 განუქარვებს ნალველს მის დასწეულეზულ გულს. სჯობს ევედუროთ კვლავ
 მიაგოს ბედკრულს გახარებული ყოფა ისევ ამქვეყნად, გარდა მონასტრის
 დახშულ კედლებში ცოცხლად დაიმარხოს თავი. დაუახლოვდით, გეთაყვა,
 აგრეთვე ბარონესასაც. თქვენ უკვე ყველაფერი იცით. ალბათ, დამეთანხმე-
 ბით, ჩემი თვალთ ნანახისა და საკუთარი ყურით გაგონილის მიხედვით
 ძნელიც კი იყოს სერიოზულად ბრალი დავდო ბარონესას, მაგრამ, არა
 მგონია, ჩემის მხრივ რაიმე შეცდომა დამეშვას ანდა უსამართლოდ ეჭვი
 გამჩენოდეს. მჯერა, უთუოდ გაიზიარებთ ჩემს შეხედულებას ეფემიაზე,
 როგორც კი იმას გაეცნობით. თავისი ტემპერამენტის გამოისობით ეფემია
 ფრიად რელიგიური ბუნების ქალია და ვინ იცის, თქვენი იშვიათი ენამ-
 ჭვერობის წყალობით იქნებ მისი გულის სიღრმეში შეაღწიოთ, შესძრათ
 იგი და იმნაირ მართალ გზაზე დააყენოთ, რომ თავი დაანებოს ჩემი მეგო-
 ბრის ლალატს თუნდაც იმიტომ, რომ სამუდამო ნეტარების დაკარგვისა
 შეეშინდეს. გარდა ამისა, წმინდა მამაო, ისიც მინდა გითხრათ, რომ ზოგ-
 ჯერ მგონია, ბარონი სულის კუნჭულში რაღაც ნუხილს მალავს, ამ ნუ-
 ხილის მიზეზს კი არ მიმხელს, ურჩევნია ამაზე კრინტი არ დასძრას, მარ-
 ტო შერმოგენის ჯავრი როდი აწუხებს, განუწყვეტლივ ებრძვის გულში
 ჩარჩენილ რაღაც მოუშუშებელ ნალველს, ეჭვი მაქვს, რომ ავმა სულმა
 უფრო ნათელი სამხილი მისცა, ვიდრე ამის აღმოჩენა მე შემეძლო, ეს კი
 დასტურდება ბარონესას დანაშაულებრივი ურთიერთობით იმ წყეულ გრა-
 ფთან. ასე რომ, წმინდა მამაო, ჩემს ძვირფას მეგობარს თქვენს იმედად
 ვტოვებ. მჯერა, რომ სულიერ მფარველობას და მზრუნველობას არ მო-
 აკლებთ.

ამ სიტყვებით დაასრულა რაინჰოლდმა თავისი ნაამბობი, რამაც ძლი-
 ერ გამტანჯა, რადგან ჩემი სულის ფსკერში უკიდურესად საოცარი წი-
 ნააღმდეგობები შეეჯახა ერთმანეთს. ჩემი განუსხვისადებელი „მე“ ჭირ-
 ვეული შემთხვევის სასტიკ თამაშს აჰყვა. და უცხო სახეებში გაღვრილი
 შეუჩერებელი ცურვით მიაპობდა მოვლენათა მღელვარე ზღვას, რომლის
 მძვინვარე ტალღები მთელ ჩემს არსებას შთანთქავდა. ვერაფრით გონს
 ვერ მოვედი, რომ გამერკვია, ვინა ვარ მე. შემთხვევამ რომ ვიქტორინი
 გამხადა, ეს აშკარა იყო. იგი ჩემის ხელით და არა ჩემის ნებით უფსკრუ-
 ლში გადაიჩეხა და ახლა სამოქმედო ასპარეზზე მის მაგივრად მე გამოვ-
 დიოდი. მაგრამ რაინჰოლდი ხომ მამა მედარდუსად მიცნობდა, ბ-ს კა-
 ბუცინთა მონასტრის ბერად და, სავსებით ბუნებრივია, რომ მის თვალში
 ნამდვილად ის ვიყავი, ვინც ვიყავი. მაგრამ ესეც ხომ ცხადზე უცხადესი
 იყო, ბარონესას ვიქტორინთან ურთიერთობა თავზე მატყუდებოდა, რაკილა
 ჩემდაუნებურად მე მაინც როგორღაც თვითონ გრაფი ვიქტორინი ვიყავი.
 ასე რომ მე ვარ ის, რადაც ვჩანვარ და იმად არ ვჩანვარ, ვინც სინამდვილე-
 ში ვარ და ჩემთვის ამოუხსნელ და მტანჯველ ქარაგმად ქცეულა ეს უც-
 ნაური და პირწმინდა გაორება ჩემი „მე“-სი.

ჩემს სულში მბორგავი ქარიშხალი ხუცესისათვის ჩვეული სიმშვი-
 დით მოვთოკე და ამნაირად წარვსდექი ბარონის წინაშე. იგი ხანში შე-
 სული კაცი იყო, მაგრამ მისი პირისახის ჩამქრალ ნაკვთებში გამოსჭვი-

ოდა იშვიათი სულიერი სისავსე და ძალმოსილება. წლებმა კი არა, ეს მწუხარებამ აღბეჭდა ღრმა ნაოჭები მის გაშლილ შუბლზე და ხშირ, ხუჭუჭთმაში ჭალარა შეურია. ამის მიუხედავად ბარონის სიტყვა და მიხრამობრა ისეთ სინათლესა და სითბოს აფრქვევდა, რომ უნებლიედ მასზე გული შემვიარდა. რაინჰოლდმა წარმადგინა მის წინაშე როგორც მღვდელი, რომლის ჩამოსვლაზეც წინასწარ აუწყებდა ბარონესა. ბურჟუაზიული კვირვებით შემხედა. ეს მზერა თანდათან გათბა, რადგანაც რაინჰოლდმა დიდად შეაქო ჩემი იშვიათი მჭევრმეტყველება, რისი მონამეც თავად გახდა ამ რამდენიმე წლის წინათ ქალაქ ბ-ში ყოფნისას, როცა მონასტერში ჩემი ბრწყინვალე ქადაგებები მოისმინა. ბარონმა გულითადად ჩამომართვა ხელი და მეგობარს ამ სიტყვებით მიმართა:

— ვერ წარმოიდგენ, ძვირფასო რაინჰოლდ, რა საოცრად მომხიბლა პირველი ნახვისთანავე ამ ღირსპატივცემული ბატონის სახემ. თითქოს ვილაცხას მაგონებს და ვერაფრით შემიტყვია, თუ ვის.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ტატიანა ტოლსტაია



თარგმანა ვასილ ზურკაძემ

მსოფლიო ლიტერატურა: თვალსაზრისი

კითხვა სამი წლის ასაკიდან დამიწყია, როგორც მშობლები მეუბნებოდნენ შემდეგში. მე კი, რა თქმა უნდა, ეს არ მახსოვს. ყველაფერს ვკითხულობდი, რაც კი ხელში მომხვდებოდა. უცხო ენების შესწავლა ხუთი წლიდან დამაწყებინეს, ჯერ ინგლისურისა, შემდეგ ფრანგულისა, ბოლოს კი, თუმცა წარუმატებლად, გერმანულისა. ჩემი მშობლები თავისუფლად ლაპარაკობდნენ ამ სამ უცხო ენაზე და თვლიდნენ, რომ შეილებსაც (ჩვენ კი შეიძენი ვიყავით) უნდა შესძლებოდათ ეს. თუმცა ბავშვები სულაც არ ვფიქრობდით ასე.

მაგრამ იძულებას მშობელთა მხრიდან ვერსად წაუვიდოდით. აი, ზამთრის საღამოა, ბნელა, მე და ჩემი დაიკო ეს-ესაა თოჯინებით თამაშს უნდა შევუდგეთ (ჩვენ ორსართულიანი სათოჯინო სახლი გვქონდა, ნამდვილი პაწაწინა ელექტრონათურებით, აბაჯანითა და ტუალეტით, პაწია აივნით — საკვირველი ნაგებობა, რომელიც ვიღაცას გერმანიიდან ჩამოეტანა ომის დროს და ჩვენ უკვე დამტვრეული, მაგრამ მაინც მოქმედ მდგომარეობაში გვერგო), — რომ უცებ კარზე რეკავენ: გული გვეკუმშება, დერეფნიდან სიცივე იჭრება — ეს ჩვენი ფრანგულის მასწავლებელი მოვიდა — არც ქოთაო შეჰყრია, არც შავი ჭირი, საღსალამათმა მოაღწია ჩვენამდე. საღამოც ჩაგვეშხამდა. ფრანგული ზმნის უღლება — ეს საძულველი ენობრივი ალგებრა — დღემდე მახსოვს. მაგალითები ალფონს დოდედან, მერმე კი თვით ალფონსის წაკითხვაც ჩვენში სულის სუთვას იწვევდა. ჩემი უმცროსი დაიკო, ხელმარჯვე და ეხამწარე, ფრანგულის მასწავლებელ ქალზე აკროსტიხულ ეპიგრამებს სწერდა... ლექსებს მშობლებს შივართმევედით ხოლმე, რომლებიც გულიანად იცინოდნენ და გვთხოვდნენ კიდევ დაგვეწერა: ისინი ყველა მეცნიერებისადმი, ყველა ხელოვნებისადმი, ნებისმიერი შემოქმედებისადმი და ფანტაზიისადმი ჩვენს მიდრეკილებას ახალისებდნენ.

ინგლისურ ენას უფრო ადვილად ვძლევდით, თუმცა შეიძლება მასწავლებელი წალები გვყავდა უფრო საყვარელნი, „ალისა საკვირველებათა ქვეყანაში“, ადაპტირებული გამოცემა, ჩემთვის ასატანი იყო. „დედა-ბატს“ ინგლისურად ვკითხულობდით, თუმცა მე კარგად მახსოვს ჩემი მაშინდელი განცდა: რა საჭიროა უცხო ენაზე წაკითხვა, როცა რუსულად უკეთ, უფრო მარჯვედ და გასაგებად შეიძლება ამის ქმნა. ლათინური ასოების თვით მოხაზულობაც კი არ მომწონდა: განგებ მოიგონეს, რომ ადამიანი გააწვალონ-მეთქი. მამაჩემმა, რაკი ხედავდა ჩემს წინააღმდეგობას და უნუგეშო სიზარმაცეს, ის მოიფიქრა, რომ დამოუკიდებლად მამეცადინებდა: დღეში ერთი საათის განმავლობაში, ზამთარ-ზაფხულ, მე მისი ხელმძღვანელობით ხმა-

შალდა უნდა შევითხა რომელიმე ინგლისური ან ფრანგული წიგნი. ეს მისი მხრიდან შესანიშნავი სვლა იყო: მე ავატა კრისტი უნდა წამეკითხა (ორივე ენაზე, მონაცვლეობით). მან სავსებით სამართლიანად განსაჯა: თუკი ყველა სხვა ხტიმული და მოწოდება საერთო კულტურისაკენ, განათლებულობისა და პორიზონტის გაფართოებისაკენ ამაოა, მაშინ ამ პრიმიტიულმა ცნობისწადილმა ხომ შეიძლება უნდა მოქმედოს: ნეტავ ვინ არის მკვლელი? აი, ასე წავიკითხე ავატა კრისტის ~~ხტიმული~~ რომანი, რაც დედაჩემის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, — იგი თვლიდა, რომ უნდა გვეკითხა შექსპირი და ყოველივე ასეთი, ამალღებული. როცა მე „ავატნიკების“ პირველი დუჟინი გავასრულე, ჩემი თორმეტი წლის ასაკისათვის, მამამ მაჯის პატარა საათი მაჩუქა. იმ მნიშვნელობით, რომ მასზეც ციფრი თორმეტი იყო და ა. შ. ორიოდ კვირის შემდეგ მე ის ავარაკზე მოცვნარში დამეკარგა და მწარედ ვტიროდი, როცა მუხლებზე ფორთხვით დაღამებამდე დავეძებდი ბუჩქებში, მაგრამ ვერა და ვერ ვიპოვე. საათი დაკარგე, დრო კი, როგორც შემდეგში გაირკვა — არა.

ასე მტანჯავდნენ ხუთი წლის ასაკიდან უნივერსიტეტში შესვლამდე. მე გამუდმებით ვკითხულობდი — ჭამის დროს, საწოლში, ავტობუსში, ოღონდ სიამოვნებით სხოლოდ რუსულად, უცხო ენებზე კი — ზიზღითა და სიძულვილით. ამის შედეგად სახლვარგარეთული ლიტერატურა ჩემთვის ისაა, რაც ლათინური შრიფტითაა დაწერილი, რუსული კი — ის, რაც კირილიცათი. რუსულ წიგნებად არსებობდნენ ჩემთვის სხვადასხვა დროს: ო'პენრი, ედგარ პო, დიუმა (პირველ ყოვლისა „გრაფი მონტე-კრისტო“), მარკ ტვენი, ჟიულ ვერნი, კონან დოილი, უილკი კოლინზი („მთვარის სპეკალი“), პერბერტ უელსი, მერი ნეიპს დოჯი („ვერცხლის ციგურები“), ინდური ლეგენდები — „ცისფერი ყანჩა“, „პაწია ლორდი ფაუნტლერი“, „ქიტობაღეშა“, აგრეთვე „გულივერის თავგადასავალი“, (შემოკლებული ვარიანტი, რომლის ვარეკანზე გამოსახულია, თუ როგორ მიათრევს კბილებით გულივერი ბაგირებზე დაკიდულ გეშებს), „პაწია კონკია“; მთლიანად — თავიდან ბოლომდე — ანდერსენი, მსოფლიოში საუკეთესო სვეშნიკოვის სურათებით (აი, ეს კი მახსოვს!), ტოპელიუსის, ქრისტიან პინოს, შარლ პეროს, ძმები გრიმების, პაუფის ზღაპრები, თურქენული ზღაპრები (რომელიდაც სამი თიკანი: ალიული, ბიულიული და ხიშტაკი სარიტანური, ვარეკანზე კი მშვენიერი მიჯნური ბროწეულის ბუჩქს ეხვევიან), ოსური მითები („სოსლან-გოლიათი, მისი მეგობრები და მტრები“, სადაც მოთხრობილია რომელიდაც სამინელ ცხოველ ბორბალზე, რომელმაც სოსლანს ფესები მოკვეთა), იაპონური ზღაპრები, დაწერილი სასაცილო სოფლელი ძიძების ენით („დაღობდა ჩვენი ყურცქვიტა, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო!“, ანდა: „ერთიც ვნახოთ და, მამომოტო არ გამოტყვრა“)... ხოლო ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნი იყო ნ. ა. კუნის „ძველი საბერძნეთის მითები“: ხუთი წლისამ მე უკვე ვიცოდი ყველა ოლიმპიელი ღვთაების გენეალოგია, ყველა გმირი და ყველა სხვა მოკვდავიც, ვინც კი მოხსენიებას იძსახურებდა. მე დღესაც მგონია, რომ ეს წიგნი საუკეთესოა მსოფლიოში. მასში ყველაფერია: წყაროებიც, ზღვებიც, გემებიც, ომებიც, საბრძოლო ორთვალეებიც, სუროც, ტვიაც, დაფნაც, მერცხლებიც, ლაბირინთიც, საგმირო საქმეებიც, და მთავარიც: მთელი სამყარო ღვთაებებით შრიალებს და აღსავსეა მათი უხილავი, მაგრამ უეჭველი მყოფობით. და ეს ყოველივე რუსულია, მშობლიურია, ხოლო ყოველგვარი „has been doing“ და „had had„ და მით უმეტეს „nous passimes sous un pont, puis sous un autre — ეს ყოველივე იქ, რა თქმა უნდა, არ არის.

შერბე, მოგვიანებით, იყო — ბალზაკი, ზოლა, მოპასანი, უალტერ სკოტი, სიგრიდ უნსეტი („ქრისტიანა, ლავრანსის ასული“ — ვისაც არ უნდა ჰკითხო, არავის წაუკითხავს, ის კი ნობელის ლაურეატია), რომენ როლანი, დიკენსი, ჰემინგუეი, ოსკარ უაილდი, სომერსეტ მოემი, ოლდოს ჰაქსლი. და კვლავაც მაიძულებდნენ იმავე

ბალზაკის „ეჟენი გრანდე“ ფრანგულად მეკითხა, და ახლა, თოფითაც რომ დამად-
გნენ თავს, მე ამ წიგნს აღარ გადავიკითხავ, თუმცა „რუსულ“ ბალზაკს ყოველთვის
სიამოვნებით ვკითხულობდი. ოღონდ ვერაფერი დავიხსოვე. ბალზაკი, რატომღაც ყვე-
ლა იმ ოჯახში ელაგა თაროებზე, სადაც კი ჩვენ სტუმრად დავდიოდით, — თხზუ-
ლებათა უზარმაზარ კრებულებად ჩამწკრივებულიყო მუქი-მწვანე ტომები. ჩემს
თხუთმეტი-თექვსმეტი წლის დაქალს ჩვენზე ადრე წაეკითხა ბალზაკის რამდენი-
მე წლით უფროსი იყო მე და ჩემს დაზე, და ერთიანად გაუდენთილიყო მისი სიუჟე-
ტებითა და რეალიებით, აგრეთვე ბალზაკის რუსულ თარგმანთა ლექსიკით. იგი
ძეოცნებე იყო და უყვარდა თავის მიერვე შეთხზული რომანტიკული ისტორიების
ძოყოლა საფრანგეთის ცხოვრებიდან, — შეჭერაზადასავით, ცოტ-ცოტაობით, ისე,
რომ ყველაზე საინტერესოს მეორე დღისთვის გადასდებდა ხოლმე. ზაფხულში ჩვენ
მოცვნარში შევძვრებოდით ხოლმე და ნაყოფს ბიდონში ვაგროვებდით. ამ დროს
მუხლებზე დავხოხავდით ფიჭვის წიწვებით მოფენილ და ამიტომ ჩხვლეთია მიწაზე,
ის კი სულ გვიყვებოდა და გვიყვებოდა მოგონილ ისტორიებს, შთაგონებულად გადაჭ-
რილი ტყუილებში, „მან გახსნა სუნამოდაბკურებული წერილი და გაფითრდა. — მე
გაკოტრებული ვარ! — წამოიძახა გასტონმა. — ყველაფერი დამთავრებულია!“ მე-
ორე დღისათვის კი გასტონი უწინდებურად მდიდარი იყო და კაბრიოლეტით დასეირ-
ნობდა. „კი, მაგრამ, როგორ დაიძვრინა თავი?“ — გაოცებულნი ვეკითხებოდით
ჩვენ. „ძალზე უბრალოდ, — მან ხელახლა დააგირავა თამასუქები“...

გასტონები, ბროწეულის ბუჩქები, კაბრიოლეტები, კრინოლინები, ლონდონუ-
რი ნისლი, სოსლანის ცხოველი ბორბალი და ჩეხოვის შეეტლეთა თვლები, — ყვე-
ლაფერი ეს ერთნაირად ეგზოტიკური, ერთნაირად ამაღელვებელი იყო ჩვენთვის, და
რუსულსა და საზღვარგარეთულს შორის არანაირი განსხვავება არ იგრძნობოდა.
წიგნები ჩვენთვის მხოლოდ საინტერესოებად და უინტერესოებად განიყოფებოდა, და
კიდევ ბევრმა დრომ განვლო, სანამ ცნობიერების შორეულ კუნჭულში მიყუჟულმა
აზრმა თარგმნილ ლიტერატურაზე, ჩემთვის მცირედი ხორცი შეისხა. ავიღოთ იგივე
ზოლა: მან ბევრი დაწერა, მაგრამ ბორდელებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებზე
დაწერილის წაკითხვა ხომ უფრო საინტერესოა, ვიდრე მალაროებსა და გამურულ
მალაროელებზე, ოღონდ თუკი თქვენ ზიგმუნდ ფროიდი არა ხართ, ვისთვისაც მალა-
როებიც საინტერესო უნდა ყოფილიყო. სიტყვამ მოიტანა, და ფროიდის შესახებაც
(და იუნგისა, ვაინინგერისა და სხვების შესახებაც, ვისი სახელებიც უკვე დამვიწყე-
ბია კიდევ) ვიტყვი: ყველა ისინი მე თხუთმეტი წლისამ წავიკითხე: მამას შესანიშნავი
ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელსაც მრავალი ათწლეულის მანძილზე აგროვებდა. ფრო-
იდი და იუნგი (ადრეული) აქ ყვითელ ქალაქზე დაბეჭდილი ბროშურების სახით
იყო წარმოდგენილი, აგრეთვე ტყავადაკრული, ოქროთი ამოტვიფრული ტომების
სახით; ეს წიგნები რის ვაივაგლახით გადმოეთარგმნათ რევოლუციამდელი კურსების
რომელიღაც სტუდენტ ყმაწვილქალებს რუსულ ენაზე (თუმცა თანამედროვე თარგ-
მანები კიდევ უფრო უარესი და ღარიბია). „სიზმართა ახსნა-განმარტება“ ვიქტორ
ჰიუგოზე ათასგზის უფრო წარმტაცი იყო, რადგან ჰიუგო საზღვარგარეთელი მწერა-
ლი იყო, ფროიდი კი — რუსი. ხოლო როცა სკოლა დაგვახვავდა თავზე, როცა ცდი-
ლობდა ერთიანად დავეფარეთ საბჭოთა და მოწონებულ-რევოლუციური ლიტერატუ-
რის ბამბის ლეიბით — თვალზე ლიბრგადაკრული ფადევევით, ბეცი ჩერნიშევსკით,
უსინათლო რკინიგზელით ნ. ოსტროვსკით და სხვა, ჩუმად წამომართული საბჭოთა
ღლაკებით, მაშინ მე უკვე დახელოვნებული ვიყავი წაუკითხავი წიგნების შინაარ-
სის ათვისებაში და ყოველივე არასასურველის მარჯვედ გამოცემაში, რაც არა და
არ მამახსოვრდებოდა და ძალე უნდა მომეშორებინა თავიდან. ასე რომ, დმერთმა
შემიბრალა და ძტვრის ამ კორიანტელმა განზე ჩამიარა ისე, თითქმის არც შემხვია.

თუმცა „რა ვაკეთოთ?“-დან მახსოვს, რომ გმირმა „პალტო ჩაიცვა და ცოლს მიუკაკუნა საძინებელში“, რამაც დიდად განმაცვიფრა: მოპასანის გმირები ანალოგიურ სიტუაციაში ყველაფერს „აჩქარებით იხდიდნენ“. მაშ, ვინ არის ამის შემდეგ უცხოელი?

პაპაჩემი, მიხეილ ლეონიდეს ძე ლოზინსკი დიდი მთარგმნელი იყო. იგი თავისუფლად ფლობდა ექვს ენას და სხვა აურაცხელ ქმნილებებთან ერთად რუსულ ენაზე თარგმნა „ჰამლეტი“ და „ღვთაებრივი კომედია“. მე ის არ მახსოვს: როცა გარდაიცვალა, ოთხი წლისა ვიყავი, — და ეს ჩემი ცხოვრების მწარე საწუხარია. მაგრამ ჩვენს სახლში იგი ყოველთვის ცოცხალი იყო, მასზე ყოველდღე ლაპარაკობდნენ, ის თითქოს ყოველდღე ჩვენთან ერთად მოუჯდებოდა ხოლმე მაგიდას, ანდა უხმოდ გასწევდა სკამს, წამოდებოდა და კაბინეტში გავიდოდა სამუშაოდ — როგორც უხილავი აპრდილი. მშობლები გვეუბნებოდნენ, რომ იგი სულ მუშაობდა, მთელი დღის განმავლობაში, მიუხედავად ჯოჯოხეთური თავისტკივილისა, რომლითაც წლების მანძილზე იტანჯებოდა, ხოლო შესვენებებისას, როგორც უფროსები იგონებენ, ფლობერის წერილებს კითხულობდა — ბუნებრივია, ფრანგულად. აი, ასეთი ტიტახები ცხოვრობდნენ ამქვეყნად ძველს დროში. მაპაჩემი, რომელიც ეთაყვანებოდა თავის სიმამრს — ლოზინსკის, ხმამაღლა გვიკითხავდა მის თარგმანებს, ზოგჯერ თვალზე ცრემლმომდგარიც („ცრემლები — საუკეთესო ჯილდოა მომღერლისათვის“ — ამბობს ანდერსენის ბულბული), ხშირად გვიკითხავდა ერთსა და იმავე სტრიქონსს შეორედ, მესამედ, მრავალჯერსაც: და მაშინ პირველ ჯერზე აზრი გესმის, მეორეზე — ბგერის ხმიანობა, მესამე ჯერზე კი სიტყვათა ბრინჯაოსფერი ელვარების, მათი მტკიცე მოხაზულობის დანახვას იწყებ.

Я только дыыыыыышло этой фууууууууууры.
Я только геееееень его фигуууууууууры, —

ეს მსიარულად განწყობილი მამა დაღის ბინაში კვირა დღით, ხელს იქნევს, რომელშიც მარადის სიგარეტი უჭირავს და სახეზე სამოთხისებრი ნეტარება აღბეჭდვია ბვერების, უღერადობის, რიტმის, გუგუნისა და ყოველივე იმის გამო, რაც სიტყვაში და სიტყვის მიღმაა, — ყოველივე იმის — შრიალის, სინათლისა და ელვარების — გამო, რაც ეტლით აღლუმზე საზეიმოდ გამომაგალ სიტყვას ახლავს თან.

მაგრამ სიტყვები მხოლოდ რუსულია ცნობილი ჩემთვის, გასაგებიც და საყვარელიც, თარგმნილი კი ერთიანად გამოწურული, გადმობრუნებული, გარდაქმნილია. პაპაჩემი ლოზინსკი — ჩემი, როგორც ბავშვისა და მოზარდის გაგებით — უცხო ენების მღვრიე თუხუტს რუსული სიტყვის გამჭვირვალე ოჭროდ გადააქცევდა. იქ მწერლები რაღაცას თავისას წერდნენ, ჭმუჭნიდნენ, იგი კი ასწორებდა და აკონსტრუქციებდა; ისინი კედლებს აწყდებოდნენ კარების ძეხნაში, იგი კი ალაყაფის კარს პირთაძღე გვიღებდა; ისინი ხელების ცეცებით მიდიოდნენ ბურუსში, მას კი ხელჩაჭიდებულს გამოჰყავდა ისინი დღის სინათლეზე. სიტყვა — აზრია, შინაგანი სხივია; მაგრამ, აბა, შითხარით, რა აზრი შეიძლება ვიპოვოთ უცხო, გაუგებარ, ბუნდოვან სიტყვაში?...

ერთხელ ხელთ ჩამივარდა კორნეი ჩუკოვსკის ორი წიგნი: „ცოცხალი როგორც სიცოცხლე“ — რუსული ენის შესახებ, და „მაღალი ხელოვნება“ — თარგმანის შესახებ. გენიალური წიგნებია — გადაჯიჯგინილი ცენზურისა და თვითცენზურის ხაყვავილარით, თითქოს დამთმობნი, ეშმაკურნი, ბოლომდე რომ არ ამბობენ სათქმელს, გვერდების დაწესებული რაოდენობის შემდეგ ფეხიფეხზე შემოკვრით საზეიმოდ რომ მიესალმებიან იდიოტ-გამომცემლებს და მკითხველთ, დასასმენად

შემართულთ მრისხანე კალმით, — დიახ გენიალურნი, მიუხედავად მთელს გზაზე და-
ხვავებული ორკაპების, ძავთულებისა და სხვა ეკალ-ბარდებისა. ახლან, „უსიერ
ტვერში, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე“, მე უსაზღვროდ მადლოური ვარ, რომ, მან,
ისე, როგორც არავინ, მასწავლა სიტყვის დანახვა და მოხმენა. თავად ვირტუოზულად
ფლობდა სიტყვას და მხოლოდ საყოველთაო უსამართლო დასჯიერებლობის გამო
არ არის დაფასებული ჯეროვნად როგორც ოსტატი, მოიხსენიება პირველ ყოვლისა
როგორც „ბავშვების მოყვარული“ და ავტორი „საიდან — აქლემისა“. თუმ-
ცა, ტყუილად ხომ არ არის იგი თავის სხვა პიპოსტასში მკვნიბარე საბავშვო მწე-
რალი, და პირველი ეგებება რუს ბავშვს ამქვეყნიური მეტყველების ზღურბლთან
ტრაგიკული კოლომბოკისა და საიდუმლოებით მოცული ჭრელა ვარიას კომპანიაში?
მე მძაფრად ვგრძნობ, ყოველ შემთხვევაში — ჩემი გამოცდილებით, რომ ბავშვე-
ბი — ენას მოკლებული მოზრდილნი არიან, ზრდასრული ადამიანები სრულფასოვა-
ნი სულითა და სრულფასოვანი გრძნობებით, რომელნიც იძულებულნი არიან ბრძალ,
ბნელში ხელისცეცებით, — თითქოსდა თავში დაჭრილნი ანდა ამნეზიის შეტევის
შემდგომ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, — ხელახლა მოიძიონ, ხელის შეხებით იპ-
ოვონ და ასე აღიდგინონ წართმეული, ბოლომდე არმოცემული, დავიწყებული
ენა.

ჩუკოვსკის წიგნებმა სირცხვილულ-მქმნეს და დიდად განმაცვიფრეს. ჩემთვის
გასაგების, საყვარელის, პლასტიკურისა და, როგორც მეგონა, ნაცნობი რუსული ენ-
ისა და ყოველივე იმის გარდა, რაც მასზე იყო შეთხზული და დაწერილი, ჩემს წი-
ხაშე გადაიშალა თვალუწვდენელი სივრცეები სხვა ენებისა, რომლებიც ასევე უყ-
ვარდა ვიღაცას და ასევე მოქნილნი და მოელვარენი იყვნენ, დაწყებული ფინურიდან
დამთავრებული ყირგიზულით, — ყველა ამ ენაზე ადამიანები მღეროდნენ, ტირო-
დნენ, ფიქრობდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ გრძნობებს, წერდნენ რთულსა და
მშვენიერ ლექსებს, კარს გვიკაკუნებდნენ და აზრებით, უცხოტომელის გონებაში რომ
მობილიყო, უცხო ენაზე, — რა დაუჯერებელია! ბანალური აღმოჩენაა, მაგრამ ამან
გამაოგნა! ანაზღად შემრცხვა ჩემი უმეტრებისა, მცონარებისა, უპატივცემულობისა
„გერმანელთადში“ — ყველა იმისადმიც, ვინც ნათლად და ლამაზად ვერ ლაპარაკობს.
ანაზღად ისიც გასაგები გახდა, რომ ჩემი ესოდენ საყვარელი, შესანიშნავი წიგნებიც
ვიღაცამ თავის, ჩემთვის გაუგებარ ენაზე, უღიმღამოდ მოზუტბუტე ენაზე შეთხზა,
ხოლო ვიღაც სხვამ ყური მიუგდო, განარჩია, გაიგო და მძიმე შრომაც იტვირთა იმ-
ისთვის, რომ იგი ჩემამდე მოეტანა, გადმოეთარგმნა, გადაეაზრებინა, სიტყვები შე-
ერშია, შეეჯერებინა, აეწონ-დაეწონა, რაღაც მსხვერპლად გაეღო, მერე დაელაგე-
ბინა და სალხინო სუფრა გაეწყო, რათა თავად შენიშვნის ჩრდილში მიმდგარიყო
თავმდაბლად, განზე გამდგარიყო, ბრბოს შერეოდა.

ანაზღად ჩემთვის სავსებით გაცხადდა მთარგმნელის კატორღული შრომის მთე-
ლი სიმძიმე, მისი ღვაწლი, გმირობა, რომელიც თითქოს არაფრით არ ჯილდოვდე-
ბა, მცირედთაგან თუა დაფასებული და უმეტესად შეფარულია, მიჩქმალულია.
მსგავსად ადამისა, იგი იძულებულია კვლავ და კვლავ დაარქვას სახელები სავნებს,
ხივთებს, უცხო ცნებებს, რომელნიც ფარულად და მძაფრად ჰყვავიან ბაღის გალა-
ვანს მიღმა. მაგრამ ბაღი იცვლება, ყვავილობა გადაივლის, ფოთლები ჩამოცვივა, გა-
ტყუირდება და გამოყრუვდება, ფერს იცვლის, სხვად იქცევა, გადასხვაფერდება, ხო-
მალდით გასცურავს ხავშისადგომიდან და ნისლში გაითქვიფება. მიიკარგება, ჩვენ-
თან კი მხოლოდ იალქანთა ბუნდოვანი მოხაზულობა და გემსართავეების ჭრიალი
დარჩება.

თუ არა და, დაფლეთილსამოსიანი და გაძვალტყავებული მთარგმნელი შემდგ-
რეული ანაბეჭდებით გვიბრუნდება — უცხო მხრის ფოტოსურათებით, ჩემოდნით,

რომელიც სავსეა დაჭმუჭენილ-გათელილი სუვენირებით. იგი ჯიბეებიდან იღებს ერთმანეთს მიწებებულ ჩირებს და ფიცვილ-მტკიცვილით გვარწმუნებს, რომ სწორედ ესაა სამოთხის ბალის ნაყოფები; მუხლებზე დაჭმუჭენულ ქალაღებს ასწორებს და ამტკიცებს: აი, ესენია ედემის ჭემმარიტი რუკებიო. რა ვუყო ამას? როგორ შევხედო? ნამდვილად იყო კია იგი იქ, დავიჯერო? მაშინ საღლაა უცხო ზღვათა ქარი? საღლაა სველი თოვლი, რომელსაც ჩრდილოეთის ისრისებრ სამრეკლეუქ ქელღუეტები ნემოუძერწავს? საღლაა მოქანავე ფარანთა ჩრდილები? საღლაა ქვესუხურწუქუქამ-შორდი, განვედ ჩემგან! შენ ვერაფერი შევიტყვი! არაფერი მოგიტანია ჩემთან!

როცა უკან ვიხედები და ჩემს მიერ წაკითხულსა და დაწუნებულ საზღვარგარეთული ლიტერატურის მოებს მოვიხილავ, სიმწრითა და სინანულით ვხვდები, თუ რამდენი შესანიშნავი მწერალი, რამდენი საკვირველი ხმა დაუღუპავთ ჩემთვის დუღუნა, ენაბრკვილ თარჯიმნებს, ხელმრუდ, გონჯ მოხალტურეებს, მათ, გულგრილთ რუსული ენისადმი, და მოწებს უცხოური სინტაქსისა, თითქოს არც არასდროს რომ არ სჭერიათ ხელში არც ტურგენევი, არც ვოგოლი, არც ბუნინი, არც ლესკოვი. ყველაზე მეტად მათ, მგონი, სწორედ ის ლიტერატურები დაახარალეს, რომლებზეც განსაკუთრებულად დიდი მოთხოვნიღება იყო: ინგლისური და ფრანგული. სიტყვათა მკაცრი რიგი ინგლისურში, რომელიც დედანის წაკითხვისას, ბუნებრივია, არ იგრძნობა, რუსულ თარგმანში პროკრუსტეს სარეცელაღაა ქცეული, პროკრუსტე კი, როგორც ცნობილია, არა მხოლოდ ამჭრიდა ფეხებს მეტისმეტად ტანგრძელ მსხვერპლთ თავისი სტუმართმოყვარეობისა, როგორც მის გამთ ჩვეულებრივ ფიქრობენ, არამედ ტანმოკლეთაც სჭიმავდა, რაკი თავის გონებამახვილურ საწოლზე გაემართა საჯალათო კუნძიკა და საწამებელი იარაღიც. საშინელი იყო ყველა ეს „ჩემი ხელი მე ჩემს ჯიბეში ჩავდე“ და „უწინ მე მას ვხედავდი, მაგრამ ახლა ველარ ვხედავ მას“, ყველა ეს „მე რაც შემეხება, მე...“ და „ჩემი შლიაბა, მე ვნახე, რომ იგი ვიწრო მქონდა“ — ფრანგულიდან თარგმნილში, ანდა მარადიული „ასე არ არის განა?“ ნებისმიერი უცხო ენიდან შესრულებულ თარგმანებში, რაც XVIII საუკუნის ბოლოს აიტაცეს ჩვენებმა საფრანგეთის რევოლუციას გამოქცეულ დაღაქთაგან, რომელნიც თავს არისტოკრატებად ასაღებდნენ.

„ბარონეტის ხმა ვიბრირებდა, და ყველა მისი ასო ციებცხელებიანივით თრთოდა“, ანდა — „ო, ჩემო ღმერთო! — წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა, და თვალები გულურივით დააბრიალა“ — აი, ასეთია XIX საუკუნეში გავრცელებული საზღვარგარეთული ლიტერატურის სახე, რომელიც ბავშვობიდან ჩამებეჭდა მესხიერებაში, და კიდევ მრავალი წელი გავიდა, სანამ მივბვდებოდი, რომ საზღვარგარეთელ მწერლებს მსგავსი არაფერი დაუწერიათ, რომ მათი გმირები არაფერს არ აბრიალებდნენ და არ ვიბრირებდნენ, რომ „ლანდშაფტები“ განფენილნი არ იყვნენ და, რომ, საერთოდაც, ყოველივე სულაც არ იყო იმგვარად, როგორც ეს მთარგმნელებს მოეჩმახათ. მაგრამ ბავშვობაში ხომ ჩვენ ყველაფერს ვუსინჯავთ გემოს, ყველაფერს ვჭამთ, პოდა, ვყლაბავდით ხოლმე „ლანდშაფტებსაც“, და ამასაც: „მისი მარმარილოსებრი სახე ქანდაკებისა კულულთა შავ ჩარჩოში“, თუმცა მგრძნობიარე წარმოსახვისთვის არც ისე ადვილია თავიდან მოიშოროს ეს „ქანდაკებები ჩარჩოებში“ და სულ სურს ჩამოაგლიჯოს ეს ჩარჩო.

სამაგიეროდ რა ნეტარებაა, როცა გულანთებული მთარგმნელის კალამი ცოცხალ და მსუნთქავ პეიზაჟებს ხატავს თქვენთვის; როცა გმირებს თავი დაუღწევიათ ქრონიკული პარკინსონიზმისა თუ თვალეზადმოკარკლულობისათვის და ნორმალური ადამიანებივით იცინიან და საუბრობენ; როცა ხრეში ბუნებრივად ხმიანობს ბორბლებქვეშ, როცა ხვართქლა პყვავის და ფანჯარაში რაღაც ჩაჩები გამოკრთიან! გვიანდელ აღმოჩენათაგან მახსოვს პუ სუნ ლინის მომხიბლავი, დამათრობელი თარგმანი, შესრულებული გენიალური სინოლოგის ვასილი ალექსეევის მიერ („ლაო ჩუაის მოთხ-

რობები საკვირველებათა შესახებ“). აი, თარგმანებში ჩადებული კატორღული შრომა! — ჩინურიდან თუკი თარგმანს რაიმეს დააკლებ, მკითხველისათვის არაფერი იქნება გასაგები; თუკი რაიმეს მიუმატებ, ჩინელები შუასაუკუნეების ევროპელებად გადაიქცევიან. აკადემიკოსმა აღექსევემა რაღაც განსაკუთრებული სამუადება (გამონახა რუსული სიტყვების ამორჩევისა და დალაგებისა, რითაც შექმნა განსაკუთრებული რუსული ენა, განსაკუთრებული, ასე ვთქვათ, კრისტალური სიტყვისანივთიერების შემადგენლობა უწინდელი დარჩა, თუმცა ახალი თვისებები შეიძინა. კითხულობ და ილუსტრაცია გექმნება, თითქოს ჩინურად კითხულობდე (ისე, რომ არც ერთი ჩინური სიტყვაც კი არ იცი), თითქოს — ჩინეთში ხარ, სადაც „ყველა მცხოვრები — ჩინელია, და სადაც თვით იმპერატორიც კი — ჩინელია“, — როგორც ანდერსენი წერდა. მეტიც, სულ ცოტაც, და შენ თვითონაც ჩინელად იქცევი. საერთოდ კი, შუასაუკუნეების ჩინური ლიტერატურა, როცა კი ხელთ ჩამივარდებოდა, ყოველთვის მაჯადოვებდა იმით, რომ არ ჰგავდა ჩვენს ევროპულ, ჩვეულ სიტყვიერებას. გგონია, თითქოს ბიძია თომაზე კითხულობ, სინამდვილეში კი, არა — ერემოზე ყოფილა დიწერილი. ათი წლისა ვიყავი, როცა ხელთ ჩამივარდა „ინოსტრანაია ლიტერატურა“ გვონი 1955 წლის ერთი ნომერი, (ჩვენ არაფრის წაკითხვას არ გვიკრძალავდნენ, — ერთადერთი წიგნი, რომელიც მშობლებმა საკუჭნაოში დაგვიბალეს, იყო უხამსი თურქული ზღაპრები „მოხრდილთათვის“, ამ ხალხის არანორმალურად დაჟინებული ფიქსაციით ფეკალურ-ვაგინალურ დისკურსზე, — მე და ჩემმა დამ მაინც ვიპოვნეთ ეს წიგნი და ბევრსაც ვიცინოდით, და ამის შემდეგ უკვე აღარასოდეს დავინტერესებულვართ თურქული ლიტერატურით). „ინოსტრანაია ლიტერატურა“-ში დაბეჭდილი იყო, გვონებ XIV საუკუნის წარმტაცი, სამიჯნურო თემატიკის მოთხრობა. გმირს, მშვენიერ ჭაბუკს ახალგაზრდა და მასავით მშვენიერი პეტერა შეუყვარდა; ვნებით აღსავსე გრძნობამ იფეთქა ასეთ ვითარებაში: ხანამ სასიყვარულო თავშექცევას მიეცემოდნენ, ახალგაზრდები საროსკიაში შეექცეოდნენ ღვინოს (მათ რამდენიმე ჩაიდანნი თბილი ღვინო დალიეს); იყო ჩურჩული, მფრთხალი სუნთქვა; ბულბულის გალობა. და, აი, მშვენიერი ქალი ცუდად შეიქნა და მას პირღებინება დაეწყო. ჭაბუკმა მოწიწებით მიუშვირა ქალიშვილს თავისი აბრეშუმის სახელო, რომელზეც ფენიქსები იყო ამოწარგული, და ყმაწვილმა ქალმაც სახელოში ურწყია, რის შემდეგაც შიიძინა, — ჭაბუკი კი გვერდით ეჯდა და მის ძილს სდარაჯობდა — რა თქმა უნდა, ნარწყევით სავსე სახელოთი. დილით ყმაწვილ ქალს გაეღვიძა და მხურვალე მადლობა მიუძღვნა კავალერს გაღანტურობისათვის, ის კი მგზნებარედ მმადლობდა ქალს იმისთვის, რომ ღირსი შეიქნა... და ასე შემდეგ. ასე აახლოებს ღვინო ადამიანებს. ძალიან მომეწონა... (იგულისხმება უცნობი ავტორის მოთხრობა „ზეთით მოვაჭრე და ყვაავილთა ფერია“, გამოქვეყნებული „ინოსტრანაია ლიტერატურაში“ 1957 წელს. № 7, თარგმანი ა. ტიშკოვისა — რედ.).

იყო შესანიშნავი — „სამთა მეფობა“ — როგორც ამბობენ, ჩინულთა უსაყვარლესი წიგნი, მათი „ომი და მშვიდობა“, ევროპული გემოვნების წიგნი. მისი მომხიზლაობა ისაა, რომ შეგიძლია იგი ნებისმიერ ადგილას გადაშალო — ყველა გვერდზე ერთი და იგივეა აღწერილი. (აქ ბუნდოვნად გახსენდება ბორხესი). მაგრამ არის დეტალებიც: მაგალითად, მავანი გენერალი შინ ბრუნდება და აუწყებს ცოლს, რომ ყოველივე დამთავრებულია: ომი წავაგე და ახლა ყველას სიკვდილით დაგვსჯიან; მეც, შენც და ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახსაც — შვილებსაც და სახლეულებსაც, აგრეთვე შორეულ ნათესავებსაც, მსახურებსაც და მოგვარეებსაცო. ცოლმა კი — „მაშ, რაღაა აქ საფიქრალი?! — შეკვირვა აღმფოთებულმა და სახლის სვეტს ახალა თავი“. მშვენიერია შუა საუკუნეების იაპონური ლიტერატურაც. სიოი-სენაგონის „სას-

აუმაღლესი ჩაწერილი ამბები“ — ჩემი სამაგიდო წიგნია. მე ვხვდები, რომ იაპონელი, მას ალბათ, სულ სხვა თვალთ კითხულობს, მაგრამ აქ შენ ვერაფერს გააწყობ.

სულ სხვაა არაამოდ მოხსენებული ბორხესი, — მნიშვნელობა არა აქვს რომელ ენაზე წავიკითხავ მას. ამბობენ, მშვენიერი ესპანური ენითა აქვს დაწერილი მოთხრობებიო; მჯერა, თუმცა ესპანური არ ვიცი. რუსულსა და ინგლისურზე კითხვისას კი ჩემში ერთნაირი ეფექტი იბადება; შესაძლოა იმიტომაც, რომ ბორხესს ~~წინააღმდეგობა~~ წარმატებითაა თარგმნილი ორივე ენაზე, მაგრამ შეიძლება სხვა მიზეზიც იყოს. ის წერს მოკლედ, შეკუმშულად და ზუსტად — მინდა ვთქვა — ერგონომიულად-მეთქი, — შედეგად კი ვიღებთ საოცრად მშვენიერ მენტალურ კონსტრუქციას, რომელიც სიტყვის ტრანსცენდირებას ასდენს. მე ვფიქრობ, ეს სწორედ ის იშვიათი შემთხვევაა, როცა ტექსტის შინაარსი და სტრუქტურა ლამის გავიწყებს იმ სიტყვებს, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა ეფექტი. ბორხესი მე გამუდმებით მესაჭიროება, ყოველთვის ვკითხულობ და კვლავ და კვლავ გადავიკითხავ, ყველგან თან დამაქვს, ყველა ქვეყანაში და კონტინენტზე, რათა ადამიანური სისულელის, პრაგმატულობის, ამ წუთიერობის, ზერელობისა და უიმედობის ზღვამ მეც არ წამლეკოს. როცა ლიტერატურის კურსს ვკითხულობდი ამერიკაში (ეს იყო რაღაც „მსოფლიო ლიტერატურის“ მსგავსი, ანუ ისეთი ოდენობა საუკეთესო ტექსტებისა, რისი ჩატევაც შესაძლებელი იყო სამხანგვარ თვეში, ანუ 26 მეცადინეობის განმავლობაში), ბორხესი ჩემთვის ერთსა და იმავე დროს მამველი რგოლიც იყო და სასინჯი ქვაც (შეიძლება კია ერთი და იგივე რამ ერთდროულად რგოლიც იყოს და ქვაც? — ეს კითხვაც ბორხესისეულია. — შეიძლება!). მხოლოდ და მხოლოდ გონებრივი ძალისხმევა, რომელიც საჭიროა ბორხესის უმოკლესი მოთხრობის წაკითხვის, შეთვისებისა და გააზრებულად გადმოცემისათვის, აკლდა ექვსი წლის მანძილზე უკლებლივ ყველა 330 სტუდენტს, რომლებთანაც ურთიერთობა მომიხდა ამერიკაში. ამასთან ყველა ისინი გონიერნიც იყვნენ და ხიჭიერნიც. მაშ, რაშია აქ საქმე, რატომ ვერ სძლევენ ამერიკელი ახალგაზრდები აწორედ ბორხესს (მათი ასაკი 18-იდან 22 წლამდეა)? — ეს საგანგებო საუბრის თემაა. ავიღოთ თუნდაც მოთხრობა „ალეფი“ — ასე კრისტალურად ნათელი, მწყობრი, ასეთი გონებაბახვილური და ღრმა. — სწორედ რომ საბოძვარი გონებისათვის: არა, მასაც კი ვერაფრით კითხულობენ (ვერ ალიქვამენ). რაზეა დაწერილი მოთხრობა? — მოფიქრება-განსჯისათვის სტუდენტებს ვაძლევ ერთ კვირას (პასუხები მეორე კვირას): „აი, ისა რა, ის მიდის სტუმრად იმასთან, სახელი დამავიწყდა“. „ვინ მიდის?“ — ვეკითხები მე. „არ, ვიცი, ვერ გავიგე“, „ვისი პირით არის მოთხრობილი ამბავი?“ — კვლავ ვუსვამ კითხვას. „პირისაგან?“ — შეცბუნებულია. „ჰო, როგორ არის დაწერილი მოთხრობა, პირველი პირისაგან თუ მესამე პირისაგან, — ვინ არის მოთხრობელი?“ „არ ვიცი“. „კი, მაგრამ რისთვის მიდის „ის“?“ „რისთვის? — არ ვიცი. იქ არ არის ნათქვამი... აა! მან ტორტი მიიტანა!“ „როგორ, იგი იმისთვის მიდის, რომ ტორტი შეჭამოს?“ „არა... ჰო, აი, ისა, იქ ის ქალი მოკვდა, სახელი დამავიწყდა, და ისიც მასთან მიდის“. „იქნებ იგი სწორედ ამ ქალის გულისთვის დადის?“ — ვეკითხები მე. „კი მაგრამ, ის ხომ მოკვდა, რაღა საჭიროა სიარული?!“ „მაშ, რაკი მოკვდა, სასიარულოც აღარაფერია?“ „ღიანაც! — სტუდენტმა ანაზდად იფეთქა. — მე არ მომეწონა. არ მომეწონა მოთხრობა. რისთვის დადის იგი, თუკი ქალი მოკვდა? იგი თავისი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. წინ, მომავალში უნდა იყურებოდეს. ის კი უკან იყურება. ეს ნეგატიურია. ეს მე არაფერს არ მასწავლის. ღიან. ამიტომაც მე არ დავიძახხსოვრე. ასეთ რამეს მე, ჩვეულებრივ, არა ვკითხულობ ხოლმე“...

სახლში ჩვენ ოცნანი წლების შესანიშნავი ამერიკული საბავშვო ენციკლოპედია გვქობდა, რომლის სახელწოდებაც იყო „Book of Knowledge“ (ცოდნის წიგნი), ათი ტომი. სქელი, გაყვითლებული ფურცლები, შავთეთრი სურათები, თი-

თოვლი გვერდი იკლიკანტური ჩარჩოთი შემოვლებული: მოკლედ, მოდერნი. მათში მომხიბლავი სურათები იყო: ამერიკელი ნაპატიები ბავშვები, ქალებითა და ბავთიანი სარტყელებით; ისინი მერხებზე ისხდნენ და სამეცნიერო წიგნებს ათვალთვრებდნენ, ანდა სტერილურად სუფთა ქათმებსა და კურკლში ამოუგანგლავ ცხვრებს აპურებდნენ, მიკროსკოპში იშვინებოდნენ, დედიკოს ეხმარებოდნენ (მანძის მხარეებს) სუფრის გაშლაში ვრცელ, სუფთა სამზარეულოებში, — მოკლედ უნდა აღვნიშნავთ სახაობა იყო. ქალაქებში ზეცად მიიწვევდნენ ცათამბჯენები, ქალაქის ქუჩებში საქმიანი, ცილინდრიანი ბატონები მიიქიაროდნენ, ავტომობილებიდან წარმოუდგენლად თავიქცავებული ელევანტურობით იცქირებოდნენ მანდილოსნები. ყველაზე კარგი კი იყო ორთქლმავალი, რომელიც მაღალ ნაძვებს შორის მიჰქროდა თოვლის დამაყრუებელ, გაუვალ ნაძვრებში, და იძულებული იყვნენ მასზედ საგანგებო მოწყობილობა — თოვლის გადაყრელი მიემაგრებინათ, რომლისაგანაც თოვლი ორ დიდ კედლად იფრქვეოდა იქით-აქეთ. მაშინ ტუნეკა თავისთავად მე სულაც არ მაჯადოებდა, მაგრამ, ამ პირველყოფილმა ბუნებამ, რომლის წიაღშიც ყველანაირი ორთქლმავალი როდი შესძლებს გზის გაკვალვას, ამ უმანკო თოვლმა, ამ ნაძვებმა, ამ სუფთა სახლებმა და კარვად აღზრდილმა ბავშვებმა, რომლებიც არც ცინგლიანები იყვნენ, არც იგინებოდნენ და არც ღორებივით წუმბეში არ იყვნენ ამოვლებულნი, — ყოველივე ამან ისე გახაოცა, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოძვრა და ცრუ წარმოდგენა შექიქმნა ამერიკის სახეზე (მათს მიერ დაკარგულზე) — თითქოს იგი იყო ძალზე გონიერი, შავ-თეთრი, და სპუტაკი თოვლითაც დაფარული... ეჰ, ძმებო, ყოველივე ასე როდია, არ არის ასე!.. იმ დროს, როცა მე ამერიკაში მოვხვდი, თითქმის მთელი რკინიგზა უკვე აღებული იყო, და მხოლოდ ზოგჯერ, პენსილვანიის პატარა ქალაქებსა და ახალ ინგლისში თუ დაინახავდი ძველ რელსებს, დაფარულთ ნოსტალგიური ბალახით. დღეს ყველა ბავშვი, და ყველა მანდილოსანიც, ასევე ყველა ბატონი უნიფორმაშია გამოწყობილი: ტომრისებრი შარვალი, ტომრისებრი მაისური და ბეისბოლის მოთამაშეთა კეპკა, რომელიც შებრუნებულად წამოუხურავთ. აღარაფერს ვამბობ მიკი-მაუსზე. ივლინ ვომ ყველაფერი თქვა („დაუვიწყარმა“). შესაძლოა ის ამერიკა, მე რომ ასე მოძწონდა ბავშვობაში, არც არასდროს არსებობდა, მაგრამ მის ნაკვალევს მე ასლაც ვეძებ ამერიკულ ლიტერატურაში. იმ, მოგონილი პირველქმნილობის სუსტ მონაბერს მე იუდორა უელტის მოთბრობებში ვგრძნობ (თუკი დღეს იგი ცოცხალია, ალბათ ღრმად მოხუცი იქნება), მაგრამ ეს — სამხრეთია, მე კი ჩრდილოეთი მინდა. ფლანერი ო'კონორი გენიალური მწერალი ქალია, მაგრამ ისიც — სამხრეთია. სელინჯერი, ვაი, რომ უკვე აღარა წერს, სადღაც სახლშია ჩაკეტილი და, მგონი, ჭკუასზეც შეიშალა. რა საწყენია. ძველ მწერალთაგან შესანიშნავია მელვილი, რომელსაც თვითონ ამერიკელები დიდხანს ვერ აფასებდნენ, ახლა კი აღმოაჩინეს და მიხვდნენ, რომ ძილში გაჰპარვიათ გენიოსი. „მოზი დიკი“ მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი მწვერვალია. ო'პენრი ასევე გენიოსია, მაგრამ ამერიკელებმა არაფერი უწყვიან ამის შესახებ. მათ იგი მეტისმეტად მარტივი ერვენებათ. ჰოდა იძინეთ, განაგრძეთ არხენი ფშვინვა, ძვირფასო ამხანაგებო. იკითხეთ თქვენი აბდაიკი, რომელიც მხოლოდ გამლხვარია კარვი.

ერთის სიტყვით და მთლიანობაში, ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ უცხო ვნების ცოდნამ ხალისი წამართვა საზღვარგარეთული ლიტერატურა მეკითხა. ეს პარადოქსიკი არა, ყოველივე იმის შედეგია, რაზეც ამ წუთას ვილაპარაკე: როცა ხედავ უბადრუკ, ნაჩქარევად შეკოწიწებულ თარგმანებს, ფიცრულ ღობეებს, რომლის ფარღალაღა ღობეებიდან მეტისმეტად ცხადად გამოსჭვივის დედნის მწყობრი, მიუწვდომელი ნაგებობა, მაშინ აღშფოთებული ხარ უღირსი მთარგმნელის გამო, შეურაცხყოფილი ხარ რუსული ჩიტირთული ენის გამოც და იმითაც, რომ ასე მოექცნენ ფრანგულსა

თუ ინგლისურს, საიდანაც თარგმნიდნენ. ჰოდა, ასეც ფიქრობ: რატომ დავკარგო დრო ამ უმსგავსობაზე, არა სჯობია, ორიგინალში წავიკითხო! ხოლო, როცა ხელში დედანს იღებ, მაშინ, თუკი ის საკმარისად დახვეწილად დაწერილი, ხშირად იმავე ფრანგულისა თუ ინგლისურის ცოდნაც არა გეყოფნის. ეს ენები ხომ უძირკვესაშანოა, უღრმესია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ენა, და მათი სიტყვიერი მფრველის წინაშე თავს დანჯღრეულ პატარა ნაჲად გრძნობ. მე დედანში წამიკითხავს ხელთწერილი, თ'ჰენრი, ჰემინგუეი, მოპასანი: ისინი სულაც არ არიან იმგვარნი, როგორც თარგმანებში გვეჩვენება, ოუმცა ეს თარგმანები კარგია. კიდევ სამი თუ ოთხი ათეული მწერალი წამიკითხავს დედანში. მაგრამ განა ბევრს წაიკითხავ, განა ღრმად ჩასწვდები, თუკი, რა თქმა უნდა, ზერელედ, მოუთმენელი ცნობისწადილით არ გადაავლებ თვალს, ოუ რა იქნება შემდეგ: მე ისედაც ვიცი, რა იქნება შემდეგ. არა ის, „თუ რაზეა“, არამედ ის, თუ „როგორაა“, უფრო ზუსტად კი „როგორაა ის, რაზეცაა“ — აი, მაინც ეს იყო და რჩება სიტყვიერი ხელოვნების უმთავრეს აზრად და სიამოვნებად. ამერიკული ინგლისური უფრო ადვილია, თუკი არ ჩავთვლით უხვ, მოღურ და მარადის განახლებად სლენგს, რომელიც სრულიად მიუწვდომელია ჩემთვის, ხოლო ბრიტანული ინგლისური, მისი ტევადი, უმოკლესი სიტყვებით, საკმაოდ ძნელია. მე ასლანწუხვარ, რომ თავის დროზე მე, ესოდენ მცონარამ და უცნობისწადილომ, თავქარიანმა და დაუდევარმა, ხელიდან გავუშვი, დავკარგე დრო ჩემს ყმაწვილქალობაში და გვიან მოვეგე გონს, რის გამოც ვერ შევითვისე ყოველივე ის, რასაც ასე გულუხვად, მთავაზობდნენ, — ყოველივე ის, რაც უსაზღვროდ და ამოუწურავად მეჩვენებოდა. სიუხვის რქა ცარიელია, პაპაჩემი აღარ არის, აღარც მამაჩემი არის და უკვე ვერც ვერავინ დადგება გამკიცხველ კომანდორად ჩემს ზურგს უკან, ველარავინ გამომხედავს კომიკური რისხვით სათვალის ზემოდან დაუსწავლელი გაკვეთილის გამო. „მე მხოლოდ ხელნა ვარ ამ ეტლისა, მხოლოდ აჩრდილი მისი ფიგურისა“.. ნეტამც, ღმერთო, რუსული მაინც შევითვისო!...

იმის გამო, რომ მე დიდი ხნის განმავლობაში ლიტერატურას რუსულ და საზღვარგარეთულ ლიტერატურებად კი არ ვყოფდი, არამედ საინტერესო და უინტერესო ლიტერატურად, ასლაც გარკვეული ძალისხმევა მესაჭიროება, რათა გავაცნობიერო, თუ რომელი ავტორები არიან საზღვარგარეთელნი. რადგან, როცა ყოველივეს ერთმანეთის მიყოლებით კითხულობ, — როგორც ამას ბავშვობაში ვიქმოდით, — მაშინ აზრადაც არ მოგდის დაინტერესდე, რომელ ეროვნებას მიეკუთვნება ავტორი. აი, ასე ვკითხულობდი თავის დროზე ინგლისელ ა. კრონინს, დარწმუნებული, რომ იგი — რუსი მწერალია, ვინმე ანატოლი ივანოვიჩი. მისი გმირები უცხოურ გვარსახელებს ატარებენ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. „ომი და მშვიდობაც“ ხომ რამდენიმე გვერდიანი ფრანგული ტექსტით იწყება, ჩვენ კი სახლში რევოლუციამდელი გამოცემა გვქონდა, „იატებიურთ“, აწყობილი რაღაც ბანჯგვლიანი, ძნელად წასაკითხი შრიფტით, და მე დიდხანს თავს ვარიდებდი ლევ ნიკოლაევიჩს, რადგან იგი უცხოელი და მომაბეზრებელი მეგონა. მეორეს მხრივ კი, თუკი უცხოური სხვა რაღაცაა, ეგზოტიკური, ისეთი, რაც აუ, ჩვენში არ არის, მაშინ უცხოურად შეგვიძლო მიგვეჩნია ყოველივე არასაბჭოთა, ყოველივე უჩვეულო, არადღევანდელი. იყო კია ნაბოკოვი რუსი მწერალი, რომელიც მამაჩემს ჩამოჰქონდა, უფრო სწორად, ფარულად გამოჰქონდა საზღვარზე უბეში დამალული? ეს, „უბის ლიტერატურა“ საგანგებო თაროზე ვველაგა, მეორე რიგში. ნაბოკოვიც, სხვა „უბელების“ მსგავსად, არც ისე ქათქათა ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, ასე რომ, მისი წაკითხვა მეტროში ანდა აგარაკისაკენ მიმავალ მატარებელში რეკომენდებული არ იყო; შრომის ვეტერანებს უყვარდათ ზურგს უკანიდან ჩამოსხედვა: ნეტავ რასა კითხულობ, შე სათვალეებიანო ვიგინდარავ? — ეს კი, ა? რაში გვჭირდებოდა! (მოქცევის ამ წესე-

ბის გახსენებაზე ტანში მზარავს, ღმერთო მართალო! თეთრ ქალაღზე დაბეჭდილს ტრახსპორტში ნუ წაიკითხავ, ქსეროქსზე გადაღებულს ნუ წაიკითხავ, საზღვარგარეთულ ჟურნალს ნუ წაიკითხავ, აი, უცხოური წიგნი, რატომღაც, — კი/მატონი, ოლ-ონდ გარედან გაზეთი შემოაკარი). ეს ქედმაღლური სიციფე, ნაბოკოვის ყოველ სტრიქონში რომ იგრძნობა, ყველასა და ყველაფრისადმი ანგარიშგაუწველობის ეს ინტონაცია, შინაგანი თავისუფლების ეს საკმაზი, რომელიც ესოდენ ბუნებრივად, თავისთავად ებოძა მას, ეს მზაკვრული ცეცხლი გამოხედვაში: აჰა, წაიკითხე ჩემი წიგნი და გეგონა, ყველაფერიც გაიგე? — მაშ, კიდევ ერთხელ ჩაფიქრდი — სად არის დაძალული კურდღელი? — ყურცქვიტა კი, როგორც ჯერ-არს თავდაყირა ჰკიდია ტოტებგართხმული ხის მრუდე რტოებში ორი მეთევზურის თავს ზემოთ, რომელთაც ეჭვადაც არა აქვთ ეს, და სანამ ისინი არავისათვის საჭირო, მათ შორის კი თავიანთვისაც, ყოვლად უსარგებლო თევზს იჭერენ ქალაღის ამ მდინარეში, — მათი პანანების ზემოთ, ზენიტში, გონებას გარდახდომილი ფაუნა დამთმობ ფლორასთან შეთქმულებაში, უცნაურ სიმბიოზში გარინდულან, გაშეშებულან... და მთელი ფოკუსიც ისაა, რომ კურდღლის ძებნაზე გადასული მკითხველები, გახარებულნი რომ მისდგომიან მის ადგილსამყოფელს, არც კი უსვამენ საკუთარ თავს ასეთ კითხვას: კი, მაგრამ როგორ აღმოჩნდა კურდღელი იქ? ან კი, საერთოდ, შეიძლება კურდღელი ხეზე იყოს, ტოტებში? და მწერლის გასახარად, მის მიერ დაგებულ მორიგ ხაფანგში ებმებიან; აი, ასეთია ნაბოკოვი. უკან დავიხიოთ ამ შორს შეხეტებული ფრაზიდან და შოვიხილოთ გარემო მიდამოები: მიმწუხრის ბერლინურ ლამპიონებს, შპალერის ტიტებს, აგურის კედელს გამჭვირვალე სივრცეში რომ აპირქვავენ, — ყოველივე ამას შოვაველოთ თვალი. — ის ქუჩა ჩინეთში მთავრდება, ეს ვარსკვლავი კი მდინარე ვოლგის თავზე ჰკიდია, — ვნახოთ ყველაფერი ეს და ვკითხოთ საკუთარ თავს — რომელი ლიტერატურაა ეს: რუსული, ემიგრანტული თუ საზღვარგარეთული? ანდა ის გავიხსენოთ, რომ იგი სამ ენაზე წერდა, ანდა ის, რომ „ლოლიტა“ თავიდან ჩვენთვის არ დაწერილა, და მხოლოდ შემდგომ დაიწერა ჩვენთვის; ანდა ის, რომ მისი გვიანდელი რომანები ლანძღვა-კრულვით კვლავ უკანვე, რუსულ ენაზე უნდა ითარგმნოს, ამასთან, აქაც არიან მიჩრილ-მოჩრილი და ჩამორიგებული კურდღლები: ერთერთ ასეთ რომანში, როგორც ამერიკელმა სლავისტმა ქალმა მითხრა (ამას მისი ნათქვამიდან ვიმეორებ, ისე, რომ, არ მახსოვს, კერძოდ რომელი რომანია ეს), არის, მაგალითად, ფრაზა, რომელიც ინგლისურად მოლად დალაგებული და აზრიანი არაა. ამ ქალმა შექანიკურად, გაუცნობიერებლად რუსულ ენაზე თარგმნა ხსენებული ფრაზა და აღმოაჩინა, რომ ყველა სიტყვა ასო „კ“-ზე იწყებოდა. ასეა ერთ ძველ ინგლისურ ფილმშიც, სადაც კვდება ხუმარა ძია, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე თავს იქცევდა იმით, რომ pranks-სა და practical jokes-ს (ხრიკებს) უწყობდა ახლობელ-ნათესაეებს: სიკვდილის წინაც, უკანასკნელ წამს, ასწრებს იგი სანთებელათი მიუკიდოს ცეცხლი გაზეთის კიდეს, მის თავთით მჯდომი მომგლელი ქალი რომ კითხულობს არხეინად და ვერაფერს ხვდება, მაგრამ, ორიოდ წამში გაზეთი ააღდება და ქალიც სარდაცემული გაჰკივის!!! — რაღა დროს! — ძია უკვე გარდაცვლილა, სავსებით კმაყოფილი! დიას, ასეთია ნაბოკოვი. ის, რომ მან ნობელის პრემია ვერ მიიღო, მხოლოდ კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს ადამიანურ სიჩლუნგეს და ნობელის კომიტეტის სიმხდალეს. თუმცა ეს ამბავი არახალია, ძველია. განკითხვის საშინელ ლიტერატურულ დღეს, სწორედაც რომ, მრავალი სატანჯველ-საგვემელი იქნება მათთვის განმზადებული! და რამდენ ტირილს, გოდებასა და კბილთა ღრჭენას მოვისმენთ მაშინ! სიცოცხლის ბოლომდე იკითხავენ ისინი საბუღალტრო ანგარიშებს და პროვინციული გაზეთების მოწინავეებს!

არსებითად ჩემთვის სუღერთია, რას წავიკითხავ: მხატვრულ ლიტერატურას,

მეცნიერებს, წიგნებს მოგზაურობათა შესახებ თუ შრომებს ფსიქიატრიასა და ფსიქო-
ლოგიაზე — აქაცაა მათებული ბორცვები და ნაკადულები. ბავშვობაში ჩუენი ერთ-
ერთი უსაყვარლესი წიგნი იყო „მოთხრობები ექიმებზე“ (წიგნი დაგვეუარესა და ამი-
ტომ ავტორი არ მახსოვს). იქ იყო საკვირველი ძველებური გრაფიკები, ამბროუზ
პარე, — შექსპირისებული გოფირებული საყელოთი, — ხელის ხერხეფე რუბინის
ფეხს კამზოლში გამოწყობილ ტანჯულს; მსახურს ავადმყოფისთვის ~~მსახურს~~ მო-
აქვს, რათა იგი „თავდავიწყებას მიეცეს“. ელტროფორმის გამომგონებელი ახალ სა-
მუალებას სცდის საკუთარ თავზე და გრძობადაკარგული კინაღამ კვდება მარლის
სილაბქვეშ; მას გადაარჩენს შემოსწრებული ბინის პატრონი ქალი, მსუქანი, ჩაჩიანი
და ბაფთებიანი, ბობოქრობისა და განგაშის გამოხატულება. შუასაუკუნეების მკურ-
ნალთ, გრძელ მოსასხამებში, დაშნებით, ღამით ფარულად მიაქვთ სახრჩობელიდან
ჩამოსხნილი მიცვალებული ანატომიურ თეატრში, რათა გაკვეთონ იქ მეცნიერების
სადიდებლად... ბრიტანეთის სამეფო სამეცნიერო საზოგადოების თავკაცი კატეგორი-
ულად უარყოფს სისხლის მიმოქცევის არსებობას... როცა ყბაყურით ან წითელათი
ვიწეჭი საწოლში, გასაგები გულისძგერით ვკითხულობდი ხოლმე ყოველივე ამას და
ვოცნებობდი მედდა გამოვსულიყავი — ექიმი კი არა, სწორედ მედდა, რათა თავად
კი არ გადამეხერხა კინმესათვის ხელ-ფეხი, — რა საშინელებაა! — არამედ, ჩაჩებითა
და ბაფთებით მორთული, თანაღმობით დავარლიყავი ავადმყოფისაკენ და საეკლესიო
წითელი ღვინო (კაგორი) ანდა სხვა წიგნებიდან ნასესხები მალვაზია მიმერთმია
ორსახელურისანი თასით. მედიცინის შესახებ დაწერილი წიგნების კითხვა ისევე ამა-
ღელვებელია, როგორც მოგზაურობათა შესახებ, — დიახ, ეს საკუთრივ ერთი და
იგივეცაა. მახსოვს, ერთხელ, ბავშვობაშივე, გახარებულმა დავტაცე ხელი წიგნს,
რომლის მრავლისმეტყველი სათაურიც — „შავი ჭირი“ — ბევრ საინტერესოს მზი-
რდებოდა, წინასწარ ვტკბებოდი აქლემებით, მტვრიანი და დაცარიელებული აზი-
ური ქალაქებით, ხალიჩებით, ჩინარებით, ყვავეებით, თეთრი ჩაღმებით, მინარეთე-
ბითა და გმირი მკურნალებით, გაბედულად რომ ადიან თიხატკეპნილი სასლების
კიბეებზე, სადაც უშილავი გადამდები სენი მიყუყულა; მაგრამ ეს მხოლოდ მომაბეზ-
რებელი კამიუ აღმოჩნდა.

ანდა (რა საინტერესოა) სამედიცინო ენციკლოპედიები მედალივით წკრიალა,
მედერი სამმაგი სახელებით, რომლებიც თითოეული სინდრომისათვის მიუყვრები-
ათ, ანდა დანართები ფირფიტებზე: „შეშლილთა ხმები“! ანდა „ფსიქიატრიის სახელ-
მძღვანელო საშუალო სამედიცინო დაწესებულებებისათვის“ ფოტოსურათებით და
ასეთი წარწერებით: „ავადმყოფი ზ. ყურს უვდებს ხმებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ
მან ერთი ბოთლი პორტვინი დალიოს“! მოითხოვენ! ოპ, კაფკავ, სადა ხარ ახლა?!..
უკანასკნელი რამდენიმე წელია ვკითხულობ ამერიკელი (მანამდე კი ინგლისელი)
ნეიროფსიქოლოგის (თუ ფსიქონევროლოგისა?), თლივერ საქსის წიგნებს, რომელიც
ხამდვილად შესანიშნავი მწერალი და არასტანდარტულად მოაზროვნე ექიმაა. მი-
სი ერთ-ერთი პირველი წიგნია — „კაცი, რომელსაც თავისი ცოლი ქუდი ეგონა“
(„The Man who Mistook his Wife for a Hat“). სხვა წიგნები — „Seeing
Voices“, „A Leg to Stand On“, „Antropologist on Maps“. დოკუმენტური
სამედიცინო ნოველებისა და რომანების ჟანრს განეკუთვნება, რომლებიც მოგვითხ-
რობენ ადამიანის ტვინის წარმოუდგენელ თვისებებზე, მის ფანტასტიკურ (ყველა აზ-
რითა და მნიშვნელობით) შესაძლებლობებზე და უნარებზე, მაშინ რომ ვლინდებიან,
როცა ადამიანის ფსიქიკა ნორმიდანაა გადახვეული ტრილობებისა თუ ავადმყოფობის
გამო, და არა მაშინ, როცა იგი ჯანმრთელია, ანდა, უმჯობესად რომ ვთქვათ, ნორ-
მალურადაა. ერთ-ერთი მაგალითი ალბათ ყველასათვის ცნობილია ფილმით
„The Rainman“ („წვიმის კაცი“), სადაც ოასტინ პოდმანი აუთისკურ მიზოფრე-

ნიკს ასახიერებს, ვისაც არანორმალური მეხსიერება და უცნაური მათემატიკური უნარი აქვს; როცა იატაკზე ასანთის კოლოფი ეცემა, მას შეუძლია უმაღლეს თქვას, რამდენი ღერია იქ. ეს ნამდვილი შემთხვევა ყოფილა, და საქსიც აღწერს ტყუბებს, რომელთაც იგივე უნარი ჰქონიათ. სხვა უცნაურობანი ფანტასტთა მოთხრობებს გვაგონებს: მაგალითად, ასეთია იტალიელი მხატვარი, რომელიც კალიფორნიაში ცხოვრობს და თავის წინ ხედავს (თვალებით ხედავს, კი არ წარმოიდგენს) მსოფლიურ სოფელს, საიდანაც რამდენიმე ათეული წლის წინ წამოსულა და ახლანდელს დაბრუნდა. გზის აღიდგენს მას თვალწინ სულ უმცირესი დეტალებითურთ, ამასთან სხვა რამის ასევე დახატვა მას არ შეუძლია. მსგავსი მოთხრობა დიდ მანძილზე დანახვის (ხილვის) შესახებ უელსსაც აქვს. ზოგიერთი შემთხვევის წარმოდგენაც კი შეუძლებელია: მუიკოსი, მხატვარი და პედაგოგი (!), რომელიც წვეულებიდან წასვლისას ცდილობს ქუდის ნაცვლად საკუთარი ცოლი დაიხუროს თავზე, რადგან ვერ ხედავს განსხვავებას მათს შორის, არ ესმის ეს განსხვავება.

აღაძიახი, რომელსაც საკუთარი ფეხისა შეეშინდა და ცდილობდა მოეგლიჯა იგი როგორც უცხო რამ საგანი; ქალი, რომელიც აუტიზმით ევნებოდა და ამიტომ არ შეეძლო არანაირი ემოციის განცდა: ის ლექსიკონში ეძებს სიტყვა „სიყვარულის“ განმარტებას, მაგრამ ეს გრძნობა მაინც იღუმალეებითაა მოცული მისთვის; ეს ქალი „მომხვევ“ მანქანას იწყობს: წვება მასში და მანქანაც ყოველის მხრიდან „მკლავებს“ შემოაჭდობს! აი, მხოლოდ მაშინ სუსტად კრთება რაღაც მისი გრძნობების პორიზონტზე... ანდა ტურეტის სინდრომით შეპყრობილი ადამიანები ავიდოთ, წარმოუდგენელი რიტმით რომ ცხოვრობენ: როკავენ, იკრუნჩხებიან, იკვანწებიან, ქამელეონის სისწრაფით გამოჰყოფენ ენას, ბუზის დაჭერაც კი რომ ძალუძს, თითქოს გარშემოყოფთ აჯავრებენო, — ათობით „წიკი“ ერთ წამში! — ისინი გამუდმებით რატრატებენ, იგინებიან და ერთი წამითაც არ შეუძლიათ გაჩერება! ანდა სხვანი ავიდოთ, რომელთაც, პირიქით, რამდენიმე საათი სჭირდებათ იმისათვის, რომ მუხლზე დადებული ხელი ცხვირამდე მიიტანონ მოსაფხანად, მაშინ, როცა თვით მათთვის, მათს ცნობიერებაში ამ დროს მხოლოდ ერთი წამი თუ გადის! ახლა პარკინსონის სნეულეებით დაავადებული კატატონიკები ავიდოთ, რომელთაც არ ძალუძთ არც ხელის და არც ფეხის ამოძრავება, ოდნავ განძრევაც კი, და სწორ იატაკზე რომ დააყენონ ისინი, შეიძლება რამდენიმე დღე იდგნენ ასე — უაზრო, მახინჯ პოზაში, თანაც მდუმარედ — მათ ხომ ენაც შეზორკილი აქვთ, მაგრამ თუკი მათ კიბის თავზე ან ბეჭობზე აიყვანენ და ოდნავ ხელს უბიძგებენ, ახალგაზრდებივით გაიქცევიან, ლაპარაკ-ლაპარაკითა და მხიარული სიცილით. ყოველივე ეს ადამიანებზეა (დაწერილი), და ყოველივე ეს ნამდვილია. ხოლო საქსის უკანასკნელ წიგნში, რომელიც მე წავიკითხე, წარმატებულადაა შერწყმული მედიცინა და მოგზაურობა: საქსი აღწერს თავის ჩასვლას მარაღის მწიკვივით ერთ ბეწო კუნძულ პონპეიზე წყნარ ოკეანეში, რომელიც ყველა რუკაზე როდია აღნიშნული. იქ, ისტორიულ გარემოებათა გამო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ფერებს ვერ არჩევს (ეს არ არის დალტონიზმი). ოდესღაც რამდენიმე საუკუნის წინათ, საშინელი გრიგალის გამო კუნძულის თითქმის მთელი მოსახლეობა დაღუპულა, ხოლო ტომის ბელადმა, რომლისაგანაც ახალი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა წარმოიშვა, ამ უბედურებს თავისი მუტირებული გენი გადასცა — ფერებისადმი სიბრმავისა, და ეს ადამიანები არაოუ ვერ არჩევენ ფერებს, — ძალზე ცუდადაც ხედავენ, ვერ იტანენ მზის სხივებს და იძულებულნი არიან დღისით თავიანთ ქოხებში დაემაღნონ სინათლეს. ძლიერი სიბეცის გამო მათს ბავშვებს არ შეუძლიათ კითხვა, ცუდად სწავლობენ სკოლაში და მოსულელო ბავშვებად ითვლებიან, თუმცა ეს სულაც არ არის ასე, — ისინი ჩვეულებრივი ბავშვები არიან. სამაგიეროდ მათი უამრავი ღამით დგება: სიბნელეში ისინი კატებივით კარგად ხედავენ;

ზღვაშიც გახელილი თვალებით დაცურავენ და შიშველი ხელებით იჭერენ თევზებს. საქსი კუნძულ პონპეიზე მხოლოდ ცნობისწადილით აღვსილი მკვლევარივით როდი ჩავიდა, — მან მანამდე შეისწავლა ეს პრობლემა, კარგად მოემზადა, თან უბრალო საკურნებელი წამალიც ჩაიტანა: მზის, სათვალეები! ასობით მზის სათვალე, ოღონდ ჩვეულებრივი კი არა, არამედ ისეთი, რომლებიც მჭიდროდ ეკრობიან სხეულს და ტროპიკული მზის მცირეოდენ სხივსაც არ ატარებენ. აბა, წარმოიდგინეთ ეს მსურათი: ასობით მყისიერად თვალახელილი ბავშვი, რომელნიც მხიარული შემანიღლებით სირბილით მოედებიან მთელს კუნძულს!.. მაგრამ აქ ვწყვეტ ნებადართულ სიტყვას: ეს წიგნები უნდა ითარგმნოს და დაიბეჭდოს, — მოყოლით მათი გადმოცემა დაუშვებელია.

ევროპელ მწერალთაგან მე მიყვარს ისაკ დენისენი (იგივე კარენ ზლიკსენი), ცნობილი დახიელი ქალი, ბარონესა, რომელმაც თავისი ცხოვრების ნახევარი აფრიკაში გაატარა და წერა მხოლოდ ორმოცდაათი წლისამ დაიწყო, ამასთან ინგლისურ ენაზე. შესანიშნავი მწერალია ინგლისელი მალკოლმ ბრედბერი. მცირე ხნის განმავლობაში მოძწონდა პოლ ტერუ, შემდეგ კი ძალზე სწრაფად გამიარა სიმპათიამ მისადმი: თვითკმაყოფილება და ეგოიზმი სძალავენ ამ პროზის ნებისმიერ სხვა ღირსებებს. ის წერს რომანებს მოგზაურობებზე, ეს განსაკუთრებული ენარია, „რაც მინახავს“-ის მსგავსი, მაგრამ ნახვით მას მხოლოდ საკუთარი, ფრიად საყვარელი თავი უნახავს, ხოლო მთელი დანარჩენი სამყარო მასში ზიზღნარევი მოწყენას იწვევს. უყვარს წერა იმაზე, თუ როგორ ეკიდება ყელზე საყვარელი ქალი უმაღვე, როგორც კი დაინახავს, და ვნებიანად ცდილობს მის დაუფლებას, სულ ერთია, სადაც არ უნდა იყოს ეს — ევროპაში, აფრიკასა თუ აზიაში: აი, ამ წუთას, აი, აქვე სურს ამ ტურფას, საყვარელ ადამიანს დაეუფლოს. პოდა, ისიც გარკვეული დროის მანძილზე დიდსულოვანი შემწყნარებლობით უთმობს გონებადაკარგულ მენადას, შემდეგ კი ხედავს, რომ აქ რაღაც რიგზე ვერ არის: თვით ტურფა ქალიც აღარ იზიდავს და ოჯახიც ქალს ძალიან მოსაწყენი ჰყავს — ეს მამაო, ის ბიძაო; წადი, შენი! თანაც აქვე ახალი ტურფა მორბის, საჩქაროდ გზადაგზა იხდის ყველაფერს... მაგრამ ხება მიბოძეთ, მოწყალეო ხელმწიფევე, არ დაგიჯეროთ- Wishful thinking (ოცნებებში გადაჭრილა)... მშვენიერი მწერალია — ისიგურო, იაპონელი, რომელიც ინგლისურად წერს, იმიტომ, რომ ამერიკელია. საოცრად კარგია ამერიკელი ზანგი მწერალი ქალი — ზორა ნილ პერსტონი, — მისი თარგმნა, ალბათ, ძალზე ძნელია, რადგან იგი იყენებს negro talk“-ს — განსაკუთრებულ კილოვას, განსაკუთრებულ ინტონაციებს, ჩვენ კი ამის შესატყვისი არა გვაქვს და არც შეიძლება გვექონდეს. კუნდერა, ჩემი გემოვნებით თუ ვიტყვი, ზედმეტად არის შექმნილი. მაგრამ საერთოდ, როგორც უკვე ვთქვი, საზღვარგარეთული ლიტერატურა მე კარგად არ ვიცის: ეს ხომ მთელი ოკეანეა. გარდა ამისა, არიან არათანაბარი მწერლებიც: მაგალითად, ჯოის ქეროლ ოუტის ჩინებული მოთხრობები აქვს, მაგრამ ტყვიამფრქვევის სისწრაფით წერს და უამრავი ცუდი რომანი აქვს შეთხზული. მას, როგორც ამბობენ, ნობელის პრემიის მიღება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ფონს ხომ ძალით კი არა, მოხერხებით გადიან, და რაოდენობასაც აქ მნიშვნელობა არა აქვს. იმიტომ პრემიაც მის შავკანიან მეტოქეს — მწერალ ქალს ტონი მორისონს უბოძეს, რომელიც მე არ წავიკითხე, მივსდიე რა ბროდსკის რჩევას, რომელიც მას „წადი შენი“-ს უწოდებდა (დედანში, უფრო სწორად, ი. ბროდსკის მიერ, გამოყენებულია ვარგონული სიტყვა „უიობიშ“-ი, „ვიკიდიშ“-ის ანალოგიით! — მთარგმნელი), და შესაძლოა ტყუილუბრალოდაც დავუჯერე: ბროდსკი ხომ ძალზე ახირებული და უსამართლო შემფასებელი იყო ხშირად. თუმცა პრეტენზიები მე მაინც მაქვს ამ მწერალი ქალისადმი, თანაც — იდეოლოგიური ხასიათისა, იგი ლიტე-

რაჭურას ასწავლის პრინსტონის უნივერსიტეტში და სტუდენტებს ჩააგონებს, რომ ყველა თეთრი მწერალი, აგრეთვე თეთრი ინგლისური ენის ყველა მატარებელი, არის შეთქმულების მონაწილე შავი რასის წინააღმდეგ, რომელთაც განუგებ შეაქვთ თავიანთ მურტალ ენაში ისეთი გამოთქმები, როგორცაა „შავი ცხვარი“ „შავბნელი“ და ა. შ., რითაც, თავადვე მიხვდებით, რასაც მიგვანიშნებენო! თუმცა თუკი კარგმონამ შეიძლება სულაც არ შეუშალოს მას ხელი, კარგი მწერალი იყოს. ჩემი ამერიკელი კოლეგები, პროფესორები და მწერლები, ვის გემოვნებასაც ვენდობი, მრავალ კარგ თანამედროვე მწერალს მისახელებენ, რომელთა გვარებიც მე არაფერს არ მეუბნება, — მწერლებს, რომლებზეც, შესაძლოა, არც არის დიდი, მასობრივი მოთხოვნილება სწორედ იმიტომაც, რომ ისინი კარგი მწერლები არიან! ამასთან, როგორც ისინი მეუბნებიან, პირველი და, ვთქვათ, მესამე რომანი ამა და ამ მწერლისა — შესანიშნავია, ბრწყინვალეცაა, არც მერვე რომანს უშავს რამე, აი, დანარჩენი კი — საშინელებააო! უნდა ვთქვა, რომ ასეთი რამ ჩემთვის ძალზე უჩვეულოა: ჩვენში, თუკი მწერალი კარგია და ჩვენც იგი შეგვეყვარებია, მაშინ მიდრეკილნი ვართ, შევაქოთ ხოლმე ყოველივე ის, რასაც იგი დაწერს (სიყვარული ხომ ამგვარია), ხოლო თუკი თავიდანვე არ შეგვეყვარდა ვინმე, მაშინ გვიფრთხილდეს! ამერიკელ ინტელიგენციას კი კარგი ჩვევა აქვს — ყოველთვის პატიოსანი იყოს გემოვნების საკითხებსა და შეფასებებში, მაშინაც კი, თუკი ეს პიროვნულ უსიამოვნებებსა და ვიღაც-ვიღაცებთან დამღურებას გამოიწვევს. თუმცა ყოველთვისაც არ გამოიწვევს რამეთუ იქ შეუძლიათ განაცალკევონ პიროვნება მისი შემოქმედების ნაყოფებისაგან. აი, ამის სწავლას კი მე ნამდვილად ვისურვებდი.

ღირს განა ფუჭად საუბარი XX საუკუნის კლასიკოსებზე? კაფკას ვეთაყვანები. პრუსტი დავძლიე, მაგრამ მისი ხელახლა გადაკითხვა მოსაწყენია. ჯოისს ცუდად ვიცნობ, ფოლკნერსაც — ასევე, სარტრსაც ხასიათით ვერ შევეწყვე. პესსე ძალიან მიყვარდა. პენრიხ მანის წიგნები სახლში არა გვქონია და ორჯერ ბიბლიოთეკიდან წამოვიღე წასაკითხად: პირველად ალტაცებული დავრჩი, მეორედ კი ორი გვერდიც ვერ წავიკითხე. მეგონა ჭკუაზე შევიშალე-მეთქი, მაგრამ — არა, აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა თარგმანები იყო. აქედან კვლავაც იგივე მორალი გამომდინარეობს — მთავარი ისაა, თუ როგორია თარგმანი!.. დანარჩენი მწერლები გამოვტოვოთ — ყველაფერს ვერც ჩამოვთვლი.

ძველი დროის ლიტერატურიდან მიყვარს „გილგამეში“ (და საერთოდაც, ეპოსი სულაც არ არის ჩემთვის მოსაწყენი, „კალევალაც“ კი, რომელიც მართალია ბავშვობაში წავიკითხე, სრულ შეკრეჭილობამდე ადაპტირებული, მაინც ძალიან მომწონდა). ასევე მალეღვებს ძველევგვიპტური ლიტერატურაც, რომლის თარგმანის ხარისხზე, ბუნებრივია, ვერ ვაგებდავ საკუთარი შეხედულება ვიქონიო. მაგრამ სამარადჟამოდ დამამახსოვრდა ის შავბნელი იუმორი, რომლითაც ძველევგვიპტელი რომელიღაც საძაგელი და სახიფათო პროფესიის (ხელობის) სიმძიმეთ აღწერს: „და იმგვარადვე მოსვენებულია იგი, როგორადაც მოსვენებულია მავანი ნიანგის ქვეშ“; ვფიქრობ, ჩვენს დროშიც ყველას შეუძლია ეს სიტყვები თქვას საკუთარი თავის შესახებ, დაწყებული პარლამენტარიდან და დამთავრებული უბრალო მეწვრილმანე-გადაწყიდველით... და საერთოდაც, ჩემი გემოვნებით, რაც უფრო ძველია (ლიტერატურა), მით უფრო კარგია, მით უფრო საინტერესოა: იქ, ეონთა სქელი მტვრის ქვეშაც ხომ ასეთივე ცოცხალი ადამიანები არიან. როცა კნოსურ ფირფიტებს შიფრავდნენ (დაახლ. XV საუკუნისა ქრისტეს შობამდე), ერთი ასეთი სამეურნეო ჩანაწერიც ამოიკითხეს, საბუღალტრო ანგარიშიანობის ნამდვილი ნიმუში: „დურგალი ტირიოსი არ გამოვიდა სამუშაოზე“. ოპ, რა ნაცნობია!.. მერმე, რა თქმა უნდა, მიყ-

ვარს პეროდოტე (ყველაზე მეტად), არისტოფანე, პლატონი, ტაციტუსი, თეოფრასტე (ეს განსაკუთრებით), დიოგენე ლაერტელი, მარციალი, კატულუსი, იუბენალი, ოვიდიუსი, პორაციუსი, — მაგრამ პოეტები, ისევ და ისევ, ძალზე დამოკიდებულნი არიან მთარგმნელზე; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რუსულ ენაზე მათ ბევრმა გაუღიმათ, კარგი მთარგმნელები შეხვდათ. საერთოდ კი, პოეზიაზე არ მინდა ვილაპარაკო კვლავ და კვლავ ამავე მიზეზით; რამეთუ ვიცნობ კი მე ბაიბრინსკის შემსრულებელს მჩებკინა-კუპერნიკი ვიცო, მისი მთარგმნელი. ანდა ვიცნობ შოთბ რუსთაველს? — მე ხომ საბოლოოცაი წამიკითხავს. კარგი პოეტია. ძველი აღთქმიდან ყველაზე მეტად ეკლესიასტეს წიგნი მიყვარს, ახალი აღთქმიდან კი — აპოკალიპსისი (ეს ცხადი მჯობინება).

ხოლო შეკითხვა ძასხედ, რას იზამდი, „ხვალ რომ ომი დაიწყოს, ანდა წარღვნა აღსრულდეს“-ო, — ტრადიციულია, მაგრამ არც თუ პატიოსანი. ჯერ ერთი, თუკი აზარებებს ტრადიციასე მოხედვით მივუდგებით, შვიდი წყვილი უწმიდურის თან წაყვანაც მოგვიწევს, ეს კი, მგონი, სულაც არ შედის ამ ამოცანის პირობებში. მეორეს მხრივ, შეკითხვა არ ითვალისწინებს, თუ რა ვადაზეა გათვლილი წარღვნა: ორმოც დღეზე? მაგრამ მაშინ გონივრული იქნებოდა მოსახევი კალენდრის, კროსვორდების კრებულისა და პასიანსის გასაშლელი ბანქოს ქაღალდის წაღება. კვალად, შესამედ, და ეს ამბავი ყველაზე მარტივია, როცა გამოუსვლელად ზიხარ კილობანში, სულ რაღაც ახლის წაკითხვა გინდება, და არა — უკვე ნაცნობის კვლავ გადაკითხვა. მეოთხედ, ასეთი შეკითხვა მეტისმეტად სასტიკია: გამოდის, რომ ეს წიგნები მე უნდა გადავარჩინო, სხვანი კი, დაე, წარწყმდნენ წარღვნის წყალთა შორის?! განა ვინ გაიძეტებს რომელიმეს? ვის გადავაკდებთ „თანამედროვეობის ხომალდიდან“? აი, მაგალითად, მაქვს ერთი წიგნი კომის ენაზე, რომელიც იწოდება ასე: „ვოიას პირ, ბი პირ“. საოცრად მშვენიერი წიგნია. აი, რამდენიმე სტრიქონი ლექსიდან — „პორის წამ“:

„ეზ ვეშტივ მიოვპიო პისმიო ვილის.
იოდ პისმიო ვოის ილის-ილის,
კიონ კრასნიოი არმიიან პი,
კიონ ვილიონ მუნლის ვოინა ბი...“


და შემდეგ:

იაპონსკიოი ზვერმიომ სამურაი,
კიტ პოროკ ტშინის ვეტლის გიიონ,
სენ პეტირ ვოკლის შუიგა სოი
ენ კოსიინ ბიტშიოდლიომა შიიონ...

(წიგნისავე შენიშვნა: „ში — პურტ სიამა — იაპონური ხიშტი“).

მაშ, როგორ მოვიქცე: შევიტანო ეს წიგნი ჩემს კილობანში, თუ არა? იცით, რას ვიზამ: პირველად სწორედ მას შევიტან, გულში მაგრად ჩახუტებულს!.. მეხუთედ, — ოჰ, ღმერთო, ნეტავ, ენამ არ მიყივლოს! — ჩვენს გადატაკებულ ბიბლიოთეკებში ისედაც ხან ხანძარია, ხან წარღვნა, ხანაც „მპარაენი თხარიან და წარიტაციან“. მეექვსედ და შემდგომად მისსა, და შევწყვეტ ჩამოთვლასაც, თორემ აწ დავიბნევი კიდევც, — უზიდველი საშინელება ამ ამოცანისა მე უკვე განვიცადე იმავე კოლეჯში, სადაც 330 ამერიკელ მოზრდილ და ჯანსაღ ჯეელს არ ძალ-ედვა დაედლია პაწუა, ბრმა არგენტინელი ბერიკაცი, ის კოლეჯი ჩვენ, რომ იტყვიან, — liberal arts გვქონდა (ახლა კი მიშველეთ — liberal-მ!) და აი, იქ ჩვენს წინაშე ამოცანა (პრობლემა) წარმოიშვა — როგორ მოგვეხერხებინა და სცილასა და ქარიზმდას შორის ლავირებით (ქარიზმა ამ შემთხვევაში პოლიტიკურ კორექტულობას გაიოსახავს, და თანაც ისეთი ღორბუცელაა, ბატონებო, რომ ოდისევსის თანამგზავ-

რებს არც კი დასიზმრებიათ), როგორ ჩავვეტია ოთხ სემესტრში დასავლური ლიტერატურის „კანონი“, რომელიც, ცხადია, ათ სემესტრშიც ვერ ჩაეტევა. ჩვენ რა გვიჭირს აქ, რუსეთში, ქარიბდას გარეშე ვცხოვრობთ და არც კი ვაფასებთ ამას, უმადური ქმნილებანი! ვიღებთ შექსპირს და ვკითხულობთ, როცა კი მოგვეპრიანება, იქ, კი ამერიკაში, ეს პრობლემაა: შეტანილ იქნას თუ არა პროგრამაში „ოტელო“? თითქოს რა უჭირს, ზანგისმაგვარი ვინმეა, ასე რომ, რევექსსინგს ვაკეთებუღია, მაგრამ აკი მკვლელიცაა?! კვალად, „ილიადა“ და „ოდისეა“ აუცილებლად უნდა იქნას შეტანილი, მაგრამ ისინი ხომ ასე გრძელნი არიან, მთელ სემესტრს დაიკავენენ! უნდა შევკვეცოთ! „ხომალდების სია მე ნახევრამდე წავიკითხე...“ მანდელშტამმა ბოლომდე წაიკითხა, ჩვენი სტუდენტები კი არ წაიკითხავენ და სიის არსებობის შესახებაც ვერაფერს შეიტყობენ. აი, ცოტა პირველი ქებიდან ავიღოთ, შემდეგ ცოტაოდენს შუაგულშიც წაიკითხავენ, მერმე — ბოლოშიც, ხომ უნდა გაიგონ, საქმის ბოლო, — დაეცა, თუ არა ტროა, მიაღწია თუ არა, ვთქვათ, ოდისევმა, შინამდე, თუ იგი ციკლოპმა პოლიგემემ შესანსლა. ევრიპიდედანაც ერთი ნაკუწი ჩავაგდოთ „სუპმი“. ახალ აღთქმასაც ნაკუწებად სჭრიან: საფუძველი მათესაგან აიღეს, პუნქტირით, — გამოვიდა, რომ ქრისტე ძალიან სწრაფად ჩაისახა, იშვა, ჯვარს-ეცვა და მკვდრებით აღდგა, თავბრუდამხვევი სისწრაფით, როგორც მულტფილმ „ტომი და ჯერიშია“, — და კიდევ იოანესაგანაც დაამატეს ცოტაოდენი, სტილისტური კონტრასტისათვის და იდეოლოგიური სისრულისათვის. აი, სახარებების გამო მე ველარ მოვითმინე და გოდება ვიწყე: გეშინოდეთ, თვითონაც იცით, ვისი, ეს ხომ არც თუ დიდი წიგნია, ერთ საღამოს შეიძლება მისი წაკითხვა, ერთი სახარება მაინც დატოვეთ მთლიანად, ჯობდა კი — ოთხივე-მეთქი! მაგრამ, „რას ამბობ“-ო, — მიიხრეს დაძწუხრებულმა პროფესორებმა, — განა არ იცნობ ჩვენს სტუდენტებს? განა შეუდგებიან ოთხჯერ ერთი და იმავე ისტორიის წაკითხვას?“ „კი მაგრამ, ასე ხომ უკეთ დაიძახსოვრებენ-მეთქი, — ვეუბნები, — თორემ სახარების ერთ სიუჟეტსაც კი ვერ გაისიგრძეგანებენ, მთელი ევროპული ლიტერატურა კი, მეტ-ნაკლებად სწორედ სახარებების სიუჟეტებითაა გაელენთილი“. „რა თქმა უნდაო, — მპასუხობენ. — აბა, ამის საწინააღმდეგოდ რა გვეთქმისო, ეს საშინელი პრობლემაა და ჩვენ თვითონაც დიდად ვიტანჯებითო“. „ჰოდა-მეთქი, — ვეუბნები, — ნუთუ არ შეიძლება ახალი აღთქმა აუცილებელ საკითხავად შევიტანოთ, — ამის შემდეგ ხომ ყოველივე დანარჩენის ათვისება გაიოლდება?!“ ისინი კი — „ჰა, ჰა, ჰა“-ო, — იციანიან, — მთელი ფოკუსიც ამაშია, რომ ამას რელიგიურ იძულებად ჩავგითვლიან, ეს კი აკრძალულია! სტუდენტებს უფლება აქვთ (ამერიკის კონსტიტუციითა და კანონებით — მთარგ.), უარი თქვან ნებისმიერი ტექსტის წაკითხვაზე იმ საბაბით, რომ ეს შეურაცხჰყოფს მათს ზნეობრიობას, ანდა თავს ახვევს მათ უცხო შეხედულებებს, ანდა პროპაგანდას უწევს სხვათა სარწმუნოებას“. ჰოდა, ასე, ნამცეც-ნამცეც იქნა შედგენილი მთელი ორწლიანი კანონი. ეჰ, სამწუხარო იყო ეს კიდობანი, თუმცა — „დალონდა ჩვენი ყურცქვიტა, მაგრამა მეტი რალა ჩარა იყო“, — აკი ყველა კიდობანიც ასეთია. არა, მე არ ძალმიძს აწონვა, არჩევა და გაცხრილვა: ლიტერატურაში ყოველივე, საითაც არ უნდა გაიხედო, ერთმანეთზეა გადაბმული, და რომელი წიგნიც არ უნდა აიღო, — უძისოდაც კი კანონი სრულყოფილი ვერ იქნება. მაგრამ, აი, ისიც მძაფრად გწყურია, რომ სრულიად ახალი წიგნი გამოჩნდეს, უსასრულოდ საინტერესო, შესანიშნავად, ბრწყინვალედ დაწერილი, უცნაური, არაფრის მსგავსი, რომლის მედარებაც არაფერთან არ შეიძლება, მაგრამ ამისთვის ყველაზე მთავარია გამოცნობილ, შეცნობილ და კიდობანში თან შეყვანილ იქნას თვით მწერალი, რათა იგი მშვიდობიანად იქნას გაყვანილი აქაფებულ-აზვირთებულ მორევთა შორის ქვეყნიური ცხოვრებისა...





საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ თარგმანს, როგორც ენათმეორისი და კულტურათმეორისი კომუნიკაციის აქტს, უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ენიჭება და რომ ეს დასტურდება მისი რეალიზაციის ნებისმიერ სახეობაში. თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულების საკითხი, ისევე როგორც თარგმანის სოციალური ასპექტები, გარკვეულწილად მუდამ იყო ასახული თარგმანის შემსწავლელი მეცნიერების განვითარების შედეგებით ადრეულ საფეხურებზეც და მრავალ სპეციალურ გამოკვლევებში იმთავითვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ ყოველივემ შედეგებით უფრო სისტემური ხასიათი მიიღო მას მერე, რაც შემუშავდა სოციოლინგვისტიკის ცნებითი აპარატი.

თარგმანი, როგორც სოციალურად დეტერმინირებული მოვლენა, შეუძლებელია არ შეიცავდეს მრავალ ისეთ ნიშანს, რომელიც შედის სოციოლინგვისტიკური კვლევის სფეროში. ამდენად, ლინგვისტიკის სხვა ქვედარგებთან შედარებით, თარგმანის ენობრივი და გარეენობრივი ასპექტები უფრო მჭიდრო კავშირს ავლენენ სოციოლინგვისტიკასთან და ამ უკანასკნელის კვლევის სფეროში გაერთიანებულ ისეთ პრობლემებთან, როგორიცაა ა) ენა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, ბ) ენა და პიროვნების სოციოლოგია, გ) ენა და კულტურა.

ენის სოციალური ვარიანტულობის თარგმანში ტრანსპოზიციის საშუალებით გვექმნება წარმოდგენა უცხოენოვანი საზოგადოების სოციალურ დიდერენციაციასზე, უცხოური კულტურის რეალიათა ანალიზაციის გზით კი გვეცნობით უცხო ლინგვოთნიკური კოლექტივის ცხოვრების წესს, მის კულტურულ და სოციალურ ყოფას, სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკას განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებში და ადამიანთა ურთიერთობებში, ამ

ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულებას გარე სამყაროს მოვლენებთან და საერთოდ, უცხოური ეთნოკულტურული რეალობის მრავალ სხვა სპეციფიკას.

თარგმანის პრაგმატიკისთვის სოციოლინგვისტიკური ასპექტებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენის სოციალურად განპირობებული ვარიანტულობის ფუნქციონალური ანალიზაციის პრობლემა თარგმანში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, საწყისი ტექსტის ეთნოკულტურულ რეალიათა ტრანსპოზიციის პრობლემა განსხვავებულ ენასა და განსხვავებულ ეთნოგანაპირობებს თარგმანის ტექსტის ადაპტაციურ მოდიფიკაციას.

წინამდებარე ნაშრომში გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სოციოლინგვისტიკური პრობლემებიდან თარგმანის პრაგმატიკისთვის რელევანტურ ისეთ საკითხზე, როგორიცაა ენისა და პიროვნების სოციოლოგიის კავშირის ზოგიერთი გამოვლინება, რომელთაც თარგმანშიც „დნეობაში“ ტრადიციულად „უთარგმნელ ელემენტთა“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. ამ კატეგორიას განეკუთვნება ენის სუბსტანდარტული ფორმები, რომლებიც უპირისპირდება პრესტიჟულ სალიტერატურო ენის ფორმებს, ესენია: სოციალური ჟარგონი, პროფესიონალიზმები, დიალექტიზმები, მდაბიური არასალიტერატურო მეტყველება და ყოველივე ის, რაც სალიტერატურო ენის ნორმებს არ შეესაბამება.

ი. ი. რეაკერს მიაჩნია, რომ შემოსვენებული ენობრივი არახორმატიული მოვლენები ენის პერიფერიულ შრიებზეა განლაგებული და, წესით, უმართებულოა მათი განხილვა ნორმათა დარღვევის შემთხვევებად. ეს ფორმები საკუთარ ნორმებს იმორჩილება და არაფერი აქვს საერთო სასაუბრო მეტყველების განზრახვან უნებლიე დამახინჯებებთან*.

დაახლოებით იმავე აზრს გამოთქვამენ ა. ვლახოვი და ს. თლორინი**, რომლებიც ასევე თვლიან რომ ამ სპეციფიკურ ენობრივ ფორმებს, რომლებიც მართალია,

* Рецкер Я. И. Теория перевода и переводческая практика. М., «Международные отношения». 1974.

არ ემორჩილება სალიტერატურო ენის ნორმებს, მაინც ახასიათებს გარკვეული კანონზომიერებანი, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია მათი ტიპიზაცია და, თუკი ამ რიგის მოვლენებს მაინც განვსჯით სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, უფრო მართებული იქნება ვილაპარაკოთ არა ნორმათა დარღვევაზე, არამედ ნორმებიდან გადახრაზე.

ნორმებიდან გადახრის შემთხვევებში შემოხსენებული ავტორები გამოყოფენ ორ ძირითად სახეობას: კოლექტიური და ინდივიდუალური ხასიათის გადახრებს. პირველ კატეგორიაში აერთიანებენ დიალექტიზმებს, ფარგონიზმებს, არგოს, პროფესიონალიზმებს, ანუ არასალიტერატურო მეტყველების ისეთ გამოვლინებებს, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კოლექტივებისთვისაა დამახასიათებელი, მეორე კატეგორიას მიაკუთვნებენ ენის მოხმარების ისეთ არანორმატიულ შემთხვევებს, რომლებიც ასევე მრავალრიცხოვანი ინდივიდების სამეტყველო ჩვევაა, იმ განსხვავებით, რომ ეს ინდივიდები არ არიან გაერთიანებული არც საერთო საქმიანობის და არც ინტერესთა თანაზიარობის ნიშნით. ამ კატეგორიაში შემოხსენებული ავტორები აერთიანებენ უცხოელთა მეტყველებას, ბავშვთა მეტყველებას, და ასევე დეფექტური მეტყველების სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს.

თუ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს შევაფასებთ სოციოლინგვისტიკის ცნებებსა და ტერმინების გათვალისწინებით, მაშინ ყველა ის ენობრივი ფორმა, რომელშიც დასტურდება სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრა (ანუ თუ რომელიმე ენობრივი ფორმა შეიცავს მეტყველების ისეთ ხარისხობრივ მანკინებლებს, რომლებიც საზოგადოების განსხვავებული ფენებისთვისაა დამახასიათებელი), უნდა გავერთიანოთ ენის სტრატეგიაში უღივარეული ვარიანტულობის სოციოლინგვისტიკურ კატეგორიაში. ცალკე ჯგუფად ენის სუბსტანდარტულ ფორმებში გამოყოფთ ლოკალურ-ტერიტორიულ ვარიანტულობას (დიალექტიკებს). რომლებიც ასევე უთარამნელ ელიმენტობას უნდა მივიჩნიოთ. ამავი დროს, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაქტიკული ეკვივალენტურობის

სათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მეტალინგვისტიკური ხასიათის მოვლენათა ანალოგიზაცია თარგმანის ტექსტში. ამ კატეგორიას მივაკუთვნებთ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ისეთ შემთხვევებს, როგორც უკანონო ნორმების ენის ნორმებს ცუდად დასწავლული უცხოელის მეტყველება და ასევე ბავშვური მეტყველება, რომელსაც საკუთარი ენობრივი „ლოგიკა“ და საკუთარი „ნორმები“ ახასიათებს. თარგმანის ეკვივალენტურობისათვის მნიშვნელოვანია ასევე ენის სიტუაციური ვარიანტულობის ანალოგიზაცია თარგმანის ტექსტში. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ ისეთ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კომუნიკანტთა სოციალურ როლებთან ურთიერთდამოკიდებულებაში და სოციალურ სიტუაციათა პრაქტიკების ცვლასთან.

ენის ყოველი შემოხსენებული ვარიანტულობის მარკერები უმეტესწილად მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა სამეტყველო პარტიკულშია განფენილი. ანალოგიური მარკერები ხშირია ასევე მხატვრული თხრობის ისეთ სახეობაში, რომელშიც თხრობას წარმართავს არა ავტორი, არამედ პერსონიფიცირებული მახრობელი,* რომელთანაც ავტორი საკუთარ თავს არ აიგივებს. პერსონაჟის სამეტყველო პორტრეტი კი ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი თანამედროვე ეპიკურ ნაწარმებში, მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არსებითი ფორმალური მახასიათებელია, რომლის გაუფერულება თარგმანში ნაწარმოების ავტორის პრაქტიკული მიზანმიმართებისა და პოტენციური კომუნიკაციური ეფექტის გაუფასურების რისკს იწვევს.

მეორე მხრივ, ისიც აშკარაა, რომ ამ ენობრივი მოვლენების, დაფუძვალთ, თუნდაც, დიალექტიზმების ჩანაცვლება თარგმანში მეორე ენის იმავე კატეგორიის ენობრივი ფორმებით, შეიძლება ითქვას, თანამედროვე თარგმანის პრაქტიკაში ალკვივილი იღეთია და თუ ოდესმე მაინც იჩენს თავს, როგორც ეს ნაჩვენები იქნება ქვემოთ, ერთ-ერთი შედარებით ადრეული თარგმანის მაგალითზე, იგი უნდა შეფასდეს როგორც აშკარად მკადარი მთარგმნელობითი სტრატეგიის ფაქტი.

** Влахов С., Флорин С., Непереводимое в переводе. М., «Высшая школа», 1986.

* თხრობის ამ სახეობას ლიტერატურის თეორიაში აღნიშნავენ ტერმინით „ნაამბობი“.

§1. ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობის ტრანსკრიპცია
თარგმანის ტექსტში



სამეტყველო პორტრეტი, რომელიც პერსონაჟის დახასიათების, მისი მხატვრული სახის შექმნის ძალზე ეფექტური ხერხია, მეორე ენაზე ტრანსკრიპციას განსაკუთრებით ძნელად ემორჩილება იმ შემთხვევაში, როცა გმირის სამეტყველო პლანი უხვად შეიცავს ენის სტრატეგიკაციული ვარიანტულობის მარკერებს. ასე მაგალითად, ჯექ ლონდონის რომანში, „მარტინ იდენი“ ერთ-ერთი წამყვანი მხატვრული ხერხი, რომელიც მთავარი გმირის სხვა ადამიანად გარდაქმნის იდეას უფრო მეტ დამაჯერებლობასა და თვალსაჩინოებას მატებს, სწორედ მისი სამეტყველო პორტრეტი. ნაწარმოების საწყის თავებში, იქამდე ვიდრე გმირის „გარდაქმნა“ დაიწყებოდეს, მარტინის სამეტყველო პარტია უხვად შეიცავს მისი სოციალური წრისათვის დამახასიათებელი, არასალიტერატურო, მდაბიური მეტყველების მარკერებს — არანორმატიულ გრამატიკულ ფორმებს, გაუმართავ სიტყვათა წკობას, დამახინჯებულ წარმოთქმას და სხვ. ნაწარმოების მომდევნო თავებში კი, როცა მისი მეტყველება თანდათან იხვეწება, ასევე თანდათან მნდება უკეთ ორგანიზებული ენობრივი ფორმები, ხოლო რომანის ბოლო თავებში, როცა გმირის მეტყველება განსაკუთრებით მდიდრდება სახეობრიობით, იგი პოეტურად ამალღებულ რეგისტრშიც კი არის წარმოდგენილი.

გმირის არანორმატიულ მეტყველებაში რომანის საწყის თავებში:

თავს იჩენს მდაბიური, გაუნათლებელი კაცის მეტყველების მარკერები როგორც ფონეტიკის, ასევე გრამატიკისა და ლექსიკის დონეებზე;

1. არარეგულარული გრამატიკული ფორმები: ა) ზმნა-შემასმენლისა და ქვემდებარის რიცხვში შეუთანხმებლობა (you was sayin'; I ain't; it ain't); ბ) ორმაგი უარყოფა ერთ წინადადებაში (I don't know nothing much); გ) გამო-

მონათქვამის ლოგიკით გაუმართლებელი მრავალკავშირიანობა (მაერთებელი კავშირის მრავალგზის გახეობა წინადადებათა გასაყარზე იქ, სადაც აზრი ამას არ მოითხოვს).

2. სიტყვათა წარმოთქმის დამახინჯება ბოლოკიდური ან თავკიდური თანხმოვნების გაქრობით; ასეთია, მაგალითად, შემდეგ სიტყვათა რედუცირებული ფორმები: them ('em); and (an'); have missed (a'missed); being (bein').

3. არანორმატიული სიტყვათშეხამება (real goods; I ain't much on poetry; It ain't in my class).

მარტინის არასალიტერატურო ენით მეტყველების ეფექტი ქართულ თარგმანში მთელი სისრულით ვერ გადმოდის, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი შესრულებულია საუკეთესო მთარგმნელისა და მწერლის ვ. ჭელიძის მიერ. ამ გარემოების მიზეზს არ ვხედავთ მარტინის მთარგმნელის შემოქმედებით ინდივიდუალობასა და ლიტერატურულ კრედიტში.* იგი უფრო მეტად საძიებელია ენის სტრატეგიკაციული ეფექტის მეორე ენის ფორმებით ანალოგიზაციის უდიდეს სირთულეში და სწორად შეუძლებლობაშიც.

თვალსაჩინოა ამ მხრივ რუთისა და მარტინის ვრცელი დიალოგი იმავე ნაწარმოების მე-7 თავიდან. ამ დიალოგში რუთი ენობრივ მეცდომებს უსწორებს მარტინს, აღნიშნული ეპიზოდი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რატომ არის შეუძლებელი არანორმატიული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ყოველი ენობრივი მარკერის მექანიკური გადატანა თარგმანში იმავე ენობრივი დონის ერთეულებით.

* საერთოდ, ვ. ჭელიძის თარგმანებისათვის დამახასიათებელია თარგმანის ტექსტის ისეთი პრავმატული კონსტრუირება, მისი იმგვარი ადაპტაცია თარგმანის მიმღებ კულტურასთან და, რაც მთავარია, ენობრივ ფორმათა ისეთი ბუნებრიობა, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი იკითხება სრულიად დაუძაბავად, ისე, თითქოს ნაწარმოები თავიდანვე ქართულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი.

ორიგინალის ტექსტში ქალი ბეჯითად უხსნის მარტინს მისი შეცდომების არსს, უსწორებს სიტყვათა წარმოთქმას და ცდილობს განუმარტოს მისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და გრამატიკული ფორმების არანორმატიულობის მიზეზები. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ შეპირისპირებულ ენათა სტრუქტურული არაერთგვაროვნება არ აძლევს მთარგმნელს საშუალებას ასახოს თარგმანის ტექსტში ყოველი ცდომილი ფორმა მეორე ენის იმავე დონის ერთეულებში, მთელი ეს „შეცდომების გასწორების“ ეპიზოდი სრულიად კარგავს ფუნქციას თარგმანის ტექსტისათვის. ამიტომაც, რომ ორიგინალის ორ გვერდზე განფენილი „გრამატიკის გაკვეთილის“ ტექსტი შეკუმშულია რუთის ერთადერთ მოკლე რეპლიკაში, რომლის შესაბამისი სეგმენტი ორიგინალის ტექსტში არ დასტურდება და ამჟამად მთარგმნელის მიერაა ჩამატებული. აი, ეს რეპლიკაც:

„ერთი სიტყვით, გრამატიკაში სცოდნეთ, დროებს ურევთ, მრავლობითსა და მხოლობით რიცხვსაც ვერ ათანხმებთ, უღლილებაც გეშლებათ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გრამატიკა უნდა ისწავლოთ“.

კომპენსაციის მეთოდი, რომელიც ლინგვოთნიკური ბარიერების დაძლევაზეა მიზანმიმართული და ძალზე ეფექტურია სხვა შემთხვევაში, ზოგჯერ არასაკმარისი გამოდგება ხოლმე ისეთი დიდი მასშტაბის წინააღმდეგობათა დასაძლევად, რომლებიც შესაძლოა აღმოაჩნდეს ორიგინალის ტექსტს, რადგან კომპენსაციის საშუალებებსაც აქვს თავისი შეზღუდვები. სწორედ ამისი დასტურია ზემოთ განხილული შემთხვევა.

ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის ასეთი სახეობა, რომელსაც ტექსტის კომპრესიის ნიმუშად მივიჩნევთ, ზოგჯერ უფრო გამართლებულია სწორედ პრაგმატული მიზნებით, ვიდრე დენოტაციური სიზუსტის დაცვის ცდაში არაბუნებრივი, ხელოვნური ენობრივი ექსპერიმენტით მანევრირება.

როცა ვლაპარაკობთ არანორმატიული ენობრივი ფორმების ზუსტი კალკირების შეუძლებლობაზე, ვგულისხმობთ, რომ ის, რაც მიგვანიშნებს ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან გადახრაზე და რაც ინგლისური ენის სტრუქტურული ვარიანტობის მარკერად მიგვაჩნია, შესაძლოა სრულიად არ ავლენდეს იმავე ეფექტს თარგმანის ენაში ისევე და ისევე, ენათა არაერთგვაროვნების გამო საკუთრივ პერიფერიულ შრეებშიც კი. ასე მაგალითად, არასალიტერატურო ენის ერთ-ერთ მარკერად ინგლისურში ითვლება ორმაგი უარყოფის რეალიზაცია ერთ წინადადებაში: „They never helped nobody“. როგორც რუთი უხსნის მარტინს, ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ენაში საერთოდ ანეიტრალებს უარყოფით მნიშვნელობას და საპირისპირო მნიშვნელობას იძენს

„It is a rule that two negatives make a positive; „never helped nobody“ means that not helping nobody, they must have helped somebody“.

ქართული ენის ნორმათა მიხედვით, „არავის არ უწევენ დახმარებას“ (ანუ ორი უარყოფა) არც თუ სწორი ფორმაა და აჯობებდა თქმულიყო „არავის უწევენ დახმარებას“ (ანუ აზრი გამოხატული ყოფილიყო ერთი უარყოფითი ფორმით). ცხადია ისიც, რომ ასეთი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება ქართულში არასოდეს მტკიცებითობის მნიშვნელობას არ შეიძენდა ისეთნაირად, როგორც ეს ინგლისურში ხდება, როგორც ამაზე მიუთითებს რუთი; ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ხმარებადი ორმაგი უარყოფა მარტონდენ ამძაფრებს გამონათქვამის ექსპრესიულობას.

ამდენად უმართებულო იქნებოდა იმავე შეცდომის კალკირება ქართულ თარგმანში.

იგივე უნდა ითქვას ბოლოკიდური ან თავკიდური თანხმობების რედუცირებაზეც, რაც ასევე არაბუნებრივი იქნებოდა თარგმანის ენისათვის. ამდენად, სავსებით გამართლებულია, რომ მთარგმნელს

თავი აურიღებია ასეთი ენობრივი ექსპერიმენტისათვის და ხელოვნურობის თავიდან ასაცილებლად, ამავე დროს, ორიგინალის ეფექტის თუნდაც ნაწილობრივი ანალოგიზაციისათვის, შეცდომათა მთელი სერიიდან თარგმანის ტექსტში გადმოუტანია ის, რაც უფრო მეტად დამყოლი აღმოჩნდა დამახინჯებისათვის — ეს არის დაბალი რეპუტაციის სიტყვის აქტივიზაცია და ისეთი გრამატიკული შეცდომა, როგორცაა ქვემდებარისა და შემასმენელის შეუთანხმებლობა რიცხვში:

„By the way, Mr. Eden, what is booze? You used it several times, you know.

„Oh, booze“, he laughed, „it's slang. It means whiskey and beer—anything that will wake you drunk“.

„And another thing“, she laughed back, „Don't use you when you are impersonal. You is very personal, and your use of it just now was not precisely what you meant“.

„— ჰო, მართლა, მისტერ ედენ, ყლ აპვა რას ნიშნავს რამდენჯერმე ახსენეთ დღეს ევ სიტყვა.

— ოჰ, ყლაპვა, — გაეცინა მარტინს, — უბრალო ხალხი ასე იტყვის ხოლმე... არაყს რომ დაღევენ, ან ლუდს... ან ისეთ რამეს, რაც თქვენ დაგათრობს.

— აი, კიდევ ერთი შეცდომა, გაიცინა ქალმა... — რაკი თქვენობით მომმართავთ, ზმნაც მრავლობითში უნდა გეხმარათ, დაგათრობთო უნდა გეთქვათ“.

ორიგინალის მიხედვით, როგორც ეს ჩანს ინგლისური ტექსტიდან, ქალი მარტინს განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელის არასწორ ხმარებაზე მიუთითებს, თარგმანში კი შეიცვალა შეცდომის ხასიათიც და მასთან დაკავშირებული განმარტების შინაარსიც. მაგრამ ასეთ ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ თარგმანშიც აისახა მარტინის მდაბიური მეტყველების მარკერები, თუმცა ეს ეფექტი განსხვავებულ ერთეულებზეა გადაადგილებული. ეფექტის გადაადგილების ხერხი, ისევე როგორც

ადრე განხილული კომპრესიის მოვლენა, ის პრაგმატული ოპერაციებია, რომლებიც უზრუნველყოფს შეპირისპირებული ტექსტების კომუნიკაციური ეფექტის წონასწორობას.

მოყვანილ ნაწყვეტში სწავლულსა ასევე სიტყვა „slang“-ის შენაცვლება განმარტებითი ინტერპრეტაციით („უბრალო ხალხი ასე იტყვის ხოლმე“). საქმე ის არის, რომ ინგლისურში სიტყვას „slang“ არა აქვს ლინგვისტური ტერმინის შეფერილობა და უბრალო ადამიანის მეტყველებისათვის შეუფერებელ სიტყვად არ აღიქმება, მაშინ როცა მისი არცთუ ზუსტი, მაგრამ ერთადერთი ქართული შესატყვისი — „უარგონიზმი“ უფრო მეტად ავლენს ლინგვისტური ტერმინის შეფერილობას და, ამდენად, მისი ხმარება იმ პიროვნების მიერ ვინც ელემენტარულ გრამატიკაშიც კი არ არის გათვითცნობიერებული, ამკარად უადგილო იქნებოდა; ისე, რომ ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა მთარგმნელს მთარგმნელობითმა ალლომ.

ენის ვარიანტულობის ისეთი სახეობის ტრანსპოზიცია თარგმანში, როგორცაა ლოკალურ-ტერიტორიული დიალექტი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, თუ, ერთი მხრივ, სასურველი არ არის ორიგინალის ნაციონალური სპეციფიკის სრული განეიტრალება, ასევე არასასურველია გადაჭარბებული ევსოტიზმიც და მით უფრო ნაკლებ სასურველია ორიგინალის დიალექტურ ფორმათა ანალოგიზაციის მიზნით თარგმანის ენის კილოკავთა ზედმეტი აქტივიზაცია და მკითხველისათვის უცხოური ეროვნული გარემოს ილუზიის შექმნის ნაცვლად, მშობლიური ეროვნული გარემოს სურათის დახატვა.

ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება, თუ მაგალითად მოვიყვანთ ზემოთ ნახსენები ერთ-ერთი ადრეული თარგმანის ფრაგმენტებს. ეს არის შატრიანის რომანის — „გლეხი-კაცის ისტორია“ — ივ. მაჭავარიანისეული თარგმანი ფრანგულიდან. ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები ამოკ-

რეფილია ალაღბედად შერჩეულ სულ ორ-
იოდუ გვერდიდან:

„ენკენისთვის დამდეგი იყო“, „გუთნი-
დედა პეტრე ბარს მისცემს და ეტყვის, სა-
ქმეში მომეხმარეო“, „მე საკმარის ჭადსაც
არ მარჩენდნენ, რომ იმას ლხინი გადაე-
ხადა და ოცი ათასი თუმანი დაეხარჯა“,
„გაალე კარი, ივანე, მე ვარ, ქრისტეფო-
რე მღვდელი. ნათლიაჩემი კარებს ეცა, ნა-
თლიჯალაბმა კი სანთელი გამოიტანა“,
„აგრე შვილო, აგრე, შენ კი გენაცვალოს
დედაშენი, აგრე უნდა გიყვარდეს მშობ-
ლები, მა!“, „ნეტავი რად უნდა ე ფული,
საჭმელ-სასმელს არ დააკლებენ და წინდა-
პაჭიჭსა“, „ბიძაჩემს გაუმარჯოს, ბიძაჩემ-
სა! წამო, ერთი ჩარეკი წამოგაქციოთ და
ყელი გავისველოთ“, „რა გატირებს, კა-
ცო, ცოცხალს ხო არ დაიტირებ ი ბიჭსა!“,
„უკანასკნელი კაცი მეგონე, როცა მამა-
შენს ხარ-ურემი მოპარე და გაყიდე, რომ
გექეიფნა“, „რა ქნას ღარიბმა კაცმა, იმან
რომ აქეთ-იქით იაროს ქადა-ნაზუქებს
ხომ არ ჩამოუყრის მალლიდან ღმერთი?“,
„დიდი უღმთოა ის ოჯახდასაქცევი, ისა!“,
„აბა, ერთი ე თამასუქი წამაკითხე, ბიჭო,
რომ დავრწმუნდე ერთი, რომ აღარაფერი
გვემართებს იმ ურიის კერძისა“, „აბა, ჰკი-
თხე რასა ჩადიოდნენ აფიცრები, საცა ლა-
მაზ ქალსა ნახამდნენ, თავიანთსა მიათრევე-
დნენ“, „ერთი ისეთი თხა ვუყიდე დედა-
ჩემსა, რომ ძირს დაათრევედა ჯიქანსა“.*

ა) ქართული რეალიები (გუთნი-დედა,
ჭადი, თუმანი, ნათლიჯალაბი, წინდა-პა-
ჭიჭი, ჩარეკი, ქადა-ნაზუქი).

ბ) ნაცვალსახელთა დიალექტური ვარი-
ანტები (ი ბიჭი, ე ფული, ე თამასუქი).

გ) ქართლ-კახური დიალექტური ფორ-
მები (ექეიფნა, ნახამდნენ, თავიანთსა).

დ) მიცემითი ბრუნვისათვის ასევე დია-
ლექტური დაბოლოების „ა“-ს დართვა
(ბიჭსა, დედაჩემსა, ჯიქანსა, ქალსა).

ე) უთუოდ რუსულიდან შემოსული სი-
ტყვა „აფიცრის“ რუსული წარმოთქმის
კალკირება, რაც ადრე გავრცელებული

იყო ქართულ არასალიტერატურო მეტყვე-
ლებაში.

ვ) გადმოქართულებული საკუთარი სა-
ხელები (ქრისტეფორე, ივანე, პეტრე. ტე-
ქსტის სხვა ნაწილებში ვხვდებით ასევე
სახელებს: მარგალიტა, წიწკი, ჭამი სხვ.).

ზ) წელიწადის თვეთა ქართული სახე-
ლწოდებანი (ენკენისთვე, ტექსტის სხვა
მონაკვეთებში ვხვდებით ასევე: თიბათვე-
სა და მკათათვეს, სახელწოდებებს, რომ-
ლებიც ბოლო დრომდე იხმარებოდა ქარ-
თულ სოფლებში).

თ) ქართულ ხალხურ მეტყველებაში გა-
ვრცელებული საღანძღავი ფორმები (ოჯ-
ახდასაქცევი, ურიის კერძი).

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი დეტალი,
რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ანალოგიურ
მოვლენებზე მთელი რომანის მასშტაბით,
ამკარად სრულიად ანეიტრალებს ორიგი-
ნალის კოლორიტს და გვიქმნის ქართველი
კლუხის ნაამბობის შთაბეჭდილებას.

ნიშანდობლივია, რომ ივ. მაჭავარიანის
ეს თარგმანი შესრულებულია ქართულ
ლიტერატურულ ცხოვრებაში ხალხოსან
მწერალთა ნაკადის მოსვლის პერიოდში,
როცა ლიტერატურული ენის განვითარე-
ბაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ —
ეს იყო სასულიერო მწერლობის ძველი
თარგმანებიდან შემორჩენილი მძიმე სინ-
ტაქსური მარწუხებიდან ენის განთავისუ-
ფლებისა და მსუბუქი, ხალხური მეტყვე-
ლების გადმონერვვის ცდა სალიტერატუ-
რო ენაში. ზემოთ განხილულ თარგმანსაც
ეტყობა ერთ-ერთი გარეენობრივი ფაქ-
ტორის — ეროვნული ლიტერატურის ტე-
ნდენციათა გავლენა ტექსტის ენობრივ
ქარგაზე.

დიალექტის ცნება მუდამ შეიცავს ენის
ტერიტორიული მოხმარების გაგებას. იგი,
როგორც ცნობილია, მხოლოდ გარკვეულ
ტერიტორიულ საზღვრებში ნიქმედებს.
ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ლინგვოე-
თნიკური კოლექტივები კი, მთელი რიგი
ისტორიული ფაქტორების გამო, ძალზე
პრავალრიცხოვან და ერთმანეთისაგან დი-
დად დაშორებულ ტერიტორიებზეა გაფა-
ნტული, ამდენად, თუ ბრიტანეთის კუნძუ-

* ერკმან მატიანი, „გლეხი-კაცის ისტორია“,
სახელგამი, თბ., 1939.

ლებზე გავრცელებულ რამდენიმე ათეულ დიალექტს დაკუმატებთ ასევე ლოკალურ-ტერიტორიულ ვარიანტებსაც (ირლანდიური, მოტლანდიური) და იმ ე. წ. „პიბრიდიზებულ ენებს“, ანუ ინგლისურის ისეთ ვარიანტებს, რომლებიც მრავლად ჩამოკალიბდა ამერიკის კონტინენტზე სხვადასხვა ლინგვოეთნიკურ კოლექტივთა ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში, აგრეთვე ინგლისური ენის კანადურ და ავსტრალიურ ვარიანტებსაც, აღმოჩნდება, რომ ინგლისურის დიალექტებისა და ენის ლოკალური ვარიანტების რაოდენობა განუზომლად დიდია. ცხადია, რომ ყოველი ლოკალური სახეობა განსხვავდება წარმოთქმითაც, მორფოლოგიური მახასიათებლებითაც და ლექსიკური ერთეულებითაც. ისიც ცხადია, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებში (ვგულისხმობთ მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციას პროვინციიდან პროვინციაში, ქვეყნიდან ქვეყანაში) გამოიწვია დიალექტთა ინტერფერენცია და სწრაფი სახეცვლის პროცესი. მაგალითად, დღევანდელი თვალთახედვით ზოგჯერ ძალზე ჭირს იმისი დადგენაც კი, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის ენობრივი ერთეული — დიალექტიზმს თუ მოძველებულ, სალიტერატურო ენაში გაუჩინარებულ სიტყვას. სპეციალისტთა აზრით, ლონდონურმა დიალექტმა („კოკნიშ“) მაგალითად, რომელსაც ზოგჯერ მიიჩნევდნენ არა დიალექტად, არამედ ქალაქური მდამიური მეტყველების სახეობად (Encyclopedia Britannica of 1964), მისი განვითარების მე-19 საუკუნის სტადიასთან შედარებით, რომელიც მთელი სისრულით აისახა ამ პერიოდის ინგლისურ ლიტერატურაში (თეკერი, დიკენსი და სხვ.), იმდენად რადიკალური ცვლილება განიცადა, რომ მის ცალკეულ ერთეულებს ავტორიტეტულ ლექსიკონებში უკვე არქაიზმების სტატუსი აქვს მინიჭებული. მაგრამ თარგმანციოდნეობისათვის დიალექტთა თუ ვარიანტთა ლინგვისტურ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზით, რომ თითოეულის სპეციფიკის ანალოგიზაცია თარგმა-

ნში უნაყოფო ცდა იქნებოდა. თარგმანის ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაცია, ამ შემთხვევებთან დაკავშირებით, მიზანმიმართული უნდა იყოს ზოგადპროვინციული ან, უფრო სწორად, მდამიური, არანორმატიული მეტყველების ეფექტის შექმნაზე მერყე ენის საშუალებებით.

პერსონაჟის დიალექტური მეტყველების ტრანსპოზიციისას თარგმანში საჭიროა გამოინახოს ისეთი ზომიერი და ქართული ეროვნული კოლორიტით შეუფერავი საშუალებები, რომლებიც მარტოოდენ მიგვანიშნებენ პერსონაჟის მეტყველების სუბსტანდარტულ ხასიათზე.

ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი ფორმების გამონახვა პოტენციაში შესაძლებელია, თუმცა ბევრი მთარგმნელი თავს არიდებს ამ მიმე ამოცანის გადაწყვეტას.* რიგ შემთხვევაში მარტოოდენ მცირედი ასეთი მინიშნება და თითო-ორთა ელემენტის სპორადული ხმარების საფუძველზე ირადიაციის ეფექტის მოქმედებაც, თავის მხრივ, მაინც გვიქმნის მიახლოებით წარმოდგენას პერსონაჟის სამეტყველო ჩვევაზე.

შედარებით უმტკივნეულოდ შეიძლება აისახოს თარგმანში სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა და როცა არ ხერხდება საკუთრივ იმ ერთეულის დამახინჯება, რომელიც ორიგინალში შეიცავს ამ ნიშანს, ეფექტი, როგორც ადრე ითქვა, შეიძლება გადავანაცვლოთ სხვა, დამახინჯებისათვის უფრო დამყოლ ერთეულზე, მაგრამ მთავარია რომ წარმოთქმის არანორმატიულობა არ დაემთხვეს რომელიმე ადგილობრივი კილოკავის ფორმას. ასეთი, შედარებით ნეიტრალური არასალიტერატურო ფორმებია მაგალითად: „ჯანაბას მაგისი თავი“, „ნაშხირი“, „ცალიერი ბოთლები“, „თუთხმეტი“, „კარქა ნახე“, „ხო გითხარი“, „სახს აშენებს“, „ცაცალ-

* მხევედობაში ვვაქვს, მაგალითად, ჩ. დიკენსის „პიკვიკის ელების ჩანაწერების“ ქართული თარგმანი, მარტ ტვენის ნაწარმოებთა თარგმანები და სხვა.

კე დაალაგა“ და მრავალი სხვა არანორმატიული სიტყვაფორმა და ფრაზა.

არანორმატიული ენობრივი ფორმების ანალოგიზაციის ხერხს ნეიტრალური და ეროვნული კოლორიტით შეუფერავი ენობრივი ერთეულებით ვხვდებით, მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ თარგმნით ვარიანტებში ჰარპერ ლის რომანიდან „ნუ მოკლავ ჯაფარას“.

„თუ პირობას არ მოგვცემ, რომ რასაც დაგავალეხთ იმას შეასრულეთ, არაფერსაც გეტყვით.“

„If you don't say you'll do what we tell you, we ain't gonna tell you anything“.

იმას შეასრულეთ, არაფერსაც არ გეტყვით.

ბგერათშენაცვლების ის შემთხვევები, რომლებიც ცოცხალი სასაუბრო ენისთვისაა დამახასიათებელი, გადმოტანილი წერითი მეტყველების ორთოგრაფიაში, ნაწილობრივ მაინც ახდენს სათანადო ეფექტის კომპენსაციას. ანალოგიურადაა კომპენსირებული პერსონაჟის არანორმატიული მეტყველება ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტში, იგივე ნაწარმოების თარგმანიდან:

„Well, how'd you feel, if you'd been shut up for a hundred years with nothin'but cats to eat? I bet he's got a beard down to here“.

„— კარქი რა! ნეტა როგორ იგონობდი თავს, ვინმემ ასე წლით რო ჩაკეტოს სახში და კატების მეტი საჭმელი არაფერი გქონდეს? თავს დაედევ, წვერი კოჭებამდე გექნებოდა ჩახრდილი“.

ასევე არახელოვნურად და ბუნებრივად შეიძლება აისახოს თარგმანში გაუნათლებელი, უწიგნური კაცის ორთოგრაფიაც მის ნაწერში. ასეთი არანორმატიული ორთოგრაფიის ანალოგიზაცია ქვემოთ მოყვანილი წერილის ქართულ თარგმანში უ. თეკერის „ამაოების ბაზრიდან“ განხორციელებულია კვლავ ეფექტის გადაადგილებით ისეთ ელემენტზე, რომელიც

უფრო დაექვემდებარა ორთოგრაფიულ დამახინჯებას:

„Sir Pitt Crawly begs Miss Sharp and baggidge be hear on Tuesday, as I leaf for Queen's Crawly tomorrow ^{ქართულად} ~~ქართულად~~“.

„სერ პიტ კროული თხოულობს, მის შარპი და ბარგი-ბარხანა აქ იყოს სამშაფათს, იმიტომ, რომა ხვალ სისხამ დილით უნდა გაეუტო დედოფლის კროულისკენ“.

მცდარ ორთოგრაფიას თარგმნით ვარიანტში ბუნებრივი და საკმაოდ გავრცელებული მოვლენა უდევს საფუძვლად — ეს არის ზეპირი მეტყველების ფონეტიკური კანონზომიერების, კერძოდ, სამეტყველო ბგერათა ცვალებადობის (ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერათშენაცვლება და სხვ.) პირდაპირი გადატანა წერით მეტყველებაში, რაც ძალზე ტიპურია ნაკლებად განათლებული ადამიანებისათვის.

მაგრამ დიალექტის ანალოგიზაციის სხვა შემთხვევები, თუ ასეთმა მოვლენამ თავი იჩინა თარგმანის ტექსტში, გვარწმუნებს, რომ მეტყველების დიალექტური შეფერილობის ტრანსპოზიცია თარგმანში იშვიათად თუ ხერხდება თარგმანის ენის კოლორიტის გადაჭარბების გარეშე.

ერთ-ერთი პერსონაჟი (უ. თეკერის „ამაოების ბაზარი“), თავად ავტორის ცნობით, ტლანქსა და უწმაწურ პემპშირულ დიალექტზე მეტყველებს, უხვად იყენებს სალიტერატურო ენისათვის ისეთ არანორმატიულ ელემენტებს, როგორცაა:

ა) სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა: „reklect“ (recollect), „farden“ (farthing), „nat'ral“ (natural), „afor long“ (before long), „valyble“ (valuable), „evenue“ (avenue), „not-hink“ (nothing) და სხვ.

ბ) გრამატიკულად არანორმატიული ფორმები: „I (he, we, she) ain't“, „I says“ იმ შემთხვევებშიც კი, როცა ზმნა ნამყო დროის ფორმას მოითხოვს; „has“, „is“, „was“ ფორმათა ხმარება როგორც საუღლებელი, ასევე დამხმარე ზმნების ფუნქციაში, ქვემდებარის მრავლობითი რი-

ცხვის ფორმასთან; ზმნის პერფექტულ დროთა წარმოება დამხმარე ზმნების ვარეშე — „I done it“, „He gone there“; ზედსართავის ხარისხების არარეგულარული წარმოება — „much wicker words“; ზმნის დროთა ფორმების არასწორი ხმარება — „I calls him Aroarer“, „I'll beat him if it cost me a thousand guineas“ და სხვ. ამას ემატება ისიც, რომ მისი ლექსიკა ძალზე უხეშია, ჭარბობს, სალანძღავი სიტყვები, სინტაქსური წყობა მეტწილად გაუმართავია და მრავლად შეიცავს ემოციური კონოტაციით დატვირთულ აზრნაცვალ კონსტრუქციებს.

მთარგმნელი მთელი ამ სპეციფიკის ანალიზის მიზნით დროდადრო, სპორადულად იყენებს მდაბიური მეტყველების ისეთ ფორმებს, რომლებიც ქართული ენის აღმოსავლური კილოებისთვისაა დამახასიათებელი (აფიქსაციის ფორმები, ბგერითი თავისებურებანი). ასეთია ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები: * „მ ა ი ტ ა, აქ დაღუ ე გ ა“, ხო, ხელმოჭერილი იყო, ძ ა ა ნ ხელმოჭერილი, მაგრამ ჩ ე მ თ ვ ი ნ კარგი დედაკაცი იყო და მ ო უ რ ა ვ ი ს თ ვ ი ნ ფულს არ მახარჯვინებდა“, „მ ა ი გ ო ნ ე, რომ ერთი პინტი ლუდი გმართებს ჩემი“, „ნეტავ ი გ ე თ ი კაცი მანახა, მე რომ რამეს გამომჩრება“, „ეგ ჩემი ძმა არი, გ ე ნ ა ც ვ ა“, „რა მ ქ ვ ი ა ნ ი მ ა ს ა?“, „ე გ ე, ე მ ძაღლმა კაცი მაახრჩო“, „მე აქ სასამართლოს ს ა ქ მ ე ე ბ ი ს თ ვ ი ნ გახლავართ“, „აი, ი შავი გოჭი ახლა გვარიანად ჩათქვირებული იქნება“. თარგმანის ენის ეროვნული კოლორიტის ასეთი მოჭარბება აშკარად მცდარი მთარგმნელობითი სტრატეგიის მაგალითია.

ენის სტრატეგიული ვარიანტულობის ერთ-ერთი სახეობა, როგორც ითქვა, ვ ა რ გ ო ნ ი ზ მ ე ბ ი ც ა ა, ანუ სასაუბრო, სახუმარო და მეტწილად უხეში ერთეულები, რომელთაც სიახლესა და ორიგინალურობაზე აქვთ პრეტენზია. ერთეულთა ეს კატეგორია მკვეთრად უპირისპირდება სალიტერატურო ენის ნორმატიულ ერთეულებს, რომელთა შორის ჟარგონიზმებს ყოველთვის მოეპოვებათ სინონიმური ფორმები, მაგრამ ამ სინონიმებისაგან ჟარგონიზმები მეტი ემოციურობითა და უხეში სახეობრიობით განსხვავდებიან. მათი სახეობრიობა დაფუძნებულია მოულოდნელობაზე, ენამახვილობაზე, კონვენციონალურ ენობრივ ფორმათა თავშესაქცევ დამახინჯებაზე და სხვ.

გაუმართლებელია ლაპარაკი ჟარგონიზმზე როგორც ერთ სიტყვა-ფორმაზე. იგი ხშირად ფრაზითაა გამოხატული, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სრულიად ნეიტრალური სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება (to shoot the bull, to chew the fat, to give (smb) a buzz, to give a pain in the neck).

ცნობილია, რომ ჟარგონიზმები თავდაპირველად კონკრეტულ სოციალურ წრეებში იქმნება, როგორც სხვებისათვის გაუგებარი „საიდუმლო ენა“, რასაც მისი ფრანგული სახელწოდებაც მოწმობს (jargon — განზრახ სახეცვლილი ენა). შემდგომ კი ვრცელდება უფრო ფართო ფენებში და არ არის გამორიცხული მათი ლიტერატურულ-ზაცია და დამკვიდრება ენის ლექსიკურ ფონდში, როგორც სპეციფიკური ექსპრესიული საშუალებებისა. მაგრამ ჟარგონიზმი მეტწილად დროებითი მოვლენაა მეტყველებაში და ხშირად თაობათა განსხვავების ენობრივ ნიშნადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. სწორედ ამის გამო ჟარგონიზმისათვის არასათანადოდ შერჩეული შესატყვისი თარგმანის ენის ჟარგონიზმთა ფონდიდან, ხშირად ამ უფანასკნელის მოძველებულობის თამთ, ანაქრონიზმის ეფექტს უფრო შეიცავს, ვიდრე სიახლისას.

* წარმოდგენილ ფრაგმენტთა შესაბამისი ადგილები ორიგინალის ტექსტიდან ამჯერად არ მოგვყავს, რადგან, ეფექტის სხვა ერთეულებზე ვადადგილების გამო, ორიგინალის არანორმატიული ფორმები და მათი კომპენსაციის საშუალებები თარგმანში განსხვავებულ სეგმენტებშია განთავსებული.

ქარგონიზმებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ე. წ. ინგლისურ-ამერიკული „სლენგი“, რომელშიც ზოგიერთი ავტორი აერთიანებს ექსპრესიული ხალხური მეტყველების გამოვლინების უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ასაკობრივი ან სოციალური ჯგუფის მიერ ხმარებად სპეციფიკურ ერთეულებს.

თარგმანის ენაში ფუნქციონალური ანალოგების უქონლობის გამო, ჩვენი დაკვირვებით, ქარგონიზმების კომპენსაციისათვის თარგმანში მეტწილად გამოიყენება ხალხური სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი უხეში და ზოგ შემთხვევაში სასუმარო კონოტაციის შემცველი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, სიტყვა-ფორმები, რაც თარგმანის ტექსტსაც ნაწილობრივ სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ეფექტს ანიჭებს.

„He got a Jaguar... It cost him damn near four thousand bucks. He'd got a lot of dough, now. He didn't use to“.

„ამას წინათ იყიდა „იაგუარი“... ბარე თთხი ათასი დოლარი დაუჯდა. იცოცხლე, ფული ჩეჩქივით აქვს ახლა. უწინ ქესატად გახლდათ“ (ჯ. სელინჯერი „თამაში ჭვავის ყანაში“).

ქარგონიზმის სიტყვასიტყვითი თარგმანი შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, როცა იგი საკმარისად ტრანსპარანტულია და თარგმანში არ გაუფასურდება მისი დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობები. ქარგონიზმს სშირად უშუალოდ იმავე კონტექსტში ახლავს განმარტება, რაც მეტი გარანტიაა იმისა, რომ თარგმანის ენაში დაეძებნოს ნეტ-ნაკლებად ზუსტი ანალოგი, მაგალითად:

„They both agreed in calling him Old Screw, which means a very stingy, avaricious person“.

„ერთმანეთს კვერი დაუკრეს, იგი ბებური ქვაწვია არისო, რაც ერთობ ძუნწსა და ხარბ კაცსა ნიშნავს“ (უ. თევრეი „ამაოების ბაზარი“).

სიტყვა „ქვაწვია“ მესხური წარმოშობის დიალექტიზმია* და არა საკუთრივ ქარგონიზმი, მაგრამ თავისი ხალხურობით, ეფიქრობთ, საკმაოდ კარგად შთერგო სათქმელს.

ქარგონიზმები გარდაცვლულია ისეთ სიტუაციებში, რომლებსაც, მათი საქმიანობის სპეციფიკის გამო, ხშირად სჭირდებათ სხვებისათვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკი. ასეთია, მაგალითად, „ქურდების ენა“ (არგო), და, ეფიქრობთ, იმავე მიზეზით ეტანებიან ქარგონს სასკოლო ასაკის ყმაწვილები, რომლებსაც ასევე ბევრი რამა აქვთ „გასაიდუმლოებული“ უფროსებისაგან. ერთ-ერთი ასეთი სასკოლო ქარგონი, რომელიც არ მოძველდა და ათწლეულებს გაუძლო ქართულში, არის, მაგალითად „შატალოზე წასვლა“, რომელიც კარგადაა გამოყენებული ერთ-ერთ თარგმანში ინგლისური ფრაზის „to play hooky“- ნაცვლად, რომელიც ინგლისური ენის ფონდში შესული სიტყვაა და ახლავს კვალიფიკაცია — „სასაუბრო“.

„Where are you two going at this time of day? — she shouted. Playing hooky, I suppose? I'll call up the principal and tell him“.

„— საით გაგიწევიათ თქვენ ორს ამ დღეუთენია, ჰა? დაგვჩხავლა მან, — შატალოზე მიდიხართ, არა? ახლავე დავურეკავ თქვენს დირექტორს“ (პარპერ ლი „ნუ მოკლავ ჯაფარას“).

ანალოგიურია ამერიკული „O. K.“-ის ხმარება არა მისი ძირითადი მნიშვნელობით (ყველაფერი რიგზეა), არამედ დათანხმების, მოლაპარაკების პირობებზე დასტურის მიცემის მნიშვნელობით, რომელსაც საკმაოდ კარგად ანაცვლებს ქართულ სასაუბრო ენაში ფართოდ გავრცელებული ქარგონიზმი ქვემოთ მოყვანილ მაგალითში:

„Somebody comes down here every recess and hides his things and we come along and take'em away from“.

„ქართულ კიდო-თქმათა სიტყვის კონა“, გამოცემა „ვანათლება“, 1984.

him. Listen, let's leave it and wait a couple of days. If it ain't gone then, we'll take it, O'key?

— O k a y“.

„— ვიღაც ბავშვი ყოველ შესვენებაზე მოდის აქ და რაღაცეებს ინახავს, ჩვენ კი მივვაქვს! იცი, რა გითხრა, მოდი, დავტოვოთ და ერთი-ორი დღე ვაცალოთ. თუ მანამდე არ წაიღებენ, ჩვენ ავიღოთ, მოვიდა? — მოვიდა“ (პარპერ ლი „ნუ მოკლავ ჯაფარას“).

თარგმანის ენაში ასევე ფართოდ გავრცელებული ჟარგონიზმითაა შენაცვლებული ორიგინალის ჟარგონული გამოთქმა შემდეგ ნაწყვეტში:

„I told him that I had to write a composition for Stradlater and that he had clear the hell out“.

„ავდექი და ვუთხარი, სტრედლეიტერს დავალება უნდა დაეწერო და ახლავე აითესე-მეთქი“ (ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“).

ზემოთ ნახსენები ფრაზა „to shoot the bull“, რომელიც ზედმეტ ლაქლაქს, ყბედობას ნიშნავს, ყველაფრის წამორღმვას, რაც ენაზე მოგადგება, ახალგაზრდული ჟარგონის კატეგორიას განეკუთვნება და შეიძლება შეგვხვდეს: ა) სრული კომპონენტური შემადგენლობით, ბ) ისეთი სახით, როცა არამდგრადი კომპონენტი ჩანაცვლებულია სხვა ერთეულით, გ) რედუცირებული სახით, როცა მხოლოდ მდგრადი კომპონენტია რეალიზებული. ვნახოთ სამივე შემთხვევა — სელინჯერის რომანიდან „თამაში ჭვავის ყანაში“:

ა) „Shoot the old bull“.

ბ) „I started shooting the old crap around a little bit“.

გ) „To quit shooting it. I'm glad I shot it“.

ყველა ეს შემთხვევა თარგმანში კომპენსირებულია უხეში სასაუბრო ფრაზებით: „რაც ენაზე მომადგება ყველაფერს ვეუბნები“, „სხაპასხუბით ვაყრი სიტყ-

ვებს, „მოვხსენი თავი ტყუილების ვუდას“, „წამოვროშე“.

ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაზე დამკვირვებლებს არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი იმის თაობაზე, რომ დრეულ ქართულ თარგმანებში „სუფიქსური“-ბული“ ან გამოტოვებული იყო ორიგინალის სკაბრეზული მომენტები, რომ ქართული ლიტერატურული ტრადიციების თანახმად, რომლისთვისაც მუდამ უცხო იყო უწმაწურობა, შიშველი სორციელეზა, გადაჭარბებული ერთიკა ან ქალის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება (რაც ხშირად აღინიშნებოდა ადრეული საერთო ლიტერატურის იმ ნიმუშებში, რომლებიც ითარგმნებოდა ქართულ ენაზე), ისინი არასოდეს ნატურალისტურად არ გადმოდიოდნენ თარგმანში. პირიქით, ამას იმთავითვე უპირისპირდებოდა „ქალისადმი რაინდული დამოკიდებულება“ და უხამსი ორაზროვნების შერბილების ტენდენციები.

მიუხედავად იმისა, რომ სამწუხაროდ უახლოეს მთარგმნელობით პრაქტიკაში შედარებით უფრო ხშირად დასტურდება საპირისპირო ტენდენციაც, მაინც, ძველი მთარგმნელობითი ტრადიციის თანახმად, უწმაწურობისათვის თავის არიდებისა და მისი შერბილების ცდებს უფრო ხშირად ვხვდებით. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ჯ. სელინჯერის რომანის, „თამაში ჭვავის ყანაში“, ქართული თარგმანი, რომელშიც, შეიძლება ითქვას, მინიმალურადაა ასახული ის თავშეუკავებელი უწმაწურობა, რომელსაც ნაწარმოების დედანი შეიცავს. ამისი დასტურია თუნდაც ქვემოთ მოყვანილი ფრაგმენტები:

„You never knew if he was nodding a lot because he was thinking and all or just because he didn't know his ass from his elbow“.

„ვერც გაუგებ, რას აუტყდა ეს თავის კანტური — ჩაფიქრდა, თუ სიბერისაგან გამოფუტურდა და აღარაფერი ესმის“.

ენაში გავრცელებული ანალოგიური აზრის შემცველი ფრაზეოლოგიზმებიდან, რო-

მღებიც გამოხატავენ ადამიანის უუნარობას გაერკვეს ელემენტარულ ჭეშმარიტებაში (not to know B from a broomstick; not to know cheese from chalk). როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტში ნაწარმოების გმირი ყველაზე უხამს ფრაზას ანიჭებს უპირატესობას, რაც თარგმანში საკმაოდ შერბილებულია.

იგივე უწმაწური ერთეული („ass“) ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება აღნიშნულ ნაწარმოებში, რომელიც მოხრობელი პერსონაჟის გაბმული მონოლოგია, — ხან პირდაპირი (freezing my ass off; snapping his towel at people's asses), ხანაც გადატანითი მნიშვნელობით და შორისდებულის სახითაც კი, სხვადასხვაგვარი უარყოფითი ემოციის გამოსახატავად, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

„— Life is a game, boy!

— Yes, Sir. I know it.

Game, my a s s. Some game. If you get on the side where all the hot-shots are, then it's a game“.

„— ცხოვრება მართლაც თამაშია, ყმაწვილო.

— ვიცო, სერ, განა არ ვიცი!

კაი თამაში კია, თქვენმა ბზემ იმ მხარეს თუ მოხვდი, სადაც მაგარი ბიჭებია, არა გიშავს, მართლაც თამაშია“.

თავისი უწმაწური მოულოდნელობითაა აღბეჭდილი ქვემოთ მოყვანილი შედარება, რომელიც თარგმანში კვლავ შედარებით ნეიტრალური ფრაზეოლოგიზმითაა შენაცვლებული:

„It was as cold as a witch's teat“.

„ციოდა, ძალღი არ გაიგდე ბოდა კარში“.

რაც შეეხება ისეთი მეტალინგვისტური მოვლენის ანალოგიზაციას, როგორცაა უცხოელის მეტყველება, მისი რეპროდუქციისას თარგმანის ტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, პირველ ყოვლისა, ენათა კონკრეტული წყვილის (უცხოელი პერსონაჟის ენისა და თარგმანის ენის) სტრუქტურული განსხვავების გათვალისწინება და იმ ტრადიციის მხედ-

ველობაში მიღებაც, რომელიც დამკვიდრებულია მიმღებ ენაში სხვადასხვა უცხო ენის მატარებელი ხალხის მეტყველების იმიტაციისთვის. უცხოელის მეტყველების არანორმატიულობა გამოიხატება ხოლმე მისთვის უცხო ენის ფონემათა ჩანაცვლებაში საკუთარი ენის ფონემებით, გამარტივებულ სინტაქსურ კონსტრუქციებსა და მორფოლოგიური დონის არანორმატიულ ფორმებში. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს სწორედ იმ ენის სტრუქტურა და ელერადობა, რომელიც მისთვის მშობლიურია, რადგან იგი, ფაქტობრივად, საკუთარ ენაზე აზროვნებს და მექანიკურად თარგმნის სათქმელს მეორე, მისთვის არამშობლიურ ენაზე. ამის გამო უცხოელის მეტყველება მისთვის მშობლიური ენიდან მექანიკურად გადმოღებულ სტრუქტურულ ნიშან-თვისებებსაც შეიცავს და წარმოთქმით თავისებურებებსაც. ეს კი ყოველი ორი ენის შეპირისპირებულ წყვილში, რა თქმა უნდა, განსხვავებულ ხასიათს გამოავლენს.

ისეთ ენებში, რომლებზეც შედარებით ხშირად მეტყველებენ უცხო ეროვნების ადამიანები, გარკვეულად შემუშავდა განსხვავებული ეროვნების წარმომადგენელთა მეტყველების იმიტაციის ტრადიცია. მაგალითად, გერმანელის მეტყველებისათვის რუსულ ენაზე დამახასიათებელია რბილი „ჩ“-ს ნაცვლად მისი მაგარი ვარიანტის ხმარება, „ხ“ ზგერის ნაცვლად „ჩ“-ს წარმოთქმა და სხვ. ვ.ვ. გაკის დაკვირვებით, გერმანული ეროვნების ადამიანების ფრანგულად მეტყველებისათვის ასევე შემუშავდა ლიტერატურული ტრადიცია, რაც მუდერი თანხმონების გაყრუებასა და პირიქით, ყრუ თანხმონთან გამეღვრებაში მდგომარეობს*.

რუსულ ლიტერატურაში, სასცენო მეტყველებაში, ფილმებში, მაგალითად, მუდამ იგრძნობა ის სტერეოტიპები, რომლე-

* Так В. Г., «Коверканье» или «подделка». Тетради переводчика № 3, 1966.

ბიცი უკვე მყარად დამკვიდრდა რუსულ ენაში მრავალი ეროვნების ადამიანთა მეტყველების იმიტაციისათვის. ქართულ ლიტერატურაში ასევე შეიქმნა რუსი, ოსი, სომეხი, იეზიდის, აისორი და სხვა ისეთი ეროვნების ხალხთა ქართულად მეტყველების სტილიზაციისათვის დამახასიათებელი „ნორმები“, რომლებსაც ქართველებთან თანაცხოვრების პირობებში ხშირად უხდებოდა ქართულად მეტყველება. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ქართველ მთარგმნელს საეჭუთა, პქონდეს თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ დაამახინჯებდა ქართულს იმ ეროვნების კაცი, რომლის ქართული მეტყველება მას არასოდეს მოუსმენია, ქართული მთარგმანის ტექსტში უცხოელის მეტყველების რეპროდუქცია ხშირად შეიცავს გარკვეულ ხარვეზებს. ასე მაგალითად, პორტუგალიელი ქალის მეტყველება ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ ერთ-ერთ ეპიზოდში ინგლისური ენის დამახინჯების „ნორმებშია“ ასახული; სტილიზაციას მიმართავს ქართველი მთარგმნელიც.

— რას ინატრებდი-მეთქი, ახლა, ამ წუთში?

— შვიდი ცქვილა ფეხსაცმელს, ბავშობისათვის... შვიდი ცქვილა.

— კარგად მოიფიქრე.

— კარქი, — მიუგო ქალმა, — მოიფიქრა. ეს საქლი რომ ჩემი ქენა... სულ ჩემი. არც ქირა, არც შვიდი დოლარი თვე... და კიდევ... ერთ რზის ფერმა, ფევრი ზროხა მომესა, ფევრი მისა, ფევრი ბალაპი. სან-ლენის ახლოს იკას. ჩემი და სქოვრობ იქა“ (ჯეკ ლონდონი „მარტინ იდენი“).

ამგვარ სტილიზაციას ძალზე დიდი სიფრთხილე სჭირდება. დამახინჯება ძირითადად წარმოთქმაზე მოდის, მაგრამ სამწუხაროდ არ არის დაცული კანონზომიერება და სტილიზაციის ლოგია. თუ ქალი ვერ წარმოთქვამს ისეთ ბგერებს, როგორცაა:

„წ“ „ცქვილა“, „მისა“ (ნაცვლად სიტყვებისა — წყვილი და მიწა),

„ხ“ — „საქლი“, „აქლოს“, „ბალაპი“ (სახლი, ახლოს, ბალახი),

„d“ — „რზის“ (ნაცვლად სიტყვისა — რძის),

„ც“ — „მომესა“, „სქოვრობ“ (მომცა, ცხოვრობს),

„ბ“ — „ფევრი“ (ბევრი),

მაშინ გაუგებარია, თუ როგორღა წარმოთქვა მან დამახინჯებლად ისეთი სიტყვა, როგორცაა „ფეხსაცმელი“, რომელიც „ს“ ბგერასაც შეიცავს და „ც“ ბგერასაც. თუ იგი ვერ წარმოთქვამს „ბ“ ბგერას, მაშინ გაუმართლებელია მისი სწორი წარმოთქმა ისეთ სიტყვებში, როგორცაა „ბალაპი“ და „ბავშობისთვის“, რომლებშიც „ბ“ უცვლელია და შეცვლილია სხვა ფონემები.

იმავე ნაწარმოების მეორე გმირის, ეროვნებით კვლავ პორტუგალიელის მეტყველება ორიგინალში შეიცავს ზუსტად იმ ცდომილ ფონემებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო პორტუგალიელი ქალის მეტყველებისათვის ზემოთ განხილულ მაგალითში, მაგრამ მთარგმანში, მოდიფიკაციას განიცდის უივე განსხვავებული, არა ფონეტიური, არამედ მორფოლოგიური დონის ელემენტები. პორტუგალიელი ბევრს სცოდნის გრამატიკაში და მთარგმნელიც არ აყოვნებს, ამის გამოვლენას მთარგმანში;

„იმიტომ რომ შენ სამუშაო და კარგა, მე ფული ვერ იშოვა, იშოვა რამ საქმე, საჭმელიც იშოვა, არწმუნებდა პორტუგალიელი, — საქმე არა — საჭმელიც არა. ასეა ცხოვრებამ... — მოდი, ცოტა დალია, ოჯახი დალოცა, ჩვენ კარგი მეგობარი ვართ, შენ და მე (16-505).“

როგორც ვხედავთ, უცხოელის მეტყველების სტილიზაციის ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია არა ბგერებზე, არამედ ზმნის პირიან ფორმათა არასათანადოდ ხმარებაზე. ყველა ზმნა, განურჩევლად იმისა, თუ რომელი პირის და კილოს რა ფორმაა საჭირო, მხოლოდ ნამყო დროის შესაბამე პირის მხოლოდობითია

ნახმარი (იშოვა, დაკარგა, დალია, დალოცა).

თუკი თარგმანის პირობით სტილიზაცი-
აში ძნელია კანონზომიერების დაცვა, ანუ
თუ არანორმატიულობის გამოვლენა ვერ
ხერხდება იმავე დონის ელემენტებში, მა-
შინ, ვფიქრობთ, სავსებით სწორია ი. კა-
შკინი, როცა ურჩევს მთარგმნელებს, გა-
იზიარონ ის ტრადიცია, რომელიც რუსულ
ლიტერატურაში დაამკვიდრეს ა. პუშკინმა
და ლ. ტოლსტოიმ. ისინი მარტოოდენ პი-
რველ ფრაზებში მიმართავენ უცხოელის
მეტყველების სტილიზაციის ხერხს და
შემდეგ ნორმატიული ფორმებით ასახავენ
მათ მეტყველებას. მკითხველისთვის კი,
კაშკინის აზრით, რასაც ჩვენც ვეთანხმე-
ბით, ეს პატარა მინიშნებაც საკმარისია,
რომ შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა პერ-

სონაჟის არანორმატიულ მეტყველებაზე*.
მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ უცხო-
ელის მეტყველების შემდეგ „გალიტერა-
ტურულდება“ ასევე მცდარი ხერხი იქ-
ნებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ამის საბაზს
არ გვაძლევს ორიგინალი.

უცხოელის მეტყველების სტილიზაცი-
ისას ქართულ თარგმანში, გამომდინარე
ქართული ზმნის რთული მორფოლოგიუ-
რი ბუნებიდან და ასევე ზოგიერთი ქარ-
თული ბგერის (მაგ. წ, ყ, ძ, ჭ) არტიკუ-
ლაციის სპეციფიკიდან, ყველაზე მეტად
საუარაუდოა, და ამდენად უფრო გამართ-
ლებული, სწორედ ზმნის არანორმატიული
ფორმების აქტივიზაცია და სპეციფიკურ
ბგერათა კანონზომიერი შენაცვლება არ-
ტიკულაციურად ახლო მდგომი ბგერების
გრაფემებით.

§ 2. ენის სიტუაციური ვარიანტულობის ტრანსპოზიცია თარგმანის ტექსტში

თარგმანის სოციოლინგვისტური ასპექ-
ტების ისეთ პრობლემასთან, როგორცაა
„ენა და პიროვნების სოციოლოგია“ უშუ-
ალო კავშირშია აგრეთვე ენის სიტუა-
ციური ვარიანტულობის გა-
მოვლენის შემთხვევები. ამ უკანასკნელის
ტრანსპოზიციისას თარგმანში მთავარია
აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რო-
მლებშიც ჩანს ადამიანთა პირადი ურთი-
ერთობების ხასიათი, რაც განპირობებუ-
ლია მათი ასაკობრივი სხვაობით, გენეა-
ლოგიური დისტანციით, მათი სოციალური
როლებით ურთიერთდამოკიდებულებაში
(უფროსი — ქვეშევრდომი, მასწავლებე-
ლი — მოსწავლე, მომხმარებელი — მო-
მსახურე პირი, ექიმი — პაციენტი, უც-
ნობი — ახლო მეგობარი და სხვ.), მათი
ფსიქოლოგიური განწყობით ერთმანეთის
მიმართ, სამეტყველო სიტუაციის პირო-
ბებით (ოფიციალური — შინაურული) და
სხვ. ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადამი-

ანს სოციალური როლების ფართო რეპერ-
ტუარის „გათამაშება“ უხდება. და ყოვე-
ლივე ეს შეუძლებელია არ აისახოს ენობ-
რივ საშუალებათა მის მიერ შერჩევაზე ყო-
ველი კონკრეტული კომუნიკაციური აქ-
ტისათვის.

ინგლისურ და ქართულ ენათა შეპირის-
პირებულ წყვილში, ურთიერთდამოკიდე-
ბულების სხვა ინდიკატორთა შორის, პირ-
ველ ყოვლისა, განსაკუთრებულ პრობ-
ლემას წარმოადგენს სოცისლური იერარ-
ქიის გამომხატველი, მეორე პირისადმი
მიმართვისათვის დიფერენცირებუ-
ლი ნაცვალსახელების (შენ —
თქვენ) ენობრივი ოპოზიცია.
რამდენადაც ინგლისური ენის სტრუქტუ-
რაში ასეთი ოპოზიცია არ არსებობს, ამ-
დენად, ქართულ თარგმანში მთარგმნელმა
თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ
როგორ აღაპარაკოს ერთმანეთში პერსო-
ნაჟები — თქვენობით თუ შენობით. ეს გა-
დაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მთე-
ლი კონტექსტის გათვალისწინებით და იმ
პირობითობის დაცვით, რომელიც თარგ-
მანის ენისათვისაა დამახასიათებელი. ერთ-

* Кашнин И. текущие дела. Мастер-
ство перевода, М., «Советский писа-
тель», 1959.

ერთი ასეთი პირობითობა თარგმანის ენაში არის, მაგალითად, ქალისა და მამაკაცის გადასვლა შენობით მიმართვაზე მას მერე, რაც ისინი სიყვარულში გამოუტყდებიან ერთმანეთს... თუმცა ამ მომენტამდე თქვენობით საუბრობენ.

თარგმანისათვის რელევანტურია მიმართვის ფორმის შერჩევა იმ პირობითობის დაცვით, რაც ერთი და იმავე სოციალური წრის წარმომადგენელთა საუბარში პოულობს გამოხატვას. იმ ენებში, რომლებშიც ეს ოპოზიციური ფორმები მოქმედებენ, მაღალი საზოგადოების წრეებში დამახასიათებელია თქვენობით მიმართვა ახლო ნაცნობობის შემთხვევაშიც (მაგალითად, რუსულში, უთუოდ, ფრანგული ენის ინტენსიური გავლენით, რომელიც ერთდროს სალონურ ენად გადაიქცა რუსი არისტოკრატის ცხოვრებაში, ეს პირობითობა დამახასიათებელი იყო სწორედ ამ წრეებისათვის) და შენობით მიმართვა საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენებში სრულიად უცნობ პირებთან. ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით ერთი ფრაგმენტი ლ. ტოლსტოის რომანიდან „ანა კარენინა“, ამ მომენტისათვის, რომელიც აღწერილია მოყვანილ ეპიზოდში, ანა და ვრონსკი უკვე ახლო, ინტიმურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან.

„მაპატიეთ, რომ მოვედი, მაგრამ თქვენს უნახავად ვერ შევძლებდი ამ დღის გატარებას — ისევ ფრანგულად უთხრა ვრონსკიმ. იგი ყოველთვის ამ ენაზე ელაპარაკებოდა ანას, რადგან არ უნდოდა ესმარა რუსული „თქვენ“, რომელიც მეტისმეტად ცივი და აუტანელი იყო მისთვის და „შენსაც“ ერიდებოდა. (ლევ ტოლსტოი „ანა კარენინა“).

თარგმანის მიმღები ლინგვოეთნიკური კოლექტივის სამეტყველო რეფლექსთა გავალისწინებას უნდა მივაწეროთ უთუოდ ის გარემოებაც, რომ „მარტინ იდენის“ მთარგმნელი მარტინს და რუთ მორზს თქვენობით ალაპარაკებს ერთმანეთთან კარგა ხანს, ლამის მას მერეც, რაც მათ შორის სამიჯნურო ურთიერთობა მყარდება. მაგრამ იმავე დროს, მარტინი და

მისივე სოციალური წრის, სრულიად უცნობი ქალიშვილი, როგორც კი გამოელაპარაკებიან ერთმანეთს, იმავე წამს შენობით მიმართავენ ერთმანეთს. მთარგმნელის ასეთი გადაწყვეტილებას ხელს უწყობს ასევე კონტექსტური რომელიც წინ უძღვის დიალოგის ამ ფრაგმენტს:

„არც ენის დაბმა უგრძენია ამათთან, არც დაბნეულობა.

როგორც თევზი წყალში, ისე გრძობდა თავს, ჟარგონსა და უწმაწურ სიტყვებს ისროდა,

— ხო, მართლა, რა გქვია?

— ჯერ ხომ შენი სახელი არ გითქვამს! — მოუჭრა გოგონამ.

— არც გიკითხავს, — გაეცინა მარტინს“.

კონტექსტუალურ ინდიკატორებს, ისევე როგორც შემოხსენებულ სამეტყველო რეფლექსთა ანალოგიას, ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაცვალსახელთა ოპოზიციური ფორმების არჩევაში. ა. დ. შვეიცერს მოჰყავს ასეთი მაგალითი თ. დრაიზერის „ამერიკული ტრაგედიის“ რუსული თარგმანიდან: როცა კლაიდი ციხიდან ციხეში გადაჰყავთ, რკინიგზის პლატფორმაზე თავშეყრილი ქალიშვილები, მისი ძველი ნაცნობები, გამამხნეველები შეძახილებით აცილებენ მას:

„Hello, Clyde! Hope to see you again soon. Don't stay too long there!“ რუსულად ეს ნაწყვეტი ასეა თარგმნილი:

«Хэлло. Клайд! Мы еще увидимся. Смотрите не засиживаетесь там!»

როგორც წერს ა. დ. შვეიცერი, კონტექსტის მიხედვით აშკარაა, რომ კლაიდისა და ამ ქალიშვილთა ასაკი და სოციალური სტატუსი არ ამართლებს თქვენობით მიმართვის ფორმას*.

საქმე ის არის, რომ სამეტყველო ეტიკეტის ფორმათა განზრახ დარღვევა, ანუ, სოციოლინგვისტიკის ტერმინს თუ ვიხ-

მართ, „ასიმეტრიული თქვენ“, ისევე როგორც ოფიციალური მიმართვის ფორმები „Miss“, „Sir“, და სხვ. ისეთ კო-მუნიკაციურ სიტუაციაში, როცა თანამოსაუბრეთა შორის შეუძლებელია იყოს ოფიციალური ურთიერთობა, გამონათქვამს მუდამ სძენს ემოციურ კონოტაციას. მიმართვის ეს ფორმები შეიცავს უარყოფითი ემოციის გამძაფრების ეფექტს და მეტწილად გამოხატავს გაღიზიანებას, გაგულისებას, ან ირონიას, დაცინვასა და სარკაზმს. ანალოგიურ ტონალობას შეიცავს, მაგალითად, მიმართვის განზრახ ოფიციალური ფორმა ქვემოთ მოყვანილ ფრაგმენტში თეკერის „ამაოების ბაზრიდან“:

„MISS JEMINA! exclaimed Miss Pinkerton, in the largest capitals“.

„Are you in your senses? Replace the Dixonary in the closet and never venture to take such a liberty in the future.“

„Well, sister, it's only two-and-nin-pence, and poor Becky will be miserable if she don't get one“.

„Send Miss Sedley instantly to me“ — said Miss Pinkerton“.

„— მის ჯიშინა! — უდიდესი აღშფოთებითა და გაგულისებით შესძახა ქალბატონმა პინკერტონმა, — ხომ არ გაგიუდით? შედეთ ისევ თახჩაში ლექსიკონი და კვლავ აღარ გაბედოთ ასეთი თავხედობა“.

— მაგრამ, დაო, ეს მხოლოდ ორი შილინგი და ცხრა პენსი ღირს და საბრალო ბეკი ხომ ცოდო იქნება რომ არ ერგოს!

— „ახლავე გამომიგზავნე მის სედლი უბრძანა ქალბატონმა პინკერტონმა“.

კონტექსტუალური ინიდიკატორები მოყვანილ მაგალითში წინააღმდეგობრივია, რამდენადაც საუბარი მიმდინარეობს ორ დას შორის, რომლებსაც შეუძლებელია ერთიმეორესთან ასეთი ოფიციალური ურთიერთობა ქონდეთ. ამასვე მოწმობს ქალბატონი პინკერტონის ბოლო რეპლიკა, როცა აღშფოთების გამოხატვის შემდეგ იგი ოფიციალური რეგისტრიდან კვლავ

ჩვეულ, არაოფიციალურ რეგისტრზე გადადის და შენობით აგრძელებს ლაპარაკს („გამომიგზავნე“). ამდენად, მთარგმნელის მიერ თქვენობითი ფორმის შერჩევა ამ რეპლიკისათვის განპირობებულია წინააღმდეგობრივმა კონტექსტუალურმა ინდიკატორმა — მიმართვის ოფიციალურმა ფორმამ — „Miss Jemina!“.

თარგმანის ენაში სირთულეს არ წარმოადგენს ფუნქციონალური ანალოგების დაძებნა ისეთი კულტურულ-ისტორიული ხასიათის მიმართვის ფორმებისათვის, რომლებიც სოციალურ იერარქიაში ზემდგომის მიმართ გამოიყენება (your excellency, your majesty, your reverence). მაგრამ შედარებით რთულია ფუნქციონალურ ანალოგთა შერჩევა სასაუბრო ენაში გავრცელებული ფამილიარულ-მოფერებითი ან პირიქით, უხეში ფორმებისათვის, კერძოდ, მიმართვის ისეთი ფორმებისათვის, როგორცაა „master“ ან „governor“ და სხვა, როგორადაც მიმართავენ სოციალურ კიბეზე მაღლა მდგომს — უფროსს, დამქირავებელს და რომლებიც ოდნავ ირონიული ზრდილობის ტონალობას შეიცავს. იგივე უნდა ითქვას ამერიკულ სასაუბრო ენაში გავრცელებულ ფორმებზე — „Mac“ ან „Jack“, როგორადაც მიმართავენ მამაკაცს, რომლის სახელი უცნობია. ამ ფორმათა ანალოგიზაციისას მთავარია არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ. ასე მაგალითად, მიმართვა „old man“ შეიძლება შეიცავდეს როგორც უხეშ ტონალობას, ასევე ნეიტრალურსაც, ამდენად, შეიძლება ითარგმნოს როგორც „ეი, შენ ბერიკაცო!“ ან როგორც — „მეგობარო“, „ძმობილო“, ასევე სიტყვა „brother“ შეიძლება ითარგმნოს მოფერებითი ვარიანტითაც — „ძაძაძა“, „ძამიკო“, ასევე ნეიტრალური სიტყვებით — „მეგობარო“, „ძმაო“, იმისდა მიხედვით თუ რა ტონალობას გვთავაზობს კონტექსტი.

ფუნქციონალური ანალოგების შერჩევისას ისეთი მიმართვის ფორმებისათვის, რომლებიც შეიძლება განსხვავებულ ტონალობას შეიცავდნენ (son, baby, child, buddy

და სხვა), მკაცრად უნდა იქნეს გათვალისწინებული მიმღები ლინგვოთნიკური კოლექტივის სამეცნიერო რეფლექსთა ბუნებრიობაც და ორიგინალის ტონალობაც. ამდენად, ჩვენი აზრით, გამართლებული არ არის, მაგალითად, ზემოსხენებული „Mac“ და „Jack“-ის უცვლელად გადატანა თარგმანში, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია, რამდენადაც თარგმანის ადრესატისათვის შესაძლოა არც იყოს ცნობილი ამ საკუთარ სიხელთა ასეთი აზრნაცვალის ფორმებით გამოყენების ფაქტი, თუ მას არ ახლავს კომენტარი.

„Hey, do you mind turning around when you get a chance?“

„I can't turn around here, Mac, This is a one-way“.

„— ეი, ვუხთარი, მოფერს, — სადაც მოგიხერხდეს, მოაბრუნე მანქანა“.

— აქ ვერსად ვერ მოვაბრუნებ, მაკ, ცალმხრივი მოძრაობაა“ (ჯ. სელინჯერი „თამაში ჭვავის ყანაში“).

ენის სიტუაციური ვარიანტულობის ერთ-ერთ მარკერად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე შედგენილი სიტყვის ისეთ მოდელზე აგებული მიმართვა, როგორცაა საკუთარ სახელზე დართული საზოგადო სახელი. ასეთი დამატებული კომპონენტი შეიძლება იყოს: lad, kid, lass, babe და სხვ. მოფერებითი ტონალობის გარდა, რაც ასეთი მიმართვის იმანენტური თვისებაა, გარკვეულ სიტუაციაში მან შესაძლოა შეიძინოს დაცინვის, აბუჩად აგდების, დამცირების ობერტონიც:

„No, you wouldn't give them anything, Ackley-kid, you Wouldn't.“

„Don't call me Ackley-kid. I'm old enough to be your father“.

„არაფერიც, შენ არაფერს აჩუქებდი ბაღლო, არაფერს,“

— ბაღლოს ნუ მეძახი, სადაური ბაღლი ვარ, ლამის მამად გეკუთვნი“ (ჯ. სელინჯერი „თამაში ჭვავის ყანაში“).

თარგმანის ტექსტში შედგენილი სიტყვიდან ამოკლებულია საკუთარი სახელი, როგორც თარგმანის ენისათვის უჩვეულო მიმართვის ფორმა. საპასუხო რეპლიკი-

დან კი ჩენს, რომ იმან, ვისაც ასე მიმართეს, საწყენად მიიღო მიმართვის ეს ფორმა თავისი თანატოლისაგან.

ის, რომ ქართულისათვის არ არის ტიპური ასეთი მიმართვა და რომ საჭირო ხდება ფუნქციონალური ანალოგის აქტივიზაცია, ჩანს ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდანაც:

„Who is your date, if it isn't Fitzgerald? — I asked, — that Philly Smith-b a b e?“.

„მამ, ვის უნდა შეხვდე, ფიცჯერალდი თუ გაუშვი, ვკითხე მე,“

იმ გაწლიკულ ფილი სმიტს?“ (ჯ. სელინჯერი „თამაში ჭვავის ყანაში“).

დაცინვითმა ტონალობამ თარგმანში გადაინაცვლა შეფასებით სიტყვაზე — „გაწლიკული“ და ამჯერადაც ფუნქციური კომპენსაციის მეთოდი ამოქმედდა.

აღამიანთა პირადი ურთიერთგანწყობის, ვინმესადმი უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი ენობრივი მარკერია მისი მოხსენიება არა უშუალოდ საკუთარი სახელით, არამედ საკუთარ სახელზე დართული ამოზიციური კომპონენტით: „that chap Soames“, „that fellow Bosinney“, „that lassie Jenny Hill“, „that man James“ და სხვ. ან მარტოდენ საზოგადო სახელით — „that chap“, „that fellow“.

აი, როგორაა გამოხატული ჯ. ვოლზუორთის რომანის გმირის — მოხუცი ჯოლიონის ქედმაღლური დამოკიდებულება თავისი შვილიშვილის საქმროს — ბოსინის მიმართ, რომელიც თავისი სოციალური სტატუსით, ფორსაიტთა აზრით, არ არის შესაფერისი სასიძო მათი ოჯახისათვის:

„After June was married, if she ever did marry this fellow, as he supposed she would, he would let it (the house—ნ. ს.) and go into rooms“.

„ჯუნი რომ გათხოვდება, თუ მართლაც გაყვება იმ ყმაწვილს, შესაძლოა არც გაყვეს, სახლს გააქირავენ და ოთახს იშოვოს“.

ადამიანის მოხსენიება სიტყვით „ყმა-
წვილი“, მაშინ როცა იმისთვის, ვისაც ეს
სიტყვები ეკუთვნის, კარგადაა ცნობილი
ამ ადამიანის სახელიც და გვარიც; თავის-
თავად უკვე მიგვანიშნებს უარყოფით გან-
წყობილებაზე მის მიმართ. აღნიშნულ ეფ-
ექტს კიდევ უფრო აძლიერებს დესემანტი-
ზებული ნაცვალსახელი.

ანალოგიური უარყოფითი, დამამცირე-
ბელი დამოკიდებულების ინდიკატორია
ოკაზიური სიტყვათქმნადობის მოდელი,
რომელშიც ადამიანი მოხსენიებულია არა
საკუთარი სახელით, არამედ რთულ სიტ-
ყვა-ფორმაში მოქცეული მთელი წინადა-
დებით, რაც ძალზე ტიპურია ინგლისური-
სათვის. ასეთი კონოტაციის ანალოგიზაცი-
ამ ქვეშთ მოყვანილ ქართულ ვარიანტში
განაპირობა დაბალი რეპუტაციის ფრაზის
აქტივიზაცია („ბოსინია თუ რაღაც ჯან-
დაბა“), რითიც შენარჩუნებულია უხეში
კონოტაცია.

„I shan't be able to give you very
much, he said, (...) Perhaps this Mr.
What's-his-name will provide
the cocoa“.

„მე არ შემიძლია დიდი თანხის მოცემა,
წარმოთქვა მოხუცმა ჯოლიონმა, (...) იქ-
ნებ ეგ ბოსინია თუ რაღაც ჯან-
დაბა, ეყოს კიდევ კაკოსათვის ჩემგან
მოცემული თანხა“ (ჯ. გოლზუორთი „ფო-
რსაიტების საგა.“)

ენის სიტუაციური ვარიანტულობის მო-
ვლენას განეკუთვნება ასევე მოფერებითი,
მზრუნველობითი ტონალობის გამოვლი-
ნების ისეთი სახეობა, რომელიც თავს
იჩენს ხოლმე ვისიმე საუბარში მასზე უმ-
ცროსთან, მისი მეურვეობის, მზრუნვე-
ლობის ქვეშ მყოფ პირთან, მაგალითად,
ექიმის საუბარში — პაციენტთან, მოზრ-
დილი ადამიანისა — ბავშვთან და ა. შ. ეს
არის ზმნის პირველი პირის მრავლობითი
ფორმა, ნაცვლად მეორე პირის ფორმისა.
How are we this morning? What are
we complaining of? Have we done all
the tasks for today? We'll have to
take all these medicines და სხვ.

ქართულში ეს ფორმა ნაკლებ დამახა-

სიათებელი ჩანს კითხვით კონსტრუქცი-
ებში, მაგრამ ძალზე ტიპურია იმპერატი-
ულ წინადადებებში:

— მოდი, ახლა დაფიქროთ / ასე ეტყ-
ვიან ბავშვს, — მოდი ეს შევეჭამოთ, მო-
დი, დავლიოთ ეს წაწველი და ა. შ. ხოლო
კითხვით კონსტრუქციაში გამოყენებული
ეს ფორმები ქართულად შეიძლება ჩანა-
ცვლებული იყოს ზმნის მესამე პირის ფო-
რმით:

„Chasuble — „And how are we this
morning Miss Prism? You are I trust,
well“.

ამ სიტყვებით მიმართავს მოძღვარი მი-
სი მრევლის ერთ-ერთ წევრს, რაც ქართუ-
ლში მესამე პირის ფორმითაა გადმოტა-
ნილი:

„ჩეზუბლი — როგორა გრძნობს თავს
ამ დილით მის პრიზმი? იმედია, კარგად
ბრძანდება“ (ოსკარ უაილდი „დაირქვი ერ-
ნესტი“).

ზმნის ასეთი აზრნაცვალე პირიანი ფო-
რმა ზოგჯერ სახუმარო — ოფიციალურ
ტონალობასაც იძენს:

„How is the beautiful red-faced
Mr. Wilson?“

„როგორ ბრძანდება მშვენიერი წითელ-
სახიანი მისტერ უილსონი? (ე. ჰემინგუეი
„ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიე-
რება“).

ამ შეკითხვით ქალი მიმართავს მამა-
კაცს, რომელთანაც წინა ღამე გაატარა,
რაც განაპირობებს მის სახუმარო — ოფ-
იციალურ ტონალობას. ამდენად ტონალო-
ბის ხასიათს სწორედ კონტექსტუალური
ინდიკატორი განსაზღვრავს.

ცნობილია, რომ ზოომორფიზმში,
როცა იგი აქტივიზებულია ადამიანის და-
სახასიათებლად, მუდამ შეიცავს მეტა-
ფორულობის, ემოციურობის ეფექტს, ხან
საწყენსა და დამამცირებელს, ხანაც — მო-
ფერებითს. თუ ზოომორფიზმებს სი-
ნონიმებიც გააჩნია ენაში, მაშინ ეს სინო-
ნიმები ერთმანეთისგან განსხვავდება რო-
გორც ინტენსიურობის, ასევე კონოტაცი-
ის ხასიათითაც. მაგალითად, ინგლისურში
pig, donkey, monkey რბილი ირონიის

გამომხატველია, ხოლო ass, swine, ape უხეში და უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულების ინდიკატორია. გარდა ამისა, ამ ერთეულთა ეფექტის ტრანსპოზიციისას თარგმანში გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის ასოციატია, რომელიც საფუძვლად უდევს ზოომორფიზმის გამოყენებას, ხშირად ძალზე განსხვავებულია შეპირისპირებულ ენებში. მაგალითად, სახედართან ქართულში დაკავშირებულია ისეთი თვისებები, როგორცაა სიჯიუტე, უზრდელობა, გაუთლელობა, ინგლისურში კი — სიბრიყვე, უტვინობა, სიბერჩეტე (as stupid as an ass (donkey); to make an ass (a donkey) of oneself; to play the ass). ამითაა განპირობებული სიტყვა „donkey“-ის შენაცვლება თარგმანში მისი ფუნქციონალური ანალოგიით, ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში, რაც სათანადო განწყობის, სასურველი ტონალობის მინიჭებისთვის, ანუ თარგმანის პრაგმატული ეკვივალენტურობისათვის გარდუვალი აღმოჩნდა:

„He clowned away, pretending that his trousers had inches to spare round his middle.

„Don't be such a donkey, Bertie, said my mother irritably“.

„მამაჩემი ფეხზე წამოდგა და ხუმრობით შარვალზე ხელი იტაცა, ვითომდა ისე გაეძვალტყავდი, რომ შარვალი მძვრებო.“

— ნ უ ს უ ლ ე ლ ო ბ, ბერტი, შეუტია დედაჩემმა“ (ჩ. სნოუ „ჟამი იმედისა“).

ზემოთ განხილული ფრაგმენტების ანალიზისას ხშირად ვიყენებით ტერმინს „ტონალობა“, რომელიც ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებში, „გათამაშებული როლების“ უმთავრესი სტილისტური კორელატია. ტონალობის შეცვლა, საერთოდ, დაკავშირებულია ან იმ კომუნიკაციური სიტუაციის შეცვლასთან, რომელშიც მიმდინარეობს კომუნიკაციის აქტი, ან კომუნიკაციის პრაგმატული მიზანმიმართების შეცვლასთან. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ჩ. სნოუს რომანიდან „ჟამი იმედისა“, რომელშიც მოქმედება ვითარდება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ინგლი-

სის ერთ-ერთი სკოლის გაკვეთილზე, როცა მიმდინარეობს ფულის შეგროვება „ფრონტის დასახმარებლად“, მისტერ პუკი — მასწავლებელი, ორ განსხვავებულ როლში წარმოგვიდგება. ქვემოთ მოყვანილ პირველ რეპლიკაში მისი პათეტიკური, ზეაწეული ტონალობა, რომლის ეფექტიც იქმნება ოფიციალური, პუბლიცისტური სტილის კლიშეებით გაწყობილი გამონათქვამით, ამკარად დამცინავია, შეიძლება ითქვას, სარკასტულიც კი; ერთი მხრივ, იმ ყალბი პათოსისადმი, რომელსაც იჩენს ვითომდა დემოკრატიის იდეებით გულადტკინებული სასკოლო ადმინისტრაცია და საერთოდ, საზოგადოება, და მეორე მხრივ, — გაღიზიანებული მოსწავლეთა დაბალი ინტერესით იმ საგნისადმი, რომელსაც თავად ასწავლის. მომდევნო რეპლიკაში კი, რომლითაც იგი მიმართავს ერთ-ერთ ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულ მოსწავლეს, თავის მოწონების მიზნით ყველაზე დიდი თანხა რომ შესწირა სასკოლო ფონდს, მისი რთლი უკვე რადიკალურად საპირისპიროა, ტონალობა დაყვავებითი, დამრიგებლური და მზრუნველობითი, როგორც შეეფერება მასწავლებელსა და ჭკუის დამრიგებელს, რაც, ვფიქრობთ, სათანადოდაა ასახული თარგმანშიც:

1. „მამ ასე, დღეს, ჩვენი პროგრამის პირველ ნომრად უნდა დავადგინოთ, თუ რა წვლილი შეაქვს თქვენს კლასს მთელს მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვების უდიდეს საქმეში... ვერ გატყობთ, რომ ძალიან გეჩქარებოდეთ გეომეტრიის პრობლემებისაკენ მიმართოთ თქვენი ჭკუა-გონება (თუკი ასეთი ტვირთი მართლაც ამძიმებს თქვენს თავებს), მაგრამ ჩემი სამწუხარო ვალია სწორედ ამისკენ მოვუხმო თქვენს ყურადღებას და რაც შეიძლება მაღე, ასე რომ, მოდით მოვათავოთ ეს ფინანსური საკითხები და დავიწყოთ გაკვეთილი“.

2. „ნება მომეცი, ერთი კეთილი რჩევა მოგცე, იმედი მაქვს გამოგადგება ცხოვრებაში. მენ ხომ ნიჭიერი ბიჭი ხარ და მეც, პირველ რიგში, შენს მომავალზე ზრუ-

ნვა მალაპარაკებს ასეთი სენსაციური საქციელის ჩადენაზე ადვილი არაფერია, ელიოტ. შენისთანა ჭკვიანი ბიჭისათვის კი ყველაზე დიდი ხასიათის გამოცდა ის იქნება, რომ თავდაუზოგავად იშრომოს და ერთგული იყო შენი საქმისა, თუნდაც ამისათვის მადლობას არავინ გეუბნებოდეს. აბა შენ იცი, დაიმახსოვრე რაც გითხარი“.

ის გარემოება, რომ ჩვენს საანალიზო მასალაში წარმოდგენილი იყო ფრაგმენტები მხატვრული ტექსტის პერსონაჟთა სამეტყველო პარტიებიდან, არ ნიშნავს თითქოს ენის სოციალურ ვარიანტულობას ვუკავშირებდეთ მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებას. ფაქტობრივად, იგი გამოხატავს პოვებს ტექსტთა ფუნქციონალური ტიპების ნებისმიერ სახეობაში, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა შეტყობინების ისეთი ჭარბო კლასებისათვის შემუშავებული სამეტყველო ნორმებით გაწყობილი ტექსტები, რომლებშიც ასახულია ადამიანთა მიერ განსხვავებული სოციალური როლების შესრულების ფაქტი. მაგალითად, სამეცნიერო-დარგობრივი ტექსტის კონსტრუირებისას მისი ავტორი ასრულებს მეცნიერის სოციალურ როლს, პუბლიცისტური ჟანრის ტექსტის ავტორი თავისი როლით ჟურნალისტი ან პოლიტიკოსი, მხატვრული ტექსტისა — მწერალი და ა. შ. და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვეთება მისი როლის შესაბა-

მისი ინტენციაც და ცოდნაც იმისა, თუ როგორი ენობრივი გამოხატვის ფორმები შეესაბამება მისი აზრის ექსტერიორიზაციას და მისი ადრესატის-პოტენციურ რეცეპტორულ უნარს. ექსტერიორიზაციის სამეტყველო აქტივობის უმთავრესი პრაგმატული ფაქტორები. მთარგმნელის პრაგმატული მიზანმიმართება კი, თავის მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ფუნქციონალური ტიპის ტექსტის მთარგმნისას იტვირთოს სწორედ ასეთი განსხვავებული როლები და იმავდროულად გაითვალისწინოს თავისი ადრესატის ფაქტორიც, რომელიც თვისებრივად განსხვავებული ლინგვოეთნიკური და ლინგვოკულტურული კოლექტივის წევრია. სწორედ ეს ფაქტორი უცილობლად მოითხოვს მისგან ტექსტის პრაგმატულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციის ისეთ საშუალებათა აქტივიზაციას, რომლებზედაც გავამახვილეთ ყურადღება. ეს იყო: ტექსტის კომპრესია, ფუნქციონალური კომპენსაციის საშუალებები — ეფექტის გადაადგილება, სტილისტური ირადიაციის ეფექტის გამოყენება, კომენტირებული თარგმანი, ადაპტაციური ინტერპრეტაცია, რომელიც ითვალისწინებს მიმღები ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ჩვევებსა და რეფლექსებს სათანადო ტონალობის შესანარჩუნებლად განსხვავებულ კომუნიკაციურ სიტუაციებში.

